გურამ კუტალია

ბერი, რომელიც აუჯანყდა რომს
მარტინ ლუთერი

თბილისი
2009

დამხმარე სახელმძღვანელო დაწერილია ახლებურად და ეფუძნება მედიევისტიკის უახლოეს მიღწევებს, მასში წარმოჩენილია გერმანული რეფორმაციის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური, რელიგიური და იდეური წანამძღვრები, მარტინ ლუთერის ცხოვრება-მოღვაწეობის უმნიშვნელოვანისი მომენტები და პროტესტანტული აზრები, რომლის დაპირისპირებამ ორთოდოქსალურ კათოლიციზმთან შეუქცევადი ხასიათი მიიღო. რწმენით გამართლების მისეულმა თეორიამ, რომელიც გამორიცხავდა ნებისმიერი შუამავლისა და მაგიური ელემენტის აუცილებლობას ადამიანსა და ღმერთს შორის, საფუძველი დაუდო ადამიანის თავისუფლებისა და ავტონომიის იდეას იმ სახით, რა სახითაც ეს იდეა წარმოდგენილია თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში.

სახელმძღვანელოში გაშუქებულია აგრეთვე რეფორმატორის პოლიტიკური, სამართლებრივი, ეკონომიკური და პედაგოგიკური თვალთახედვანი. წარმოჩენილია ის დამოკიდებულება, რომელსაც იჩენდა ლუთერი მის თანამედროვე ცნობილ ადამიანებთან, წინ წამოწეულია არაერთი იდეა, რომლებსაც-დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

განკუთვნილია ჰუმანიტარული პროფილის (ისტორიის, დიპლომატიის და გერმანისტიკის სპეციალობის) სტუდენტებისა და მკითხველთა ფართო წრისათვის.

რედაქტორი პროფ. მ.პაპაშვილი

რეცენზენტები: პროფ. გ.ქავთარია
პროფ. ა.გეთიაშვილი

გამომცემლობა ჰოროსი XXI
ISBN 978-9941-407-05-5

რედაქტორის წინათქმა

პროფესორ გურამ კუტალიას მდიდარი მეცნიერული ბიოგრაფია აქვს. დამხმარე სახელმძღვანელოდ წარმოდგენილ ნაშრომში - „ბერი, რომელიც აუჯანყდა რომს. მარტინ ლუთერი"- თავისებურად შეჯამებულია ავტორის მრავალწლიანი შრომის შედეგები. აქვე ვიტყვი: წიგნის კითხვას დიდი სიფრთხილით შეეუდექი, რადგან მასში მრავალი რთული პრობლემაა დასმული და გაანალიზებული. სახელმძღვანელოში მდიდარი ისტორიული მასალის საფუძველზე ახალი თვალთახედვითაა გააზრებული რეფორმაციის ისტორიული საფუძვლები. დიდძალი ფაქტოლოგიური მასალის მოხმობით, ისტორიზმის პრინციპის დაცვით, ავტორი თანამიმდევრულად ავლენს პროტესტანტიზმის აღმოცენების მიზეზებს და ძალზე ოსტატურად წარმოაჩენს, თუ რატომ აღმოცენდა მარტინ ლუთერისა და სხვათა რეფორმაცია.

პროფესიონალი ისტორიკოსი შთამბეჭდავი ობიექტურობით ძერწავს რეფორმაციული მოძრაობის ეკონომიკურ, სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ წანამძღვრებს და გვაძლევს ამ პროცესის ყოველმხრივ ანალიზს. რაც ყველაზე მთავარია, იუველირის ოსტატობით გვიჩვენებს რეფორმაციის რელიგიურ მიზეზებს, მის იდეურ წანამძღვრებს.

სახელმძღვანელოს ხერხემალს წარმოადგენს გერმანელ მოსედ წოდებულ მარტინ ლუთერის ცხოვრების, მისი მოძღვრების ძირითადი იდეების, საეკლესიო იერარქიაზე უარისთქმის, ინდულგენციის საკითხის, პოლიტიკური და პედაგოგიკური თვალთახედვის მონუმენტური სურათის დახატვა. ასე ერთიან ქსოვილში წარმოდგენილი სახელმძღვანელო დიდი შემეცნებითი მნიშვნელობის მატარებელია. სრულიად გადაუჭარბებლად ვიტყვით, რომ ასეთი სახის ნაშრომი ქართულ ენაზე აქამდე არ ყოფილა. ამ ნაშრომში ერთმანეთს ერწყმის პროფესიონალ-ისტორიკოსი და პედაგოგი, ლექტორი, რომელმაც ჩინებულად იცის რა არის მთავარი და როგორ მიიტანოს სათქმელი მსმენელებამდე.

სახელმძღვანელო დაწერილია სოლიდურ მეცნიერულ-ისტორიულ საფუძველზე. ის აგებულია ქრონოლოგიურ პრინციპზე და იკითხება თავისუფლად და საინტერესოდ. სრული პასუხისმგებლობით ვამბობთ, რომ ეს სახელმძღვანელო პროფესორ გურამ კუტალიას შემოქმედებითი წარმატების ნაყოფია და მედიევისტიკის ფასეული შენაძენია.

რაც მთავარია, თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებელი საქართველოს ახალგაზრდობისათვის, და არა მარტო მათთვის, ლუთერისეული ადამიანის თავისუფლებისა და ავტონომიის იდეის ათვისება, გაცნობიერება და ანალიზი დღევანდელი ჩვენი ქვეყნისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელია.

დასკვნის სახით ვიტყვით, პროფესორ გურამ კუტალიას მიერ წაროდგენილი დამხმარე სახელმძღვანელო უდიდეს სამსახურს გაუწევს ჰუმანიტარული პროფილის (ისტორიის, დიპლომატიისა და გერმანისტიკის სპეციალობის) სტუდენტებს. მას ასევე დიდი ხალისითა და ინტერესით მიიღებს მკითხველთა ფართო საზოგადოება. აქედან გამომდინარე, წარმოდგენილი სახელმძღვანელოს გამოცემა დიდ სასარგებლო საქმედ მიმაჩნია. ამიტომ ჩემთვის სასიამოვნო მოვალეობა იყო საკუთარ თავზე ამეღო მისი რედაქტორობა.

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი მურმან პაპაშვილი

ეუძღვნი ჩემი ძვირფასი მშობლების მამანტი
კუტალიას და თამარ ნაროუშვილის ნათელ ხსოვნას

წინასიტყვაობა

1983 წლის 10 ნოემბერს გერმანელმა ხალხმა და მთელმა პროგრესულმა კაცობრიობამ აღნიშნა გამოჩენილი გერმანელი რეფორმატორის ლუთერის 500 წლისთავი. ეს მაღალი შეფასება და საყოველთაო აღიარება ლუთერმა დაიმსახურა, რამეთუ იგი განეკუთვნება იმ დროის ისტორიულ მოღვაწეებს, რომლებმაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში გამოიწვიეს უდიდესი პროგრესული გადატრიალება, როგორიც კი მანამადე კაცობრიობას განუცდია.

რეფორმაციული მოძრაობა სწორედაც ასეთ პროგრესულ გადატრიალებას წარმოადგენდა, რომელიც ფართოდ გაიშალა გერმანიაში XVI საუკუნის დასაწყისში. მანამდე არათუ გერმანიას, არამედ მთელ ევროპას არ ახსოვს ასეთი გაქანების ანტიფეოდალური მოძრაობა (კრიტიკული ეპიზოდის სახით გლეხთა ომი რომ ერთვის თან). ეს იყო პირველი ბურჟუაზიული რევოლუცია, რომელსაც ლუთერმა მისცა ბიძგი, როგორც კათოლიკური დოგმებისა და ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული თავისი თავდაპირველი გამოსვლებითა და მოწოდებებით ისე ბიბლიის თარგმნითაც. ამ თარგმანით ლუთერმა საფუძველი დაუდო არა მარტო გერმანულ სალიტერატურო ენას, არამედ დაშლის გზაზე შემდგარ ფეოდალურ საზოგადოებას ისეთი საზოგადოების სურათი უჩვენა, რომელმაც არაფერი იცოდა მრავალფენიან, ხელოვნურად აგებულ ფეოდალურ იერარქიაზე, მან ხელი შეუწყო ფართო მასების რადიკალიზაციას.

გადამდები იყო ლუთერის მოქალაქეობრივი გამბედაობაც, რომელიც გამოავლინა მან 1520-1521 წლებში. ჯერ იყოდა, სტუდენტების წინაშე პაპის ბულა დაწვა, ხოლო ვორმსის რაიხსტაგზე იმპერატორისა და რომის კურიის წარმომადგენელთა წინაშე მან დაიცვა თავისი მოძღვრება. „მე არ შემიძლია დავუმორჩილო ჩემი რწმენა არც პაპს და არც საეკლესიო კრებას... ქრისტიანს არ შეშვენის გამოვიდეს სინდისის

წინააღმდეგ. მე ამაზე ვდგავარ. სხვაგვარად არ ძალმიძს. დაე, ღმერთი შემეწიოს, ამინ!“ — ჭექდა მისი ხმა. ეს გამოსვლა იყო არა მარტო თამამი გამოწვევა რომისა, არამედ სინდისის, აზრის თავისუფლების პრინციპის საქვეყნოდ გამოცხადებაც. ასეთი რამ მანამდე იშვიათად მომხდარა.

მარტინ ლუთერი თავისი მოძღვრებითაც,თუმცა მას არ აკლდა ზომიერი ბიურგერობისათვის(რომლის წარმომადგენელიც ლუთერი იყო)დამახასიათებელი შეზღუდულობა, საზოგადოების ფართო წრის, მათ შორის ახლად აღმოცენებული ბურჟუაზიული ელემენტების ინტერესებს ასახავდა. მასში იგრძნობოდა მესიის დაბადების წყურვილი, რომელიც გერმანიას გაათავისუფლებდა რომის პაპის ბატონობისგან, გერმანელ ერს კი რწმენისა და სინდისის თავისუფლებას მოუტანდა. მაშასადამე, რეფორმაციული მოძრაობა ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ხასიათის მატარებელი იყო. ასევე ეროვნული მუხტის შემცველი იყო საერო ცხოვრებისა და საერო მმართველობის მისეული რეაბილიტაცია, მის მიერ ეკლესიებში, სკოლებსა და უნივერსიტეტებში დამკვიდრებული ახალი წესრიგი. ლუთერის სოციალ-ეთიკური შეხედულებები, რომლებიც ხალხთა კავშირის აუცილებლობას ადასტურებენ, დღესაც მაღალ შეფასებას იმსახურებს.

რა თქმა უნდა, ქრისტიანობის ახალ საწყისებზე დაფუძნების პროტესტანტული მოძღვრება, რომელსაც ლუთერი ქადაგებდა, ერთბაშად არ აღმოცენებულა. მას წინ უსწრებდა ეკლესიისა და ორთოდოქსალური კათოლიციზმის წარმოუდგენელი ჩაძირვა ჭაობში, აკი წერდა ჰეგელი: „რეფორმაცია ეკლესიის გახრწნიდან წარმოიშვა. ეს გახრწნა შემთხვევითი არ ყოფილა. იგი არ გახლდათ მხოლოდ ძალაუფლებისა და ბატონობის ბოროტად გამოყენების შედეგი... ეკლესია ჩამორჩა მსოფლიო სულს(გონს)და მაშინდელი გერმანიის(რა თქმა უნდა, სხვა ქვეყნებთან ერთად)სოციალურ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას.

ამიტომაც წინამდებარე ნაშრომს ამ საკითხებზე საუბრით ვიწყებთ.

თავი I

რეფორმაციული მოძრაობის ეკონომიკური, სოციალურ–პოლიტიკური და რელიგიური წინამძღვრები გერმანიაში

§ 1. ეკონომიკური და პოლიტიკური წანამძღვრებები

ხანას, რომელიც მოიცავს ევროპაში XV–XVI საუკუნეებს, ჰოლანდიელი ისტორიკოსი იოჰან ჰაიზინგა „შუა საუკუნეების შემოდგომას " უწოდებს და ეს მართალიცაა, რადგან ამ დროს მთელს ევროპაში ფეოდალური ურთიერთობა რღვევას განიცდის და მის წიაღში ახალი,კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები ისახება. ამ დროს იწყება წიგნის ბეჭდვა, ხდება კოპერნიკის აღმოჩენა, მშობლიურ ენებზე ითარგმნება ბიბლია, საფუძველი ეყრება დიდ გეოგრაფიულ აღმოჩენებს, რომელმაც წინ წასწია ევროპის ეკონომიკური და სოციალური ცხოვრება, სათავე დაუდო ახალ ცივილიზაციას, გზა გაუხსნა კაცობრიობის მანქანური ტექნიკის მასიურ გამოყენებას.

ვერ ვიტყვით, რომ ამ აღმოჩენებმა და იმ დროის მოვლენებმა გერმანიას ერთიანად გვერდი აუარა, თუმცა ამ ქვეყნის განვითარება მნიშვნელოვანი თავისებურებებით ხასიათდებოდა .პოლიტიკური დაქუცმაცებულობის და ეკონომიკური კავშირის სისუსტის მიუხედავად, ხელსაყრელმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ,რომელიც ეკავა გერმანიას(ერთხანს დიდი გეოგრაფიული აღმოჩენების შემდეგაც)მსოფლიო სავაჭრო გზებზე, მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მრეწველობის ცალკეული დარგების და ვაჭრობის განვითარებას. თვალსაჩინოდ გაიზარდა შალეულისა და აბრეშუმის ქსოვილების დამზადება, .ოქროსა და ვერცხლის ნაკეთობათა წარმოება, წიგნის ბეჭდვა. განსაკუთრებულ წარმატებას მაინც სამთამადნო მრეწველობამ მიაღწია, იზრდება ოქროსა და ვერცხლის მოპოვება, რაც გერმანიას მაშინდელი მოწინავე ქვეყნების (ინგლისისა და

საფრანგეთის) სათავეში აყენებს. ოქროსა და ვერცხლის მოპოვება გახდა უკანასკნელი ბიძგი, რომელმაც 1470-1530 წწ. ეკონომიკური თვალსაზრისით გერმანია ევროპის სათავეში დააყენა და ამით გახდა იგი რელიგიის საბურველში გახვეული პირველი რევოლუციის, ე.წ. რეფორმაციის ცენტრად.

მრეწველობის წინსვლას ერთგვარი თვისებრივი ცვლილებებიც ახლავს. მრეწველობის ცალკეულ დარგებში, პირველ რიგში, სამთო-მეტალურგიულ მრეწველობაში, საფეიქრო მრეწველობაში, ქაღალდის წარმოებაში, წიგნის ბეჭდვისა და გამოცემის საქმეში, გემთმშენებლობაში, სატრანსპორტო საქმეში უკვე ჩნდება ახალი, კაპიტალისტური ურთიერთობის ელემენტები, თვით მანუფაქტურები, სადაც დაქირავებული მუშების შრომა იყო გამოყენებული. საქსონიისა და ტიროლის სამთომადნო მრეწველობის მასალებიდან ირკვევა, რომ XVI საუკუნის პირველ ათ წელს გერმანიის მთელ სამთომადნო მრეწველობაში დასაქმებული იყო 100 ათას კაცზე მეტი. მარტო ტიროლის შვაცში 1525 წელს დაახლოვებით 20 ათასამდე დაქირავებული მუშამეშახტე ყოფილა.

მრეწველობის განვითარებას შინა და საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოებაც მოჰყვა. განსაკუთრებით აქტიურობდა ჰანზის კავშირი, რომლის სამოქმედო ასპარეზს ჩრდილოეთ გერმანია წარმოადგენდა. მის ხელში იყო სავაჭრო მონოპოლია ჩრდილოეთისა და ბალტიის ზღვების სანაპიროებზე. შესაბამისად ვითარდებოდა ისეთი ეკონომიური ცენტრები, როგორიც იყო ჰამბურგი, ლიუბეკი, დანციგი, როსტოკი და სხვ. მათი მეშვეობით ვაჭრობა წარმოებდა აღმოსავლეთ, დასავლეთსა და ჩრდილოეთ ევროპას შორის, ვაჭრობდნენ რუსეთთან, სკანდინავიის ქვეყნებთან, ინგლისთან და ნიდერლანდებთან. აქაურ ქალაქებში მათ თავიანთი ქარვასლები და განსაკუთრებული კანტორები გააჩნდათ. რაც შეეხება სამხრეთ გერმანიის ქალაქებს, ისინი უფრო იტალიის, საფრანგეთისა და ესპანეთის ქალაქებთან იყვნენ დაკავშირებული, მათთან ვაჭრობდნენ.

ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას არ შეიძლება

გავლენა არ მოეხდინა გერმანიის სოფლის მეურნეობაზეც. თვით ლუდის გამოხდას, რომელსაც უდიდესი ყურადღება ექცეოდა გერმანიის ჩრდილოეთ ოლქებში და რომელიც ხარბად შთანთქავდა სოფლის მეურნეობის ჭარბ პროდუქტებს, ის შედეგი მოპყვა, რომ ჯერ კიდევ XIII-XIV საუკუნეებში წარმოიქმნა პროცესები, რომლებიც ტიპიურია ადრეკაპიტალისტური განვითარების ქვეყნებისათვის, როგორიცაა, სენიორების მისწრაფება ისეთი ადგილებისადმი, რომლებიც უშუალოდ ეკვროდნენ სარეწაო პუნქტებს ან მდებარეობდნენ სავაჭრო გზებზე, რაც აძლიერებდა გლეხობის ექსპლუატაციას. გერმანიის აგრარულ წყობაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ახდენდა სამთომადნო საქმის განვითარება: ჯერ ერთი, ის მოთხოვნილება, რომელსაც საშენ ხე-ტყეზე აყენებდნენ მაღაროები, ადრიდანვე ითრევდა სოფელს სავაჭრო ურთიერთობაში; მეორეც, სამთამადნო ოლქებში დიდი იყო მოთხოვნილება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე, განსაკუთრებით კი პურზე და რაც უფრო ვითარდებოდა სამთომადნო საქმე, მით უფრო თვალსაჩინო ადგილს იჭერდა პურითა და ხე-ტყით ვაჭრობა. ფართო გასავალი ჰქონდა აგრეთვე, ტექნიკურ კულტურებსაც. ვითარდებოდა მეცხვარეობა, რაც შალეულის მრეწველობის ზრდასთან იყო დაკავშირებული. ერთი სიტყვით, მართალია, გლეხების თანდათანობითი განთავისუფლება გერმანიაში XV საუკუნეში რეაქციამ (ე.ი. ბატონყმობის კვლავ აღდგენისა და გაძლიერების ცდამ) შეწყვიტა, მაგრამ ამ დროისათვის და უფრო გვიანაც – XVI საუკუნის დასაწყისში, სოფლის მეურნეობის პროდუქტები ჯერ კიდევ სულ უფრო მეტი ზომით ხდებოდა საქონელი და უპირატესობა ფეოდალური რენტის ფულად ფორმას ენიჭებოდა. გერმანიის იმ ოლქებში, სადაც ამ პროცესს მეტი გასაქანი ჰქონდა, გლეხები ბაზართან უფრო იყვნენ დაკავშირებული, ვიდრე ფეოდალის მამულთან. მართალია, ამ პროცესს საყოველთაო ხასიათი არ ჰქონია, თუმცა წინსვლა ყველგან შეინიშნებოდა. მაშასადამე, გლეხის ცხოვრებაში მნიშვნელოვან ადგილს ფული იჭერდა, რაც სხვა არაფერი იყო, თუ არა სოფლად ახალი ურთიერთობის

ჩასახვა. ყველგან, სადაც პირადი ურთიერთობა გამოდევნა ფულადმა ურთიერთობამ, ნატურალური ვალდებულებები — ფულადმა გადასახდელებმა, იქ ფეოდალური ურთიერთობის ადგილს ბურჟუაზიული ურთიერთობა იკავებდა.

სწორედ ამდაგვარი წარმატებები ქმნიდა იმის პირობას, რომ ეკონომიკური თვალსაზრისით გერმანია სავსებით იდგა იმდროინდელი ქვეყნების (საფრანგეთისა და ინგლისის) სიმაღლეზე, მაგრამ გერმანიის განვითარების თავისებურება იმით გამოიხატა, რომ ვაჭრობისა და მრეწველობის აღმავლობას არ მოჰყოლია მთელი ქვეყნის ინტერესთა გაერთიანება. მაშინ, როდესაც ინგლისსა და საფრანგეთში ვაჭრობისა და მრეწველობის აღმავლობამ მთელი ქვეყნის ინტერესთა გადახლართვა და ამით პოლიტიკური ცენტრალიზაცია გამოიწვია, გერმანიაში ამ პროცესის შედეგად მოხდა მხოლოდ ინტერესთა დაჯგუფება პროვინციების მიხედვით, წმინდა ადგილობრივი ცენტრების გარშემო და, მაშასადამე, ქვეყნის პოლიტიკური დაქუცმაცება. ეს კი, რა თქმა უნდა, ქვეყანაში აფერხებდა კაპიტალისტური წარმოების ელემენტების განვითარებას, ქმნიდა ძველ ურთიერთობასთან ახალი ელემენტების დაპირისპირების საფუძველს.

მრავალრიცხოვანი, დიდი და პატარა საერო და საეკლესიო ფეოდალური სამფლობელოები, მათ შორის შვიდი მთავარი — კურფიურსტი, დაახ.70 მთავარი-არქიეპისკოპოსი, ეპისკოპოსები და საერო პირები, დაახ. 70 აბატი, 120-ზე მეტი გრაფი, დაახ. 65 საიმპერიო და თავისუფალი ქალაქი, მრავალრიცხოვანი საიმპერიო რაინდები და სხვა სტატუსის მქონე ე.წ. „ბატონები", რომელთა საერთო რაოდენობა ათასამდე აღწევდა გერმანიაში, სუვერენული თავისუფლების უმრავლესობას ფლობდა. მთავრებს თავიანთ სამფლობელოებში სამართლის წარმოების, გადასახადების აკრეფის, ფულის მოჭრის და ჯარის დაქირავების უფლება გააჩნდათ. თავიანთ სამთავროებს ისინი ერთპიროვნულად განაგებდნენ, მხოლოდ ნომინალურად ემორჩილებოდნენ იმპერატორს. საიმპერიო ორგანოს — რაიხსტაგის ნაცვლად,

იწვევდნენ ლანტაგებს. მათი მოქმედება არც ზნეობრივი სიწმინდით გამოირჩეოდა, მათში გაბატონებული იყო „ვერაგობა და ცინიზმი", იყიდებოდა თანამდებობები, კანცელარიებსა და სასამართლოებში ქრთამი ჩვეულებრივი მოვლენა იყო, გავრცელებული იყო ლოთობა.

გერმანელი მთავრები ეწეოდნენ შინაფეოდალურ ომებსაც. ისინი არამარტო ერთმანეთის წინააღმდეგ კრავდნენ კავშირებს და აჩაღებდნენ ომებს, ყველგან თან სდევდათ ძარცვის, სისხლისღვრის და ნგრევის ჟინი, უპირისპირდებოდნენ იმპერატორსაც,რომლისგანაც მიღებული ჰქონდათ ლენები. მთავრები სარგებლობდნენ საიმპერატორო ხელისუფლების სისუსტით და ხელყოფდნენ მის უფლებებს, იმორჩილებდნენ მის უშუალო ქვეშევრდომ რაინდებსა და ქალაქებს. მთავრები ფლობდნენ იმპერატორის არჩევითობის უფლებასაც, იმპერატორ კარლ IV-ეს მიერ 1356 წელს გამოცემულმა „ოქროს ბულამ", იურიდიულად დააკანონა გერმანიაში არსებული ფეოდალური დაქუცმაცებულობა, მიანიჭა მთავრებს თავიანთ სამფლობელოებში უმაღლესი ხელისუფლება, სამართლის წარმოების, გადასახადების აკრეფის, ფულის მოჭრისა და წიაღისეული სიმდიდრის მოპოვების უფლება. მთავრები თავიანთ სამთავროებში ერთპიროვნულ გამგებლებად იქცნენ. ისინი მხოლოდ ნომინალურად ემორჩილებოდნენ იმპერატორს. საიმპერიო ორგანოს—რაიხსტაგის ნაცვლად იწვევდნენ ლანდტაგებს. იმდროინდელ გერმანიაში არ არსებობდა საერთო საიმპერიო კანონმდებლობა, საიმპერიო სასამართლო, არმია და ფინანსები. თანაც მთავრები არა მარტო იმას უშლიდნენ ხელს, რომ იმპერატორის დინასტიური ხელისუფლება ერის განსახიერება ყოფილიყო და ქვეყნის ერთიანობისთვის ეზრუნა, არამედ ყოველთვის და, განსაკუთრებით XV საუკუნეში, როგორც კი იმპერატორის საგვარეულო ხელისუფლება მათი თვალსაზრისით მეტისმეტ გაძლიერებას იწყებდა, დინასტიებს ამხობდნენ.

მართალია, XV საუკუნის შუახანებიდან საიმპერატორო ხელისუფლება გერმანიაში ერთგვარად გაძლიერდა — აკი სა-

იმპერატორო გვირგვინი მტკიცედ დამკვიდრდა ავსტრიის ჰაბსბურგთა სახლში, და ეს, უპირველესად, იმით უნდა აიხსნას, რომ მათი უმთავრესი საგვარეულო სამფლობელოები – მთელი სამხრეთი გერმანია და ავსტრიის დიდი ნაწილი, შტირია, კორინთია, კრაინა, ვენეციის მარკა, ჩეხეთი, ფრიული, ტიროლი, ელზასი და შვეიცარია – მდებარეობდა იმ გზაზე, საიდანაც ოსმალეთის საფრთხე იკვეთებოდა; გერმანელი მთავრების თვალში მას დაცვითი ფუნქციები ეკისრებოდა, თუმცა ჰაბსბურგთა საგვარეულოს წარმომადგენლებს ამგვარი წარმოდგენა სულაც არ აკმაყოფილებდათ. მათი სწრაფვა უფრო შორს მიდიოდა. ის, რომ ჯერ კიდევ 1486 წლიდან რომის საღმრთო იმპერიას – ამ უმსხვილეს პოლიტიკურ წარმონაქმნს ევროპაში, რომლის ძირითად ბირთვს უწინდებურად გერმანული მიწები წარმოადგენდნენ, ახალი ოფიციალური სახელწოდება – „გერმანელი ერის რომის საღმრთო იმპერია"– ეწოდა, ბევრის მეტყველია. იმპერიის ახალი ნათლია ფრიდრიხ III (1440-1493), რომლითაც იწყება ჰაბსბურგთა საგვარეულოს გაძლიერება, მსოფლიო ბატონობაზეც კი ოცნებობდა. თავის ამ ოცნებას და სწრაფვას იგი კონკრეტული მინიშნებითაც გამოხატავდა, სასახლეში მის ყველა ნივთზე – ეს იქნებოდა მაგიდა, სკამი, კარადა, სასადილო ჭურჭელი თუ სხვა, გამოსახული იყო ლათინური ასოები – AEIOU, რომელიც ასე ი'მიფრებოდა: „Austriae est imperium orbis universi" –„ავსტრია იბატონებს მთელს მსოფლიოზე". მართალია, ფრიდრიხ III-ემ 1477 წელს ცოლად ბურგუნდიის ჰერცოგის ასული მარია ბურგუნდიელი ითხოვა, რითაც შეიძინა ნიდერლანდები, ფრანშ-კონტე და გარდა ამისა, ამ დინასტიური ქორწინებით თავის მემკვიდრეებს მოუპოვა უნგრეთის, ესპანეთისა და ჩეხეთის სამეფოები, მაგრამ თავისი ოცნების სრულად აღსრულება მან ვერ შეძლო. სამაგიეროდ მისი მემკვიდრეების – მაქსიმილიანე I-ის (1493-1519) და კარლ V-ის (1519-1556) მმართველობის დროს ავსტრიის ჰაბსბურგთა სახლის სამემკვიდრეო მამულმა მნიშვნელოვან გაფართოებას მიაღწია. კარლ V, ერთსა და

იმავე დროს, „რომის საღმრთო იმპერიის" იმპერატორი, ე.ი. გერმანიის მბრძანებელიც იყო და ესპანეთის მეფეც. ფლობდა ნიდერლანდებს, ბელგიას, ლუქსემბურგს, ბურგუნდიის საგრაფოს, იტალიის მნიშვნელოვან ნაწილს (სიცილიასა და ნეაპოლთან ერთად), ჩეხეთს. იყო თვალუწვდენელი ამერიკული სამფლობელოების მბრძანებელიც. მის იმპერიაში, თანამედროვეთა თქმით, მზე არასოდეს არ ჩადიოდა. მაგრამ ეს გაძლიერება ჰაბსბურგთა საგვარეულოს მემკვიდრეობითი მიწების განმტკიცებასა და გაფართოებას უფრო ნიშნავდა და, ამდენად, გერმანიის საიმპერატორო ხელისუფლების განვითარებაში არსებითი ცვლილება არ შეუტანია. ამას ერთგვარი გამართლებაც ჰქონდა, რამეთუ საიმპერატორო ხელისუფლება არჩევითი იყო, ამდენად არც ერთი იმპერატორი არ იყო დარწმუნებული,რომ მისი შთამომავლები მემკვიდრეობით მიიღებდნენ საიმპერატორო გვირგვინს, მაშინ გასაგებია, თუ რატომ ჭარბობდა სამემკვიდრეო სახლის ინტერესები საერთო გერმანულ ინტერესებს.

მაქსიმილიანე I, ასე თუ ისე, მაინც გერმანიასთან იყო დაკავშირებული, მისი გაძლიერებისათვის ზრუნავდა. იგი თავისი მმართველობის პირველ ხანებში საიმპერიო რეფორმის განხორციელებასაც შეეცადა, მოისურვა ერთიანი საიმპერიო მმართველობისა და სასამართლოს შექმნა, ფინანსების მოწესრიგება, მაგრამ მთავრების დიდ წინააღმდეგობას წააწყდა. ამ უკანასკნელებმა თავიანთი პროექტი წარმოადგინეს, რომელიც იმპერატორს მთავრებისაგან დამოკიდებულს ხდიდა. ამგვარად, მაქსიმილიანე I-ის საიმპერიო რეფორმის ჩატარების ცდამ მარცხი განიცადა, გერმანიის პოლიტიკური დაქუცმაცება — კიდევ უფრო განმტკიცდა.

რაც შეეხება კარლ V-ს, იგი ნაკლებად ერეოდა გერმანულ ეროვნულ საქმეებში, მას ოსმალთა საშიშროების მოგერიების და მსოფლიო კათოლიკური იმპერიის, ე.წ. „უნივერსალური მონარქიის" შექმნის იდეა ამოძრავებდა, ამიტომ მთელ საქრისტიანოს ოსმალთა წინააღმდეგ ომისკენ მოუწოდებდა, მონაწილეობდა ე.წ. „იტალიურ ომებშიც" (1494-1559). ცხადია,

მას რომაულ-კათოლიკური ეკლესიის და პაპის მხარდაჭერა სჭირდებოდა, ამდენად, მისთვის უცხო აღმოჩნდა რეფორმაციული მოძრაობაც, რომელიც, ნაპოლეონ I-ის სამართლიანი თქმით, ყველაზე ხელსაყრელი მომენტი იყო, რათა კარლ V-ს ხელში აეღო გერმანელი ერის მმართველობის სადავეები, დაემხო მთავრებისა და პაპების სრულუფლებიანობა, შეექმნა გერმანიის ერთიანი სახელმწიფო და, ამასთან, აემაღლებინა იგი მსოფლიოში პირველი სახელმწიფოს დონემდე. მ.ფროინდის თქმითაც, სულ სხვა იქნებოდა გერმანიის ბედი, კარლ V-ს თავისი ინტერესებისთვის რომ გამოეყენებინა ლუთერანული რეფორმაცია.

ერთი სიტყვით, კარლ V არა თუ იბრძოდა გერმანიის დაქუცმაცების აღმოსაფხვრელად, არამედ, პირიქით, ცენტრიდანულ ძალებთან ამყარებდა კავშირს. თვით ფუგერებიც კი, რომელთა დახნარებითაც კარლ V-მ მოიპოვა საიმპერეტორო გვირგვინი (ეს ფუგერის წერილიდანაც ჩანს, სადაც ნათქვამია: „ცნობილია, რომ თქვენი იმპერატორის უდიდებულესობა ვერ მიიღებდა რომაულ გვირგვინს ჩემი შემწეობის გარეშე"), კარლ V-ს დიდმპყრობელური სწრაფვისთვის უჭერს მხარს და არა იმისთვის, რომ იზრუნოს ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებისა და გერმანიის გაერთიანებისათვის.

ამრიგად, საფრანგეთისა და ინგლისის მონარქებისაგან განსხვავებით, რომლებიც სათავეში ედგნენ ბრძოლას ეროვნული ცენტრალიზაციისა და სახელწიფოს პროგრესული განვითარებისათვის, ჰაბსბურგები უკვე ისტორიულად დრომოჭმული, დიდმპყრობელური, იმპერიული პოლიტიკის გამტარებლები იყვნენ. ისინი წინ ეღობებოდნენ სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი პრობლემების ყოველგვარ პროგრესულ გადაწყვეტილებებს. ამ მხრივ ისინი ცენტრიდანული ძალების გვერდით იდგნენ.

თავიანთი განკერძოებული პოლიტიკური ინტერესები ჰქონდათ ქალაქებსაც, რომელთაგან ერთნი საიმპერიო და თავისუფალ ქალაქებად ითვლებოდნენ, მეორენი კი მთავრების გამგებლობაში შედიოდნენ. მათ ვერ მოახერხეს ვერც ერთმანეთთან

კავშირში და ვერც საიმპერიო ხელისუფლებასთან ერთად ფეოდალური გათიშულობის დაძლევა და ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლა, გერმანიის ვერცერთმა ქალაქმა ვერ შეასრულა ის როლი, რომელიც წილად ხვდა პარიზს—საფრანგეთში, ხოლო ლონდონს ინგლისში

§2. სოციალური წანამძღვრები

გათიშულობისა და პოლიტიკური დაქუცმაცებულობის პირობებში წარმოების კაპიტალისტური ელემენტების აღმოცენებასა და განვითარებას, სასაქონლო-ფულადი ურთიერთობების ზრდას გერმანიაში სოციალური წინააღმდეგობების გამწვავება მოჰყვა. ერთ-ერთ წინააღმდეგობაზე ჩვენ უკვე გვქონდა საუბარი, ესაა წინააღმდეგობა იმპერატორსა და მთავრებს შორის, რაც, როგორც ვთქვით, მთავრების გამარჯვებით დასრულდა, თუმცა თვით მსხვილი და წვრილი საერო და სასულიერო მთავრები შემდეგში სისტემატურად მტრობდნენ ერთმანერთს. მთავრების ამ ფენას საერთო მოქიშპეც ჰყავდა თავადაზნაურობის დაბალი ფენის — რაინდობის სახით, რომელიც სწრაფად მიექანებოდა დაღუპვისაკენ. ქვეითი ჯარის მნიშვნელობის ზრდამ, დენთისა და არტილერიის გამოყენებამ და განვითარებამ რაინდებს, როგორც სამხედრო წოდებას მნიშვნელობა დაუკარგა; ისინი „საზოგადოებრივი თვალსაზრისითაც სრულიად ზედმეტნი გახდნენ" (ე.ზომერი), აფერხებდნენ ქალაქების ეკონომიკურ და პოლიტიკურ წინსვლას, მძიმე ტვირთად აწვნენ ბიურგერობასა და გლეხებს, სისტემატური ძარცვა-რბევის შიშში ჰყავდათ ვაჭრები, ემტერებოდნენ იმდროინდელ „გულზვიად" სამღვდელოებას, შურით შესცქეროდნენ მათ ვრცელ სამფლობელოებს, მოითხოვდნენ საეკლესიო მიწების სეკულარიზაციას. მათ, როგორც ვთქვით, მეგობრული ურთიერთობა არც მთავრებთან ჰქონდათ. ამ უკანასკნელთა დესპოტიზმს ისინი, განსაკუთრებით საიმპერიო რაინდები, რომელთა ინტერესების გამომხატველი იყო ულრიხ ფონ ჰუტენი, სიძულვილით ეკიდებოდნენ. საიმპერატორო ხელისუფლების გაძლიერებასა და გერმანიის სახელმწიფოებრივ

კონსოლიდაციაში ხედავდნენ ისინი თავიანთი, წარსული დიდების დაბრუნების გარანტიას.

წინააღმდეგობებისაგან თავისუფალი არც გერმანული ქალაქების ცხოვრება იყო. ერთ-ერთი წინააღმდეგობა, რომელიც ღრღნიდა მათ, ფეოდალურ კლასთან ურთიერთობაში ვლინდებოდა, საქმე ისაა, რომ მთავრებმა ქალაქების ერთი ნაწილი, რომელიც ადრე მათ გამგებლობაში შედიოდა, ფეოდალური რეაქციის ხანაში, XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში, საკუთრებით დაიმორჩილეს. მათ საფრთხე შეუქმნეს საიმპერიო ქალაქებსაც, რომლებიც თვითმმართველობის უფლებით სარგებლობდნენ. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როცა ამ ამბების თანამედროვე ფრუასარი წერდა: „საერთოდ გერმანიაში მთავრების ძალაუფლება იზრდება და ემუქრება ქალაქების დამოუკიდებლობას, რომლებიც ახლანდელ დროში, როგორც ჩანს, უფრო მეტად ვაჭრობისთვის, სიმდიდრისა და ფულის შეძენისთვის ზრუნავენ“.

წინააღმდეგობა მწვავდებოდა ქალაქების შიგნითაც. მოქალაქეთა საზოგადოების სათავეში მდგომი პატრიციული გვარები, ე.წ. „წარჩინებულნი“, ექსპლუატაციას უწევდნენ, როგორც ქალაქის თემს, ისე ქალაქის ქვეშევრდომ გლეხკაცობასაც, აეიწროვებდნენ საშუალო შეძლების ვაჭრებსა და მეწარმეებს, ისინი ეწეოდნენ მევახშეობას, ითვისებდნენ მონოპოლიებს, თვითნებურად აწესებდნენ გზების, ხიდებისა და კარიბჭეების ბაჟს და სხვა ბეგარას, რაც ბიურგერებისა და პლებეების წინააღმდეგობას იწვევდა. ბიურგერების უმრავლესობა, რომელშიც მდიდარი, საშუალო და წვრილი მესაკუთრეები, ოსტატები, ხელოსნები და ვაჭრები შედიოდნენ, პოლიტიკურად ჯერ კიდევ მოუმწიფებელი იყო, მათი პოზიცია განისაზღვრებოდა მხოლოდ „წმინდა კონსტიტუციური“ მოთხოვნებით, იმის სურვილით, რომ მათ კონტროლი გაეწიათ საქალაქო მმართველობისათვის და მონაწილეობა მიეღოთ საკანონმდებლო ხელისუფლებაში. ეს იყო ბიურგერების ზომიერი მიმდინარეობა, რომლის ინტერესების გამომხატველი, როგორც ქვემოთ დავინახავთ, ლუთერი

და ებერლინი იყო. ბიურგერობის მხოლოდ მცირე ნაწილი, რომელიც ახლად წარმოქმნილ კაპიტალისტურ ელემენტებს, მათ ურთიერთობას დაუკავშირდა, ქმნიდა რადიკალურ ოპოზიციას, რომლის ინტერესებსაც საეკლესიო გარდაქმნის საქმეში კარლშტადტი გამოხატავდა; რადიკალურ ოპოზიციას შვეიცარიელი რეფორმატორის ცვინგლის რესპუბლიკური იდეებიც იზიდავდა. რომელიც არა მარტო პატრიციატის წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობდა; ისინი სახელმწიფოებრივი მმართველობის რეორგანიზაციასა და ისეთი ღონისძიებების გატარებას გულისხმობდნენ, რომლებიც ხელს შეუწყობდა ვაჭრობისა და მრეწველობის განვითარებას. ამასთან ბიურგერობის ორივე ნაწილს ერთი საერთო მიზანი ჰქონდა — „იაფი ეკლესიის" შექმნა და რომის პაპის ბატონობისგან გერმანიის განთავისუფლება.

რაც შეეხება პლებურ ოპოზიციას, აქ გაერთიანებული იყვნენ ქარგლები, დღიური მუშები და წარმოშობის პროცესში მყოფი თანამედროვე ბურჟუაზიული საზოგადოების ჯერ კიდევ ჩანასახობრივი პროლეტარუილი ელემენტები. ეს მეტად ჭრელი მასა, მოკლებული იყო მოქალაქის უფლებებს. იგი მტრობდა ყველა შეძლებულს, რომელიც სოციალურ კიბეზე უფრო მაღალ საფეხურზე იდგა, პლებეობა ვერ იტანდა ბურგერობასაც, რამეთუ უკანასკნელი ფლობდა ამქრულ პრივილეგიებს. იგი ანტიფეოდალურ ბრძოლაში გლეხთა საიმედო მოკავშირე გახდა. მათ შეადგინეს გლეხურ-პლებეური ბანაკი, რომელსაც გლეხთა ომის დროს სათავეში თომას მიუნცერი ედგა.

სოციალურმა წინააღმდეგობამ განსაკუთრებით იჩინა თავი სოფლებში. სასაქონლო-ფულადმა ურთიერთობამ და, აქედან გამომდინარე, ფულისა და ფუფუნებისადმი სწრაფვამ, რომელსაც იჩენდნენ თავადაზნაურობისა და სამღვდელოების წარმომადგენლები, მეტად აუტანელი გახადა გლეხების მდგომარეობა. XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში, იქ, სადაც შემდგომში ფართოდ გაიშალა გლეხთა დიდი ომი, გლეხებს თავს დაატყდათ ფეოდალური რეაქცია, რაც იმით გამოიხატა, რომ გლეხურმა

მეურნეობამ მასობრივად განიცადა ფეოდალური ექსპლუატაციის ზრდა. გლეხს წაართვეს ადგილ-მამულების მემკვიდრეობით გადაცემის უფლება, მიწის ნაკვეთი ახლა გლეხს, მხოლოდ სიკვდილამდე ეძლეოდა, ხოლო მისი სიკვდილის შემთხვევაში იგი ახალ მფლობელს მემამულეთათვის ხელსაყრელ პირობებში გადაეცემოდა. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ბატონყმობის კვლავ აღდგენა. თანაც ახალი ბატონყმობა ყველაფერი იყო, რაც გნებავთ, ოღონდ არა შერბილება. წლიდან წლამდე იზრდებოდა გლეხთა ექსპლუატაცია თავადაზნაურობის მიერ, რომლებიც მებეგრეებს ახალ გადასახადებს და ბეგარას აკისრებდნენ. ამისთვის სხვადასხვა საბაბს და სახელწოდებას იყენებდნენ. საბატონო ბეგარას, საიჯარო ქირას, ღალას, ხარკს მამულის გამოცვლისას, სამკვდროს, სასარჩელოს და სხვას თვითნებურად უმატებდნენ. გლეხი ვალდებული იყო, ანაზღაურება გადაეხადა სახელმწიფოს ყველა ოფიციალური წოდებისათვის: ეკუთვნოდა იგი მთავარს, აზნაურს, ეპისკოპოსს, მონასტერს თუ ქალაქს, მას ყველგან სისხლს სწოვდნენ, ექცეოდნენ როგორც მუშა საქონელს და უარესადაც- გერმანელი ეკონომისტის ინამ შტერნეგის გამოანგარიშებით, საერთო პროდუქტიდან, რომელიც გლეხს მოჰყავდა, უშუალოდ მას რჩებოდა 36 პროცენტი, ე.ი. ერთიმესამედი, ხოლო ორ მესამედს იგი აძლევდა სხვადასხვა ექპლუატატორს: 6,5%-ს მეათედის სახით სამღვდელოებას, 4%-ს სახელმწიფოს, 53%-ს მემამულეს, ფოგტს და ა.შ. გლეხს „არც დაქორწინება შეეძლო და არც სიკვდილი ისე, რომ საზღაური არ მიეცა თავისი ბატონისათვის". მას დასცინოდნენ კიდეც: ჯოხებით გუბურებისათვის არტყმევინებდნენ, რომ ბაყაყებს ბატონებისთვის არ დაეფრთხოთ ძილი. ფეოდალების თვითნებობა სათემო მიწაზეც ვრცელდებოდა, გლეხს არ ჰქონდა სათიბის, ტყის, საძოვრის, აგრეთვე თევზის ჭერისა და ნადირობის უფლება. ბატონყმური ჩაგვრის ამ სიმძიმეს მარტინ ლუთერის ცნობებიც ადასტურებენ. ბუნებრივია, გაძლიერებული ფეოდალური ჩაგვრა საპასუხო მოძრაობასაც იწვევდა: ჯერ კიდევ 1476 წელს ფრანკონიაში, ვიურცბურგის ეპისკოპოსის

სამფლობელოში იწყება აჯანყება, რომელსაც მწყემსი პანს ბეპაიმი მეთაურობდა. იგი სოციალურ თანასწორობას, საერო და სასულიერო ხელისუფლების მოსპობას და ყველა ფეოდალური ვალდებულებების გაუქმებას ქადაგებდა. იმას ამბობდა, რომ საზოგადოების ყველა წევრს — ეს იქნებოდა პაპი, იმპერატორი, მთავარი, რაინდი, ბიურგერი თუ გლეხი — თავისი შრომით ერჩინა თავი, რომ არცერთ ადამიანს სხვებზე მეტი არ უნდა ჰქონოდა. მის მოწოდებას გამოეხმაურა 34 ათასი გლეხი ნიკლასპაუზში, მაგრამ ვიურცბურგის ეპისკოპოსმა ეს აჯანყება ჩააქრო, ბეპაიმი კი კოცონზე დაწვეს. ასევე მარცხით დასრულდა გლეხთა საიდუმლო საზოგადოების — „ქალამნის კავშირის" გამოსელა 1493 წელს ელზასში, 1502 წელს — ბადენში, 1513 და 1517 წლებში — შვარცვალდში; „კავშირის" წევრები — გლეხები და პლებეები, რომელთაც იოს ფრიცი მეთაურობდა, ფეოდალური ვალდებულებების მოსპობას, ეკლესიის მიწების სეკულარიზაციას და გერმანიის გაერთიანებას მოითხოვდნენ. გამარჯვება არც ვიურტენბერგში 1514 წელს აღმოცენებული გლეხთა საიდუმლო კავშირის „საბრალო კონრადის" საქმიანობას ეწერა. მიუხედავად მარცხისა, ამ მოძრაობების და შეთქმულებების მოქმედება იმის მანიშნებელი იყო, რომ ქვეყანაში უფრო დიდი აფეთქება მზადდებოდა.

§ 3. რელიგიური წანამძღვრები

გლეხთა მდგომარეობის გაუარესება და სხვა სახის დაძაბული სიტუაცია გერმანიაში, რაც ასე დამახასიათებელია XV საუკუნის დასასრულისა და XVI საუკუნის დასაწყისისთვის, მჭიდროდ იყო დაკავშირებული კათოლიკური ეკლესიის საქმიანობასთანაც. საქმე ის არის, რომ განსხვავებით საფრანგეთისა და ინგლისისაგან, სადაც ქვეყნის ცენტრალიზაციას ეკლესიის გავლენის შეზღუდვაც მოჰყვა, პოლიტიკურად დაქუცმაცებულ გერმანიაში სასულიერო არისტოკრატიის წარმომადგენლები თავს ლაღად გრძნობდნენ, მათ ხელში იყო ქვეყნის მესამედი

ნაწილი, სადაც, ივიწყებდნენ რა ქრისტეს მოძღვრებას ღვთის წინაშე ყველა ადამიანის თანასწორობის შესახებ, ისინი უმოწყალოდ ყვლეფდნენ მრავალრიცხოვან ყმასა და მებეგრეს. ტლანქ ძალმომრეობასთან ერთად, სასულიერო ფეოდალები იყენებდნენ სარწმუნოების ყველა მზაკვრობას, ტანჯვა-წამების მუქარასთან ერთად შეჩვენებისა და ცოდვათა განტევებაზე უარის თქმის მუქარას, სააღსარებოს ყველა ინტრიგას, რათა ქვეშევრდომთათვის უკანასკნელი გროში წაეგლიჯათ ან ეკლესიის სამკვდრო გაედიდებინათ. ამ პატივსაცემი ადამიანების ხელში საბუთების გაყალბება გამორჩენის ჩვეულებრივ და საყვარელ საშუალებად იქცა. ისინი ჩვეულებრივი ფეოდალური შემოსავლის გარდა სამეათედოსაც ღებულობდნენ. რათა ხალხისთვის მეტი სახსრები აერთმიათ, კარგა ხანს დიდი წარმატებით მიმართავდნენ სასწაულმოქმედი ხატებისა და ნაწილების ფაბრიკაციას, სულის საცხონებელ სალოცავებში მოგზაურობის ორგანიზაციას, ინდულგენციებით გაყიდვას.

სასულიერო პირების — ეპისკოპოსებისა და აბატების სოციალური ინტერესები თანხვდებოდა საერო ფეოდალთა ინტერესებს და, ბუნებრივია, მათ ხელში კათოლიკური ეკლესია წარმატებით ასრულებდა ფეოდალების იდეოლოგიის ფუნქციას, რამდენადაც ამით თვითონაც იყო დაინტერესებული. მათ ხელში ეკლესიის დოგმები და ბიბლიის ტექსტები პოლიტიკური ბატონობის იარაღსაც წარმოადგენდა, ამ ტექსტებს ყოველ სასამართლოში კანონის ძალაც ენიჭებოდა.

კათოლიკური ეკლესიის მესვეურებს გაბატონებული მდგომარეობა ეკავათ განათლებისა და კულტურის სფეროშიც. მართალია, წიგნის ბეჭდვისა და გაფართოებული ვაჭრობის მოთხოვნილებათა წყალობით სამღვდელოებას წაერთვა წერა—კითხვისა და უმაღლესი განათლების მონოპოლია; ჰუმანიზმის განვითარებამ კი XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში სულიერი ცხოვრების აღმავლობა გამოიწვია, უნივერსიტეტების ერთმა ნაწილმა (მაგალითად, ერფურტის უნივერსიტეტმა) ფართოდ გაუღო კარი ჰუმანიტარულ დიციპლინებს.

მიუხედავად ამისა, სკოლებსა და უნივერსიტეტებში მეტწილად საეკლესიო დოგმები და სქოლასტიკა ბატონობდა. ხუცების ხელში პოლიტიკა და იურისპრუდენცია, ისევე როგორც ყველა დანარჩენი მეცნიერება, ღვთისმეტყველების უბრალო დარგებად იქცა და იმავე პრინციპებს დაექვემდებარა, რომლებიც ამ უკანასკნელში ბატონობდა. ხუცების წყალობით ძველი სკოლის ყველა დისციპლინა – არა მარტო „შვიდი თავისუფალი ხელოვნება", არა მარტო ღვთისმეტყველება და ფილოსოფია, არამედ ბუნებისმეტყველებაც, მედიცინაც, ერთი სიტყვით, მთელი ცოდნა, რომელიც სქოლასტიკაში ერთიანდებოდა, ემსახურებოდა არაამქვეყნიურ ცხოვრებას და ეს გასაგებიცაა, რადგან მაშინდელი სკოლა ადამიანს ამზადებდა არა ცხოვრებისათვის, არამედ მონასტრისათვის. ამდენად, სამღვდელოება გერმანიაში საზოგადოებრივი აზროვნების წინსვლასაც ამუხრუჭებდა. ყველაფერი ეს მოწინავე ადამიანების, ბიურგერების, უბრალო ადამიანებისა და ღარიბი მღვდლების უკმაყოფილებას იწვევდა, მზადდებოდა ნიადაგი რეფორმაციული მოძრაობისათვის.

რა თქმა უნდა, გერმანელ სასულიერო პირთა თვითნებობას ასეთი გაქანება არ ექნებოდა, რომ არა რომის პაპების მხარდაჭერა, თუმცა არც მათი მდგომარეობა იყო სახარბიელო, საფუძველი ეცლებოდა მათ ავტორიტეტს უპირველესად იმის გამო, რომ ყველაფერს კადრულობდნენ პაპის ტახტის მოსაპოვებლად ან შესანარჩუნებლად. ასე იყო 1292-1294 წლებში, როცა კარდინალებს შორის წარიმართა ბრძოლა პაპის ტახტისთვის. წარმატება, მართალია, თავდაპირველად წილად ხვდა ბერ პიეტროს (წარმოშობით გლეხს), რომელიც 1294 წლის 5 ივლისს პაპად აკურთხეს ცელესტინ V-ის სახელწოდებით, მაგრამ, ეს იყო უნიჭო პიროვნება, რომლის წინააღმდეგაც სულ მალე ინტრიგების ხლართვა იწყეს. განსაკუთრებით გამოირჩეოდა კარდინალი ბენედიტო გაეტანი, რომელსაც პატივმოყვარეობის ჭია არ ასვენებდა. მან ასეთ ხრიკს მიმართა: ჯვარცმის ზემოთ ხვრელი გაიყვანა და როცა გულუბრყვილო პაპი ცელესტინ V

ნაშუაღამევის ლოცვას აღავლენდა, ზემოდან მოესმა ხმა: პაპის ტახტზე უარი თქვი, იგი მეტისმეტად მძიმეა შენთვისო. პაპს ეს ზეციდან მონაწვდენი ხმა ეგონა, გაბრიყვდა და მეორე დღეს უარი თქვა ტახტზე, რომელიც დაუყოვნებლივ დაიკავა კარდინალმა გაეტანიმ ბონიფაციუს VIII-ის სახელწოდებით. ეს მოხდა 1294 წლის 12 დეკემბერს. ახალი პაპი უფრო საერო მბრძანებელს მოგვაგონებდა, ვიდრე სასულიერო პირს. მან არა მარტო ფეოდალთა დამორჩილება შეძლო, არამედ რომში ტირანიის მსგავსი მმართველობა დააწესა. მისდევდა რა გრიგოლ VII-ის თეოკრატიულ იდეებს, მას სამეფო და საიმპერატორო ხელისუფალთა დაქვემდებარებისკენაც ეჭირა თვალი, და ამას იმით ამართლებდა, რომ მისი აზრით, ქრისტემ ეკლესიას გადაცსა ორი მახვილი – სასულიერო და საერო ხელისუფლებანი. ორივე ხელისუფლება დამტკიცებულია ეკლესიის მიერ. სასულიერო ხელისუფლება ეკუთვნის პაპებს, საერო – მეფეებს. სასულიერო ხელისუფლება უფრო მაღლა დგას, ვიდრე საერო და, მაშასადამე, საერო ხელისუფლება უნდა ემორჩილებოდეს სასულიეროს. მასვე ეკუთვნის ეს სიტყვებიც: „პაპი, როგორც ქრისტეს მოადგილე და წარმომადგენელი ღმერთისა, არა მარტო მაღლა დგას, არამედ ის, საერთოდ პირველი კაცია ამ ქვეყნად.“ ასეთი სურვილი ამოძრავებდა მას, როცა დაუპირისპირდა საფრანგეთის მეფე ფილიპე IV ლამაზს, მაგრამ ამ სურვილს შეეწირა იგი: 1303 წელს ფილიპე ლამაზის მიგზავნილმა გიიომ ნოგარემ და მისმა კაცებმა პაპს შეურაცხყოფა მიაყენეს (სილა გააწნეს), რაც ვერ აიტანა და გარდაიცვალა. შემთხვევითი არ იყო, რომ ბონიფაციუს VIII-ემ თანამედროვეთაგან ასეთი შეფასება დაიმსახურა: „ტახტზე ავიდა როგორც მელია,მართავდა როგორც ლომი და მოკვდა როგორც ძაღლი“. შემთხვევითი არც ის იყო, რომ ამ ცბიერ და ტირან პაპს, დანტემ თავის „ღვთაებრივ კომედიაში“ სიცოცხლეშივე მოუმზადა ადგილი ჯოჯოხეთის მერვე წრის ჯურღმულში, სადაც ხარბები და ტირანები იტანჯებოდნენ. ცხადია, ამდაგვარი პაპები ჩირქს ცხებდნენ

პაპობის ინსტიტუტს და მორწმუნეებს, მათ შორის გერმანელებს, პაპის წინააღმდეგ განაწყობდა.

პაპებს ავტორიტეტი შეულახა აგრეთვე „ავინიონის ტყვეობამ", პაპების რეზიდენციის გადატანამ რომიდან ავინიონში, რომელიც 70 წელი (1309-1378) გაგრძელდა. საქმე ის არის, რომ ამ ხნის მანძილზე პაპებად ფრანგები ინიშნებოდნენ, რომლებიც საერთო ინტერესებზე მაღლა თავისი ქვეყნის ინტერესებს აყენებდნენ, — ინგლისში აკრეფილ საეკლესიო გადასახადს ასწლიან ომში ჩაბმულ თავისი ქვეყნის მმართველებს აძლევდნენ და ამგვარად ინგლისში აკრეფილი თანხა ისევ ინგლისის წინააღმდეგ ომს ხმარდებოდა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ინგლისში და 1366 წელს პარლამენტში მოუხმეს კიდეც ჯონ უიკლიფს, ოქსფორდის უნივერიტეტის თეოლოგიის პროფესორს, რომელმაც გამოხატა ხალხისა და მმართველების ნება,საჯაროდ განაცხადა: უარი ეთქვას პაპს ინგლისის ვასალურ დამოკიდებულებასა და საეკლესიო გადასახადის მიცემაზე, რამეთუ იგი უმართებულოდ მომდინარეობს ჯონ უმიწაწყლოს დროიდან. ეს დიდი დარტყმა იყო პაპებისთვის, იგი გადამდები აღმოჩნდა სხვა ქვეყნებისთვისაც.

პაპების ავტორიტეტს ასევე დიდი დარტყმა მიაყენა დიდმა საეკლესიო გათიშვამ (სქიზმამ). მართალია, 1377 წელს პაპი გრიგოლ XI რომში დაბრუნდა და ამით ბოლო მოეღო პაპების „ავინიონის ტყვეობას", მაგრამ მის გარდაცვალებისთანავე, 1378 წელს რომში ერთდროულად სამი პაპი აღმოჩნდა: გრიგოლ XII, რომელსაც აღიარებდნენ ჩრდილოეთ და შუა იტალიაში, ბენედიქტ XIII — საფრანგეთსა და ესპანეთში, ბოლონიაში და იოანე XXIII (ბალთაზარ კოსა), რომელსაც პაპად აღიარებდნენ ჩრდილოეთ იტალიაში, შვეიცარიასა და გერმანიაში. ეს გათიშვა გაგრძელდა კონსტანცის საეკლესიო კრების 1417 წლის გადაწყვეტილებამდე, როცა მარტინ V (1417-1431) ერთიან პაპად აირჩიეს.

ამის მიუხედავად, პაპებს არც მანამდე და არც კონსტანცის საეკლესიო კრების შემდეგ არ გასჩენიათ სურვილი, რომ უარი

ეთქვათ დედამიწაზე ქრისტეს მონაცვლეობის თავიანთ პრეტენზიაზე. პირიქით, ისინი სწორედ ქრისტეს სახელით სჩადიოდნენ ყოველგვარ უმსგავსოებას, სილარიბის ნაცვლად სიმდიდრესა და ნეტარებაში ცხოვრობდნენ. ფუფუნებით და სიმდიდრით პაპები საერო დიდებულებს ეჯიბრებოდნენ და ხშირ შემთხვევაში ჯობნიდნენ კიდეც. ლეო X-ემ (1513-1521) თავისი პაპობა გონებამახვილურად დაახასიათა ჯერ კიდევ კონკლავის არჩევნებზე, როდესაც განაცხადა: „მოდით, ვისიამოვნოთ პაპობით, რომელიც ღმერთმა გვიბოძა". თუ შუა საუკუნეების განთიადზე გრიგოლ I დიდი პაპობას ახასიათებდა როგორც მსახურებას, შუა საუკუნეების ბოლოს ლეო X-ის თვალში იგი გამოიყურებოდა მხოლოდ როგორც სიამოვნების საშუალება.

პაპები კვლავინდებურად იბრძოდნენ ძველი იდეის — თეოკრატიული ძალაუფლების მოპოვებისათვის, მთელ საქრისტიანოზე ბატონობისათვის. გამონაკლისი არც გერმანია იქნებოდა. პაპს აქაც ჰყავდა თავისი ხალხი, რომელსაც ზურგს უმაგრებდა. ესენი იყვნენ პაპების მიერ დანიშნული საეკლესიო პირები, რომელთაც თანამდებობები მიღებული ჰქონდათ უმთავრესად პოლიტიკური სამსახურის საფასურად და არა ნიჭიერების გამო. პაპები ყიდიდნენ თანამდებობებს და ამ გზით უზარმაზარ გასამრჯელოსაც იღებდნენ. მარტო ლეო X-ემ გერმანიაში 1200 თანამდებობა გაყიდა, ხოლო პიუს IV-ემ (1559-1565) გასაყიდ თანამდებობათა რიცხვი 3500-მდე გაზარდა. ჰყიდდა რა ამ თანამდებობებს, პაპი ყოველი პრელატისაგან იღებდა 15 ათასიდან 20 ათასამდე გულდენს. სასულიერო პირები რომში აგრეთვე იძენდნენ პალიუმს (შალის ვიწრო ლენტს, მათი სამოძღვრო ხელისუფლების სიმბოლოს), რომელიც პაპს ყოველწლიურად აძლევდა დაახლოებით 328 ათას დუკატს. ამდაგვარად მოვლენილი თანამდებობის პირები, გრძნობდნენ რა პაპის მხარდაჭერას, უმოწყალოდ ყვლეფდნენ თავიანთ ხალხს და მათგან აკრეფილი სახსრებით პაპების სიამოვნებასაც ახანგრძლივებდნენ. ამდაგვარად მოვლენილ თანამდებობის პირებს ის დანიშნულებაც

ჰქონდათ, რომ ისინი ქმნიდნენ თავისებურ მე-5-ე კოლონას ანუ — უნიჭო მარიონეტულ ხელისუფლებას, რომელთა დახმარებით ქვეყანა ადვილი საძარცვავი და სამართავი იყო. პაპები მათზე დაყრდნობით ხლართავდნენ ინტრიგების ქსელს და გერმანიის ერთ მმართველს მეორეზე ამხედრებდნენ. მათზე დაყრდნობით პაპებს ხელთ ეპყრათ გერმანელი ერი არა მხოლოდ სასულიერო-კათოლიკურ სფეროში, მათ ხელში იყო პოლიტიკური ხელისუფლებაც. „რაიხსტაგში ისხდნენ პაპის ლეგატები, სასულიერო და საერო არისტოკრატიის წარმომადგენლები, რომლებიც რაიხსტაგს ხსნიდნენ იმპერატორის გარეშეც" (გ. ფრაიტაგი). ასეთი ხალხი არა მარტო არსებულ წყობილებას იცავდა, არამედ ერის კონსოლიდაციის ყოველგვარ გამოვლინებას წინ აღუდგებოდა ხოლმე.

პაპის შემოსავლის უმეტესი ნაწილი მაინც, რომელიც გერმანიაში იკრიბებოდა, მას ეძლეოდა საყოველთაო საეკლესიო გადასახადის — მეათედის სახით. მეათედის რამდენიმე სახეობა იყო: „დიდ" მეათედს იხდიდნენ პურიდან, „მცირეს" — ბოსტნეულიდან, ხილიდან და შინაური ფრინველიდან, „სისხლის" მეათედს — პირუტყვიდან. მეათედის გადაუხდელობა მძიმე ცოდვად ითვლებოდა. ინგლისელი ისტორიკოსის მორტონის თქმით, ეკლესიის მესვეურებს უფრო მეათედის მიღება აინტერესებდათ, ვიდრე თავისი სამწყსოს სულის ხსნა. პაპის ბიუჯეტს ავსებდა აგრეთვე საიუბილეო წლების არსებობა, რომელიც ჯერ კიდევ პაპმა ბონიფაციუს VIII-ემ (1294-1303) შემოიღო. მანვე შემოიღო ინდულგენციებით (ცოდვათ მიტევების სიგელით) ვაჭრობაც, რომელიც ფართოდ გავრცელდა გერმანიაში XV საუკუნის დასასრულსა და XVI საუკუნის დასაწყისში. საინტერესო ის არის, რომ საეკლესიო თანამდებობების ყველა სპეკულაციაში და ინდულგენციებით თაღლითურ ვაჭრობაში პაპებს გვერდით ედგნენ ფუგერები, რომელნიც გერმანიაში არსებითად პაპების ფინანსური მოთავის როლს ასრულებდნენ.

ინდულგენციებით ვაჭრობას რომ ამკვიდრებდნენ, მის საჭიროებას კათოლიკე ღვთისმეტყველები ადამიანთა „ცოდვი-

ლიანობით“ ხსნიდნენ, თან იმასაც ამტკიცებდნენ, რომ ცოდვებისაგან განთავისუფლება ადამიანებს თვითონ არ ძალუძთ, „ხსნა“ მხოლოდ ღმერთს შეუძლია და ამისთვის იგი იყენებს ეკლესიას, რომელიც ფლობს „საიდუმლოს“ და რომელსაც ღმერთი მას ანდობს „წყალობის“ გამგებლობის უფლებასთან ერთად. სულის ხსნა ანუ გამართლება ადამიანებს ეძლევათ არა შინაგანი მონანიებით, არამედ საეკლესიო წესების მექანიკური შესრულებით. მათი მტკიცების თანახმად, გამართლების მიღება შეუძლიათ იმ ქრისტიანებსაც, რომლებიც არ წარმოადგენენ ღმერთის „რჩეულებს“, ე.ი. ეკლესია „უფლებამოსილია“ არა მარტო ღვთიური წყალობა გაანაწილოს, არამედ გადაანაწილოს კიდეც, გადასცეს ერთს ის, რაც მეორეს ეკუთვნის. პაპი და, საერთოდ, კათოლიკური ეკლესია, ამას ასაბუთებდა მისტიკური „ქრისტიანული სხეულის“ (Corpus christianum) ერთიანობის დოგმით, რომელსაც უმატებდნენ მეორე დოგმასაც –„საჭიროზე მეტი კეთილი საქმეების“ შესახებ. თვითონ ქრისტემ, აგრეთვე მისი მოწაფეებისა და წამებულთა მრავალრიცხოვანმა ამალამ,– ქადაგებდა ეს დოგმა,– შეასრულა მრავალი კეთილი საქმე და ამით შექმნა „ეკლესიის კეთილ საქმეთა საგანძური“, „ზედმეტი მადლის ფონდი“. საჭიროა ამ „საგანძურის“ მოხმარება და მორწმუნეთა სულების ცოდვებისაგან ხსნა (როგორც დედამიწაზე, ასევე სალხინებელშიც), მათი განთავისუფლება ჩადენილი ცოდვებისაგან, რათა ისინი ჯოჯოხეთის ნაცვლად სამოთხეში მოხვდნენ. ამ საგანძურის მოხმარების და მორწმუნეებზე მისი გაყიდვის უფლება აქვს რომის პაპს, როგორც ხილული ეკლესიის მეთაურსა და ქრისტეს ერთადერთ ჭეშმარიტ მონაცვლეს დედამიწაზე, აგრეთვე, იმ პირებს, რომელთაც „პაპი მიანდობს ამ საქმეს“. ერთი სიტყვით, ეკლესიას იმის პრეტენზია ჰქონდა, რომ მას შეეძლო გაეთავისუფლებინა ცოდვილი მასზე განკუთვნილი სასაჯელისაგან, როგორც მის სიცოცხლეში, ისე მისი გარდაცვალების შემდეგ, სალხინებელში. ასე დაიმკვიდრეს პაპებმა ცოდვათა მიტევების სიგელით ვაჭრობის უფლება.

ცოდვათა მიტევებით მოვაჭრენი, პაპის სანქციით რომ სარგებლობდნენ, მორწმუნეებს თვით მომაკვდინებელი ცოდვის[1] პატიებასა და სამოთხეში მოხვედრას პპირდებოდნენ, არწმუნებდნენ იმაშიც, რომ ჯერ არმომხდარ ცოდვათა გამოსყიდვა შეიძლებოდა. მათ თან დაჰქონდათ ჯერ კიდევ პაპ იოანე XXII-ის (1316-1334წწ.) მიერ დადგენილი სპეციალური ნიხრი (ფასი), საიდანაც ჩანს, თუ რა სახის ცოდვა, რა თანხის ინდულგენციის შეძენით გამოისყიდებოდა. მაგალითად, მღვდლის მიერ ქალიშვილის გაუპატიურება შეფასებული იყო 2 ლივრად და 8 სუდ; მღვდლის მიერ ნათესავ ქალებთან მრუშობა – 67 ლივრად და 12 სუდ; მონაზვნის ცოდვა რამდენიმე მამაკაცთან – 131 ლივრად და 15 სუდ; გაძარცვა, ქურდობა, და გადაწვა – 131 ლივრად და 7 სუდ; უბრალო მკვლელობა –15 ლივრად და 4 სუდ; ქმრის მიერ ცოლის ცემა – 3 ლივრად და 4 სუდ; ცოლის მოკვლა 17 ლივრად და 15 სუდ; ეპისკოპოსის მოკვლა 131 ლივრად და 14 სუდ; მწვალებელი, რომელიც ეკლესიას დაუბრუნდება – 269 ლივრად და ა.შ. ცხადია, პაპობის ვერავითარი მოძულე ვერ შეძლებდა უფრო დამაჯერებელი სატირის მოფიქრებას კათოლიკურ ეკლესიაზე, ვიდრე ამას პაპი აკეთებდა. ნიხრი საოცარი სიცხადით გადაგვიშლის ეკლესიის მსახურთა გარყვნილებისა და სიხარბის მთელ სიღრმეს. პეტრარკას სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როცა პაპის რომზე აღშფოთებული წერდა: „ოქრო თუ გაქვთ ამ წყეულ ქვეყანაში თქვენ შეგიძლიათ გარყვნათ საკუთარი დები, მოკლათ

---

[1]მომაკვდინებელ ცოდვად იწოდებოდა ისეთი ცოდვა, რომელსაც მოაქვს სულიერი სიკვდილი მორწმუნისა. განასხვავებენ შვიდ მომაკვდინებელ ცოდვას: ამპარტავნებას, სიძუნწეს, უბიწოების დარღვევას, შურს, ზომაგადასულობას, მრისხანებას და სიზარმაცეს. ამათგან მომდინარეობს სხვა დანარჩენი ცოდვები, უპირველესად ცოდვები წმინდა სულის წინააღმდეგ, სახელდობრ, ურწმუნოება, სულმოკლეობა, სასოწარკვეთილება და ღვთის გმობა, ასევე ოთხი აღმაშფოთებელი ცოდვა: წინასწარ განზრახული მკვლელობა, სოდომი, ჩაგვრა ღარიბებისა, ქვრივებისა და ობლებისა და უარის თქმა სამართლიან ჯილდოზე

საკუთარი მშობლები; ოქროთი სავსე ქისით აქ თქვენ შეგიძლიათ გახსნათ ცის კარი, იყიდოთ წმინდანები, ანგელოზები, ღვთისმშობელი, სულიწმინდა, იესო ქრისტე, და თვით მამა—ღმერთიც. პაპი ყველაფერს ჰყიდის ოქროზე, ყველაფერს გარდა თავისი ტიარისა".

პოეტს, დ.მიხნევიჩის თქმით, არ შეეძლო განეჭვრიტა, რომ პეტრარკას გარდაცვალების ას წელზე ცოტათი მეტი ხნის შემდეგ „პაპი ინოკენტი VIII პაპის ტიარასაც დააგირაევებდა ასი ათას დუკატად".

ამგვარად, კათოლიკურმა ეკლესიამ სამოთხესა და ჯოჯოხეთში შესვლის საკითხი არა მარტო ვაჭრობის საგნად აქცია, არამედ ცოდვის აქვე გამოსყიდვის დაწესებით დიდად შეუწყო ხელი საზოგადოების ზნეობრივ დეგრადაციას და ყოველგვარ ბოროტმოქმედებას – მკვლელობას, ქურდობას, გაუპატიურებას და სხვა უხამს საქციელს.

აღვირახსნილობის მაგალითს თვითონ პაპები იძლეოდნენ, ცდილობდნენ რა, რომ საკუთარი ოჯახი დაეყენებინათ წინ, პაპები და კარდინალები ეკლესიასა და სახელმწიფოს ხარჯზე იშენებდნენ მდიდრულ სასახლეებს და ეწეოდნენ თავაშვებულ ცხოვრებას, მათთვის უცხო არ იყო ფუფუნება და არც თავხედური ნეპოტიზმი[1], ისინი თავიანთ ძმიშვილებს, ჯერ კიდევ ბავშვებს, ნიშნავდნენ კარდინალებად. მაგალითად, სიქსტ IV-მ კარდინალად დანიშნა თავისი ექვსი ახლო ნათესავი, მათ შორის პიეტრო რიარიო, ფრანცისკელი, ღორმუცელა და გარყვნილი პიროვნება, რომელიც სწორედ ღორმუცელობის გამო 28 წლის ასაკში გარდაიცვალა. არც ალექსანდრე VI ბორჯია (1462-1503), წარმოშობით ესპანელი, გამოირჩეოდა სანიმუშო ქცევით, იგი 23 წლის იყო, როცა კარდინალის თანამდებობა უბოძეს, მას ცხრა შვილი ჰყავდა სხვადასხვა ქალისაგან, აქედან 2 შვილი პონტიფიკატობის დროს ეყოლა, თანაც ყველა შვილს მფარველობდა და ეხმარებოდა, ყველა მათგანი კანონიერად

[1] რომის პაპების მიერ შემოსაელიან ან გავლენიან თანამდებობათა დარიგება თავიანთი ნათესავებისათვის.

გამოაცხადებინა. ასევე აღვირახსნილობით გამოირჩეოდა მისი უფროსი შვილი ცეზარე ბორჯია, ხოლო ალექსანდრე ბორჯიას მემკვიდრე პაპი იულიუს II (1503-1513) დაშნას უკეთესად ფლობდა, ვიდრე საღვთისმეტყველო წიგნებს. რელიგიურ საქმეებზე უფრო მეტად მას სამხედრო პოლიტიკა იტაცებდა. ბოლონიის საეკლესიო სახელმწიფოსთან შეერთებამ კიდევ უფრო დიდი სურვილი აღუძრა — მთელი იტალია თავისი ძალაუფლების ქვეშ მოექცია. ის სხვადასხვა სამხედრო დაჯგუფებებში იღებდა მონაწილეობას. თანხას კი, ომების საწარმოებლად საეკლესიო შემოსავლიდან და თანამდებობების გაყიდვიდან იღებდა. 1513 წლიდან მას ლეო X (1513-1521) ცვლის, რომლის საერო სახელი ჯოვანი მედიჩი გახლავთ. მას უკვე 8 წლისას შემოსავლიანი იტალიური სააბატო ჩააბარეს, 14 წლისა კარდინალად დანიშნეს. მისი პაპად კურთხევის ცერემონიალი სამხედრო პარადს უფრო მოგაგონებდათ.

აშკარაა, ეკლესიის ამგვარი მესვეურები, რომელთა მხარდაჭერითაც სარგებლობდნენ გერმანიის სასულიერო პირები, კარგავდნენ მრევლის სულიერი მწყემსის სტატუსს, ღატაკდებოდნენ და მათი ფუნქცია მატერიალური სიმდიდრის დაგროვებითა და სხვა ქვეყნების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ხელის ფათურითღა შემოიფარგლებოდა. ამიტომაც ჩნდება მრავალი მიმდინარეობანი, სამწუხაროდ, ოფიციალური ქრისტიანული ეკლესიის მიერ ერესებად წოდებულნი, რომლის წარმომადგენელნიც ვერ ურიგდებოდნენ შექმნილ სინამდვილეს. თუ ადრე ადამიანი დაუფიქრებლად ემორჩილებოდა ეკლესიის დოგმებს, ეხლა ისინი გამოთქვამდნენ აზრს, რომ შესაძლებელია ის, რასაც ეკლესია ასწავლის, სულაც არ იყოს ჭეშმარიტი. აზროვნების ასეთ გაბედულებას და გაფართოებას, შტეფან ცვაიგის აზრით, დროისა და სივრცის გაფართოებამაც შეუწყო ხელი. ადამიანი მიხვდა, თუ მხოლოდ ევროპით არ მთავრდება ქვეყანა, როგორც ადრე ეგონათ, თუ კოპერნიკი მართალია, ხომ შეიძლება ეკლესია ცდებოდეს, ხომ შეიძლება მომავალში გაირკვეს სიმართლე. ასე მზადდებოდა რეფორმაცია.

თავი II

რეფორმაციული მოძრაობის იდეური წანამძღვრები

§1. რეფორმაციამდელი ცალკეული გამონათქვამები და პამფლეტები

რომაულ-კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა თავაშვებულობამ, რომელზედაც უკვე ვისაუბრეთ, გერმანელი ერი დაკნინებისა და გადაგვარების საფრთხის წინაშე დააყენა. ბუნებრივია, ამან საყოველთაო სიძულვილი და უკმაყოფილება გამოიწვია, გამოჩდნენ ცალკეული ადამიანები, რომლებიც ვერ ეგუებოდნენ ქვეყნის ძარცვას და ეროვნული გრძნობის შეურაცხყოფას, წარმოთქვამდნენ გაბედულ აზრებს. ჯერ კიდევ XV საუკუნეში ხშირად გაიგონებით ისეთ გამოთქმებს, რომლებშიც უიკლიფისა და ჰუსის იდეების გამოძახილი ჩანდა. — „აი, ეპისკოპოსთა საქმენი: ცხენზე ჯირითი, საყოველთაო პატივისცემის მოპოვება, ჯიბის გასქელება, მსუქანი ქათმების მირთმევა და ქუჩის ქალებზე აკიდება“ ან კიდევ „მხოლოდ ჩვენ საბრალო გერმანელებს, გვგონია, რომ პაპი მიწიერი ღმერთია. უკეთესი იქნებოდა თუ მას ჩავთვლიდით მიწიერ სატანად, რასაც სინამდვილეში იგი წარმოადგენს“. პაპებისა და საეკლესიო წეს-ჩვეულებების კრიტიკას შეიცავს იოჰან ვეზელის წიგნებიც, რომლებმაც უდიდესი გავლენა მოახდინეს ლუთერზე. ვეზელი მოურიდებლად წერდა: „მეზიზღება პაპი, ეკლესია და ტაძრები და ვადიდებ ქრისტეს“, პაპი „ძოწეულით მორთული მაიმუნია“. ვეზელი მორწმუნეებს იმ აზრს ჩააგონებდა, რომ ღმერთის წინაშე ადამიანებს ამართლებს არა გარეგნული საქმეები, არამედ მხოლოდ რწმენა, რომ რწმენის ერთადერთი წყაროა საღმრთო წერილი. როგორც ვხედავთ, ვეზელი ინდულგენციებით ვაჭრობისა და ფეოდალურ-კათოლიკური საეკლესიო ჩაგვრის წინააღმდეგაც გამოდიოდა.

XV საუკუნის გერმანიაში ბიურგერული ხასიათის ანონიმური პამფლეტებიც ვრცელდებოდა. მაგალითად, „იმპერატორ სიგიზმუნდის რეფორმაცია“, „იმპერატორ ფრიდრიხ III-ის რეფორმაცია“ და ა.შ., რომლებშიც დასმულია გერმანიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი დაწესებულებების ცენტრალიზაციის მოთხოვნა, სადაც დიდი როლი მიეკუთვნებოდა ქალაქებს, დაგმობილია მთავრების სუვერენიტეტი, სამღვდელოების სიხარბე, დასმულია ბატონყმობის გაუქმებისა და ფეოდალურ ვალდებულებათა მოსპობის, ეკლესიის როლის შეზღუდვის, მისი შემოსავლის შემცირების მოთხოვნები.

კრიტიკის შემცველია ხალხური წიგნი „ტილ ოილენშპიგელის თავგადასავალიც“, რომელიც პირველად 1483 წელს დაიბეჭდა. აქ მთავარ მოქმედ პირად გამოყვანილია ხუმარა გლეხი ტილ ოილენშპიგელი, რომელიც დაუფარავად ამხელს დესპოტ ფეოდალებს, სამღვდელოების გაუმაძღრობას და ყოველგვარ მანკიერებას, რაც ასე დამახასიათებელი იყო მაშინდელი საზოგადოებისთვის. ერთ-ერთი შვანკი იმაზეც მოგვითხრობს, თუ როგორ გაუმართავთ ფეოდალებს ომი ტახტის ხელში ჩასაგდებად. ოილენშპიგელიც იქით მიემართება. გზაში ტრირის ეპისკოპოსი შემოხვდა, რომელმაც ვინაობა გამოჰკითხა. — სათვალეების ოსტატი ვარ, მაგრამ სამუშაოს ვერ ვშოულობო, — გააცნო თავი ოილენშპიგელმა. ეპისკოპოსის შეკითხვაზე — რატომ არ იშოვება სამუშაო შენი ხელობის კაცისთვისო, ოილენშპიგელი პასუხობს: „ახლანდელ დროში დიდებულები —პაპი, კარდინალები, ეპისკოპოსები, ხელმწიფეები, მთავრები, საბჭოს მესვეურნი, მთავრობის მოხელენი, მოსამართლეები. ზერელედ უყურებთ თქვენს მოვალეობას, სიმართლეზე თვალს ხუჭავთ და მხოლოდ ჯიბის გასქელებაზე ფიქრობთ, ამან გამოიწვია სწორედ მექრთამეების მომრავლება. ძველ დროში კი დიდებულები სამართლის წიგნებს კითხულობენ და ღრმად სწავლობდნენ, რომ ვინმეს უსამართლოდ არ მოპყრობოდნენ. ამიტომ მაშინ სათვალე ბევრი იყო საჭირო და ჩვენი ხელობის კაცს სამუშაო თავზე საყრელად ჰქონდა. იმ დროს მღვდლებიც

გაცილებით მეტს კითხულობდნენ და სწავლობდნენ, ახლანდელები კი მაინცდამაინც თავს არ იწუხებენ და, რაღა თქმა უნდა, სათვალეც არ სჭირდებათ. ორიოდე წიგნი შეუძენიათ, ისინი უკვე ზეპირად იციან, თვეში ერთხელ თუ ჩაიხედავენ შიგ. აი, ამან გააფუჭა-ო ჩვენი საქმე".

„ტილ ოილენშპიგელის თავგადასავალში" გაკიცხული და გამასხარავებულია კულტის მსახურთა ფარისევლობა და მსუნაგობაც, ფეოდალური არისტოკრატიის უვიცობა და გვაროვნული წარმოშობით მედიდურობა, ვაჭრებისა და სასტუმროს პატრონების სიძუნწე და ბაქიაობა, სქოლასტიკური მეცნიერების უმწეობა, უვიცი და ამპარტავანი ექიმები და ქარაფშუტა ქალები. და ეს ხდება ჭკვიანი და მოხერხებული გლეხის ბიჭის — ტილ ოილენშპიგელის მეშვეობით. ოილენშპიგელი ხალხის საყვარელ გმირად იქცა, ხალხმა მას მიანდო თავისი სათქმელი და მისი პირით გამოხატა უკმაყოფილება არსებული სინამდვილისადმი, სიძულვილი მჩაგვრელებისადმი.

§ 2. ჰუმანიზმი გერმანიაში და მისი ადრეული წარმომადგენლები

ჰუმანიზმი გერმანიაში ჯერ კიდევ XV საუკუნის 30-იანი წლებიდან იღებს სათავეს, ფართო გასაქანი კი 70-იანი წლებიდან მიეცა. მის განვითარებას 1445 წლიდან დიდად შეუწყო ხელი წიგნის ბეჭდვის გამოგონებამ. ამ დროიდან უკვე ძვირად ღირებული ხელნაწერების ადგილას იაფფასიანი და მოხერხებული წიგნები იკავებენ, ხდება ბიბლიის მასიური გამოცემა, შემზადება ნიადაგისა, რომ იგი ითარგმნოს გერმანულ ენაზე.

ჰუმანიზმი გერმანიაში ალპებიდან, იტალიიდან შემოიჭრა, თუმცა იტალიურ და გერმანულ ჰუმანიზმს, მსგავსებასთან ერთად, მნიშვნელოვანი თვისებურებანიც ახლავს. კერძოდ იტალიაში ეს გონებრივი მოძრაობა შეწყვიტა უცხოელების შემოსევამ და საეკლესიო რეაქციამ, გერმანიაში კი მან რეფორმაციას დაუთმო ადგილი. იტალიელი ჰუმანისტები მოღვაწეობდნენ მთავრების

სასახლეებში და ქმნიდნენ ერთიან იტალიურ სალიტერატურო ენას და ოცნებობდნენ ქვეყნის გაერთიანებაზე. რაც შეეხება გერმანელ ჰუმანისტებს, ისინი მეტწილად უნივერსიტეტებში მოღვაწეობდნენ და საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები იყვნენ. იტალიელებისგან განსხვავებით ისინი წერდნენ ლათინურ ენაზე. ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენდა, მხოლოდ ულრიხ ფონ ჰუტენი, რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელ წლებში დაიწყო გერმანულად წერა. მათი კვლევისა და შესწავლის საგანს მეტწილად რელიგიის, ფილოსოფიის, მორალის და პოლიტიკის საკითხები შეადგენდა.

გერმანული ჰუმანიზმის ადრეული წარმომადგენლებია: რუდოლფ აგრიკოლა (1444-1485), იაკობ ვიმპფელინგი (1450-1528), კონრად ცელტისი (1459-1508, რომლებმაც მნიშვნელოვნად შეარყიეს კათოლიკური ეკლესიის ავტორიტეტი. ისინი დაუფარავად ესხმოდნენ თავს რომის კათოლიკური სამღვდელოების ანგარებასა და უმეცრებას, ეწეოდნენ მეცნიერული ცოდნის და მაღალი ზნეობის პროპაგანდას; ხოტბას ასხამდნენ წიგნების ბეჭდვის გამოგონებას, გმობდნენ ფეოდალურ შინაომებს, ოცნებობდნენ გერმანიის გაერთიანებაზე იმპერატორის მეთაურობით.

ჰუმანიზმის ნამდვილი აყვავება გერმანიაში იწყება XV საუკუნის 90-იანი წლებიდან. ეს აყვავება უპირველესად დაკავშირებულია სებასტიან ბრანტისა და ჰაინრიხ ბებელის სახელთან.

სებასტიან ბრანტი (1456-1521) იყო ცნობილი იურისტი და ლიტერატორი, რომელიც ლიტერატურის ისტორიაში შევიდა, როგორც პოეტი-სატირიკოსი. მან სარკასტულად წარმოაჩინა ტიპები და უზნეობა, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო მისი დროისთვის. „სულელთა ხომალდი" (Das Narrenschiff), რომელიც დიდაქტიკური ჟანრის ნაწარმოებია, ბრანტიმ ჟენევაში 1494 წელს გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა, სადაც დაგმობილია „ადამიანური სისულელის" ნაირგვარი გამოვლენა: ეგოიზმი, ანგარება, ლოთობა, გაიძვერობა, მრუშობა და ა.შ. ავტორი

მოგვითხრობს სულელების ბრბოზე, სადაც საზოგადოების ყველა ფენა იყრიდა თავს. განსაკუთრებით აკრიტიკებს რომის პაპების უვიცობას, მღვდლების უზნეობას, რომლებიც ფულის მოხვეჭის მიზნით არ ერიდებოდნენ არანაირ დანაშაულს. ავტორს აწუხებს უბრალო ადამიანების ბედიც, ის, რომ მათ უმოწყალოდ ექცევიან. ბრანტი ილაშქრებს რაინდებისა და მოხელეების წინააღმდეგაც, რომელთაგან პირველნი ადამიანს აშკარად ძარცვავენ, ხოლო მეორენი — ფარულად. ბრანტი გერმანიის გაერთიანების მომხრეა, იგი ილაშქრებს მთავრების ეგოიზმისა და მართლმსაჯულებაში დაბუდებული მანკიერების წინააღმდეგ. იგი გრძნობდა, რომ გერმანიაში მალე იფეთქებდა აჯანყება, წინასწარმეტყველებდა, რომ აჯანყებას გერმანელი ხალხისთვის მოჰყვებოდა დიდი უბედურება, რამეთუ, როგორც იგი წერდა: „იქნება დიდი ქარიშხალი და ბევრი მწუხარება“.

ბრანტის თანამედროვეა ჰაინრიხ ბებელი (1472-1518), წარმოშობით შვაბიელი გლეხის შვილი, რომელსაც ეკუთვნის პოემა „ვენერის ტრიუმფი“. აქ მოთხრობილია სიყვარულის ღმერთზე, თავისი არმიის პარადს რომ ღღებს. ნიშანდობლივია, რომ პარადს წინ მიუძღვის უმაღლესი სამღვდელოება პაპის მეთაურობით. ისინი ადგილს იკავებენ ვენერასთან ახლოს და იქ არ უშვებენ სხვას, გარდა საერო მმართველებისა. ერთი სიტყვით, ბებელი გმობს სამღვდელოებაში დაბუდებულ უზნეობას, მათ ლტოლვას ყოველგვარი ბიწიერებისადმი. ბებელი დაუფარავად ამბობს, რომ პაპებს ამქვეყნიური სიამოვნებანი უფრო იტაცებს, ვიდრე ზრუნვა იმქვეყნიურ ცხოვრებაზე. ბებელისათვის მიუღებელია მთავრების სეპარატიზმი და გერმანიის ერთიანობის მოთხოვნით გამოდის.

გერმანიაში დიდი პოპულარობით სარგებლობდა სატირული პოემა „რაინიკე მელია“ (1498 წ.), რომლის ავტორი უცნობია, თუმცა ერთი რამ ცხადია: პოემას უდავოდ დაჰკრავს ჰუმანისტური ელფერი. პოემის მოქმედ პირებად გამოყვანილია მხეცები და მათ ქვეშ იგულისხმებიან მაშინდელი გერმანიის ხელისუფალნი; ლომის ქვეშ ნაგულისხმევია გერმანიის იმპერატორი,

დათვებისა და მგლების ქვეშ – მთავრები და რაინდები. რაინიკე მელია, რომელიც ადრე ცნობილი იყო ძარცვა-რბევითა და მკვლელობებით, მეფის (ლომის) უახლოესი მრჩეველი გამხდარა. სწორედ მისი რჩევითაა, რომ მეფე ყურად არ იღებს ქვეყანაში დატრიალებულ თვითნებობასა და უბედურებას, იმას, რომ მთავრები, რაინდები და აგრეთვე, სამღვდელოებაც უმოწყალოდ ძარცვავენ ხალხს, ყველგან სიხარბეს და გარყვნილებას დაუსადგურებია, და ეს იმ დროს, როცა სიმართლის თქმა არავის არ შეუძლია. ისინი პატარა ქურდებს ახრჩობენ, დიდებს კი მიწებსა და ციხე-სიმაგრეებს უტოვებენ სამართავად, პატივით ეპყრობიან მათ. ეს პოემა როგორც ვთქვით, იმხანად დიდი მოწონებით სარგებლობდა გერმანიაში. მოგვიანებით სწორედ ეს პოემა დაედო საფუძვლად გოეთეს ამავე სახელწოდების ნაწარმოებს.

§3. ერაზმ როტერდამელი და მისი როლი რეფორმაციის შემზადებაში

ერაზმ როტერდამელს, რომელმაც სიცოცხლეშივე მოიხვეჭა დამსახურებული ავტორიტეტი და აღიარება, როიხლინთან ერთად თანამედროვენი „გერმანიის ორ თვალს“ უწოდებდნენ, მას „ევროპის ორაკულადაც“ მოიხსენიებდნენ. ესპანეთში ასეთი მოარული გამოთქმაც კი იყო: „ვინც ერაზმზე ცუდს იტყვის, იგი ბერი უნდა იყოს, ან ვირიო“. გერმანელი მეცნიერი ვ. დილტეი ერაზმს „XVI საუკუნის ვოლტერად“ მოიხსენიებს და მართალიცაა, რამეთუ იგი იყო მრავალმხრივ განვითარებული და განათლებული ადამიანი, რომელიც დიდ გავლენას ახდენდა თანამედროვეებზე.

ერაზმი წარმოშობით ჰოლანდიელია, მაგრამ თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი მან გერმანიაში გაატარა, ამ ქვეყნის კულტურული წინსვლაში შეიტანა დიდი წვლილი, აქ მოიპოვა სახელი და დიდება, ამიტომაც ვამბობთ, რომ იგი გერმანელი ჰუმანისტია.

ერაზმი 1466 წლის 29 ოქტომბერს ქალაქ როტერდამში დაიბადა. ამ დროისათვის პოლანდიელებში ჯერ კიდევ არ იყო გვარები, ამიტომაც პიროვნება ან მამის სახელით მოიხსენიებოდა, ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც დაიბადა. ასე გაჩნდა როტერდამელის ფსევდონიმიც. რაც შეეხება სახელს, ერაზმი ლათინურად სანატრელს, სასურველს ნიშნავს, თუმცა ის უკანონო შვილია გერარდისა, რომელიც ბიურგერთა წრიდან იყო გამოსული. ასევე ბიურგერული წრიდანაა გამოსული დედამისი, მარგარიტა, რომელიც გერარდს შეუყვარდა, მაგრამ მშობლებმა ვაჟს მარგარიტასთან ქორწინების ნება არ მისცეს და ისიც იტალიაში გაიქცა. მოგვიანებით, როცა მარგარიტამ ქვეყანას მოუვლინა ვაჟი (მომავალი ერაზმი), მშობლებმა გერარდს უკან დაბრუნება ურჩიეს, შეუთვალეს, რომ მარგარიტა მშობიარობას გადაყვაო. მოტყუებული გერარდი მელანქოლიაში ჩავარდა და ერთ-ერთი სასულიერო ორდენის ბერად აღიკვეცა. ბერის სამოსი მას აღარც გაუხდია.

ერაზმს, მომავალ დიდ მოაზროვნეს, უკანონო შვილის სახელმა, ბავშვობიდანვე თან რომ დაჰყვა, მნიშვნელოვანი ზნეობრივი და მატერიალური დაღი დაასვა, დააბრკოლა მისი კარიერა, განსაკუთრებით სასულიერო. ალბათ, თავისი უკანონო წარმომავლობის გამო ჩამოუყალიბდა მას ისეთი თვისებები, როგორიცაა სიმორცხვე, მერყეობა და მუდმივი უკმაყოფილება საკუთარი თავისადმი.

ერაზმი, რომელიც ფლობდა ფენომენალურ მეხსიერებას, სულ პატარაობიდანვე ავლენს სწავლისადმი ინტერესს, იგი ოთხი წლისა იყო, როცა გაგზავნეს გაუდის სკოლაში, რომლის გამგეც ბიძამისი პეტრე ვინკელი იყო, ბიძა მფარველობდა მას. ერაზმს შესანიშნავი ხმაც აღმოაჩნდა და მონაწილეობდა გალობაში უტრეხტის კათედრალურ ეკლესიაში ღვთისმსახურების დროს. შემდეგ იგი სწავლობს დევენტერის სასწავლებელში, სადაც ძველ კლასიკურ სამყაროს და იტალიურ ჰუმანიზმს აზიარეს ჰეგიუსმა და აგრიკოლამ. აქვე შეისწავლა მან ლათინური და ბერძნული ენები.

ნაყოფიერი აღმოჩნდა ერიზმისათვის სტეინის მონასტერში მოხვედრა, სადაც მისი მეგობარი კორნელი ვერდენიუსი მსახურობდა. აქ ის მეგობრის რჩევით ბერად აღიკვეცა, რითაც შესაძლებლობა მიეცა გაცნობოდა მონასტრის მდიდარ ბიბლიოთეკას. მონასტერში მან ხუთი წელი დაჰყო და წაუკითხავი არ დარჩენია არცერთი წიგნი. 1492 წლიდან კი ერაზმს ჯერ პარიზის ერთ-ერთ კოლეჯში ვხედავთ, ხოლო ცოტა მოგვიანებით პარიზის უნივერსიტეტის სტუდენტიც ხდება, სწავლობს ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე. მატერიალურად შეჭირვებულ სტუდენტს თავი ძლივს გაჰქონდა არა იმდენად სტიპენდიით, რამდენადაც კერძო რეპეტიტორობით, მოწაფეთა სახელმძღვანელოების შექმნითა და ლექსების ბეჭდვით. იგი თვითონვე ქმნიდა სახელმძღვანელოების მასალებს, რომლითაც ამეცადინებდა ბავშვებს. სწორედ ეს მასალები დაედო საფუძვლად მის მიერ მოგვიანებით გამოცემულ წიგნს – „საუბრები შინაურულად". პარიზში მან 1499 წლის გაზაფხულამდე დაჰყო. იმავე წლის მაისში მას უკვე ლონდონში ვხედავთ, აქ იგი დაუმეგობრდა ინგლისური ჰუმანიზმის ისეთ წარმომადგენლებს, როგორებიც იყვნენ ტომას მორი და ჯონ კოლეტი. მორს ერაზმი ბერძნულ ენასაც კი ასწავლიდა.

1500 წლიდან იწყება მისი ხანგრძლივი მოგზაურობანი. 1501 წელს ის კვლავ პარიზშია, თუმცა მალე შავ ჭირს გამოექცა და ლუვენში გაემგზავრა. 1502-1503 წლებში ერაზმს ისევ ლონდონში ვხედავთ. მომდევნო ორი წელი მან გაატარა ხან ბაზელში, ხან ლონდონში, ხან ბრიუსელში, ანტვერპენში, ბრიუგეში, გენტსა და მაინცში. 1505 წელს იგი იტალიაში მიემგზავრება, ცხოვრობს ვენეციაში, აქვე მოამზადა მან ანდაზების კრებული – „Adagia" 1506 წელს ერაზმი გადადის ბოლონიაში, სადაც ის დაესწრო პაპ იულიუს II-ის საზეიმო ცერემონიალს – სამხედრო დიდების სანახაობას აპენინის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილის დამორჩილებასთან დაკავშირებით. ამან შეძრა ერაზმი.

მის ჩასვლას ყველგან აღფრთოვანებით ხვდებოდნენ, თუმცა 30 წლის ასაკამდე მას რაიმე სერიოზული შემოქმედებითი წარმატება არ ჰქონია. მეტიც, ამერიკელი მეცნიერის ი. ედვარდსის თქმით, ერაზმი „40 წლის რომ მომკვდარიყო, საეჭვოა იგი დღეს ვინმეს ხსომებოდა". მართალია, როგორც ვთქვით, ერაზმი ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლობდა, მაგრამ თავიდან სერიოზულად არ ეკიდებოდა ბიბლიის შესწავლას, მხოლოდ მოგვიანებით ჩაუღრმავდა იგი ღვთისმეტყველების პრობლემებს, რწმენისა და ღვთისმოსაობის საკითხებს, რომლებიც დაუკავშირა ჰუმანიტარულ მეცნიერებებს და ამის შემდეგ დაიწყო მისი შემოქმედებითი აღმავლობაც: 1500 წელს გამოსცა „აფორიზმების კრებული", 1501 წელს – ციცერონის ტრაქტატის ტექსტი „ვალდებულებათა შესახებ". 1509 წელს, ლუვენში ყოფნის დროს, მან გამოსცა თავისი ასე გახმაურებული თხზულება „ქება სისულელისა", (Laus stultitial), რომელიც უძღვნა ტომას მორს. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე „მშვიდობის ჩივილი" (1517წ.), „ქრისტიანი ხელმწიფე" და სხვ. ერაზმის თხზულებების 10 ტომი ჯერ კიდევ XVIII საუკუნის დასაწყისში გამოიცა. ბევრი მისი თხზულება მსოფლიოს სხვადასხვა ენებზეა თარგმნილი. გამონაკლისი არც ქართული ენაა, ამ ენაზეა თარგმნილი „ქება სისულელისა" და „მშვიდობის ჩივილი".

ერაზმი მთაგმნელობით საქმიანობასაც ეწეოდა. მან ლათინურ ენაზე თარგმნა და გამოსცა ევრიპიდეს ტრაგედიები და ლუკიანეს დიალოგები, დემოსთენეს, არისტოტელეს, ციცერონის, სენეკას და სხვა „წარმართ" ავტორთა თხზულებები. მანვე გამოსცა იერონიმეს, ავგუსტინეს, ამბროსიუსის, ვასილ დიდის და სხვა საეკლესიო მამათა თხზულებები. მანვე გამოსცა ახალი აღთქმის მისეული ლათინური თარგმანი, ასწორებდა ვულგატის შეცდომებს, ტექსტისა, რომელიც კანონიზირებული იყო ეკლესიის მიერ. თარგმნისას იგი იყენებდა ჰუმანისტურ მეთოდს, წმენდდა ტექსტებს დამახინჯებისაგან.

ერაზმის აზრით, ასევე განსაწმენდი იყო ქრისტიანობა უნაყოფო სქოლასტიკური წეს-ჩვეულებებისა და „ცერემონიე-

ბისაგან", რომლის დროსაც წმინდა შინაგანი რელიგიურობის ნაცვლად ყურადღება გადატანილი იყო კულტის გარეგნულ მხარეზე, დროთავითარებაში შეძენილ ბევრ ისეთ რამეზე, რომელსაც არაფერი საერთო არ ჰქონდა სახარებასთან, ქრისტესა და მისი მოციქულების საქმიანობასთან. იგივე აზრს გამოთქვამს იგი „სისულელის ქებაში", როცა ამბობს: — ეკლესიის მსახურები, ნილაბს ამოფარებულები, წარმართავენ რელიგიის საქმეს და ჩადიან ათასგვარ სისულელეს. თვით ღვთისმეტყველებაც, რომელსაც ეყრდნობიან ისინი, სისულელითაა გაჯერებული და ამიტომაც, — არწმუნებს ერაზმი ადამიანებს, — „უკეთესია არ შეეხო ამ აყროლებულ ჭაობს, არ მიეკარო ამ შხამიან მცენარეს". ერაზმის თქმით, სისულელე მძლავრობს გერმანელ ეპისკოპოსთა ყოველდღიურ საქმიანობაშიც: მათი წყალობითაა, რომ გერმანია იცლება დოვლათისაგან, ისინი არათუ კრძალავენ ქვეყნიდან ყოველგვარი სიმდიდრის გატანას, არამედ, პირიქით, ცდილობენ კიდეც, ხელი შეუწყონ ამას, რითაც ზრდიან პაპების ავლადიდებასა და სიმდიდრეს. ამგვარად, ამათრახებდა რა კათოლიკურ ეკლესიაში გაბატონებულ წეს-ჩვეულებებსა და მანკიერებებს, ერაზმს პირვანდელი, განწმენდილი ეკლესიისა და „ქრისტიანული ადამიანობის" დამკვიდრება სურდა, რაც, მისი აზრით, შესაძლებელი იყო მხოლოდ ჭეშმარიტი ღვთისმოსაობისა და ფართო განათლების შეხამების გზით, თუმცა, სამწუხაროდ, ასეთი სურვილის მქონე ადამიანებს იგი ვერ ხედავდა მის თანამედროვე საზოგადოების ვერცერთ ფენაში. ყველა ადამიანი, — ნათქვამია „სისულელის ქებაში",— ემორჩილება სისულელეს და გაურბის სიმართლეს. თვით ხელმწიფეებიც კი, რომელთა მოღვაწეობა წამოუდგენელია „ანტიკური თავისუფლების ტრადიციაზე აღზრდის გარეშე", ახლანდელ დროში გაურბიან სიმართლეს. — „დიახ, მეფის ყურები ვერ იტანს სიმართლეს",— ამბობს ერაზმი და იქვე განმარტავს: — მათ ურჩევნიათ გარს ეხვიოთ სულელები და მასხარები, ვიდრე ჭკვიანები. ისინი ხალხის მსახურები კი არ არიან, არამედ ტირანები, რომელთა საქმიანობას საფუძვლად უდევს არა სიყვარული, არამედ სი-

ძულვილით გაჯერებული შიში. დიახ, სისულელე რომ არა, „ხალხი ვერ შეძლებდა თვით მეფის დიდხანს ტარებას, ყმა თავისი ბატონისას, მოსამსახურე თავისი ქალბატონისას“.

ამგვარად, ერაზმის ღრმა რწმენით, საზოგადოებრივ ურთიერთობაში განუზომლად დიდია სისულელის ფაქტორი. სისულელე და სიხარბე იმ ადამიანთა საქციელსაც წარმართავს, ვინც ომებს აჩაღებს. სხვაგვარად, — ნათქვამია „მშვიდობის ჩივილში„(1517წ.), — რითი უნდა აიხსნას ის, რომ მონარქები, წარჩინებულნი, უმაღლესი სამღვდელოება, ე.ი. ყველა ისინი, ვინც თავად უნდა იყვნენ მშვიდობის დამცველები, ომებში არიან ჩაფლულნი. უფრო მკაცრია ერაზმი, როცა ამბობს: —„ომს ეწევიან მუქთახორები, ქურდები, მკვლელები, ხეპრეები, ვალგაუსტუმრებელნი და მათივე მსგავსი ნაძირალები, მაგრამ არამც და არამც განათლებული ფილოსოფოსები“. ერაზმის განსაკუთრებულ აღშფოთებას მაინც ეკლესიის მესვეურების უგუნურება იწვევს, ისინი არა მარტო უმოწყალოდ ყვლეფენ თავიანთ ქვეშევრდომებს, არამედ, ფულის გულისთვის, მზად არიან, ძმა-ძმას გადაჰკიდონ, სახელმწიფო სახელმწიფოს, ისინი ცეცხლითა და მახვილით იცავენ „წმ. პეტრეს მემკვიდრეობას“. განა უგუნურება არ არის ის, რომ რომის პაპები, რომლებიც ცხოვრობენ „ფუფუნებასა და განცხრომაში, ხალხს ატყუებენ სასწაულებით, აწარმოებენ ომებს, კლავენ თავიანთ ახლობლებს, ჩაფლული არიან ინტრიგებში. მაშასადამე, ერაზმის აზრით, ეკლესიას არ ჰყავს იმაზე უბოროტესი მტერი, ვიდრე უწმინდესი რომის პაპები, რომელნიც „თავიანთი საზიზღრული ცხოვრებით ქრისტეს მეორედ აცვამენ ჯვარზე“. გამოსავალს ერაზმი განათლებაში ხედავდა, განათლებული ადამიანების გზით სურდა მას ყოველივე „უკეთურის“ აღმოფხვრა საზოგადოების ცხოვრებიდან.

ამგვარად, მართალია, ერაზმის პირიდან უხვად იფრქვეოდა მეამბოხე სული, ამის მიუხედავად, მისი ეს სული აზროვნების მაღალი მწვერვალებიდან დაბლა არ ეშვებოდა, აჯანყება, როგორც არსებული სინამდვილის გარდაქმნის საშუალება, მისთვის მიუ-

ღებელი იყო. იგი მიუღებელი იყო იმიტომაც, რომ ამ კოსმოპოლიტური სულისკვეთების ჰუმანისტს ერთიანი ქრისტიანული რელიგიისა და ერთიანი მსოფლიო წესრიგის დამყარება სურდა, ვერ ეგუებოდა ნაციონალურ-რელიგიურ ენებებს, მზად იყო უარი ეთქვა თვით ჭეშმარიტებასა და სიმართლეზეც კი, გადაეხვია სახარებიდანაც კი, თუ ეს სიმართლე საფრთხეს შეუქმნიდა მისთვის სასურველ რელიგიურ ერთიანობას და ერთიან მსოფლიო წესრიგს. ამ იდეის მქადაგებელი ერაზმი უსაფუძვლოდ როდი უწოდებდა თავს „მსოფლიო მოქალაქეს".

„მშვიდობის ჩივილის" ავტორი უსამართლო და ძმათამკვლელი ომების წინააღმდეგაც გამოდიოდა, ომებში ხედავდა „ყოველი ბოროტებისა და უბედურების წყაროს", რომელსაც უზარმაზარი მატერიალური და ზნეობრივი ზიანი მოაქვს ადამიანებისთვის, მთელი მსოფლიოსათვის. „ომების გამო, — წერდა იგი, — ყოველივე აყვავებული იხრწნება, ყველა ჯანსაღი იღუპება, ყველა სიმტკიცე ირღვევა, ყოველივე მშვენიერი და სასარგებლო ნადგურდება", „სინდისი და რწმენა" შთაინთქმევა. გამოსავალი, ფიქრობდა ერაზმი, უნდა ვეძიოთ მშვიდობაში, მის დაცვასა და შენარჩუნებაში. იგი თვით განწმენდის ან ხალხების გაერთიანების გზით მოიპოვება, — ქადაგებდა ერაზმი. მან პირველმა მოუწოდა ადამიანებს, აქტიურად გაერთიანებულიყვნენ მშვიდობის დასაცავად. იგი ასევე ერთ-ერთი პირველთაგანი იყო, რომელმაც მოუწოდა ადამიანებს, რომ უსამართლო ომის შემთხვევაში (თუ, რა თქმა უნდა, დარწმუნებულნი არიან) მხარი არ დაეჭირათ თავიანთი მთავრობისათვის, მათი აგრესიისათვის, არ უნდა ემსახურათ ჯარში, რომელსაც სხვა ქვეყნის მიტაცება სურდა. რა თქმა უნდა, ამ შეგონებას დიდი დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ მისი აღსრულება იყო ძნელი, ამის მიმანიშნებელია თუნდაც ის, რომ ერაზმის „მშვიდობის ჩივილი" თავის დროზე აკრძალული იყო სორბონაში.

ერაზმისეულ ამ იდეებს, გარკვეული ხარვეზების მიუხედავად, არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა მაშინდელი გერმანიის მოწინავე ადამიანებზე. ამ გავლენას მეცნიერები ხშირად ადარებენ

იმ უზარმაზარ გავლენას თანამედროვეებზე, რომელიც ჰქონდა ვოლტერს XVIII საუკუნეში. ერაზმის გავლენისგან არც ლუთერი იყო დაზღვეული, თუმცა მათ, როგორც ქვემოთაც ვიტყვით, პრინციპული კამათიც ჰქონდათ. ეს გავლენა, უპირველესად, აისახა პროტესტანტული ეკლესიის აღმოცენებაში. კელნის თეოლოგები (მოწინააღმდეგენი როგორც ერაზმისა, ისე ლუთერისა) არცთუ ისე უსაფუძვლოდ ამბობდნენ: „ერაზმმა კვერცხი დადო, ლუთერმა კი გამოჩეკაო“.

ერაზმზე საუბრის დასასრულს, ვფიქრობთ, ინტერეს-მოკლებული არა იქნება, თუ ორიოდე სიტყვით მის პიროვნულ თვისებებსაც შეეხებით.

თანამედროვენი, როცა ერაზმს აგვიწერენ, უპირველესად მის გარეგნობაზე ჩერდებიან, ამბობენ, რომ ის იყო, არც ისე მაღალი, მაგრამ კარგი აღნაგობის ადამიანი. მის თეთრ სახეს მოწითალო თმები და ლურჯი თვალები ამშვენებდა. იგი უდიდესი მგრძნობელობით გამოირჩეოდა, იყო ზედმეტად მფრთხალი და უნდობი, ადვილად აღგზნებადი. მუდმივად უკმაყოფილო იყო თავისი თავით, განსაკუთრებით გარეგნობით, თავისი ნაწერებიც არ მოსწონდა. –„ვეჭვობ, ჩემი მოლვაწეობის ნაყოფმა ჩემზე ბევრად მეტ ხანს იცოცხლოს, მათ უკვდავებაზე კი ვერც ვიოცნებებო“, – ამბობდა იგი. შურით ლაპარაკობდა ბედის ნე-ბიერებზე, რომელთაც თან სდევდა წარმატებანი თანდაყოლილი მომხიბვლელობის გამო. მას მუდმივი მხარდაჭერა, გამართლება, შექება სჭირდებოდა, თუმცა ვერც თვითკმაყოფილებას იტანდა, უმადურობა სასტიკად ეზიზღებოდა. ჰქონდა ძლიერი მიდრეკილება თანხმობისა და მეგობრობისადმი. 1535 წელს მისი მეგობრის, ტომას მორის სიკვდილით დასჯამ, ძლიერ იმოქმედა მასზე, ჩათვალა, რომ ცხოვრება დამთავრდა, თუმცა სიცოცხლის ბოლომდე არ დაუკარგავს ადამიანებისა და მეგობრების სიყვარული, დარჩა ჭეშმარიტ ჰუმანისტად. ამაზე მიუთითებს ანდერძიც, რომელიც მან 1536 წლის 12 თებერვალს გამოსცა, სიკვდილამდე რამდენიმე თვით ადრე. ანდერძის მიხედვით იგი თავის ბიბლიოთეკას უტოვებდა თავის მოწაფესა და მეგობარს,

პოლონელ ივან ლასკის. რაც შეეხება ფულად თანხას (7000 დუკატს) ერაზმი სამ ნაწილად ყოფდა: ერთ ნაწილს იგი უტოვებდა ბაზელის ღარიბ მოხუცებსა და ავადმყოფებს, მეორე ნაწილს ბაზელის ღარიბ ქალიშვილებს, როგორც მზითევს, რათა მალე გათხოვილიყვნენ, მესამე ნაწილი ეძლეოდა ნიჭიერ ახალგაზრდებს, რომლებიც ეუფლებოდნენ მეცნიერებას.

ერაზმი გარდაიცვალა 1536 წლის 12 ივლისს, დასაფლავებულია ბაზელის კათედრალურ ტაძარში.

§4 იოჰან როიხლინი

რეფორმაციის შემზადებაში ასევე დიდი როლი შეასრულა იოჰან როიხლინმა (1455-1522), რომელიც დაიბადა პფორცჰაიმში, ღარიბი ხელოსნის ოჯახში. როიხლინმა იმთავითვე მიიქცია ყურადღება, აღმოაჩნდა შესანიშნავი ნიჭი და ხმა და მონაწილეობდა მგალობელთა გუნდში, ეუფლებოდა ლათინურ, ბერძნულ და ებრაულ ენებს.

დაწყებითი განათლების მიღების შემდეგ მას აგზავნიან (1482 წ.) იტალიაში, სადაც ისმენდა იოანე არგიროპულოს ლექციებს. იოანე ბერძნული წარმოშობის იმ პროფესორთაგანია, რომლებმაც კონსტანტინოპოლის დაცემის (1453 წ.) დროიდან იტალიას შეაფარეს თავი და დიდი წვლილი შეიტანეს იტალიური ჰუმანიზმის განვითარების საქმეში. როცა როიხლინი გამოუტყდა პროფესორს, რომ სურდა მასთან მეცადინეობა, ყმაწვილს ისიც არ დაუმალავს, რომ მან იცოდა ბერძნული ენა, უმალ პროფესორს ყმაწვილისათვის შეუთავაზებია ნაწყვეტი თუკიდიდედან. ნაცვლად ფიასკოსი, როიხლინმა მშვენივრად გაართვა თავი თარგმანს და პროფესორის ქებაც დაიმსახურა. ამ უკანასკნელს თვალებიდან ცრემლიც კი გადმოუგორდა, უთქვამს: — ჩანს საბერძნეთს სიკვდილი არ უწერია, რაკი ბერძნულ ენას ალპებს გადაღმაც სწავლობენო.

ბერძნულის კარგ ცოდნასთან ერთად როიხლინმა სამშობლოში იურისპრუდენციის ცოდნაც ჩაიტანა. იგი დიდხანს

მუშაობდა ადვოკატად შტუტგარტში და უმაღლეს მოსამართლედ შვაბიის კავშირში. მის კალამს ეკუთვნის არაერთი იურიდიული ტრაქტატი, ისტორიული და სამედიცინო ნაშრომი, აგრეთვე, სატირიკული კომედიები „ჰენო“ და „სერგიუსი“. როიხლინი ლექციებს კითხულობდა ინგოლშტადტისა და ტიუბინგენის უნივერსიტეტებში, სადაც მისი, როგორც პედაგოგის მოღვაწეობა აღიარებულ იქნა ახალ ერად, სტუდენტებს აცნობდა ელინისტურ კულტურას, ასწავლიდა ბერძნულ ენას და ლიტერატურას. როიხლინმა, რომელიც იმხანად ატარებდა ზედმეტ სახელს – კაპნიონი (Capnion – ბერძნული სიტყვაა და შეესაბამება მის გვარს Reuchlin – ჰატარა კვამლს) , უნივერსიტეტშივე გამოსცა ლათინური ლექსიკონი და ბერძნული გრამატიკა.

როიხლინმა განსაკუთრებული წვლილი მაინც ებრაული კულტურის განვითარებაში შეიტანა. ებრაული ენა მას რაბინებმა ასწავლეს. ისე საფუძვლიანად ფლობდა ამ ენას, რომ მან გამოსცა პირველი ებრაული გრამატიკა, რომელსაც წაუმძღვარა ჰორაციუსის სიტყვები: „მე აღვმართე პირველი ბრინჯაოს ძეგლი“. მანვე თარგმნა ძველი აღთქმა და გამოავლინა „ვულგატის“, საღვთო წერილისა და საეკლესიო კანონის, არაერთი შეცდომა, რამაც ხელი შეუწყო ბიბლიის ტექსტების ჰუმანისტურ კრიტიკას და ახლებურ გააზრებას. როიხლინი თვითონაც გრძნობდა თავისი ამ ღვაწლის მნიშვნელობას, აკი წერდა: –„მე თუ ვიცოცხლებ, იცოცხლებს ებრაული ენაც, და თუ მოვკვდები, მაინც მე დავუდე სათავე ებრაული ენის გავრცელებას გერმანიაში, რომელიც ასე მალე არ გაქრება“.

როიხლინს, მართალია, არ უყვარდა ლიტერატურულ პოლემიკებში მონაწილეობა, ეწეოდა წმინდა მეცნიერულ მოღვაწეობას, მაგრამ მას მაინც მოუწია ამ ტრადიციის დარღვევა. ეს ასე მოხდა: 1508 წელს კელნის თეოლოგებმა იმის მტკიცება დაიწყეს, რომ ამ უკანასკნელ დროს თვალსაჩინო ხდება კათოლიკური სამღვდელოების მორალური დაცემა და ამის მთავარი მიზეზი ის არის, რომ ისინი ფარულად კითხულობენ თალმუდსა და სხვა ებრაულ წიგნებს, რომელიც გავსებულია

„ყოველგვარი უღმერთოებით". მათ ამ წიგნების კონფისკაცია და დაწვა მოითხოვეს. კომიკური ის არის, რომ მთელ ამ კამპანიას სათავეში ედგა ქრისტიანად მონათლული (1505 წ.) ებრაელი იოჰან პფეფერკორნი, რომელიც გმობდა ებრაული რელიგიის წესებს, ცერემონიებს და დღესასწაულებს, ყველა იმ ბიწიერებას, რომელსაც, მისი აზრით, ყოველდღიურად ჩადიოდნენ ებრაელები. იმპერატორ მაქსიმილიანემაც არ დააყოვნა, გამოსცა ბრძანება, რომელიც ებრაული წიგნების კონფისკაციას და დაწვას მოითხოვდა. ამ ბრძანებით წარსდგა პფეფერკორნი ჰაიდელბერგის, ინგოლშტადტის და ტიუბინგენის უნივერსიტეტების პროფესორის, ძველი ენების უდიდესი სპეციალისტის და ჰუმანისტის იოჰან როიხლინის წინაშე, რათა მისგან დასტური მიეღო.

თავდაპირველად როიხლინმა უცნობი ადამიანი პატივით მიიღო, მაგრამ როცა შეიტყო მისი სტუმრობის მიზანი, განაცხადა, რომ იმპერატორის ბრძანება მეტად სარისკო საქმეა, რომელსაც ვერც ებრაელები შეურიგდებიან და ვერც ჰუმანისტები. იგი არ მივიდა კრებაზე, სადაც ეს საკითხი უნდა განხილულიყო, უფრო სწორად მისი მიუსვლელობის გამო არ შედგა ეს კრება.

როიხლინი ამით არ დაკმაყოფილდა, აღმოაჩნდა რა მისაბაძი გამბედაობა და კეთილსინდისიერება, მან მეცნიერულად დაასაბუთა, რომ ებრაული რელიგიური წიგნები კი არ უნდა განადგურდეს, არამედ, პირიქით, უნდა დაეიცვათ ისინი, ვინაიდან ეს არის მეტად საჭირო და აუცილებელი ლიტერატურა, ქრისტიანული რელიგიის შესასწავლად.

როიხლინის ავტორიტეტმა მნიშვნელოვნად განაპირობა ის, რომ ბოლოს და ბოლოს შეწყდა კამათი ებრაული წიგნების განადგურების შესახებ, მაგრამ პფეფერკორნი და მის ზურგსუკან მდგომი კელნის თეოლოგები ვერ შეურიგდნენ ამ მარცხს. მათ 1510 წელს ჰუმანისტებთან კვლავ წამოიწყეს დისპუტი, რომელიც, მართალია, სხვა კუთხით წარიმართა, მაგრამ მასში როიხლინი მაინც აღმოჩნდა ჩათრეული. ჯერ იყოდა პფეფერკორნმა გამოსცა „ხელის სარკე" (Hand Spiegel, 1511), რომელიც ჰუმანისტების წინააღმდეგ იყო მიმართული. არც

როიხლინი დარჩა ვალში და უპასუხა „თვალის სარკით“ (Augenspiegel). ასე დაიწყო ცნობილი პოლემიკა როიხლინისტებსა და ობსკურანტებს შორის, ე.წ. „როიხლინის საქმე“, რომელიც გრძელდებოდა 1510-1618 წლებში.

როიხლინის მხარე დაიჭირეს ერფურტის უნივერსიტეტის ჰუმანისტებმა, განსაკუთრებით კროტუს რუბიანუსმა და ულრიხ ფონ ჰუტენმა. სწორედ მათი ხელიდან არის გამოსული „ცნობილი ადამიანების წერილები“ (Epistolea illustrium virorum, 1514), რომელიც ისე შენიღბულად იყო დაწერილი, რომ კელნის თეოლოგებს მათი მხრიდან გამოსული ეგონათ და თვითონაც არაერთხელ გამოსცეს. ისინი თავიანთ შეცდომას, მხოლოდ მაშინ მიხვდნენ, როცა გამოვიდა „ბნელი ადამიანების წერილების“ „(Epistolea obscurorum virorum) პირველი და მეორე წიგნი (1515 და 1517 წლები), რომლებშიც გაკრიტიკებული იყო ეკლესიის ბნელი ძალების საქმიანობა. – სულიერ მამებს, – ნათქვამია მასში, თავი მოაქვთ საკუთარი განსწავლულობით და კეთილშობილებით, აგრეთვე, ლათინურის ცოდნით. სინამდვილეში მათ მიერ დაწერილი ბარათებიდან აშკარად ჩანს მათი უვიცობა და ამპარტავნობა, გონებრივი სიბეჩავე და შეზღუდულობა. „წერილებში“ მხილებული იყო საეკლესიო ცხოვრების უხამსი მხარეები, სქოლასტიკური მოძღვრება, ინდულგენციებით ვაჭრობა და სხვა. ბუნებრივია, ამდაგვარი გამოსვლები და სამეცნიერო-კრიტიკული საქმიანობა, რომელსაც როიხლინი და მისი მხარდამჭერები აკეთებდნენ, ლუთერის წისქვილზე ასხამდა წყალს, ობიექტურად ხელს უწყობდა რეფორმაციის მომზადებას. ამას 1518 წელს ერთ-ერთ წერილში თავად ლუთერიც აღიარებდა: თალმუდის დაცვითა და დომინიკანელებთან ბრძოლით როიხლინი უნებლიე ღვთაებრივი გეგმის იარაღი გახდა და ამით ხელი შეუწყო რეფორმაციას. ნიშანდობლივია, რომ მაშინდელი ლუთერის სამაგიდო წიგნს როიხლინის „ებრაული გრამატიკა“ წარმოადგენდა. ნიშანდობლივია პფეფერკორნის სიტყვებიც, რომლითაც გამოეხმაურა იგი 1520 წელს პაპ ლეო X-ის მიერ როიხლინის თხზულების – „თვალის სარკის“ დაგმობას: „რვა

წლის წინ შენი (ე.ი. როიხლინის – გ.კ.) „თვალის სარკე" რომ დაეწყვეტა პაპს, ახლა მარტინ ლუთერი ვეღარ გაბედავდა და აზრადაც არ მოუვიდოდა საჯაროდ გამოსულიყო ქრისტეს სჯულის საუბედუროდ. შენ ნაპერწკალი ხარ, ხანძრის გამომწვევი". ამის მიუხედავად, არ შეიძლება ითქვას, რომ როიხლინი თანაუგრძნობდა ლუთერს; მან არ დაინდო თავისი საყვარელი დის შვილიშვილი, ფილიპ მელანქტონი და რეფორმაციულ მოძრაობაში მონაწილეობისათვის მემკვიდრეობის დატოვებაზე უარი უთხრა.

§5. ულრიხ ფონ ჰუტენი

ერაზმისა და როიხლინის უმცროსი თანამედროვე იყო ასევე ცნობილი გერმანელი ჰუმანისტი ულრიხ ფონ ჰუტენი (1488-1523), რომელიც დაიბადა უძველესი საიმპერიო რაინდის ოჯახში. მამამ იგი მიაბარა ფულდის მონასტერში, რათა ესწავლა და გამოსულიყო სასულიერო პირი; ჰუტენიც ბევრს კითხულობდა, მონასტერშივე დაეუფლა იგი ლათინურ ენას, მაგრამ მამის ნების საწინააღმდეგოდ 17 წლის ჰუტენმა დატოვა მონასტერი და ახალგაზრდა ჰუმანისტ კროტუს რუბიანუსთან ერთად, ჯერ თავი ამოჰყო კელნის უნივერსიტეტში, შემდეგ კი – ერფურტის უნივერსიტეტში. აქ იგი გაეცნო ადგილობრივ ჰუმანისტებს და თვითონაც ჰუმანისტი გახდა. ის ორჯერ იმყოფებოდა ჰუმანიზმის სამშობლოში, იტალიაში (1512 და 1517 წლებში). ყველგან, სადაც კი მივიდა, მან სწავლისადმი დიდი მონდომება გამოავლინა, იმაღლებდა განათლებას და იმავდროულად ეწეოდა პოეტურ მოღვაწეობას, ლექსებს ლათინურად წერდა.

ეს უნიჭიერესი ადამიანი, რომელიც შესანიშნავი ორატორი და ლათინური ენის ბრწყინვალე მცოდნე იყო, თავის დიალოგებში, წერილებსა და პოეზიაში ხოტბას ასხამდა ადამიანის გონების ძალას, უხაროდა, რომ, როგორც თვითონ ამბობდა, ცხოვრობდა მეცნიერების გაფურჩქვნის საუკუნეში, მეცნიერების დაუფლებაში ხედავდა ყოველი ადამიანის ზნეობრივი სრულყოფილებისა და

სიდიადის უზრუნველყოფის გზას მათი წარმომავლობის მიუხედავად; იგი ზიზღით უყურებდა ტიტულებს, წოდებებს, რომელთა მიღმა ქედმაღალი და უვიცი ადამიანები იდგნენ. ჰუტენი თავის სატირაში – „Nemo" (არავინ)აღნიშნავს, რომ ნამდვილი ცოდნა და ჰუმანისტური ზნეობა იმ ადამიანებს გააჩნია, ვინც მოკლებულია ტიტულებსა და ოფიციალურ მდგომარეობას. იგი თვითონაც ბევრს კითხულობდა და იყო ანტიკური მემკვიდრეობის პროპაგანდისტი, დამცველი ჰუმანისტური დისციპლინებისა, მქადაგებელი საეკლესიო ცენზურისაგან თავისუფალი საერო კულტურისა.

ჰუტენისათვის „აკრძალული თემები" არ არსებობდა. მისი გამბედაობა და რადიკალიზმი ერაზმსა და როიხლინზე უფრო შორს მიდიოდა, როცა ეხებოდა ქვეყნისათვის მტკივნეულ საკითხებს, ვერ ურიგდებოდა გერმანიის დაქუცმაცებას და მთავრების სეპარატისტულ პოლიტიკას, გერმანიის ერთიანობის მომხრედ გამოდიოდა, იმპერატორში ხედავდა ის ძალას, ანუ, როგორც თვითონ ამბობს, „სამართლიანობის მაღალ მატარებელს", რომელიც „საზოგადოებრივი თავისუფლებისა" და „კანონის წინააღმდეგ ყოველგვარ გამოვლინებას წინ აღუდგება ხოლმე". ასევე პატრიოტული იყო მისი დამოკიდებულება რომის პაპების მიმართაც. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ჰუტენი, როგორც „ყველაზე ნაციონალური წოდების" წარმომადგენელი, არ შეიძლებოდა არ აღეშფოთებინა იმ გარემოებას, რომ „ფაქტიურად არც ერთ ერს არ აწვა პაპიზმის" ზომიერი „ბატონობა ისე მძიმე ტვირთად", როგორც გერმანელებს: – პაპები ხელს უწყობდნენ გერმანიის არა მარტო ეკონომიკურ ძარცვას, არამედ მის დაქუცმაცებულობაში ყოფნასაც. ჯერ კიდევ იტალიაში პირველად მოგზაურობის (1512-1513) შთაბეჭდილებებმა, აგრეთვე რომის პაპების აგენტების საქმიანობამ გერმანიაში იმთავითვე განაწყო ჰუტენი მათ წინააღმდეგ საბრძოლველად. თავს ესხმოდა რა რომის პაპის იულიუს II-ის აღვირახსნილ მოქმედებას, ჰუტენი წერდა: – „იულიუსი – ეს ავაზაკი, რომელიც გასვრილია ყოველგვარი ბიწიერებით,

თვითნებურად კეტავს ზეცას ერთის წინაშე და უხსნის მას მეორეს, მისი მეშვეობით ერთი განცხრომაშია, მეორე კი ტანჯვაში". აქვე ლუთერზე დიდი ხნით ადრე, ჰუტენი ილაშქრებს ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ჰუტენი დამცინავად ეკითხება პაპს: – „სირცხვილი არაა, იულიუს, გაყიდო ის, რასაც ყველაზე მეტად შენ საჭიროებ?". უფრო მკაცრად ესხმოდა თავს ჰუტენი რომის კურიაში გაბატონებულ უმსგავსო მოქმედებებს კროტუს რუბიანუსადმი გაგზავნილ ეპიგრამებში, რომლებიც დაწერილია იტალიაში მისი მეორედ ყოფნის (1515-1517) დროს. კროტუს რუბიანუსსაც განზრახული ჰქონდა მოგზაურობა იტალიაში, მაგრამ ჰუტენი არ ურჩევს ამას: –„უარი თქვი წმინდა რომის ნახვის ოცნებაზე. რომს, რომელსაც შენ ეძებ, ვერ იპოვი", რადგან რომი ესაა ქალაქი, სადაც ფულით შეიძლება იყიდო თვით სამართალი და მომავალში მოიქცე ულმერთოდ, ესაა ქალაქი, სადაც „უგუნურება უფრო ფასდება, ვიდრე გონიერება".

ჰუტენის ამგვარი თავდასხები, რომლებიც თავდაპირველად მორალურ ხასიათს ატარებდა, 1517 წლიდან კი პოლიტიკურ ხასიათს იძენს. ამ წელს იგი აქვეყნებს იტალიელი ჰუმანისტის ლორენცო ვალას თხზულებას – „კონსტანტინეს ნაბოძვარის შესახებ" და მასზე დაყრდნობით იმ აზრს გამოთქვამს, რომ პაპებს არაკანონიერად უპყრიათ ხელთ საერო ხელისუფლება და მათ უარი უნდა თქვან არა მარტო ამ ხელისუფლებაზე, არამედ გერმანიაზე ბატონობის უწინდელ პრეტენზიებზეც. ბუნებრივია, ამდაგვარი გამოსვლებით ჰუტენს მნიშვნელოვანი წვლილი შეჰქონდა რეფორმაციის შემზადების საქმეში, თუმცა ჯერ კიდევ არ იდგა იგი ლუთერის მხარეს. ლაიფციგის დისპუტამდე (1519 წ.) ჰუტენი დარწმუნებული იყო, რომ ლუთერის კამათი ბერებთან – ეს იყო ბერებს შორის უბრალო კინკლაობა, რაც ადრეც ყოფილა. – „დაე, ერთმანეთი შეუჭამიათ მათო", – ამბობდა ჰუტენი. თუ როგორ წარიმართა მისი დამოკიდებულება ლუთერთან, ამაზე სხვაგვარ კავშირში გვექნება საუბარი. აქ მხოლოდ იმას ავღნიშნავთ, რომ გერმანელი

მთავრებისა და რომის პაპის ბატონობისაგან გერმანიის განთავისუფლება ჰუტენს შესაძლებლად მიაჩნდა „საერთო ნიადაგის“ – რაინდების, ქალაქების და გლეხების ერთობლივი მოქმედების საფუძველზე, მაგრამ ეს იყო მისი დიდი შეცდომა, მან არა მარტო ვერ მოზომა მისი საკუთარი ძალები, არამედ სათანადოდ ვერ შეაფასა ის სიძულვილი, რომელსაც იჩენდნენ რაინდების მიმართ გლეხები და ვაჭრები. და თუ 1522-1523 წწ. აჯანყებაში რაინდები მარტო გამოვიდნენ, ეს ნათელი დადასტურება იყო ჰუტენის სურვილის – წოდებათა თანამშრომლობის – პრაქტიკული შეუძლებლობისა. ყოველივე ამის გამო, რაინდების ამ გამოსვლას გამარჯვება არ ეწერა. იგი ჰგავდა დასახრჩობად განწირული კაცის უკანასკნელ გაბრძოლებას. იდეა დარჩა იდეად. რაინდობაც დამარცხდა. მალე ამის შემდეგ, 1523 წელს, ულრიხ ფონ ჰუტენიც, ყველასაგან მივიწყებული (იგი თვით ერაზმმაც არ მოინახულა), შვეიცარიაში გარდაიცვალა.

თავი III

მარტინ ლუთერი — დიდი რელიგიური რეფორმატორი

§ 1. ლუთერი და მისი პირველი ნაბიჯები (1483-1501)

რეფორმაცია განუყრელად დაკავშირებულია ვიტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორისა და თეოლოგის მარტინ ლუთერის სახელთან. მან არა მარტო სქოლასტიკისა და კათოლიკური ღვთისმსახურების კრიტიკის ადრინდელი ტრადიცია განავითარა, არამედ თავისი ახალი იდეებით დიდი დარტყმა მიაყენა კათოლიკური ეკლესიის უმთავრეს საფუძვლებს. ამ დიდმა რელიგიურმა რეფორმატორმა დიდი კულტურული მოღვაწეობაც გასწია, მან გაწმინდა გერმანული ენა, თარგმნა ბიბლია და შექმნა თანამედროვე გერმანული პროზა, შეთხზა გამარჯვების რწმენით აღსავსე ქორალის ტექსტი და მელოდია, რომელიც XVI საუკუნის მარსელიოზად იქცა. მანვე სკოლების შექმნით, უნივერსიტეტების რეფორმით, ეკლესიებსა და სკოლებში ახალი წესრიგის დანერგვით განახორციელა რეფორმაციით გათვალისწინებული პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილი. მისი სოციალ-ეთიკური შეხედულებანი, რომელიც ხალხთა კავშირის აუცილებლობას ადასტურებს, დღესაც მაღალ შეფასებას იმსახურებს.

მარტინ ლუთერი დაიბადა 1483 წლის 10 ნოემბერს აისლებენში, მაშინდელი მანსფელდის საგრაფოს (ახლანდელი საქსონიის) მთავარ ქალაქში. მშობლები: მამა— ჰანსი და დედა — მარგარიტა გლეხური წარმოშობისანი იყვნენ. ამას არც ლუთერი მალავდა, პირიქით, სიამაყით, აღნიშნავდა, რომ „მისი მამა, პაპა და პაპის პაპა ჭეშმარიტი გლეხები იყვნენ“, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ ლუთერის მშობლები განეკუთვნებოდნენ შეძლებულ გლეხთა კატეგორიას. პირიქით, თავდაპირველად მათ ოჯახს ძალიან უჭირდა, ეს იმიტომაც, რომ ერთმანეთის

მიყოლებით შვიდი შვილი ეყოლათ. ჰანსი წელზე ფეხს იდგამდა, ოღონდაც ბავშვები შიმშილით არ დახოცილიყვნენ.. მხოლოდ მოგვიანებით, მანსფელდში გადასახლების შემდეგ, როცა ჰანსმა მაღაროებში დაიწყო მუშაობა, ოჯახმა თავი დააღწია ეკონომიკურ გაჭირვებას, მეტიც შრომისმოყვარე ჰანსი რამდენიმე წელიწადში შეძლებული ბიურგერი გახდა. კიდევ ერთი რამ, რაც ასე დამახასიათებელია ლუთერის მშობლებისათვის, ის იყო, რომ ისინი უაღრესად ღვთისმოსავნი და ძალზე მკაცრები იყვნენ. მომავალ რეფორმატორს, როგორც თვითონ იგონებს, ხშირად მოხვედრია მამისა და დედის „მძიმე ხელი", რამაც თავისებური დაღი დაასვა მის ხასიათს – ბავშობაში საოცრად „გაუბედავი" იყო. ამან გარკვეულად ხელი შეუწყო მის შემდგომ ნაბიჯს – აღკვეცილიყო ბერად: – „ჩემი მშობლები იმდენად მკაცრად მზრდიდნენ, რომ შიშს მინერგავდნენ, მხოლოდ ერთი უბადრუკი კაკლისთვის, რომელსაც როგორღაც დავხარბდი, დედამ წკეპლით დამასისხლიანა. ასეთი მოპყრობით, საბოლოო ჯამში, მათ მიბიძგეს ეკლესიისაკენ, თუმცა გულწრფელად სჯეროდათ, რომ კარგს მიკეთებდნენ", – ამბობდა ლუთერი თავის ერთ-ერთ „სუფრულ საუბარში" (1537 წელი).

სიმკაცრე ლუთერს არც სწავლების პერიოდში აკლდა. განსაკუთრებით მისთვის მძიმე აღმოჩნდა მანსფელდის საეკლესიო – სამრევლო სკოლაში (მიაბარეს 1488 წელს, ოთხნახევარი წლის ასაკში) გაბატონებული ჯოხის წესრიგი. მოსწავლეებს აქ ეპყრობოდნენ ისე, როგორც „ციხის ზედამხედველები ეპყრობიან ქურდებს". „ერთხელ, ნაშუადღევს, – იგონებდა ლუთერი შემდეგში – იგი 15-ჯერ გაწკეპლეს მხოლოდ იმის გამო, რომ მან ვერ შეძლო ებრუნებინა რომელიღაც სიტყვა, რომელიც საერთოდ ჯერ კიდევ არ ესწავლა". როზგს თან ახლდა აბუჩად აგდებაც, რაც მოსწავლეების სინდისის და ღირსების დასათრგუნად გამოიყენებოდა. ბავშვებს პირფერობას და მლიქვნელობასაც აჩვევდნენ, სისტემატურად უვითარებდნენ დასმენისა და ჯაშუშობის ჩვევას, დასცინოდნენ ოჯახისადმი ერთგულებისა და სამშობლოს სიყვარულის გამო. იზღუდებოდა

სიტყვის თავისუფლება. სწავლების მესამე წლიდან სასტიკად იდევნებოდა მშობლიური ენაც. ერთი სიტყვით, სკოლის დამრიგებელთა სისასტიკე ბავშვებში ახშობდა სინდისს და თვითკონტროლს, დამოუკიდებელი განსჯის უნარს, მხოლოდ შიშსა და ძრწოლვას უნერგავდა მათ.

ჩანს, მასწავლებელთა ამგვარი ქცევის შედეგი იყო ის, რომ ლუთერმა სწავლაზე გული აიცრუა: ოთხი წლის მანძილზე მან ძლივსძლიობით ორი კლასი დასძლია. ეს ჰანსისათვის დიდი დარტყმა აღმოჩნდა, იფიქრა, რომ ლუთერი არ ღირდა წვალებად და იგი სკოლიდან გამოიყვანა.

მაგრამ სიტუაცია სულ მალე შეიცვალა: 1497 წელს 13 წლის ლუთერს კვლავ აღეძრა სწავლისადმი ინტერესი და სკოლაში სიარული მოისურვა, რასაც ჰანსი გაგებით მოეკიდა. მაგრამ ვინაიდან, ამ დროს მანსფელდში არ იყო სხვა სკოლა, გარდა დაწყებითისა, ამიტომ მამამ შვილი მაგდებურგში, ელბის პირას მდებარე დიდ ქალაქში, გაგზავნა, ოღონდ იმ პირობით, რომ მას თავისი თავი თვითონ უნდა ერჩინა.

გასაგებია, ცამეტი წლის ბავშვმა თავი მიტოვებულად და დაუცველად წარმოიდგინა, მიხვდა, რომ უშრომელად ვერაფერს გახდებოდა. ქალაქში ჩასვლისთანავე იგი დაუახლოვდა ე.წ. „საერთო ცხოვრების ძმებს“ ანუ ღვთისმოსავთა თემს, რომელიც მაგდებურგში ქადაგებასა და წიგნების გადაწერას ეწეოდნენ. მიიზიდა არა მათმა რელიგიურ-ზნეობრივმა გამოსვლებმა, არამედ მათმა დამოკიდებულებამ შრომისადმი: საზოგადოების წევრები საკუთარი შრომით ირჩენდნენ თავს, შრომას დიდად აფასებდნენ. ლუთერის შრომა კი, სწავლასთან ერთად, ეკლესიაში გალობაც იყო, ჰქონდა შესანიშნავი ხმა, რითიც მსმენელთა გულებს ადვილად ინადირებდა და ამით ირჩენდა თავსაც.

მაგდებურგში სწავლა სულ რაღაც ერთი წელი გაგრძელდა, 1498 წლის შემოდგომაზე მამამ ლუთერი აიზენახში, დედის მშობლიურ ქალაქში, გადაიყვანა, ალბათ იმის იმედით, რომ მის შვილს ნათესავები დაეხმარებოდნენ, მაგრამ ეს იმედი ამაო გამოდგა, თავის რჩენა მას გალობითა და მათხოვრობით

უხდებოდა, იმავდროულად იგი სწავლას განაგრძობდა სახელგანთქმულ წმ. გიორგის ეკლესიასთან არსებულ ლათინურ სკოლაში, აქვე გამოუყვეს მას პატარა ოთახი, სადაც მეცადინეობდა. სკოლაში ლუთერი ეუფლებოდა „trivium" - ით გათვალისწინებულ დისციპლინებს: გრამატიკას, რიტორიკას და დიალექტიკას (იგივე ლოგიკას). ამ ტიპის სკოლებს საფუძველი ეყრება ჯერ კიდევ კაროლინგების დროიდან, ისინი მოქმედებენ მონასტრებისა და საეპისკოპოსოების ეგიდით, გააჩნდათ სასწავლო პროგრამა, რომლის თეორიული საფუძველი შემუშავებულ იქნა VI საუკუნეში მეცნიერ-ფილოსოფოსის ბოეციუსის მიერ. გრამატიკას ამ სკოლებში ასწავლიდნენ სახელმძღვანელოთი, რომელიც დაწერილი იყო დონატიუსის (დონატის) მიერ IV საუკუნეში. ამ პროგრამას ლუთერმა მშვენივრად გაართვა თავი, სკოლაში იგი ერთ-ერთი გამორჩეული მოწაფე შეიქმნა. ამ დროისთვის მან უკვე იცოდა ლათინური ენა, თავისუფლად ლაპარაკობდა და წერდა თხზულებებს, ვარჯიშობდა ლათინურ ავტორთა ლექსთწყობაზე, ეუფლებოდა რიტორიკის წესებს და ყველაფერს იმას, რითაც იგი უახლოვდებოდა სწავლების იმ წესს, რომელიც იყო უნივერსიტეტის თავისუფალი ხელოვნების ფაკულტეტზე. ეს წარმატებები ჰქონდა მხედველობაში, როცა ლუთერის მასწავლებლები არც თუ ისე ხუმრობით ამბობდნენ: — „მალე ჩვენ მისგან მოგვიხდება სწავლაო".

სხვათა შორის, ლუთერს აიზენახში, როგორც თვითონ იგონებს, ჰყავდა „შესანიშნავი მასწავლებლები", რომლებიც მოსწავლეებს არა მარტო სწავლისადმი სიყვარულს უნერგავდნენ, არამედ ადამიანობას და ყოველდღიური ქცევის წესებს ასწავლიდნენ; ისინი მოსწავლეებს თანაგრძნობითა და პატივისცემით ეკიდებოდნენ. მაგალითად, იოჰან ტრებენიუსი, როცა კლასში შედიოდა, ყოველთვის ქუდს მოიხდიდა, ბავშვებს მიესალმებოდა და სიყვარულით მოიკითხავდა, დარწმუნებული იყო, რომ თითოეული ბავშვისაგან, რომლის წინაშეც გამოდიოდა, შესანიშნავი მოქალაქე დადგებოდა. თქვენში მე, ღმერთის

წყალობით, „მომავალ ბერს, კანცლერს, დოქტორს ან მაგისტრს“ ვხედავო, – არწმუნებდა იგი ბავშვებს.

ცხადია, მასწავლებელთა ასეთი სითბო მოსწავლეებს მეტ რწმენას უნერგავდა, უკეთ სწავლისათვის განაწყობდა. „თვით ჩემს წარმატებაში აიზენახელ მასწავლებელთა როლი ძალზე დიდი იყო“, ამბობდა ლუთერი.

ლუთერის წარმატებები აიზენახში მართლაც დიდი იყო, აქ იგი საყოველთაო მსჯელობის საგანს წარმოადგენდა. ამ წარმატებების გამო მოქალაქეები აღტაცებას ვერ მალავდნენ და ლუთერს სახლებში ეპატიჟებოდნენ, მისგან დახმარებას ითხოვდნენ. ერთ-ერთი ასეთი მოქალაქე იყო მდიდარი ვაჭარი შალბე, რომელმაც ლუთერი თავის ოჯახში წაიყვანა და თხოვა, რომ მისი შვილისათვის, რომელიც ლუთერზე უმცროსი იყო, დახმარება გაეწია გაკვეთილების მომზადებაში, ეს ბავშვი ლუთერს სკოლაშიც უნდა წაეყვანა. ამ გზით მას საარსებო საშუალება გაუჩნდა.

იმავდროულად ლუთერი გაერთიანდა აიზენახის მოსწავლეთა ჰატარა გუნდში, რომლის წევრები საარსებო საშუალებებს გამოიმუშავებდნენ გალობით, ისინი სახლიდან სახლში დაიარებოდნენ და აგროვებდნენ მოწყალებას. ასე აკეთებდნენ არა მარტო ღარიბთა შვილები, არამედ შეძლებული ოჯახებიდან გამოსულებიც. ეს იყო უკვე მიღებული მეთოდი და შუასაუკუნეობრივ გერმანიაში სათაკილოდ ან სამარცხვინოდ არ ითვლებოდა.

ჭაბუკ ლუთერს ბევრად უკეთესი დღეები მას შემდეგ დაუდგა, რაც მას პატრონად მოევლინა ქალბატონი ურსულა კოტი, რომელიც იყო ნათესავი შალბესი და მეუღლე იტალიელი მდიდარი ვაჭრისა კონრად კოტისა. ჩანს, ურსულამ ლუთერი შალბესთან ან ეკლესიაში გალობის დროს ნახა, მოიხიბლა მისი მშვენიერი ხმითა და ნიჭიერებით და თავის ოჯახში წაიყვანა, მიუალერსა და დააპურა, მოეპყრო როგორც საკუთარ შვილს, თუმცა ეს მარტო უანგარო ქველმოქმედებით როდი აიხსნება: ლუთერი კოტის შვილს პატარა ჰაინრიხს უნდა დახმარებოდა

გაკვეთილების მომზადებაში, უნდა წაეყვანა და უნდა დაეცვა სკოლაში.

შალბეს და კოტის ოჯახები სხვა მხრივაც საინტერესო აღმოჩნდა ლუთერისათვის. „კარგი რეპუტაციის მქონე ამ ოჯახებში სისტემატურად იკრიბებოდნენ განათლებული და ღვთისმოსავი ადამიანები, რომლებიც გულწრფელად აღაფრთოვანებდნენ ლუთერს. ისინი საუბრობდნენ სხვადასხვა საინტერესო საკითხებზე, რასაც ლუთერიც უსმენდა და იგი შინაგანად ივსებოდა ახალი აზრებით, რომელზეც მას წარმოდგენაც არ შეეძლო მანსფელდში. ეს იყო, მისი თქმით, „მიწიერი სამოთხე", რომლის დატოვებაც მას 1501 წლის გაზაფხულზე მოუხდა, და ის საუნივერსიტეტო ცხოვრების გზას დაადგა.

§ 2. სტუდენტობის წლები (1501-1505)

მანსფელდთან ბევრად უფრო ახლოს იყო საუნივერსიტეტო ქალაქი ლაიფციგი, ვიდრე ერფურტი. მოსალოდნელი იყო, რომ ჰანსი პირველს აირჩევდა, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. ვინაიდან ერფურტის უნივერსიტეტი ერთ-ერთი უძველესი სასწავლო დაწესებულება იყო ცენტრალურ ევროპაში (დაარსებულია 1392 წელს პრაღის, ვენის, ჰაიდელბერგის და კელნის უნივერსიტეტების შემდეგ) და სარგებლობდა სანიმუშო რეპუტაციითაც, ზოგჯერ მას „მეორე პრაღის" სახელითაც მოიხსენიებდნენ, ამ მოტივით მამამ შვილს ერფურტის უნივერსიტეტში წასვლა ურჩია.

ჰანსს ამ დროისთვის საკმაო საშუალება გააჩნდა იმისათვის, რომ ერფურტის, უნივერსიტეტში შესატანი თანხა გადაეხადა, მაგრამ ეს ლუთერს სრულებითაც არ დასჭირდა. ეს იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, იგი შესანიშნავად ფლობდა ლათინურ ენას, და, მეორეც, არ იყო უკანონო შვილი, რაც ასე აუცილებელი პირობა იყო უნივერსიტეტში შემსვლელთათვის, რამეთუ მას გზა ისედაც გახსნილი ჰქონდა.

და აი, ჩვიდმეტი წლის ლუთერმა აიზენახი — თავისი საყვარელი ქალაქი (meine liebe stadt), როგორც ის უწოდებდა მას, 1501 წელს დატოვა. ამის შემდეგ მას კიდევ უფრო საყვარელი ურსულა კოტის სახლის დატოვებაც მოუხდა და იგი ერფურტის უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა.

უნივერსიტეტში გამოცხადებისთანავე პირველი, რაც ლუთერმა გააკეთა, ის იყო, რომ შევიდა კორპორაციაში, ე.წ. ბურსაში, რომლის წევრობა სტუდენტებს (მათ შორის, რა თქმა უნდა, ლუთერსაც) იმის გარანტიას აძლევდა, რომ შესულიყვნენ საუნივერსიტეტო სასადილოში, მოეპოვებინათ იაფფასიანი (ზოგჯერ უფასოც) საცხოვრებელი, ავადმყოფობის შემთხვევაში სამედიცინო დახმარება და უფასო კონსულტაციები სასწავლო დისციპლინებზე.

ბურსაში, სადაც სტუდენტები ცხოვრობდნენ, აუტანელი პირობები იყო. ჯერ ერთი, სტუდენტების საცხოვრებელი შენობა მეტად გადატვირთული იყო, მათ არ ჰქონდათ ადგილი განმარტოებისათვის. სტუდენტებზე დაწესებული იყო საგულდაგულო მეთვალყურეობა. მათ აუცილებლად უნდა დაეცვათ ადგომის, დილის ლოცვის, ლექციებზე დასწრების, დამოუკიდებელი მეცადინეობის, უნივერსიტეტიდან წასვლის დრო. მათ არ უნდა დაერღვიათ კარის დაკეტვისა და ძილის დრო. ბურსაში მეთვალყურეობას მაგისტრი ახორციელებდა, თუმცა სტუდენტებს ასევე გარს ეხვია ამხანაგი — დამსმენებიც. თვით იმ შემთხვევაშიც, როცა საქმე ეხებოდა არასავალდებულო ლექციებზე დასწრებას, საჭირო იყო რექტორის ნებართვა, ეს მკაცრად კონტროლდებოდა. ერთი სიტყვით, სტუდენტებს სპეციალური ნებართვის გარეშე არც ჭამა შეეძლოთ და არც მეცადინეობა, არც ძილი და დასვენება, არც დანახვა იმისი, რისი დანახვაც სურდათ. ამასთან, არ ვიქნებოდით მართლები, თუ ვიტყოდით, რომ მათი კვება ასატანი არ იყო, დღესასწაულებზე მათ სიმაგრეს მოკლებული ლუდის დალევის ნებაც ეძლეოდათ, ატარებდნენ უნიფორმას, ანაფორას რომ მოგაგონებდა, გვერდზე ეკიდათ დაშნა, თუმცა მისი ამოღება ქარქაშიდან ეკრძალებოდათ.

ბურსაში ერთი ასეთი წესიც იყო დამკვიდრებული. აქ ახალბედებისათვის იმართებოდა ე.წ. დეპოზიცია. ეს იყო თავისებური სკოლარული მონათვლის ცერემონია, რომლის დროსაც ახალბედას თავზე ახურავდნენ მასხარას ჩაჩს, ვირის ყურებით და თხის რქებით, პირზე უკეთებდნენ ღორის ეშვებს, რითაც სიმბოლურად გამოხატავდნენ ცხოველურ უგუნურებასა და უმდაბლეს გონებას. სულ მალე ახალბედა დიდი სისასტიკით იშორებდა ამ მორთულობას, თელავდა მას იმის ნიშნად, რომ ხელს იღებდა იმ უგნურებისა და უხეშობისაგან, რომელსაც აქამდე ატარებდა. ცერემონიის დასასრულს ახალბედა იღებდა ციკ შხაპს, რომელიც „პროფესიაში მონათვლის" სიმბოლოდ იყო მიჩნეული. ასე იწყებოდა სტუდენტობა.

ადრინდელ ნაკლოვანებებისაგან ამგვარად განთავისუფლებული მარტინ ლუთერიც შეუდგა მეცადინეობას თავისუფალი ხელოვნების ფაკულტეტზე, რომლის გავლა ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო იყო. სწავლების ამ ეტაპზე, ანუ თავისუფალ მოსამზადებელ განყოფილებაზე, სტუდენტები სწავლობდნენ „შვიდ თავისუფალ ხელოვნებას" (septem artes liberales), რომელიც იყოფოდა „ტრივიუმად" და „კვადრიუმად". მათი სასწავლო პროგრამა ენციკლოპედიური მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა. თან, დიპლომის მფლობელი, ვიდრე „პროფესიულ" ფაკულტეტზე (თეოლოგიურზე, იურიდიულზე ან სამედიცინოზე) გადავიდოდა, ვალდებული იყო აეთვისებინა მსოფლიო კულტურის მთელი სიმდიდრე. თავდაპირველად სტუდენტები ეცნობოდნენ „ტრივიუმს" (გრამატიკას, რიტორიკას და დიალექტიკას), რომლის ძირითადი მიზანი ლოგიკური პოლემიკის, ანუ, როგორც მაშინ ამბობდნენ, დიალექტიკური ნიჭის განვითარებაში მდგომარეობდა. ამ მიზანს ემსახურებოდა არა მარტო სახელმძღვანელო კურსები მჭერმეტყველებასა და ლოგიკაში, არამედ გრამატიკულ-რიტორიკული ვარჯიშობანიც, ასევე ყოველკვირეული დისპუტები, რომლებსაც ლექციებზე არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. სტუდენტები გრამატიკასა და ლათინურ ენაშიც განიმტკიცებდნენ ცოდნას. დევიზი იყო: განმეორება — ცოდნის

დედაა (repetitio mater studiorum). ამ სიბრძნეს ლუთერი ჯერ კიდევ აიზენახის ლათინურ სკოლაში ჩასწვდა და აქაც, ერფურტის უნივერსიტეტშიც, მან სწრაფად და წარმატებით დასძლია „ტრივიუმი". ის აქაც გამორჩეული სტუდენტი იყო, თუმცა ხშირად გულს დარდი მოაწვებოდა ხოლმე. ასეთ დროს ნუგეშის მოპოვებას მეგობრებთან ურთიერთობასა და ბიბლიის კითხვაში პოულობდა. მართალია, ბიბლიას იგი ჯერ კიდევ სკოლაში გაეცნო, აქაც კითხულობდა მის ცალკეულ ნაწყვეტებს, სრული ტექსტი კი დიდ ფუფუნებად ითვლებოდა, მაგრამ ერთ მშვენიერ დღეს ლუთერმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში აღმოაჩინა ბიბლიის სრული ტექსტი და მისი კითხვა დაიწყო, თან დაიფიცა, რომ თავისთვის აუცილებლად იშოვიდა ამ წიგნს, რათა სურვილისამებრ წაეკითხა იგი. წიგნის ბეჭდვის წყალობით ამის აღსრულება ძნელი არ იყო.

მას ნუგეშს გვრიდა აგრეთვე მუსიკა. მატეზიუსი გადმოგვცემს, რომ ლუთერს მუსიკის სიყვარული მთელი ცხოვრების მანძილზე დაჰყვებოდა. ის უკრავდა ლიუტნაზე და მეგობართა წრეში ხალისით მღეროდა კიდეც. კროკუსი წერდა, რომ მეგობრები მას ხშირად „მუსიკოსად" მოიხსენიებდნენ. ლუთერი გონებამახვილი და სწორუპოვარი პოლემისტიც იყო, ამიტომ მიიღო მან „ფილოსოფოსის" მეტსახელი.

სიბეჯითემ ლუთერს მალე მოუტანა წარმატება: 1502 წლის სექტემბერში (უნივერსიტეტში შესვლიდან ერთი წლის თავზე) მას თავისუფალი ხელოვნების ბაკალავრის პირველი საუნივერსიტეტო ხარისხი მიანიჭეს. ერთადერთი გამოცდა, რომელიც ლუთერმა ჩაბარა, იყო ზეპირი გასაუბრება, რომელმაც რამდენიმე საათი გასტანა. გამოცდის ჩაბარების შემდეგ მან ხარისხთან ერთად მანტიაც მიიღო და ამიერიდან უმცროსი სტუდენტობის რანგიდან გადავიდა სტუდენტი-რეპეტიტორების კატეგორიაში. მას უკვე შეეძლო კათედრიდან მიემართა სკოლიარებისათვის, გაეწია მათთვის ხელმძღვანელობა გრამატიკასა და ლოგიკის მომზადებაში.

ასევე წარმატებული იყო ლუთერისთვის სწავლების მომდევნო ეტაპი, ანუ „კვადრიუმი", რომელიც მოსამზადებელი

საფეხური იყო მაგისტრის ხარისხის მისაღებად. „ოთხეულში“, რომელიც შემუშავებული იქნა ჯერ კიდევ ბოეციუსის მიერ, შედიოდა ისეთი დისციპლინები, როგორიცაა არითმეტიკა, გეომეტრია, ასტრონომია და მუსიკა. ნათელია, თუ „ტრივიუმის“ პროგრამაში შედიოდა ჰუმანიტარული საგნები, „კვადრიუმი“ მეტწილად საბუნებისმეტყველო დისციპლინებისაკენ იხრებოდა, თუმცა მკაცრად დაყოფა მეცნიერებისა, როგორიც დამახასიათებელია კლასიკური ცოდნისათვის, მაშინდელ დროს არ არსებობდა. თვით გრამატიკაში, რომელიც უპირველესად ენის კანონების რაციონალური აგების თვალთახედვით განიხილებოდა, ტექსტების კითხვა ეყრდნობოდა არა იმდენად წესების ცოდნას, რამდენადაც იდეების ათვისებას. ამიტომ არაა გასაკვირი, რომ გრამატიკა ითვლებოდა დიალექტიკის შემადგენელ ნაწილად. ასევე უნდა ითქვას ფილოსოფიის შესახებაც. მართალია, ფილოსოფია, როგორც საგანი სულაც არ შოიხსენიებოდა თავისუფალი ხელოვნების სასწავლო პროგრამაში, მაგრამ ფაქტიურად ყველა დისციპლინა, რომელიც აქ გაიაზრებოდა, არსებითად ფილოსოფიაზე დაიყვანებოდა. ასე, მაგალითად, მასწავლებლები სტუდენტებს აცნობდნენ ნატურალურ-ფილოსოფიურ, მეტაფიზიკურ და მორალურ-ფსიქოლოგიურ შრომებს, ლუთერს განსაკუთრებით იტაცებდა „წარმართი“ ფილოსოფოსის არისტოტელეს წიგნები (ლოგიკა, ფიზიკა, ეთიკა), იგი სწავლობდა აგრეთვე ევკლიდეს გეომეტრიას, იოჰან დე მურისის არითმეტიკასა და მუსიკას, პტოლემეს ასტრონომიას, ეცნობოდა რომაელი პოეტებისა და მორალისტების — ციცერონის, ოვიდიუსის, ვერგილიუსის, ლივიუსის, ჰორაციუსის და სხვათა თხზულებებს, მაგრამ არა მარტო ენის, სტილის გამომუშავებისათვის, როგორც ამას ჰუმანისტები აკეთებდნენ, არამედ იმისათვის, რათა ჩაწვდომოდა მათ შინაგან არსს და გაეგო ყველაფერი, რაც სასარგებლოა და ცხოვრებაში გამოსადეგი.

მასწავლებლები დაეხმარნენ ლუთერს შუასაუკუნეობრივი მსოფლმხედველობის — თომიზმის უკეთ გააზრებაში. ესაა სისტემა შეხედულებებისა, რომელიც შემუშავებულ იქნა

„ღვთისმეტყველების მეფის“ თომა აკვინელის (1225-1274) მიერ. ეს უკანასკნელი, ეყრდნობოდა რა არისტოტელეს ფილოსოფიურ მემკვიდრეობას, ამტკიცებდა, რომ ის, რაც ჭეშმარიტია ღვთისმეტყველების თვალსაზრისით, ჭეშმარიტია ფილოსოფიისა და მეცნიერების თვალსაზრისითაც, რომ წინააღმდეგობა არ არსებობს რწმენასა და გონებას შორის, რომ რწმენა უნდა ემორჩილებოდეს თეოლოგიას. მაგრამ მარტო რწმენაც არ კმარა, იგი უნდა განმტკიცდეს გონებით. ეს არის სქოლასტიკური ანუ ქრისტიანული ფილოსოფია, რომელიც, როგორც მოგვიანებით ვიტყვით, ლუთერისთვის მიუღებელი აღმოჩნდა.

მასწავლებელთა დახმარებით გაეცნო ლუთერი გვიანდელი სქოლასტიკოსის უილიამ ოკამის (1285-1349) მოძღვრებასაც, რომლის თანახმად მიწიერი მოვლენების შემეცნებაში გონებას განუსაზღვრელი შესაძლებლობა აქვს; ან ადამიანის თავისუფალ ნებას ყველაფერი ძალუძს; ან ღმერთი გონებით მიუწვდომელია; ან ღმერთი თვითონ გამოავლენს თავს სახარებაში. რა თქმა უნდა, ამ მოძღვრებიდან ლუთერისთვის ბევრი რამ მიუღებელია, მაგრამ არის რიგი საკითხებისა, რასაც ლუთერი იზიარებს. მაგალითად იმას, რომ დედამიწა ბრტყელი კი არ არის, არამედ მრგვალია, რომ მთვარე ახდენს ზღვის მიმოქცევასა და უკუქცევას, რომ ყველაფერი, რასაც დედამიწაზე ვხედავთ, მიდრეკილია ცვლილებებისკენ და დაღუპვისაკენ.

მასწავლებელთა შორის, რომლებიც ლუთერს უკითხავდნენ ლექციებს, ისეთებიც იყვნენ, რომლებიც არა მარტო სხვათადასხვათა იდეების მოშველიებით, არამედ საკუთარი მოძღვრებითაც ახდენდნენ გავლენას მომავალ რეფორმატორზე. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფესორი (იმავდროულად რექტორი ერფურტის უნივერსიტეტისა) იოდოკუს ტრუტვეტერი, რომელიც ლექციებს კითხულობდა ნატურფილოსოფიაზე. იგი ავტორია წიგნების: „ტრაქტატი ლოგიკის შესახებ“ და „ბუნების ფილოსოფიის ჯამი“. მისი კრიტიკული იდების ანარეკლია ის განწყობილება, რომელსაც ლუთერი ამჟღავნებდა ფსევდო-მეცნიერებების მიმართ. ალქიმიასა

და ასტროლოგიას იგი ძალზე საჭვო დისციპლინად მიიჩნევდა. შემთხვევითი არ იყო, რომ ტრუტვეტერმა, მასწავლებელთა შორის პირველმა, ლუთერს დიდი მომავალი უწინასწარმეტყველა.

ლუთერის მასწავლებელთა შორის ასევე აღსანიშნავია ჰუმანისტები: მატერნუს პისტერისი, იერონიმე ემსერი, კროტუს რუბიანუსი, იუსტ იონასისი, ეობან ჰესი და სხვები, რომლებიც ასწავლიდნენ მას ლათინურ ენას და ძველ რომაელ კლასიკოსებს: ვერგილიუსს, ოვიდიუსს, ტერენციას, ჰორაციუსს და სხვებს. იმავდროულად ლუთერს ბერძნულ ენას ასწავლიდნენ ნიკოლას მარშაკი და იოჰან ლანგი. ტრუტვეტერთან ერთად ლუთერის ფილოსოფიურ განათლებაში დიდი წვლილი შეიტანეს მასწავლებლებმა: გერარდ გეკერმა, ჰანს გრევენშტეინმა და ბართლომე .იუზინგენელმა. სწორედ ამ მასწავლებელთა წყალობით შეძლო ლუთერმა სულ რაღაც სამ წელიწდში დაეძლია „კვადრიუმით" გათვალისწინებული უზარმაზარი პროგრამა და ჩაებარებინა გამოცდები თავისუფალი ხელოვნების მაგისტრის ხარისხის მოსაპოვებლად. ეს ხარისხი მან 1505 წლის თებერვალში მიიღო. განუზომელი იყო მისი სიხარულიც.

ცნობამ ლუთერის წარმატების შესახებ მანსფელდშიც ჩააღწია, საზეიმოდ განაწყო მშობლები, და-ძმები და ნათესავები. მამა-ჰანსისათვის გასაგები შეიქმნა თუ რაოდენ უსამართლოდ მოექცა იგი შვილს, როცა ერთი ხანი სკოლიდან გამოიყვანა და დაასკვნა: „მისგან კაცი არ გამოვაო".

§3 „ზეციური რისხვა" და ცით აღვლენილი აღთქმა

მაგისტრის ხარსხის მოპოვება, რა თქმა უნდა, დიდი წარმატება იყო, მაგრამ ახალგაზრდა მაგისტრი ამაზე გაჩერებას არ აპირებდა, თან საერო და საეკლესიო მოღვაწეობის სფეროდან რომელი აერჩია, ჯერ ვერ გადაეწყვიტა. ჩანს, მამა ჰანსს, ამაზე უკვე ჰქონდა ნაფიქრალი. მას შვილისათვის სურდა საერო და არა საეკლესიო გზა, ვინაიდან მას სძულდა სამღვდელოების საქმიანობა, მათ მუქთახორებსა და უსაქმურებს უწოდებდა, ოცნებობდა, რომ შვილისაგან გამოსულიყო სამართლის

დოქტორი, რაც მას ოდესმე ბურგომისტრის თანამდებობას, ან კიდევ (ყოფილა ასეთი შემთხვევები) აზნაურის ტიტულის მოპოვებაში დაეხმარებოდა. ამ რწმენითა და მტკიცე გადაწყვეტილებით ჰანსი შვილს საჩუქრად იუსტინიანეს „სამოქალაქო სამართლის კოდექსს" (Corpus Iuris) უგზავნის და თანაც შვილისადმი გაგზავნილ წერილში წერს, რომ მისთვის ღირსეულ საცოლეს არჩევს.

მამის ნებისთვის ლუთერს წინააღმდეგობა არ გაუწევია, იგი ერთხანს სწავლას განაგრძობს ერფურტის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ მამის მიერ ნაჩუქარმა იუსტინიანეს კოდექსმა და იურიდიულმა ლიტერატურამ, რომლსაც მას ტიტულოვანი იურისტები ასწავლიდნენ, სულ მალე საფიქრალი გაუჩინა, იმ გარდაუვალობაში ჩაახედა, რომ იურისტად გახდომის შემთხვევაში თვითონ ლუთერსაც მოუწევდა იმათ შორის დადგომა, ვინც გერმანელი მთავრების ბატონყმური და აბსოლუტური სწრაფვის აღმსრულებლები იყვნენ, ვინც ბატონყმურ ჩაგვრას ამართლებდა. საზოგადოებაში ტყუილუბრალოდ როდი სძულდათ რომაული კანონის მცოდნეები. გლეხური წარმოშობისა და დემოკრატიული სულის მქონე ლუთერს იმთავითვე შესძულდა ეს სამართალი, გული ვერ დაუდო მის კითხვას. მალე მან უარი თქვა იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლის გაგრძელებაზე და ბერად აღიკვეცა. ამ გადაწყვეტილების მიღებაში, გარკვეული როლი, როგორც ვთქვით, ღვთისმოშიში მშობლების სიმკაცრემაც შეასრულა, ალბათ იმ ფაქტმაც, რომ ერთ მშვენიერ დღეს უნივერსიტეტის მონასტრის ბიბლიოთეკაში ძველ წიგნებს შორის ლუთერმა ალბათ ათასწლეულების მანძილზე გადაუშლელ წიგნს, საღვთო წერილის სრულ ლათინურ თარგმანს მიაკვლია.

ახალგაზრდა კაცი გაკვირვებით იწყებს ამ წიგნის კითხვას და საშინელი ძრწოლით ამთავრებს — რატომ ვართ ყველანი ადამში დასჯილნი და არა ხსნილნი ქრისტეთი? ღმერთმა ჯერ კიდევ ქვეყნის შექმნამდე არა მარტო იცოდა, ასე რომ მოხდებოდა, არამედ სურდა კიდეც ეს მომხდარიყო, მაშ რას უნდა ნიშნავდეს

ღმერთის წყალობა? მას ხშირად ესიზმრებოდა, რომ მოკვდა და განაჩენის მოლოდინში საშინელი სამსჯავროს წინაშე იდგა: ჯოჯოხეთი თუ სამოთხე. „ეს სიზმარია თუ სინამდვილეშიც ასე მოხდება", — ეკითხებოდა იგი თავის თავს და ცივი ოფლი ასხამდა საშინელებისაგან. ამას ზედ დაერთო ორი მნიშვნელოვანი მოვლენა მის ცხოვრებაში, რამაც საბოლოოდ გადააწყვეტინა მონასტრისკენ მიბრუნება.

1503 წელს ლუთერი თავის ერთ-ერთ მეგობართან ერთად მშობლების მოსანახულებლად უნდა წასულიყო მანსფელდში. გამგზავრების დღეს, დილით, როცა მეგობრის ბინაში მივიდა, მან შემაძრწუნებელი სურათი იხილა — მეგობარი იატაკზე ეგდო და სისხლში ცურავდა, დანით ჰქონდა ყელი გამოჭრილი. ბოროტმოქმედებმა, ღამით რომ მოვიდნენ, იგი გაქურდეს და მოკლეს. რამდენიმე დღის მანძილზე ლუთერი გაოგნებული დადიოდა. „თუ არ მოინანიებთ ყველანი ესე დაიღუპებით, რა უნდა ქნა, როგორ უნდა იხსნა თავი?" — ეს მან ჯერ კიდევ არ იცოდა.

მეორე შემთხვევა, რომელიც ლუთერს გადახდა, ასევე დრამატულია: 1505 წლის 2 ივლისს იგი მანსფელდიდან ერფურტში ბრუნდებოდა. უეცრად ცა მოიქუფრა, ღრუბლებმა დაფარა იგი და კოკისპირული წვიმა დაუშვა. დასველებისა და ჭექა-ქუხილისაგან თავი რომ დაეღწია, მარტინმა ნაბიჯს აუჩქარა, შემდეგ მინდვრით გაიქცა, რათა ხისათვის შეეფარებინა თავი, მაგრამ მოულოდნელად ძლიერმა ხმამ შეაზანზარა არემარე, სულ ახლოს მეხი დაეცა, რომლის ტალღამ იგი მიწაზე დასცა. ლუთერი, — როგორც შემდეგში თვითონ იგონებდა, — „მოულოდნელი სიკვდილის შიშმა შეიპყრო", იმავდროულად იმის ეჭვი აწვალებდა, მოხვდებოდა თუ არა სამოთხეში სიკვდილის შემთხვევაში. მიწაზე გართხმული ლუთერი ლოცულობდა, ევედრებოდა მაღაროელთა მფარველად მიჩნეულ წმ.ანას, მისგან შველას ითხოვდა, თან აღთქმაც აღავლინა: გადარჩენის შემთხვევაში, აღკვეცილიყო ბერად. „წმინდა ანა, დამეხმარე და მე გავხდები ბერი", — ასეთი იყო მისი არჩევანი.

ასე და ამდაგვარად ლუთერმა მანსფელდში წასვლაზე ხელი აიღო, ერფურტში დაბრუნდა და თავის გადაწყვეტილების შესახებ ამცნო მეგობრებსა და მასწავლებლებს. თან იწყო წიგნების გაყიდვა, გაყიდა ყველაფერი, რაც კი გააჩნდა, გარდა ვერგილიუსისა და 16 ივლისს დაბინავდა ერფურტის წმ. ავგუსტინეს მონასტერში და იწყო მზადება ბერად აღკვეცისათვის.

ლუთერის ამ ნაბიჯს, რუსი ფილოსოფოსი ერიხ სოლოვიევი აპოკალიფსურ განწყობილებითაც — „ქვეყნის დასასრულის" მოახლოების შიშითაც — ხსნის, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო XV-XVI საუკუნეების გერმანიის ფართო მასების შეგნებისათვის.

„აპოკალიფსური განწყობა, — წერს ე.სოლოვიევი, — განპირობებული იყო მრავალი გარემოებით: ხშირი ეპიდემიით, გამუდმებული ფეოდალური შინაომებით, თურქეთის მხრიდან თავდასხმების შიშით". „ამასთან, — განაგრძობს ე. სოლოვიევი, — გერმანიის საზოგადოების ზედაფენებში ბატონობდა ვერაგობა და ცინიზმი, გაუტანლობა; იყიდებოდა თანამდეობანი, უმოწყალოდ ითრგუნებოდა ქვეყნისა და ხალხის ინტერესები; ქრთამი კანცელარიებსა და სასამართლოებში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა, ფართოდ გავრცელდა ლოთობა და ძვლის თამაში".

ცხადია, საზოგადოების ზედაფენის ამგვარი „ზნეობრივი დაცემა" — გადაგვარება ფართო მასების სასოწარკვეთილებას იწვევდა, უკარგავდა იმედს მომავლისადმი, რწმენას ამქვეყნიური ცხოვრებისადმი. გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც ლუთერი იქნებოდა, ბერობაში დაინახა მან სულის ხსნის საწინდარი.

ლუთერის ამ ნაბიჯმა მშობლებისა და ნათესავების აღშფოთება გამოიწვია, ლუთერს მოუვიდა მამის მუქარის შემცველი წერილი, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ შვილის წინააღმდეგ მის გამოსვლას ანტიკლერიკური მისწრაფება ედო საფუძვლად, მას მხოლოდ, როგორც ამას ქვემოთ ვიტყვით, ცხოვრებისეული ინტერესები ამოძრავებდა. ჯერ ერთი, ლუთერის არჩევანი აქარწყლებდა მამის ოცნებას შვილის — ბურგომისტრობასა და აზნაურობაზე. მეორეც, ცელიბატი (უცოლობის

აღთქმა) გამორიცხავდა, რომ ჰანსის გვარი მისი ყველაზე ნიჭიერი შვილიდან გაგრძელებულიყო. მესამეც, მონასტრები XVI საუკუნეში ცუდი რეპუტაციით სარგებლობდა (მიჩნეული იყო სიზარმაცის, ანგარების და გარყვნილების კერად), რაც საკმარისი იყო იმისათვის, რომ მკაცრი და მტკიცე ჰანსი დამუქრებოდა ლუთერს, რომ ხელს იღებდა ყოველგვარ მშობლიურ წყალობაზე.

მაგრამ სულ მალე მდგომარეობა შეიცვალა. 1505 წლის ზაფხულში შავმა ჭირმა, რომელიც მძვინვარებდა მთელს ტიურინგიაში, იმსხვერპლა მარტინის ორო უმცროსი ძმა. გავრცელდა ცნობა, თითქოს მარტინიც გახდა შავი ჭირის მსხვერპლი, მაგრამ როცა გაირკვა, რომ ეს ცნობა ჭორი იყო, ჰანსი და მისი ნათესავები შეურიგდნენ ლუთერის ბერად აღკვეცის სურვილს. ჰანსმა თავისი თანხმობა წერილით დაადასტურა, რამაც ლუთერი სულიერი დეპრესიისაგან გამოიყვანა.

§ 4. ბერული ცხოვრება (1505-1506)

ავგუსტინელთა მონასტერში ბერად აღკვეცა ერთბაშად არ მომხდარა, ლუთერს მოსამზადებელი დრო მიეცა, ჯერ „მორჩილად“ განაწესეს და ჩააცვეს შესაბამისი თეთრი ანაფორა, ზედამხედველად მიუჩინეს ასაკოვანი და კეთილადაღზრდილი მოძღვარი, რომელმაც, როგორც შემდეგ იგონებდა ლუთერი, ახალბედას გააცნო ზოგიერთი ვალდებულება, რომელიც ყოველდღიურად უნდა შეესრულებინა მას. ეს ვალდებულებანი გადმოცემული იყო წესდებაში, რომელიც სამონასტრო ცხოვრებაში ჯერ კიდევ 1290 წლიდან მოქმედებდა. მორჩილს წესდების მტკიცედ დაცვა ევალებოდა, ამ წესების თანახმად მორჩილს არც უნდა გაეცინა, არც უნდა ელაპარაკა, მოღუშულსა და თავდახრილს უნდა ევლო მოზომილი ნაბიჯებით, მას გვერდით გახედვაც კი ეკრძალებოდა. კერძო საუბრებისათვის ახალბედებს სპეციალური ნებართვა სჭირდებოდათ, თანაც ეს საუბრი მათ შეეძლოთ სამონასტრო ტერიტორიის სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე პრიორის ან მოძღვრის თანდასწრებით, ამ საუბრების

დროს მათ კატეგორიულად ეკრძალებოდათ ხუმრობები, ურთიერთშექება და მრავალსიტყვაობა. მათთვის დაწესებული იყო თვით ჭამისა და დალევის განრიგიც, რომლის დარღვევაც სასტიკად ეკრძალებოდათ, თანაც წყლის დალევა მათ მხოლოდ დამჯდარს შეეძლოთ, ტოლჩა ორივე ხელით უნდა სჭეროდათ. ლუთერს კიდევ იმის ცოდნაც ევალებოდა, თუ ვის წინაშე, ან კიდევ სად და როდის უნდა მოეყარა მუხლი. მუხლის მოყრა ღვთისმსახურების დროს ჩვეულებრივი ამბავი იყო, ახლა მან ისიც გაიგო, რომ უფროსების წინ მუხლმოყრილი მანამადე უნდა მდგარიყო, ვიდრე ადგომის ნებას არ დართავდნენ. მნიშვნელოვანი იყო ლოცვებისა და წირვის განრიგის ცოდნაც, რომელზეც ზარების რეკვაც მიგვანიშნებდა. ლოცვებს შორის შუალედში მორჩილი ხედავდა სენაკს, ხელგაწვდილი ითხოვდა მოწყალებას, მუშაობდა სამზარეულოში, მონაწილეობდა სხვებთან ერთად ჯვრით სიარულში, ასუფთავებდა დერეფანს, სატრაპეზოს, ბიბლიის საკითხავ დარბაზს და ეკლესიას.

ლუთერს თვით ლიტურგიების შესრულებაში მიღებული წესების ცოდნაც ევალებოდა. მან იცოდა, რომ პირველი ლიტურგია, რომლის დროსაც მორჩილები და ბერები დგებოდნენ, დილის ორ საათზე სრულდებოდა, ხოლო უკანასკნელი ლიტურგია სრულდებოდა დღის მიწურულს. ახლმოსულები, მათ შორის ლუთერიც, ლოცვებსა და ლიტურგიებს შორის შუალედებში ეწეოდნენ სამეურნეო საქმეებს, ასკეტურ ვარჯიშებს და კითხულობდნენ ბიბლიას.

მორჩილი ჩვეულებრივ ცხოვრობდა სენაკში (პატარა ოთახში), რომელიც არ თბებოდა. იქ იდგა ხის საწოლი, რომელზეც გადაფარებული იყო ჩალის ლეიბი და მაუდის საბანი. აქვე იდგა მაგიდა და სკამიც. მაგიდაზე იდო ბიბლია, ხოლო კედელზე ეკიდა ჯვარი. ოთახს ანათებდა სანათი. სხვა ნივთების შემოტანის უფლება მორჩილს არ გააჩნდა. ოთახის ზემოთ კედელში გაყვანილი იყო ჭრილი, საიდანაც არაფერი არ ჩანდა, გარდა ცისა. სენაკის კარი არ იკეტებოდა და ჰქონდა საჭვრეტი, რომლის მეშვეობითაც იქ მცხოვრების თვალთვალი მუდამ

შესაძლებელი იყო. მას არაფრის თქმა არ შეეძლო, გარდა ლოცვისა. თვით ბიბლიის წაკითხვა და გააზრება, რომელიც ერთ-ერთი მთავარი ვალდებულება იყო მორჩილისა, მას ჩუმად უნდა გაეკეთებინა, მეზობელთან სტუმრობა ეკრძალებოდა, ფაქტობრივად მონასტერში გამეფებული იყო დესპოტური სიჩუმე, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში მისგან გულახდილობას მოითხოვდნენ.

მორჩილს კვირაში ერთხელ გულახდილი აღსარებაც ევალებოდა, იგი აქტიურად მონაწილეობდა ე.წ. „საყოველთაო მონანიებაში", რომელიც ყოველთვიურად ტარდებოდა. ამ დროს მუხლებზე დაცემული მორჩილები და ბერები წარმოთქვამდნენ თავიანთ ცოდვებს, თუმცა არც იმის თქმა ავიწყდებოდათ, რაც, მათი აზრით, თანამოძმეთა გადაცდომებს ეხებოდა: „ძმა გუსტავს ეს არ უნდა გაეკეთებინა", „არც მარტინს უნდა დაეშვა ამის გაკეთება", — ამბობდნენ ისინი მონასტრის ხელმძღვანელობის წინაშე. ფაქტობრივად, ეს ორმხრივი დასმენა იყო, რაც კეთდებოდა საერთო ინტერესებისადმი ზრუნვის მოტივით.

მორჩილთა ვალდებულებანი, რა თქმა უნდა, ამით არ ამოიწურებოდა. მათ რელიგიური ცოდნის გაღრმავებაც ევალებოდათ. ამ მიზნით, აწვალებდა რა კითხვა — რა არის საჭირო, რათა მოიპოვოს ღმერთის მოწყალება, ლუთერი გამუდმებით კითხულობდა მონასტერში არსებულ წიგნებს, ბიბლიასა და საეკლესიო მამათა თხზულებებს. მას განსაკუთრებით იტაცებდა ნეტარი ავგუსტინე, რომელიც ცხოვრებას მხოლოდ რწმენის მეშვეობით ქადაგებს. ასეთივე აზრს იგი პოულობს მისტიკოსებთან, სუზოსთან, ეკარტთან, აგრეთვე XIV საუკუნის გერმანელი მისტიკოსების თხზულებებში, „გერმანულ თეოლოგიასა" (ავტორი არ არის ცნობილი) და ტაულერის ქადაგებებში, რომლებიც რელიგიას განიხილავდნენ, როგორც მორწმუნე სულის შინაგან აქტს.

მორჩილთა განსაკუთრებულ მოვალეობას მაინც ახალი აღთქმის და, საერთოდ, ბიბლიის კითხვა შეადგენდა. მის შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებს გენერალური ვიკა-

რიუსის იოპან შტაუპიცის ეს სიტყვებიც: „გულმოდგინედ შეისწავლეთ და სიყვარულით მოისმინეთ ბიბლია“, – მიმართავდა იგი წმ. აგუსტინეს შვილებს. მისი შეგონებისაგან თავისუფალი არც ლუთერი ყოფილა, თუმცა, როგორც თვითონ იგონებს, ამ სულიერ საზრდოს იგი სკოლის მერხიდანვე ეწაფებოდა. მისი კითხვა მას არც ეკლესიაში შეუწყვეტია. „მონასტერში შესვლისთანავე, პირველი, რაც მოვიკითხე, ბიბლია იყო“,– წერდა იგი.

ლუთერი ეცნობა შუა საუკუნეების დიდი ავტორიტეტის, ფრანგი ღვთისმეტყველის და მისტიკის ფუძემდებლის ბერნარ კლერვოელის (1091-1153) ქადაგებებსა და მიმართვას ბერებისადმი, რომელიც შედიოდა მორჩილთა შესწავლის პროგრამაში. მიმართვის ავტორი ბერებს არაერთხელ აფრთხილებს, რომ უარი თქვან საკუთარი სიწმინდის ცრუ წარმოდგენებისაგან. „ძალზე ხშირად, – წერდა ბერნარი, – ვხვდებით ბერებს, რომლებიც, აღიკვეცებიან რა ბერებად, უკვე თავს ცხონებულად თვლიან“. მათ არ იციან, რომ სულის ხსნა ერთიანად დამოკიდებულია ღვთის წყალობაზე, რომ ღვთისაგან „გვერგო საჩუქრად ნეტარება“. ბერნარი იმ აზრსაც გამოთქვამდა, რომ ღვთაებრივი მოტივების მისაღებად, ცოდვისაგან განსაწმენდად, არ კმარა მონანიება, თუ იგი მხოლოდ გარეგნულად ხდება. მის გარეგნულ საქმეებს, თვით მართალსაც კი, თუ არ ახლავს ჭეშმარიტი რწმენა, არ შეუძლია მისი გული გახადოს უმწიკვლო, – ამბობდა იგი და იქვე დასძენდა: „კეთილი საქმეები ცოცხალი რწმენის გარეშე მკვდარია“, თუმცა მას თან უნდა ახლდეს ღვთის მოწყალებაც. ამ მოწყალებას კი მხოლოდ მორჩილებით და მონანიებით დავიმსახურებთ. ამ გამონათქვამებში ლუთერისათვის ბევრი რამ მისაღები იყო.

ლუთერი ასევე გულმოდგინედ ეცნობოდა XIII საუკუნის დიდი ფრანცისკანელი ავტორისა და რეფორმატორის წმ. ბონავენტურას თხზულებებს – „სრულყოფილ ცხოვრებას“ და „სულის ვარჯიშობებს“, რომელშიც განვითარებულია ის აზრი, რომ სულის ხსნის უპირველს პირობას მორჩილება წარმოადგენს,

რომ მხოლოდ მორჩილების გზით გავიგებთ, რომ „ღმერთი არის შემოქმედი ყველა სიკეთისა“.

ასე და ამგვარად, აღსრულებდა რა მორჩილის მოვალეობას, ძმა მარტინი დაბეჯითებით ეცნობოდა შუა საუკუნეების სულიერ მოაზროვნეთა მოძღვრებას. რამდენად მისაღები იყო ეს მოძღვრება ან მათ მიერ შემოთავაზებული გზები სულის ხსნისა, ეს სხვა საქმეა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ლუთერი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რომ მოეტეხა თავისი სიამაყე, შეემოწმებინა თავისი სინდისი, მოეწესრიგებინა თავისი აზრები და გრძნობები, და ბოლოს, ყველაზე მთავარი მაინც, რაც მას უნდა გაეკეთებინა სულის ხსნისთვის და ბერად აღკვეცისათვის, იყო აღთქმა სიღარიბისა, უმწიკვლოებისა და მორჩილებისა და როცა ლუთერმა ყველაფერი პირნათლად აღასრულა, მან მოძღვრისაგან მიიღო დასტური, რომ მორჩილმა საკმარისად შეამოწმა თავისი თავი და იგი ღირსია გახდეს ბერი და ავგუსტინელთა ორდენის წევრი.

გამოსაცდელი ვადა მარტინს 1506 წლის სექტემბერში დაუმთავრდა და იგი ავგუსტინის სახელით ბერად აღიკვეცა, გაიხადა მორჩილის თეთრი ანაფორა და შავად შეიმოსა, რომელიც შეეფერებოდა მის ახლანდელ მდგომარეობას. ამგვარად, დაბალი სამსახურის დრო უკან დარჩა და ვინაიდან ლუთერი თავისუფალი ხელოვნების მაგისტრი იყო, მისი აღმასვლა საეკლესიო იერარქიის კიბეზე კიდევ უფრო სწრაფად წარიმართა. 1506 წლის 19 დეკემბერს იგი იპოდიაკონი გახდა, 1507 წლის 27 თებერვალს — დიაკონი, ხოლო 1507 წლის 4 აპრილს ეპისკოპოსმა იოჰან ფონ ბონემიშმა მას ერფურტის ტაძარში მღვდლის ხარისხი მიანიჭა. ახლა ლუთერს შეეძლო და მოვალეც იყო ჩაებარებინა წმინდა აქტები — მონათვლა, ცოდვათა მიტევება, ქორწინება, ზიარება და ა.შ., რომლითაც ეკლესია გამოიშვიათებულია ღვთის წყალობასთან.

სხვათა შორის, ბევრისათვის მღვდლის თანამდებობა ცხოვრების გაუმჯობესების საშუალება იყო. მაგალითად, ჩეხი იან ჰუსი, რომელიც შეძლებული გლეხის შვილი იყო, თავის მო-

გონებებში არ მალავდა: მღვდლობა იმიტომ სურდა, რომ მოეპოვებინა საპატივცემულო მდგომარეობა და საშუალება უკეთესი ცხოვრებისათვის. განსხვავებით ამ კატეგორიის ადამიანებისაგან, ლუთერისათვის მთავარი იყო არა საარსებო საშუალების გაუმჯობესება, არამედ ჩაწვდომა იმ არსსა და იდეაში, რომელიც ახლდა მღვდლის მოვალეობის აღსრულებაში.

მღვდლად ყოფნას ერთი თავისებურებაც ახლავს. იგი პრინციპულად სხვა რამეა, ვიდრე იყო მაგისტრი. მაგისტრის ხარისხის მოპოვება შრომითა და ცოდნის შემოწმებით შეიძლებოდა, ამ ხარისხს სწავლულები განიჭებდნენ და მერე შეგეძლო ევროპის ყველა უნივერსიტეტში გესწავლებინა სტუდენტებისთვის. რაც შეეხება მღვდლობას, მის წინაპირობას წარმოადგენს არა მეცადინეობა და დამსახურება, რომლის წაყენება ან მოთხოვნა შეიძლებოდა, არამედ სულიერ-ზნეობრივი სიწმინდის ქონება. მღვდლობის კანდიდატი უცოდველია, აღსავსეა მრევლისადმი სიყვარულით და ღვთაებრივი მოწყალებისადმი უეჭველი რწმენით. ამას ითხოვდა გაბრიელ ბილის წიგნიც — „მესის განმარტება", რომლის წაკითხვის რეკომენდაცია მიეცა ლუთერს. ბილის წიგნში მღვდლად კურთხევა განიხილება, როგორც წყალობის აქტი, როგორც თავდაპირველად დადგენილი ჯილდოს გაცემა, რომელიც ეძლევა ზემოდან და გარედან. ეს კურთხევა განსაკუთრებული უფლებამოსილებისა და სულიერი ძალების გადაცემას ნიშნავდა. ასე მოიქცა იესო ქრისტე, როცა მან თავის მოციქულებს (უპირველესად კი პეტრეს) ასეთი ძალა უბოძა. მოციქულები კი ამ ძალას თავის მიმდევრებს გადასცემდნენ. მასასადამე, ეს საჩუქარი ანუ ძალა, როგორც ვთქვით, გარედან მოდიოდა და მას არაფერი საერთო არ ჰქონდა კონკრეტულ ადამიანთან, რომელშიც ის მოქმედებდა. მღვდელი იყო მხოლოდ მისი ჭურჭელი და რასაც მღვდელი აკეთებდა, გამოვლენა იყო არა მისი ნების, არამედ წმინდა სულის. ის კი უცვლელი და უკვდავია. ეს აძლევდა მღვდელსაც „წოდების ხელშეუვალობას". შეიძლება ის მოეკლათ, ჩაექოლათ ან ჩა-მოეხრჩოთ, მაგრამ მას მღდვლობას ვერ წაართმევდნენ. შეიძლება

მღვდელი ეკლესიიდან განკვეთილიც ყოფილიყო, მაგრამ მღვდლად ყოფნას არ წყვეტდა და კვლავ შეეძლო ეზიარებინა ის, ვინც სიკვდილს ელოდა. ამაში იყო მღვდლის ელიტარულობის და რჩეულობის შეგნება.

ელიტარულობისა და რჩეულობის შეგნებას არ შეიძლება ლუთერშიც არ გაეღვიძებინა კმაყოფილობის გრძნობა, არ ჩაენერგა სულიერი მხნეობა, მაგრამ მღვდლად კურთხევის შემდეგ, პირველსავე წირვაზე, რომელიც 1507 წლის 2 მაისს შედგა, ლუთერმა ეს მხნეობა ვერ გამოავლინა წირვაზე, რომელიც მიმდინარეობდა მღვდლების, სამონასტრო ძმების და ნათესავების (მათ შორის მამის) თანდასწრებით, ახალგაზრდა (23 წლის) მღვდელში შიშმა იმძლავრა. ის-ის იყო წარმოთქვა ლოცვა: — „შენ ცოცხალ ღმერთს, მარადიულს, ჭეშმარიტს", რომ თავი შეუძლოდ იგრძნო და საკურთხევლიდან გაქცევასაც კი შეეცადა. „მეშინია! მეშინია!" - იმეორებდა საკმაოდ ხმამაღლა. მხოლოდ გვერდით მდგომმა იღუმენმა შეაჩერა ის გაქცევისაგან. შემდეგ მან ძალები მოიკრიბა და წირვაც წარმატებით დაასრულა.

წირვის შემდეგ ლუთერმა ღირსეულ გარემოცვაში საზეიმო ტრაპეზიც გამართა, სადაც უფრო თავის დასამშვიდებლად, ვიდრე მამის წინაშე ავტორიტეტის ასამაღლებლად, ხმამაღლა წარმოთქვა: „მითხარით მამა, ესე რატომ ეწინააღმდეგებოდით თქვენ ჩემს მოქცევას რელიგიაში? განა რელიგია ჩვენ არ გვაძლევს მაგალითს ბედნიერი და უშფოთველი ცხოვრებისა? ნუთუ თქვენ დღესაც წუხართ, რომ თქვენმა შვილმა მიიღო სასულიერო ხარისხი?" ოპტიმიზმის მიუხედავად, რომელიც ისმოდა მღვდლის სიტყვებში, მის სახეზე ეჭვი უფრო იკითხებოდა.

არც მამამ დააყოვნა პასუხი. იგი მაგიდიდან მედიდურად წამოიმართა, თვალები მიმოავლო დამსწრეებს და საყვედურით თქვა: „თქვენ ყველანი სწავლულები ხართ. განა არ წაგიკითხავთ, რაც ნათქვამია სახარებაში? — პატივი ეცით თქვენს მამასა და დედას!" შემდეგ, შებრუნდა რა შვილისკენ, მკვახედ წარმოთქვა: „თქვენ დაარღვიეთ ეს ცნება, როცა მიმატოვეთ მე და დედაშენი,

თუმცა ჩვენ იმედი გვქონდა, რომ მოხუცებულობაში მივიღებდით შვილის დახმარებას და ნუგეშს. თქვენი სწავლება მე დიდ თანხად დამიჯდა, თქვენ კი ჩვენი ნების საწინააღმდეგოდ მონასტერში შეხვედით". მამამ შვილს არც ეს აკმარა და იქვე დასძინა: — მართალია, მღვდლის ხარისხი პატივის ღირსია, მაგრამ ჩემმა შვილმა ისიც კარგად უნდა იცოდეს, რომ უეკლესიოდაც შეიძლება რაიმეს მიღწევა. და რომ ნათქვამი უფრო შთამბეჭდავი გაეხადა, მან საკმაოდ დიდი თანხა შესწირა მონასტერს, სადაც ლუთერმა ცოტა ხნის წინ წირვა აღასრულა.

§5. მღვდელობიდან ისევ აკადემიური ხარისხებისა და ლექციებისაკენ (1507-1509)

ლუთერის დროინდელ ევროპაში მღვდლად კურთხევა ხშირად საღვთისმეტყველო განათლების მიღებამდეც იყო შესაძლებელი. ასე მოხდა ლუთერის შემთხვევაშიც. მას მიეცა შესაძლებლობა, რომ უახლოეს ხანებში შეესწავლა თეოლოგია და ყველა იმ ავტორთა თხზულებანი, რომელსაც ადრე კითხულობდა. მას უნდა ჩაებარებინა გამოცდები თეოლოგიის ბაკალავრისა და მაგისტრის ხარისხისათვის.

ვერ ვიტყვით, რომ ლუთერი იმთავითვე ხალისით მოეკიდა გამოცდების მომზადებას, აკი მის სულს წინანდებურად ეჭვი და შიში ღრნიდა. მას ჰალუცინაციები დაეწყო, ჭექა-ქუხილი და „ავის მომასწავებელი ფიგურები" ელანდებოდა. „ყველაზე სასტიკი ცდუნებები აწვალებდნენ და გლეჯდნენ მის სხეულს. „მე ძლივს ვსუნთქავდი და ჩემი მანუგეშებელი არავინ ჩანდა", — იგონებდა იგი შემდეგ.

შფოთვა, რომელსაც მოეცვა ლუთერის სული და სხეული, შეუმჩნეველი არ დარჩენია მონასტრის ხელმძღვანელობას. ისინი მიხვდნენ, რომ ახალგაზრდა კაცი ადგილის გამოცვლას და ახალ ადამიანებთან ურთიერთობას საჭიროებდა. ამიტომაც გადაწყვიტეს ლუთერი გაეგზავნათ ვინტენბერგის უნივერსიტეტში, რათა იქ გაეგრძელებინა მზადება გამოცდებისათვის. მათ შტაუპიცის მხარდაჭერის იმედიც ჰქონდათ.

ახალგაზრდა თეოლოგი ვიტენბერგში 1508 წლის ოქტომბერში ჩავიდა. ამ დროისათვის ვიტენბერგი სოფლის ტიპის პატარა ქალაქი იყო, სადაც სამი ათასამდე კაცი ცხოვრობდა. მის ქუჩებში ბევრი იყო ჭუჭყი და ნეხვი. ქალაქს მხოლოდ ორი ღირსშესანიშნაობა ამშვენებდა: ერთი იყო წმინდა რელიკვიების საგანძური, რომელიც 5005 წმინდა საგანს ითვლიდა და მეორე — უნივერსიტეტი, რომელიც დაარსებულ იქნა 1502 წელს საქსონიის კურფიურსტის ფრიდრიხ ბრძენის ძალისხმევით. უნივერსიტეტმა მხოლოდ მოგვიანებით, ლუთერის წყალობით, მოიპოვა ევროპული მნიშვნელობა. სტუდენტების რიცხვით მან გადააჭარბა ცნობილ ლაიფციგის უნივერსიტეტს. ზოგჯერ აქ მეტი იყო სტუდენტი, ვიდრე ადგილობრივი მაცხოვრებელი; უნივერსიტეტში მოდიოდნენ ევროპის სხვადასხვა ქვეყნებიდან. XVI საუკუნეში შეიქმნა ანდაზაც: „გართობა გინდა, შეგიძლია წახვიდე, სადაც მოისურვებ, მაგრამ თუ გინდა სწავლა, წადი ვინტენბერგში". შემთხვევითი არ უნდა იყოს ის, რომ შექსპირისეული ჰამლეტი ვინტენბერგში სწავლობდა.

ვიდრე ლუთერი ვინტენბერგის უნივერსიტეტს სახელს გაუთქვამდა, თვითონ იყო ამ უნივერსიტეტის სტუდენტი და მასწავლებელი ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე. სტუდენტად ჩვეულებრივ იმათ ღებულობდნენ, ვისაც ჰქონდა თავისუფალი ხელოვნების მაგისტრის ხარისხი (ეს ხარისხი ლუთერმა, როგორც ვთქვით, 1505 წელს მიიღო), ხოლო მასწავლებლად გახდომა მხოლოდ იმათ შეეძლოთ, ვისაც თეოლოგიური განათლება ჰქონდა. არსებობდა ასაკობრივი ცენზიც; თეორიულად საუნივერსიტეტო კათედრაზე არ უშვებდნენ 34 წელზე ნაკლები ასაკის ახალგაზრდას, თუმცა სინამდვილეში ეს წესი ხშირად ირღვეოდა.

ასე მოხდა ლუთერის შემთხვევაშიც. ახალგაზრდა მღვდელს, რომელიც ისმენდა შტაუპიცის ლექციებს და ემზადებოდა გამოცდებისთვის, 1509 წლის 9 მარტს, უნივერსიტეტში შესვლიდან სულ რაღაც ოთხი თვის თავზე, მიანიჭეს ბაკალავრის — „ბიბლიომცოდნეობის" ხარისხი, რითაც მოიპოვა ბიბლიის

ცალკეულ თავებზე ლექციის წაკითხვის უფლება. იმავდროულად მან დაიკავა კათედრა მორალურ-ფილოსოფიისა და კვირაში ორჯერ ატარებდა სემინარებს არისტოტელეს ეთიკაში, ხელმძღვანელობდა სტუდენტურ დისპუტებსაც. მას მოუწია აგრეთვე ლექციების კითხვა მონასტერში, სადაც ავად შეიქმნა ფილოსოფიის მასწავლებელი ვოლფგანგ ოსტერმაიერი, ცვლიდა მას. ლუთერს არც გამოცდებისთვის მზადება შეუწყვეტია და რვა თვის შემდეგ (სარეკორდო დროში) მან ბაკალავრის მეორე ხარისხიც მოიპოვა პიერ ლომბარის წიგნის — „სენტენციების" კომენტირების უფლებით. ეს იყო უზარმაზარი წარმატება, რომლის მიღწევა მას, როგორც მისი თანამედროვენი გადმოგვცემენ, მხოლოდ დაუღალავი შრომითა და გამორჩეული ნიჭის წყალობით შეეძლო.

არ გამოვრიცხავთ, რომ ლუთერის ამ წარმატებაში გარკვეული როლი იოჰან შტაუპიცმაც შეასრულა, იგი იყო ლუთერის მოძღვარი და დამრიგებელი, რომელსაც, როგორც საღვთო წერილის საუკეთესო მცოდნეს, ხშირად მიმართავდა რჩევისთვის.

მართალია, ლუთერი კვლავ განაგრძობდა ცნობილი ღვთისმეტყველების წმ. ბერნარის, წმ. თომას, დუნს სკოტის, უილიამ ოკამის და სხვათა თხზულებების კითხვას, მაგრამ ვერცერთ მათგანთან ვერ პოულობდა პასუხს, თუ რა არის სულიერი ცდუნება; აღნიშნული ავტორები მხოლოდ ხორციელ ცდუნებას ეხებოდნენ. სხვაგვარ ცდუნებაზე მათ წარმოდგენა არ ჰქონდათ. პასუხი მან მხოლოდ შტაუპიცისაგან მიიღო. ერთხელაც, როცა ლუთერმა თავისი ეჭვები გაუზიარა შტაუპიცს, ამ უკანასკნელმა თვალებში შეხედა მას და უთხრა: „თქვენ, როგორც ჩანს, არ იცით, რომ ცდუნება აუცილებელია და სასარგებლოც კი. უიმისოდ თქვენ ვერასოდეს გახდებით კეთილი". — ამ სიტყვებში არაფერია ახალი, გარდა მისთვის ისედაც ცნობილი ჭეშმარიტებისა, რომელსაც კათოლიკე სწავლულები ქადაგებდნენ, მაგრამ შტაუპიცის სიტყვები ლუთერმა თავისებურად გაიგო და ის სიმართლე ირწმუნა, რომ იგი თავს

დააღწევდა ცდუნებას, საკუთარ შიშსა და წუხილს, თუ მისგან განთავისუფლების სურვილი ექნებოდა.

სამწუხაროდ, ეს რწმენა მას დიდხანს არ მიპყვებოდა, მის სულს მაშინათვე ეჭვი ეუფლებოდა, როგორც კი შიში და წუხილი კვლავ მოეძალებოდა. ცდუნებისაგან თავის დაღწევის შესაძლებლობაზე ფიქრს იგი ღვთის მადლის დაეჭვებამდე მოჰყავდა და ამას არც შტაუპიცის წინაშე მალავდა, როცა წარმოთქვამდა მონანიებით აღსარებას, რაც ამ უკანასკნელის გაოცებას იწვევდა. თუმცა იმაში კი იყო დარწმუნებული, რომ ლუთერის ეს ტანჯვა წმინდა ღვთისმეტყველური ხასიათისა იყო. თუ თქვენ არ გსურთ შეცოდოთ, ეუბნებოდა იგი ლუთერს, დაე ასე იყოს, მაგრამ ის კი ვერ გამიგია, თუ რატომ აზვიადებთ საკუთარი ცოდვის მნიშვნელობას და უსაფუძვლოდ მოითხოვთ ღმერთის ყურადღებას. შენი ბავშვური, წვრილმანი დაუდევრობა რატომღაც სასიკვდილო ცოდვები გგონიათ. სინამდვილეში სასიკვდილო ცოდვები სხვა არაფერია, თუ არა მკვლელობები, მკრეხელობა, მრუშობა, რის პატიებასაც ქრისტე პირდებოდა ხალხს, — დასძენდა იგი.

ამგვარად, შტაუპიცი შეახსენებდა ლუთერს, რომ ქრისტემ თავისი ჯვარცმით გამოისყიდა ყველა ადამიანის თვით უმძიმესი ცოდვაც კი, მათ შორის ლუთერისაც.

ბოლომდე მისაღები იყო თუ არა ეს სიტყვები ლუთერისათვის, სხვა საქმეა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ამ სიტყვების ექო მას სულ თან დაპყვებოდა, იმას შეახსენებდა, რომ იგი ბევრ რამეში ცდებოდა.

ამ ღვთისმეტყველური აზრობრივი ჭიდილის მიუხედავად, ლუთერს თეოლოგიური განათლების გაგრძელებაზე ფიქრი არ შეუწყვეტია, კიდევ რჩებოდა ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი, რომლის მიღებასაც იგი აპირებდა. მაგრამ მის ამ სურვილს გარკვეული დროით აღსრულება არ ეწერა. 1509 წლის შემოდგომაზე ლუთერს აგზავნიან ერფურტის უნივერსიტეტში ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე, სადაც სტუდენტებს არ ჰყავდათ მასწავლებელი, რომელიც „სენტენციის" განმარტებას

შესძლებდა. ეს მხოლოდ ლუთერს შეეძლო. ლუთერიც ხალისით მოეკიდა ამ ახალ მოვალეობას, თავი გამოავლინა მაძიებლური უნარით და ორიგინალური აზროვნებით. იგი კრიტიკის გარეშე არ ტოვებდა არც ერთ ავტორს, რომელსაც კი ეხებოდა. ასე მოექცა იგი თვით არისტოტელეს, დასცინოდა მის ლოგიკას, შარავანდედს აცლიდა სქოლასტიკოსებს, ჩერდებოდა იმ წინააღმდეგობებზე, რომელიც დამახასიათებელი იყო შუა საუკუნეების მოაზროვნეებისათვის. ყველა ამ მოაზროვნეს ახლა იგი უპირისპირებდა პირველი ქრისტიანობის დროინდელ ეკლესიის დამფუძნებელ მამებს, თუმცა ამ უკანასკნელთა ავტორიტეტი რამდენიმე თვის წინ მისთვის არაფერს ნიშნავდა. იგი სწავლობდა და იშველიებდა არგუმენტებს ნეტარი ავგუსტინეს თხზულებებიდან, ფილოსოფოსებთან კამათში იშველიებდა საღვთო წერილსაც, ნაწილობრივ მოციქულ პავლეს მიმართვას რომაელებისადმი. ლუთერი ასევე ხალისით მონაწილეობდა შიდასამონასტრო დისპუტებში, „უტვინო მოლაყბეებს" უწოდებდა იმათ, ვინც ნეტარ ავგუსტინეს აუგად მოიხსენიებდა. ის-ის იყო ლუთერმა ლექციების კითხვას გემო გაუგო, რომ იგი ამ მოვალეობას მოწყვიტეს და 1510 წლის ოქტომბერში რომში გაგზავნეს.

§6. პირველი დიდი გაწბილება (1510-1511)

რომში გამგზავრება უმიზეზოდ არ მომხდარა. მას წინ უძღოდა დიდი დავა ავგუსტინელთა კონგრეგაციაში, რომელსაც მოჰყვა შტაუპიცის წინადადება იმის თაობაზე, რომ კონგრეგაციის ხელისუფლებისთვის დაემორჩილებინათ წმ. ავგუსტინეს ორდენში შემავალი საქსონიის ყველა ის მონასტერი, რომლებიც საჭიროდ არ თვლიდნენ მკაცრი სამართლის გამოყენებას. ბერების ერთმა ნაწილმა მხარი დაუჭირა კონგრეგაციისადმი მორჩილების იდეას, რამეთუ, მათი აზრით, იგი ხელს შეუწყობდა რელიგიურ ერთიანობასა და ძმობის განმტკიცებას. მეორე ნაწილი კი იმ აზრს იცავდა, რომ ამის დაშვება იქნებოდა ავანტიურა, რომელიც კონგრეგაციას მხოლოდ ახალ საზრუნავს გაუჩენდა.

შტაუპიცის წინააღმდეგ გამოვიდა შვიდი მონასტერი, მათ შორის ერფურტის. ლუთერსაც მოუხდა თავისი პოზიციის დაფიქსირება, მან იმათი მხარე დაიჭირა, ვინც შტაუპიცის წინადადებას ავანტურად მიიჩნევდა. ფაქტობრივად, ეს მასწავლებლის წინააღმდეგ გამოსვლას ნიშნავდა.

სულ მალე შტაუპიცის მოწინააღმდეგებმა, რომლებსაც იმის სურვილი ამოძრავებდათ, რომ თავის მხარეზე გადაეყვანათ პაპის კურია, რომში გაგზავნეს თავიანთი წარმომადგენლები: იოჰან ფონ მიხელნი და მარტინ ლუთერი. მოგზაურობა, რომელიც 1510 წლის ოქტომბერში დაიწყო, საკმაოდ ხანგრძლივი და დამღლელი აღმოჩნდა. მათ გაიარეს (ფეხით მიდიოდნენ) ნიურნბერგი, ტიროლის ოლქი, შვეიცარია, მილანი, ბოლონია, ფლორენცია და 1510 წლის დეკემბერში რომში ჩავიდნენ. ლუთერმა, რომელმაც „მარადიული ქალაქი" პირველად იხილა, როგორც ამას თვითონ იგონებს, მუხლმოყრილმა შეჰღაღადა: „მოგესალმები, შენ, წმინდა ქალაქო, სამგზის განწმენდილო აქ წამებულთა დანთხეული სისხლით!" — ასეთი შთაგონებით ჩავიდა იგი რომს. შემდეგ მათ, ლუთერმა და მისმა თანამგზავრმა, რომის ღირსშესანიშნაობები მოინახულეს. მათ ნახეს შვიდი მთავარი ეკლესია, მათ შორის წმ. პეტრეს ტაძარი, ასევე კატაკომბა, სადაც პირველი ქრისტიანები იმალებოდნენ დევნილობის დროს. მათ ლოცვა აღავლინეს ლატერანის ეკლესიის თითოეულ კიბეზე და ჩოქვით შემოუარეს ოცდარვა საფეხურს, რადგან სწამდათ, რომ გამოიხსნიდნენ თავიანთ ცოდვილ სულს. მაგრამ ეს იყო და ეს, სულ მალე, მათთვის ცხადი შეიქმნა, რომ „წამებულთა დანთხეული სისხლით" განწმენდილი რომი სულაც არ არის „წმინდა ქალაქი", რომ აქ მღვდლები იქცევიან არა ისე, როგორც წესია: თვალთმაქცობა ფარისეველთა, საოცარი გულგრილობა სარწმუნოებისადმი, მღვდლების პრანჭვა-გრეხვა, გარეგნული ნიშნები ყალბი სათნოებისა, უადგილო ოხვრა და გულში ხელის ბრაგუნი, მანჭიაობა, გარყვნილება და სიხარბე, — აი რა იხილეს მათ. „რომი წმინდა ქალაქი იყო, გახდა კი ყველაზე ცუდი... მე, ზიზღს ვგრძნობდი, როცა იქაური მღვდლე-

ბი ლუღლუღებდნენ წირვას, თითქოსდა სასაცილო რამეს აკეთებდნენ!", — წერდა ლუთერი. ქალაქში მრავლად იყო სასახლეები, სადაც ხელგაშლილად ცხოვრობდნენ კარდინალები და სხვა საეკლესიო პირები. რომში მრავლად იყვნენ ისეთი საეკლესიო მოღვაწეები, რომელთაც ხარისხიც კი არ გააჩნდათ, თუმცა ხელთ ეპყრათ სუვერენული უფლებები და საერო ინვენსტიტურა. თვით პაპი იყო პირველი, ეისგანაც ეპისკოპოსთა თანამდებობები ეძლეოდათ საერო პირებს. მეტიც, პრელეტებად პაპი ხშირად თავის 20 წლის დიშვილებს და ძმიშვილებს ნიშნავდა, იყვნენ მაღალჩინოსანი ისეთი სასულიერო პირებიც, რომლებიც ინახავდნენ საყვარლებს და მრავალრიცხოვან შვილებს, ხოლო წირვას სულაც არ აღავლენდნენ. ამის ნათელი მაგალითია პაპი ალექსანდრე VI ბორჯიაც, რომელიც აშკარად ამკვიდრებდა სიმონიას, ჰყავდა საყვარლები და შვილები. კიდევ უფრო შორს მიდიოდა იულიუს II (1503-1513). მართალია, მას გარს ეხვია მხატვრები და მუსიკოსები, მისივე ინციატივით დაიწყო (1506 წ.) წმ. პეტრეს ტაძრის მშენებლობა, რაფაელი აწარმოებდა პაპის განსასვენებელის კედლის მოხატვას ვატიკანში, მიქელანჯელო კი სიქსტის კაპელის ცენტრალურ ნაწილში, ჭერზე ქმნიდა ყველაზე ცნობილ ფრესკას — „ადამიანის შექმნას" — მსოფლიო კულტურის ამ შესანიშნავ ქმნილებას, მაგრამ იულიუს II მაინც მეომარი უფრო იყო, ვიდრე სულთა მოძღვარი. იგი ხშირად მონაწილეობდ იმ შეხლა-შემოხლაში, რომელსაც იტალიაში აწარმოებდნენ საფრანგეთის, ესპანეთის და გერმანიის მონარქები. პაპი აიარაღებდა თავის ჯარს და ხშირად წინ მიუძღვოდა მას ლაშქრობებში, ხლართავდა ინ-ტრიგებს, რათა გაეფართოებინა პაპის ოლქი; მან 1506 წელს, როგორც ვთქვით, ბოლონიაში აპენინის ნახევარკუნძულის დიდი ნაწილის დამორჩილებასთან დაკავშირებით დიდი სამხედრო სანახაობაც კი გამართა, რამაც ცნობილი ჰუმანისტი ერაზმ როტერდამელი შეძრა, რომელიც ამ სანახაობას შეესწრო.

რომში ნანახმა და გაგონილმა უმსგავსოებებმა ლუთერი შოკში ჩააგდო, შეურყია მას რწმენა „წმინდა და რწმენის ქა-

ლაქისადმი". „რომი რაც უფრო ახლოს არის, მით უარესია ქრისტიანებისათვის", — წერდა გაწბილებული ლუთერი.

გაწბილებული იგი იმიტომაც იყო, რომ წარუმატებელი აღმოჩნდა დიპლომატიური მისია, გერმანელმა ბერებმა ვერ მიაღწიეს საწადელს, რომში ვერავინ ნახეს ისეთი, რომელიც მოიცლიდა გერმანელ ბერთა კინკლაობის გასარჩევად და ამიტომ ოთხი თვის ლოდინის შემდეგ, მათ ისევ თავის ქვეყანაში დაბრუნება ამჯობინეს.

უკან, გერმანიაში დაბრუნებულმა ლუთერმა ჯერ ზალცბურგში შეიარა, მოინახულა აქ მყოფი თავისი სულიერი მამა იოჰან შტაუპიცი. მასწავლებელს ლუთერმა მოუბოდიშა, მოინანია მის წინაშე, აგრძნობინა, რომ მან დიდი შეცდომა დაუშვა, როცა დაუპირისპირდა მასწავლებელს. შემდეგ იგი ესაუბრა რომაული შთაბეჭდილებების შესახებ, დაწვრილებით მოუყვა ყველაფერი ის, რაც მან იხილა და გაიგო რომში. შტაუპიცისათვის ცხადი შეიქმნა, რომ ლუთერის აფორიაქებული სულის დამშვიდება არავის შეეძლო, გარდა ღმერთისა. მასწავლებელი, უჩუმრად წაავლო რა ხელი ლუთერს, დიდხანს შესცქეროდა მას ჩუმი ალერსით, როგორც დედა შესცქერის — ხოლმე ავადმყოფ ბავშვს და მერე უთხრა: „შვილო ჩემო, ცოტა მოითმინე, ქვეყნად არაფერი არ რჩება დაუსჯელი, ღვთის სასჯელი ამ არამზადებსაც არ ასცდება". ერთხანს იგი დუმდა და მერე დამაიმედებლად უთხრა: „თვით რომმა შემოგვინახა ძველი წინასწარმეტყველება: — ყველაფერი ეს დაინგრევა, როცა ვიღაც ავგუსტინელთა ბერი აუჯანყდებაო რომს".

ამას რომ ამბობდა, შტაუპიცი სულაც არ ფიქრობდა ლუთერზე, არც ლუთერს უფიქრია, რომ ამ წინასწარმეტყველების გმირი თვითონ იქნებოდა. მხოლოდ მოგვიანებით, როცა წინასწარმეტყველება აღსრულდა, ორივესათვის ცხადი შეიქმნა, თუ ვინ იყო ის ბერი ავგუსტინელთა საძმოდან, რომელიც აუჯანყდა რომს.

ზალცბურგიდან ლუთერი 1511 წლის დასაწყისში ერფურტში ჩავიდა და აქაც დააფიქსირა თავისი პოზიცია, თქვა,

რომ შეცდომა დაუშვა, როცა დაუპირისპირდა მასწავლებელს. ჩანს, ეს გახდა იმის მიზეზი, რომ ლუთერი თავის მეგობართან, იოჰანეს ლანგესთან ერთად, ერფურტიდან ვიტენბერგში გადაიყვანეს. აქ მას მასწავლებელი და აკადემიური იერარქიის კიბეზე დიდი წარმატება ელოდა.

§7. მასწავლებელი და აღმასვლა აკადემიური იერარქიის კიბეზე (1511-1512)

ვიტენბერგში დაბრუნებულ ლუთერს სიხარულით შეეგება შტაუპიცი, რომელსაც რჩევა-დარიგება და ზრუნვა არ დაუკლია მისთვის. პირველი, რაც მას უნდა გაეკეთებინა, ის იყო, გაეგრძელებინა მზადება გამოცდებისათვის. ლუთერმაც იწყო ძველი ებრაული და ბერძნული ენების შესწავლა, კვლავ დაუბრუნდა ნეტარი ავგუსტინეს ნაშრომებს: „სამებას“, „აღსარებას“, „ჭეშმარიტ რელიგიას“ და წიგნს „ღვთაებრივი სახელმწიფოს შესახებ“, რომლებსაც ჯერ კიდევ ერფურტში სწავლის დროს კითხულობდა. ამ ნაშრომებში ჩაღრმავებამ ბევრი საფიქრელი გაუჩინა მას. საქმე ის არის, რომ ავგუსტინე, რომელიც ღმერთს განიხილავდა როგორც ზებუნებრივ ძალას, იქვე იმ აზრსაც ავითარებდა, რომ ადამიანებისათვის წინასწარგანსაზღვრულია ბედი, ღმერთი ადამიანების ერთ ნაწილს ხსნას უმზადებს, მეორე ნაწილს კი — წყევლას. მაგრამ თუ ვინ არის ღმერთის რჩეული ან კიდევ დაწყევლილი, ამის შესახებ წინასწარ არცერთმა ადამიანმა არ იცის. ეს მოსაზრება ლუთერს კვლავ ძრწოლასა და შიშს უნერგავდა, მარხვებისაკენ უბიძგებდა, აგდებდა სასოწარკვეთილებაში. შესაძლებელია ამას ლუთერი სრულ აპათიამდეც მიეყვანა, მაგრამ ამჯერად მას მხსნელად შტაუპიცი მოევლინება. ვიდრე მის შეგონებებზე ვისაუბრებთ, ალბათ უპრიანი იქნება უფრო მეტი ვთქვათ ამ პიროვნებაზე.

შტაუპიცი, რომელიც იყო ავგუსტინელი ვიკარიუსი (ეპისკოპოსის მოადგილე), თავისი დროის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანია, აზნაურის ოჯახიდან. ის იყო საოცრად თავშეკავებული, ტაქტიანი და წინდახედული ადამიანი, რომელსაც

ოცდაათი წლის ასაკში მონასტრის ხელმძღვანელობას ანდობენ. მას დიპლომატიური ნიჭიც მოსდგამდა, ერთნაირად კარგად გრძნობდა თავს, როგორც პაპის სასახლეში, ისე მთავრების სასახლეებში, აგრეთვე იმ სახლებში, სადაც ჰუმანისტები იკრიბებოდნენ; იყო მოსწრებული იუმორის პატრონი და სასურველი სტუმარი ყველა ოჯახისათვის. იგი სხვისი ნიჭის დამფასებელიც იყო. მას განსაკუთრებით იტაცებდა რელიგიური სულისკვეთების მგზნებარე ადამიანები და მათ შორის ლუთერიც, რომელსაც, როგორც ვთქვით, შვილივით ეკიდებოდა, უყვარდა და ზრუნავდა მისთვის, სიტყვიერად და წერილობით ამხნევებდა მას, ეხმარებოდა იმ მწარე განცდების გაფანტვაში, რომელსაც აღსარებისას უზიარებდა. ასე იყო ავგუსტინესეული წინასწარგანსაზღვრის, ანუ ბედისწერის საკითხშიაც, რომელიც ლუთერს ძრწოლასა და შიშს უნერგავდა. — შენ კი არ იშლი შენსას, — არწმუნებდა შტაუპიცი ლუთერს, — სულაც არ გმართებს ფიქრი იმაზე, რომ ეკუთვნი წაწყმედილთა რიცხვს, პირიქით, შენი რწმენისა და მიღწევების ადამიანი მხოლოდ იმას უნდა ფიქრობდეს, რომ იგი ღმერთის რჩეულია და ელოდება იმქვეყნიური ცხონება, სამოთხე. ერთ-ერთ წერილში შტაუპიცი ლუთერს იმაშიც არწმუნებდა, რომ აბსოლუტურად უცოდველი ადამიანი არ არსებობს და არც შეიძლება იყოს; — „შენ რომ გინდა იყო ცოდვის გარეშე, არარეალურია, არადა შენ არ გაქვს არცერთი სერიოზული ცოდვა, ისეთები, როგორიცაა: თავიანთი ურჩობით შვილები რომ კლავენ მშობლებს, ან საჯაროდ შეურაცხყოფენ და აძაგებენ ღმერთს, ან არღვევენ ცოლ-ქმრულ ერთგულებას“ და ა.შ., თუმცა ქრისტე ამგვარ ცოდვებსაც მიუტევებს — ხოლმე, შენ კი ბავშვური ცოდვების გამო გეშინიაო“, — ამხნევებდა იგი ლუთერს.

ეს სიტყვები ლუთერს მალამოსავით ედებოდა გულზე, მისთვის ეს გამონათება იყო, თუმცა მელანქოლიისაგან ერთბაშად როდი თავისუფლდებოდა. მას კვლავ ებადებოდა კითხვები, როცა წარმოიდგენდა ჯვარცმული ქრისტეს სახეს: ვინ, თუ არა ქრისტე, იყო მამაღმერთის რჩეული? მაშინ რატომ არგუნა მას ტანჯვა და სამარცხვინო სასჯელი? ან კიდევ სასოწარკვეთილება?

მასწავლებლის რჩევა-დარიგებამ და წიგნების კითხვამ, რაც ლუთერს არასოდეს არ შეუწყვეტია, სასურველი შედეგიც გამოიღო: 1512 წლის 4 ოქტომბერს გამოცდები წარმატებით ჩაბარა და ლიცენციატის ხარისხი მოიპოვა, ხოლო 15 დღის შემდეგ, 19 ოქტომბერს, ვინტენბერგის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანატმა, რომელსაც სათავეში ედგა პროფესორი ანდრიას კარლშტადტი, 29 წლის ლუთერს მიანიჭა ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი (doctor biblicus – ბიბლიის მცოდნე დოქტორი) ბიბლიის განმარტების უფლებით, რითაც დასაბამი მიეცა მის ურთიერთობას ხალხთან. ხარისხის დაცვაზე ლუთერმა ფიცი წარმოთქვა, რომლის შემდეგ დეკანმა მას მიართვა გადაშლილი ბიბლია, თავზე შალისგან მოქსოვილი ბერეტი დაახურა და თითზე წამოაცვა ოქროს ბეჭედი, დამადასტურებელი იმისა, რომ ის დოქტორი იყო.

დოქტორს, ბუნებრივია, მოუხდა ღვთისმეტყველების ლექციის კურსის მომზადებაც. განმარტოვდა რა ვიტენბერგის შავი მონასტრის კოშკის ერთ-ერთ სენაკში, მან იწყო ფსალმუნების ლათინური ტექსტის, ე.წ „არგუმენტების" (დღევანდელი ენით თუ ვიტყვით, კომენტარების) წერა და ამის საფუძველზე შექმნა ე.წ. „საკითხავები", რომელსაც უნივერსიტეტში კითხულობდა.

§8. პროფესორის მანტიითა და მღვდლის ანაფორით (1512-1516)

ერთ-ერთი მეგობრული საუბრის დროს შტაუპიცს ლუთერისათვის უთქვამს: შენს მოწოდებას ლექციების კითხვაში და ქადაგებაში ვხედავო. მასწავლებელს აუხდა ოცნება: საღვთო წერილის ნაფიცმა დოქტორმა, მარტინ ლუთერმა, 1512 წლის 25 ოქტომბერს დაიწყო ღვთისმეტყველების ლექციის კითხვა უნივერსიტეტში, ხოლო 1515 წლიდან ლუთერს ვიტენბერგის ეკლესიის მღვდლის (ავადმყოფი სიმონ გეინზეს) მოვალეობაც დაეკისრა, მრევლის წინაშე ქადაგებასაც მიჰყო ხელი და ორივე სარბიელზე მას უზარმაზარი წარმატება ჰქონდა. მის ლექციებსა თუ ქადაგებას ყოველთვის უამრავი ხალხი ესწრებოდა არა

მარტო ვინტენბერგიდან, არამედ მისი მიმდებარე ტერიტორიებიდან, ჩამოდიოდნენ სხა ქალაქებიდანაც. უსმენდნენ ყურადღებით და სჯეროდათ მისი, მისგან არნახულს მოელოდნენ. უბრალო ადამიანები მისგან არა მარტო ცოდნას იღებდნენ, მისი ქადაგება აღსარება იყო, ენით იმას ამბობდა, რასაც სულით ატარებდა. იგი ქადაგებას იწყებდა ლათინურად, ამ მკვდარ და სხვის ენაზე, ხოლო აგრძელებდა გერმანულად, ცოცხალ და მშობლიურ ენაზე, რაც მსმენელების აღფრთოვანებას და კმაყოფილებას იწვევდა. „ჩვენ გვიყვარს მისი მოსმენა, მისი უბრალო და გასაგები საუბარი მშობლიურ ენაზე", – ამბობდნენ ლუთერის მსმენელები.

ლუთერის წარმატებების საიდუმლო ისიც იყო, რომ იგი სხვადასხვაგვარად ეკიდებოდა მქადაგებლისა და ლექტორის საქმეს. როგორც მქადაგებელი, ეკლესიის მრევლის წინაშე რომ გამოდიოდა, ლუთერი, როგორც ვთქვით, ცდილობდა ყოფილიყო სერიოზული და გულითადი, განცდილი ელაპარაკა გულწრფელად და ბუნებრივად. – „საჭიროა ვიქადაგოდ ისე, როგორც დედა ძუძუს აწოვებს ბავშვს", – ამბობდა იგი. მაგრამ როცა უნივერსიტეტის კათედრაზე ადიოდა, იგი ხდებოდა მაძიებელი ლექტორი; მას მშვენივრად ესმოდა, რომ სტუდენტისთვის უფრო მნიშვნელოვანია არა მზამზარეული შედეგი, არამედ თვითონ კვლევა–ძიება. მისი ლექციაც რთული და ანალიტიკური იყო. იგი თავის თავს ვარაუდის, დაშვებისა და თვით ეჭვის გამოთქმის ნებასაც აძლევდა, ამასთან ლუთერი კიდევაც ხუმრობდა და იუმორის ნიჭს ამჟღავნებდა.

იგი მსმენელებზე თვალების მოძრაობა-გამომეტყველებითაც ახდენდა შთაბეჭდილებას. წარმოსდგებოდა რა ვაჟკაცურად, იწყებდა ლაპარაკს აუჩქარებლად და მკაფიოდ. ამ დროს მისი თვალები რაღაცნაირად ჯადოსნურ ძალას იძენდა, ხდებოდნენ ან დიდები და გამომსახველნი, ან პატარები და გამჭრიახნი, ან უძიროდ ღრმა და მოციმციმენი, როგორც ვარსკვლავები. კიდევ ერთი თავისებურება, რაც ასე დამახასიათებელია ლუთერისთვის: სწავლულების წინაშე რომ გამოდიოდა, იგი ლაპარაკობდა უხეში, ენერგიული ლათინურით, ხოლო როცა მრევლს მიმართავდა,

იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ მას შეუძლია „გააშეშოს თითოეული ლათინური სიტყვა", იმდაგვარად თქვას, რომ ადამიანს ჩაუნერგოს ღვთისადმი რწმენა და სიყვარული. როგორც ე. სოლოვიევი ამბობს, ის ერთნაირი ძალით ფლობდა „გონებასა და გულზე" ზემოქმედების მეთოდს.

ლუთერის წარმატებების თავი და ბოლო მაინც ფენომენალური მეხსიერება იყო. ამ მხრივ იგი არაფრით ჩამოუვარდებოდა მაშინდელი ერუდიციის ფენომენს — ერაზმ როტერდამელს. ამას ადასტურებს ლაიფციგის დისპუტის (1519წ.) მონაწილე, ჰუმანისტი და პროფესორი, პეტრე მოზელანუსი, რომელიც, როგორც ზემოთაც ვთქვით, ეხება რა ლუთერის პიროვნულ თვისებას და მაღალნიჭიერებას, წერს: „ის დასრულებული სწავლულია და სრულყოფილად იცის საღვთო წერილი, რომელიც თითქმის ზეპირად ახსოვს, ბერძნული და ებრაული გაეგება იმდენად, რომ შეუძლია იმსჯელოს განმარტების ღირსებაზე. იგი ფაქტობრივი ცნობების უზარმაზარ მარაგს ფლობს და მისი სიტყვაც თავისუფლად მოედინება". მოზელანუსის ეს შეფასება გამონაკლისი როდია, მას სხვა ავტორებიც ეთანხმებიან, ერთხმად მიუთითებენ, რომ ლუთერმა თითქმის მთელი ბიბლია ზეპირად იცოდა, ასევე ზეპირად ახსოვდა წაკითხული საღვთისმეტყველო, ისტორიულ-საეკლესიო და მორალურ-დამრიგებლური წიგნების უმრავლესობა, ისე მყარად იცოდა ისინი, რომ არ სჭირდებოდა, ყოველ წუთს ეფურცლა კონსპექტი, ჩანაწერები ან დამხმარე საცნობარო გამოცემები.

ლუთერს არც შრომისმოყვარეობა აკლდა. ბევრს კითხულობდა და წერდა, ემზადებოდა ლექცია-სემინარული მუშაობისთვის. გადმოგვცემენ, რომ იგი ყოველკვირეულად ორსამ ლექციას კითხულობდა და ერთ სემინარს ატარებდა, ხოლო ქადაგებით წელიწადში დაახლოებით 170-ჯერ გამოდიოდა. გარდა ამისა, თავის მონასტერში ის ყოველდღიურად ერთ საათს ამეორებინებდა გაკვეთილებს იმ მსმენელებს, რომლებიც უნივერსიტეტში შესასვლელად ემზადებოდნენ. სხვათა შორის, როგორც ითქვა, რეპეტიტორობას ერაზმ როტერდამელიც ეწეოდა.

ამ უკანასკნელმა ბავშვებს სპეციალური სახლძღვანელოც კი შეუქმნა.

ლუთერი ასევე დიდ დროსა და ენერგიას ახმარდა საუნივერსიტეტო და საეკლესიო საქმეებს. იგი არა მარტო თვითონ ეუფლებოდა ებრაულ და ბერძნულ ენებს, რაც ასე საჭირო იყო ბიბლიის ორიგინალში გასაცნობად, არამედ ამ ენების უნივერსიტეტში დასანერგად იბრძოდა. მისი ინციატივით არტისტულ და თეოლოგიის ფაკულტეტებზე იხსნება ბერძნული და ძველებრაული ენების კათედრები, რათა ამ ენებს მოსამზადებელი განყოფილების ბავშვები და თეოლოგიის ფაკულტეტის სტუდენტებიც დაუფლებოდნენ. ამას ემატებოდა მთარგმნელობითი საქმიანობა, თხზულებებისა და წერილების წერა. ამიტომაც ითხოვდა იგი მეგობრისაგან, ლანგესაგან, რომ მისთვის გამოენახა ორი მდივანი, რომლებიც შეუმსუბუქებდნენ სამუშაოს.

და ბოლოს, ერთი პატარა დეტალიც: უზარმაზარი სამუშაო, რომლის შესრულებაც ლუთერს უხდებოდა, მის გარეგნობაზეც ახდენდა გავლენას. იგივე მოზელანუსი, რომლის მოგონებასაც ზემოთ ვეხებოდით, ასე აღწერს ლუთერის გარეგნობას: „მარტინ ლუთერი არის საშუალო სიმაღლის ადამიანი, ფიქრითა და შრომით იმ ზომამდე დასუსტებული, რომ მის გამხდარ სხეულზე ყველა ძვლის დათვლა შეიძლება, თუმცა სრულიად საღი და მოწიფულობის ასაკის ძალისაა". ლუთერი მოგვიანებით გასუქდა და თუ რა იყო ამის მიზეზი, ამაზე შემდეგ ვისაუბრებთ.

§9. ე.წ. „საკითხავები" და ახალი სარწმუნოების სათავეებთან (1513 – 1516)

ახალი (პროტესტანტული) სარწმუნოების აღმოცენებას ამ უკანასკნელ დრომდე, ლუთერის „95 თეზისსა" და მის შემდგომ თხზულებებს უკავშირებდნენ, მაგრამ ერიხ სოლოვიევმა "დაუძლეველ ერეტიკოსში" ცხადი გახადა, რომ ლუთერის 1513-1516 წლების სალექციო კურსებში, ე.წ. „საკითხავებში" უკვე მოხაზულია ახალი სარწმუნოების კონტურები.

„საკითხავების" წერისას, ფსალმუნების ლათინური ტექსტის კომენტირებას რომ ახდენდა, ლუთერის ყურადღება მიიპყრო მისთვის მანამდეც ცნობილმა სიტყვებმა "შენი სამართლიანობით გამათავისუფლე მე", რომელმაც ახლა, როგორც თვითონ იგონებს, ისე იმოქმედა მასზე "როგორც მუშტის დარტყმამ", დააფიქრა, იქნებ ღმერთის სამართლებრივი სამართლიანობის ქვეშ, რომელზეც ლაპარაკია აქ, სულ სხვა აზრი დევს, ვიდრე ამას ღვთისმეტყველ სქოლასტიკოსები ამბობენ. მოუნდა მიეღწია სიცხადისათვის და სასწრაფოდ გადმოიღო ბიბლია და იწყო კითხვა "რომაელებისადმი პავლეს მიმართვისა (1,16-17)", სადაც სახარება მიჩნეულია როგორც მხსნელი ძალა იმათთვის, ვინც რწმენით იღებს მას. "აქ მე ვიგრძენი, იგონებდა ლუთერი შემდეგში, რომ სავსებით შევიცვალე, დავიბადე ხელახლა და როგორღაც ღია კარით შევედი სამოთხეში. მთელმა ბიბლიამ ჩემთვის სხვა სახე მიიღო" და ჩამომაშორა ის სულიერი მაჯლაჯუნა, რომელიც დიდი ხანია მოსვენებას არ მაძლევდა. ლუთერს სხვა აზრებიც მოეძალა: როცა ზეციური კარები იკეტება მისი ცოდვილი სულის წინაშე, ფიქრობდა იგი, იქვეა გამოსავალიც სახარებისა და ქრისტეს ჯვარცმის წყალობით მას შეუძლია მოიპოვოს სათნოება და სულიერი ხსნა. ანალოგიური აზრის შემცველია მისი ეს სიტყვებიც: „ქრისტე თავისი სამართლიანობით მაჯილდოებს მე და თავის თავზე იღებს ჩემს ცოდვებს, დიახ, თან მიაქვს ჩემი ცოდვები, მე მეტად არ მაქვს ცოდვა - მე თავისუფალი ვარ".

ლუთერის თავში თანდათანობით ის იდეაც მწიფდება, რომ სულის ხსნისათვის აუცილებელი პირობაა არა ადრე დადგენილი „კეთილი საქმეები" (მარხვა, მომლოცველობა, ინ-დულგენციების ყიდვა და ა. შ.), რის საჭიროებასაც კათოლიკური ეკლესიის მესვეურები ამტკიცებდნენ, არამედ ქრისტიანის შინაგანი თავისუფლება, მისი შეგნებული და არა თავსმოხვეული მისწრაფება სიკეთისადმი. ეს სხვა არაფერია, თუ არა შინაგანი რწმენის გამოცხადება ყოვლისშემძლე ძალად. თვით რწმენა უდევს საფუძვლად პატიოსნებასა და სინდისიერებას, რომლებიც

ზეციური საჩუქარია. რწმენისა და სინდისის მოსამართლეობრივი ნიჭით აღწევს ადამიანი ღმერთთან დაკავშირებასაც, - ასკვნიდა ლუთერი.

ამგვარად, „პავლეს მიმართვამ რომაელებისადმი, რომლის კითხვას ლუთერი 1513-1516 წლებშიც განაგრძობდა, ახალგაზრდა დოქტორი მიიყვანა რეფორმაციული მოძღვრების იმ ძირითად აზრამდე, რომლის თანახმად ხსნა შესაძლებელია მხოლოდ „ერთადერთი რწმენის" (Solo Fide) ძალით. ეს იყო თავბრუდამხვევი ნახტომი, რომელმაც, როგორც ლიუსენ ფევრი აღნიშნავს, ლუთერი უიმედო პესიმიზმიდან ოპტიმიზმით აღსავსე აზრამდე მიიყვანა: რაკი მე, ლუთერი, გადავურჩი ჯოჯოხეთს, შესაძლებელია სხვა ადამიანების ხსნაც. ამ ახლებურმა მოძღვრებამ ლუთერს მეტი გაბედულება შესძინა. ჯერ კიდევ 1517 წლის სექტემბრის დასაწყისში მან გამოსცა 97 თეზისი, რომელიც მიმართული იყო სქოლასტიკოსების წინააღმდეგ. იგი პირდაპირ აცხადებდა, რომ სქოლასტიკური ღვთისმეტყველება ღუპავს რწმენას. ეს თეზისები ლუთერმა გადააბეჭვდინა და გაგზავნა ერფურტის უნივერსიტეტში, თეოლოგიის ფაკულტეტზე, მაგრამ არავითარი გამოხმაურება არ მოპყოლია მას, ჩანდა, ტიტულოვან ღვთისმეტყველებს რომ შეესმინათ ლუთერისა, მასში უნდა ალაპარაკებულიყო ერისკაცი. ეს მოხდა კიდეც თვენახევრის შემდეგ, როცა მან გაილაშქრა ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ. ამან მოუტანა მას საყოველთაო აღიარება და მოსვენება დაუკარგა ეკლესიის მესვეურებს, აქედან დაიწყო მისი, როგორც რეფორმატორის, აღმავალი სვლაც.

თავი IV

ბერი, რომელიც აუჯანყდა რომს

§1. ინდულგენციებით ვაჭრობის მოძალება გერმანიაში და „95 თეზისი“ (1517)

ინდულგენციებით მოვაჭრეთა მორიგი შემოტეცა გერმანიაში 1517 წლის ოქტომბერში დაიწყო. მას საფუძვლად დაედო პაპი ლეო X-ის 18 ოქტომბრის ბულა ცოდვების მიტევებისა და ინდულგენციებით ვაჭრობის შესახებ, რათა ამ გზით მიღებული თანხა მოეხმარათ „წმინდა პეტრეს ტაძრის აგებისა და ქრისტიანული სამყაროს სულების ხსნისათვის“. ინდულგენციებით ვაჭრობის უფლება მიეცა მაინცის არქიეპისკოპოსს - ალბრეხტს, რომელმაც, თავის მხრივ, „წმინდა საქონლის“ გასაღება დაავალა თავის აგენტს, დომინიკანელ ბერს იოანე ტეცელს. ამ უკანასკნელმაც, რომელსაც მინიჭებული ჰქონდა პაპის ზედამხედველის ჩინი, ფუგერების ბანკირთა სახლის წარმომადგენელის თანხლებით ინდულგენციების საოცრად ცინიკური და თავხედური ვაჭრობა გააჩაღა. „ეკლესიაში დასმულ პაპის ღერბიან შენდობის წითელ ჯვარს, ამბობდა იგი, — ისეთივე ძალა აქვს, როგორც ქრისტეს ჯვარს... ვინც ყუთში ჩაუშვებს ფულს სალხინებელში ვინმეს სულისათვის და როგორც კი მონეტა მიაღწევს ძირამდე და გაწკარუნდება, სული მაშინვე ზეცაში გაფრინდება. შენდობის მადლი სწორედ ის მადლია, რომელიც ადამიანს ღმერთთან შეარიგებს. საჭირო არ არის მონანიება, თვითგვემა და ეპიტიმია ცოდვისათვის, თვით მომავალი ცოდვებისთვისაც კი, თუ ვიყიდით ინდულგენციას ანუ შენდობის სიგელს“. „ინდულგენციის შემსყიდველი, - განაგრძობს ტეცელი, ხდება მისგან (ე.ი. ინდულგენციისაგან - გ.კ.) უფრო სუფთა, ვიდრე ადამი იყო სამოთხეში ცოდვასთან ზიარებამდე. ინდულგენციების გამყიდველი ადამიანებს ხდის უფრო მეტად წმინდანებს, ვიდრე იყო პეტრე მოციქული... არ არის ისეთი

ცოდვა, რომელიც არ დაიფარება ინდულგენციით, იყიდეთ ინ-
დულგენცია და თქვენ გეპატიებათ მომაკვდინებელი ცოდვა, ჩა-
დენილი თვით ღვთისმშობელთანაც კი, მოიტათ! მოიტათ! გად-
მოალაგეთ ფულები! ისარგებლეთ შემთხვევით! გადაარჩინეთ
თქვენი ნათესავები და ახლობლები ჯოჯოხეთში ცოდვის
განმწმენდელი ტანჯვისაგან".

ბუნებრივია, ტეცელის საქმიანობამ გერმანიაში მოწინავე
ადამიანების უკმაყოფილება და აღშფოთება გამოიწვია.
აღშფოთებას ვერ მალავდა ლუთერიც, განსაკუთრებით მას
შემდეგ, რაც ტეცელმა თავისი სავაჭრო დუქანი გახსნა
ვიტენბერგის ახლოს, იუტერბოკსა და ცერბსტში, სადაც თავს
იყრიდა ხალხი. ამაში, კ.ლამპრეხტის მართებული თქმით,
მნიშვნელოვანი როლი ასეთმა გარემოებებმაც შეასრულა: 1515
წელს, მას შემდეგ, რაც ავად გახდა ვიტენბერგის მღვდელი
სიმონ გეინზე, მის ნაცვლად დაინიშნა ლუთერი. მართალია,
თავდაპირველად ლუთერი უხალისოდ მოეკიდა მღვდლის
მოვალეობას, მაგრამ დროთა განმავლობაში შეეჩვია მას და
ჭეშმარიტ მოძღვრადაც გადაიქცა, ისე გაიწაფა, რომ დღეში
ხშირად რამდენჯერმე წარმოთქვამდა ქადაგებას. მისი მეგობრები
ხუმრობდნენ კიდეც: „ჯერ კიდევ გაუგებარია, მღვდელია იგი,
თუ პროფესორი". და აი, როცა ვიტენბერგის ახლოს გამოჩნდა
ტეცელი, რომელიც ინდულგენციების ვაჭრობით ხრწნიდა
რელიგიურ თემს, ანგრევდა სახარების იმ ზნეობრივ ნორმებს,
რასაც ლუთერი ქადაგებდა, ამის მოთმენა უკვე აღარ შეიძლებოდა
და მორწმუნე თემისადმი მოძღვრის პასუხისმგებლობამ ლუთერს
გადამჭრელი გადაწყვეტილების მიღება შთააგონა. მართალია,
თავისი თეზისების გამოქვეყნებამდე ბევრად ადრე, 1516 წელს,
ლუთერი ქადაგებდა ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ,
მაგრამ ამან სასურველი შედეგი ვერ გამოიღო. საჭირო შეიქმნა
ახალი გზის ძიება. როგორც პროფესორს, ლუთერს უფლება
ჰქონდა ჩამოეყალიბებინა თეზისები საკამათო საკითხებზე და
მოეწვია მოწინააღმდეგე მათი განხილვისათვის.

მართლაც, 1517 წლის 31 ოქტომბერს, ვიტენბერგის ეკ-

ლესიის კარებზე ლუთერმა გამოაკრა თავისი „95 თეზისი". ამ თხზულების რამდენიმე ეგზემპლარი, როგორც მოსაწვევი, მან წესის თანახმად დაგზავნა დისპუტისათვის. თეზისები ელვისებური სისწრაფით (14 დღეში) გავრცელდა მთელს გერმანიაში, ამან თვით ლუთერიც კი განაცვიფრა. სინამდვილეში თეზისების გავრცელებისათვის იზრუნეს მისმა მეგობრებმა და წიგნის მბეჭდავებმა, რომლებმაც მასში სარგებელი დაინახეს. თეზისებმა მთელს გერმანიაში ჰპოვა გამოძახილი. ალბრეხტ დიურერმა, ლუთერის თანამედროვე ცნობილმა გერმანელმა მხატვარმა, მადლობის ნიშნად ლუთერს გამოუგზავნა ხესა და სპილენძზე შესრულებული გრავიურებიანი რამდენიმე წიგნი.

ამგვარი გავრცელებისა და გამოძახილის მიუხედავად, ვიტენბერგში თეზისების განხილვის დროს არავინ არ მოსულა. არსებითი რეაქციის გარეშე დარჩა ლუთერის წერილიც, რომელიც თეზისებთან ერთად გაუგზავნა საეკლესიო ხელისუფალთ, მაინცის არქიეპისკოპოსს ალბრეხტსა და ბრანდენბურგის ეპისკოპოსს იერონიმეს. ერთადერთი ტეცელი იყო, წერილობითი ანტითეზისებით რომ გამოვიდა, რისთვისაც მას იმავე 1517 წლის ბოლოს ფრანკფურტის უნივერსიტეტში თეოლოგიის დოქტორის ხარისხი მიანიჭეს, რომელიც ვიტენბერგის უნივერსიტეტის მოწინააღმდეგე იყო.

მაინც რითი იპყრობს ყურადღებას თეზისები? განა ლუთერამდე არ იყვნენ ადამიანები გერმანიაში, რომლებიც ილაშქრებდნენ ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ?

რა თქმა უნდა, როგორც ითქვა, ლუთერამდეც იყო მრავალი ადამიანი, რომელმაც ხმა აღიმაღლა ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ. განსაკუთრებით ეს ითქმის გერმანელ ჰუმანისტებზე, რომლებიც ინდულგენციებით ვაჭრობაში ხედავდნენ დიდ უზნეობას უფრო იმიტომ, რომ ამ გზით მოგებული თანხა ხმარდებოდა არა ღვთისმოსაობის მიზნებს, არამედ თვით პაპის ფუფუნებით ცხოვრებას. ისინი, ე.ი. ჰუმანისტები, ვერ ხვდებოდნენ, რომ შენდობის გაყიდვა ესაა ერისკაცთა ფეოდალური ექსპლუატაციის განსაკუთრებული ნაირსახეობა, რომელიც

დაფუძნებულია გამოსასყიდი მსხვერპლის იდეაზე; ისინი ვერ ხედავდნენ, რომ ბაზარზე გამოტანილი შენდობის სიგელი ეს მხოლოდ ეპიტიმიისა და სატისფაკციის შენაცვლებაა. ყველაფერი ეს შესანიშნავად განჭვრიტა ლუთერმა. ეკლესიაში, რომელიც ინდულგენციებს ყიდდა, მან დაინახა არა უბრალოდ ვაჭარი, არამედ მოვაჭრე ფეოდალი, რომელსაც ტაძრის აშენება სურდა „თავისი სამწყსოს ძვლებით, ხორცითა და ტყავით". ლუთერმა ისიც შესანიშნავად განჭვრიტა, რომ ეკლესიის ამდაგვარი მისწრაფებების დაძლევა საეკლესიო დოგმების პრინციპული კრიტიკის გარეშე შეუძლებელი იყო. მისი თეზისების სიახლე სწორედ იმაში მდგომარეობდა, რომ მათში დაგმობილი იყო არა მარტო ინდულგენციებით ვაჭრობის ამორალური მხარე, არამედ კათოლიკური დოგმების ის სისტემაც, რომელზეც დაფუძნებული იყო საეკლესიო-ფეოდალური ექსპლუატაცია. თეზისებში უპირველესად დაგმობილია ის დოგმა, რომლის თანახმად სულის ხსნა შესაძლებელია მხოლოდ ეკლესიის მიერ დადგენილი რომელიმე „საიდუმლოს" ძალით, საეკლესიო წესჩვეულებების აღსრულებით. „ამაოა და ფუჭი იმედი ინდულგენციების დახმარებით ხსნისა, მაშინაც კი, თუ ზედამხედველი, თვით პაპიც კი, ამისათვის თავის სულს დააგირავებს", - ნათქვამია 52-ე თეზისში. ანალოგიური აზრის შემცველია 76-ე თეზისიც: „პაპის ინდულგენციას სულ უმნიშვნელო შეცოდების შემთხვევაშიც კი არ ძალუძს დანაშაულის მოხსნა:. ამგვარად, უარყოფს რა სულის ხსნის საქმეში კათოლიკური ეკლესიის მიერ შემოთავაზებულ საშუალებებს, მათ შორის ინდულგენციას, ლუთერი უპირველეს ყოვლისა იმას ამბობს, რომ სინამდვილეში მათ სხვა მოვალეობა არ აკისრიათ, თუ არა ადამიანების ძარცვა და სულიერი გახრწნა. ამიტომაც გმობს ტეცელისა და მის მსგავსთა საქმიანობას გერმანიაში, რომლებიც ინდულგენციის „სიკეთეში" ირწმუნებოდნენ. თეზისებში ვკითხულობთ: სისულელეს ქადაგებენ ისინი, „ვინც ამტკიცებს, თითქოს როგორც კი ფულები აჩხრიალდება ყუთში, სული მაშინვე ტოვებს სალხინებელსო" (27-ე თეზისი), „უეჭველია, როგორც კი ფუ-

ლები აჩხრიალდება ყუთში, მაშინვე იზრდება ანგარება და სიხარბე“ (28-ე თეზისი).

აღსანიშნავია, რომ ლუთერი კიცხავდა არა მარტო ინდულგენციებით მოვაჭრეთა საქმიანობას, არამედ ამ "წმინდა საქონლის" შეძენის მსურველებსაც. — "სამუდამოდ შეჩვენებული იქნებიან თავიანთ მოძღვრებთან ერთად ისინი, - ნათქვამია 32-ე თეზისში, ვინც დარწმუნებულია, რომ ინდულგენციის მეშვეობით მოიპოვებს დახსნას". ლუთერის გულისწყრომას განსაკუთრებით იმ ადამიანთა საქციელი იწვევდა, ვინც ღარიბსა და გაჭირვებულს დაინახავდა და არ გაიღებდა მოწყალებას, ვინც საკუთერი ოჯახის შესანახი სახსრების დაზოგვას ინდულგენციების შეძენას ამჯობინებდა. ლუთერი ხალხს იმაში არწმუნებდა, რომ პაპისეული შენდობა "სიყვარულის სხვა კეთილ საქმეებზე მაღლა" არ იდგა (41-ე თეზისი), ხოლო მოყვასის სასარგებლოდ გაღებულ კეთილ საქმეებს ვერავითარი წყალობის სიგელი ვერ შეცვლიდა. კეთილი საქმეები იმიტომაც არის საჭირო, რომ მისი წყალობით ადამიანებს შორის იზრდება სიყვარული, ადამიანიც უკეთესი ხდება და, საბოლოო ჯამში, ღმერთისადმი მისი სიყვარულიც ძლიერდება (42-ე და 46-ე თეზისი). როგორც ვხედავთ, ლუთერის მიერ რეკომენდირებული "კეთილი საქმეები" ბევრად უფრო ჰუმანური და კეთილშობილურია, ვიდრე "კეთილი საქმეების" კათოლიკური გაგება; მას ხომ მხოლოდ ეკლესიის მესვეურთა კეთილდღეობა მოჰქონდა.

ლუთერი მორწმუნეებს იმაშიც არწმუნებდა, რომ ინდულგენციებისათვის მათ მიერ გაღებულ სახსრებს არა მარტო „დიდი მოგება“ და ფუფუნება მოჰქონდა ეკლესიის მესვეურებისათვის, არამედ ხელს უწყობდა ზოგიერთი პირის დაუმსახურებელ დაწინაურებას, იმას, რომ იგი „უკანასკნელებს პირველებად აქცევს“ (64-ე თეზისი).

ამგვარად, თავს ესხმოდა რა ინდულგენციებით ვაჭრობას, ლუთერი კითხვის ქვეშ აყენებდა ციური გამოსასწორებელი სასჯელების უფლებაზე ეკლესიის პრეტენზიას, მორწმუნეებს იმაში არწმუნებდა, რომ ადამიანების განთავისუფლება ცოდ-

ვებისაგან გარედან მოხვეულ არავითარ მოწყალების სიგელს არ ძალუძს; ცოდვა - ესაა სულის ხრწნა და მისგან განწმენდა, დასაბამიერი სიწმინდის აღდგენა კაცში შეუძლია ერთადერთ ღვთიურ მადლს, წყალობას, რომელიც ადამიანებს ეძლევათ არა ეკლესიის შუამავლობით ან ინდულგენციის შეძენის გზით, არამედ უშუალოდ ღმერთისაგან. თუ მორწმუნე ღმერთის ნების წინაშე სრულ მორჩილებას გამოიჩენს, განუხრელად დაიცავს ქრისტეს მოძღვრებას და გულწრფელად მოინანიებს, ღმერთიც მოგვაგებს მადლსა და რწმენას მისავე წმინდა სიკეთისა და მაცხოვრის ღვაწლის გამო, რათა ამ გზით წარწყმენდისაგან იხსნას ჩვენი სულები, მოვიპოვოთ სასუფეველში შესვლის უფლება. ამგვარად, მართალია, "თეზისებში" ისე თამამად არ არის ნათქვამი, როგორც 1513-1516 წლების "საკითხავებში", მაგრამ მინიშნებით მაინც ვლინდება ლუთერისეული რწმენით გამართლების თეორია (ეს თეორია მან კიდევ უფრო გააღრმავა და დაასაბუთა მოგვიანებით), რომლის თანახმად ადამიანები "სულის ხსნას", ანუ "გამართლებას" მოიპოვებენ არა "გარეგნული" ან პირადი დამსახურების წყალობით, არამედ მხოლოდ ღვთისაგან ბოძებული მადლისა და რწმენის დახმარებით.

რწმენით ხსნის ლუთერულ მოძღვრებას მივყევართ შორს მიმავალ შედეგებამდე. თუ ადამიანის გამართლება მოაქვს მხოლოდ ღვთაებრივ წყალობას და რწმენას, მაშინ აზრს კარგავს მთელი საეკლესიო იერარქია თვით პაპის მეთაურობით, საჭიროს აღარ შეადგენს კანონიკური სამართალი, რომელზეც დაფუძნებული იყო პაპობისა და ეკლესიის უფლებანი, უარსაყოფია "საღვთო გადმოცემები" (კანონიკური დეკრეტები, მიმართვები და საეკლესიო დადგენილებანი), რომლებიც მრავალი შეცდომის შემცველია. ერთადერთი ავტორიტეტი, რომელსაც, ლუთერის აზრით, უნდა დაეყრდნონ ქრისტიანები, ესაა საღვთო წერილი, რომელიც გაცილებით უფრო ადრინდელია. „ეკლესიის ჭეშმარიტი საგანძური კი, - ნათქვამია 62-ე თეზისში, - არის ღვთის დიდებისა და მადლის წმინდა სახარება". იგი არ საჭიროებს პაპის განმარტებებს, რაც ისედაც ნათელია ყველასთვის.

კათოლიკური ეკლესიისა და სამღვდელოების ავტორიტეტის ამდაგვარი კრიტიკის მიუხედავად, ლუთერი ერთიანად როდი უგულებელყოფდა ეკლესიის ფუნქციას როგორც ადამიანების დამრიგებლისა: მას სურდა მხოლოდ განწმენდილი, "ევანგელიკური" ეკლესია, რომელიც დაეხმარებოდა ადამიანებს რელიგიურ ცხოვრებაში, საღვთო წერილის გაგებასა და ზნეობრივ სრულყოფაში, თავმდაბლობისა და ღმერთისადმი მორჩილების უზრუნველყოფაში. ამ დროისათვის (1517წ.) ლუთერი თვით პაპის მიმართაც ლმობიერებას იჩენდა, იმ აზრს გამოთქვამდა, რომ ინდულგენციებით ვაჭრობა ხდებოდა "წმინდა საქონლის" გამყიდველთა თვითნებობით და არა რომის პაპის მითითებით. „ქრისტიანებს უნდა ვასწავლოთ, - ნათქვამია 50-ე თეზისში, პაპმა რომ იცოდეს ინდულგენციების გამყიდველთა გამომძალველობის შესახებ, იგი უმალ წმინდა პეტრეს ტაძრის ფერფლად ქცევას ამჯობინებდა, ვიდრე მის შენებას თავისი სამწყსოს ტყავით, ხორცითა და ძვლებით". პაპთან განხეთქილების გზას იგი მხოლოდ 1519 წლიდან დაადგა. ჩანს, ამ დრომდე იგი პაპს შეგნებულად უთმობდა, აკი წერდა: "მე მარტოდმარტო ვიყავი ამ საქმეში და პაპს ვუთმობდი არა მხოლოდ ბევრ საქმეში, არამედ გულწრფელად ვაღმერთებდი მას. რადგან ვინ ვიყავი მე მაშინ? უმნიშვნელო ბერი, რომელიც გვამს უფრო ჰგავდა, ვიდრე ცოცხალ არსებას".

მიუხედავად ამისა, ლუთერის ამ გამოსვლას დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა. თეზისები შეიცავდა გაბედულ აზრს, ყველა სასჯელისა და მძიმე გადასახადის უსამართლობის შესახებ, რომლებიც ეკლესიიდან მომდინარეობდა. აქედან ასეთი დასკვნაც გამომდინარეობდა: თუ ღმერთისათვის საკმარისია მხოლოდ მონანიება, თუ ის ადამიანისაგან არ მოითხოვს არავითარ გამოსასყიდსა და შესაწირავს, მაშასადამე, ყველაფერი ის, რაც ეკლესიამ აკრიფა ერისკაცებისაგან საუკუნეების მანძილზე, მას მისაკუთრებული აქვს არა ღვთაებრივი სამართლით. უსინდისობაა არა მარტო მიტევების სიგელის გაყიდვით აკრეფილი ფული, არამედ ეკლესიის უძველესი ქონებაც: მისი მიწები და ყმა

გლეხები. აქედან ძნელი არ იყო გადასვლა საეკლესიო ქონების სეკულარიზაციისა და საეკლესიო-ფეოდალური ჩაგვრის აღმოფხვრის იდეაზე.

მართლაც, ტიურინგიელი ავგუსტინელი ბერის მიერ წარმოჩენილმა ქრისტიანულმა სიმართლემ ახალი ძალა შთაბერა გერმანულ ანტიპაპურ ოპოზიციას. ლუთერის თეზისებმა ისე იმოქმედა, როგორც ნაპერწკალმა დენთის კასრში. მათში თავდაპირველად საერთო, ზოგადი გამოხატულება ჰპოვა მრავალმხრივ გადაჯვარედინებულმა მისწრაფებებმა როგორც რაინდობის, ისე მოქალაქეებისა, როგორც გლეხებისა, ისე პლებეებისა, როგორც სუვერენობის მაძიებელი მთავრებისა, ისე დაბალი სამღვდელოებისა, როგორც ფარული მისტიური სექტებისა, ისე ლიტერატურული - სწავლული და ბურლესკულ-სატირული ოპოზიციისა; ყველა ეს ელემენტი გასაოცარი სისწრაფით შეჯგუფდა ამ თეზისების გარშემო. მართალია, ლუთერმა წინასწარ ვერ განჭვრიტა, თუ რა შედეგი შეიძლებოდა მოჰყოლოდა თეზისების გამოქვეყნებას, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ამ აქტმა შეასრულა ბიძგის როლი და სათავე დაუდო რეფორმაციულ მოძრაობას, რომელმაც ყველა წოდება თავის მორევში ჩაითრია. თითოეულმა წოდებამ თეზისებში დაინახა არა მარტო ის, რაზედაც ლუთერი მიუთითებდა, არამედ ისიც, რაც საერთოდ აწუხებდათ.

§2. საეკლესიო დევნის დასაწყისი

იოჰან ტეცელს, როცა ლუთერის თეზისები წაუკითხავს, უთქვამს: "მე მივაღწევ იმას, რომ ეს ერეტიკოსი სამ კვირაში კოცონზე ავიდესო". მართლაც, ამ მიზნით მან იმთავითვე იზრუნა: ჯერ იყოდა ფრანკფურტის კედელთან კოცონი ააგიზგიზა და ცეცხლში მოისროლა "ერეტიკოსის" თეზისები, ყველასათვის გასაგები იყო მინიშნება: ჯერ თხზულება დაიწვება ცეცხლში, შემდეგ კი მისი ავტორიც. 1517 წლის ბოლოს ლუთერს მან ანტითეზისებითაც (106 თეზისით) უპასუხა, რის გამოც მას, როგორც ითქვა, თეოლოგიის დოქტორის ხარისხი მიანიჭა

ფრანკფურტის უნივერსიტეტმა, რომელიც იყო ვიტენბერგის უნივერსიტეტის მოწინააღმდეგე. ანტითეზისებში არსებითად შეცვლილი იყო პოლემიკის თემა, ტეცელი მსჯელობდა არა შინაგანი და გარეგანი მონანიების ურთიერთდამოკიდებულებაზე, არა თვით ინდულგენციებით ვაჭრობის საკითხზე, არამედ არსებითად ლუთერის 58-ე თეზისზე, რომელიც შეიცავდა მინიშნებას იმაზე, რომ პაპი არ წარმოადგენს გამანაწილებელს "დამსახურებათა განძისა", რომელიც დაგროვილია ქრისტესა და წმინდანების მიერ. ამგვარად, ლუთერს ბრალად ედებოდა ის, რომ იგი ხელყოფდა პაპის ღირსებასა და ავტორიტეტს.

ტეცელი მარტო ბრალდების წაყენებით არ კმაყოფილდება, იგი რომში აგზავნის დასმენას ლუთერის თეზისების ერეტიკული შინაარსის თაობაზე, რაც საინკვიზიციო პროცესის აღძვრას მოასწავებდა. გამოხმაურებამაც არ დააყოვნა რომის კურიაში მომუშავე ცალკეული ადამიანების მხრიდან, რომელთა განაჩენი მეტად მკაცრი იყო და ჟღერდა ასე: — ყოველი ადამიანი, ვინც მსჯელობს ცოდვების შენდობაზე და ეჭვი შეაქვს პაპის შესაძლებლობაზე, ერეტიკოსია, ამბობდნენ ისინი. ლუთერის თავზე კოცონის ან სამუდამო პატიმრობის საფრთხე იკვეთებოდა, მაგრამ როდი შეუშინდა მას. იგი კვლავ განაგრძობს მუშაობას და წერას. სულ მალე, 1518 წლის იანვარში, იგი წარსდგა გეიდელბერგის დისპეტზე, სადაც წარადგინა 28 თეოლოგიური და 12 ფილოსოფიური თეზისი. ეს თეზისები აშკარად გამოხატულ ანტიდომინიკანურ და ანტისქოლასტიკურ ხასიათს ატარებდნენ. ეკამათებოდა რა სწავლულებს, ლუთერი კრიტიკის ქვეშ აყენებდა ოკამისტურ წარმოდგენას, რომლის თანახმად ადამიანს შეუძლია საკუთარი ძალებით და გონებით აკეთოს „კეთილი საქმეები". ის ეჭვის ქვეშ აყენებდა აგრეთვე არისტოტელეს ეთიკის ამოსავალ წარმოდგენას, რომელსაც ანვითარებდნენ თომისტები და ოკამისტები, სახელდობრ იმას, რომ ადამიანი მოქმედებს უწყვეტი ანგარიშიანობით, სინამდვილეში, ლუთერის აზრით, მხოლოდ "ღმერთის ჩაგონებით" მოქმედებას მოაქვს სარგებლობა როგორც ღმერთის სამეფოსათვის, ისე ამქვეყნიური ცხოვრებისათვის. ამით

ლუთერი დაუპირისპირდა კათოლიციზმს, თუმცა მისი თეზისების ტენდენციას ყველა როდი ჩაწვდა. ბევრი მას თანაუგრძნობდა კიდეც. მათ შორის იყო დომინიკანელი ახალგაზრდა თეოლოგი მარტინ ბუცერი, რომელმაც ლუთერის მეტად სარწმუნო პორტრეტი დაგვიხატა წერილში, რომელსაც მეგობარს წერდა: "განსაცვიფრებელია მისი მოძრაობა, როცა ის ლაპარაკობს; სწორუპოვარია მისი მოთმინება, როდესაც ის სხვებს უსმენს. მისი მახვილგონიერება ემსგავსება მოციქულ პავლეს სტილს. გამომხატველია მისი მოკლე დამოწმებანი სახარებიდან, რომელიც საყოველთაო აღფრთოვანებას იწვევს. ბევრ რამეში ის ეთანხმება ერაზმს, მაგრამ აღემატება მას, რადგან ყველაფერს, რისკენაც ის მხოლოდ მიანიშნებს, გამოთქვამს თავისუფლად და ღიად. ის ჭეშმარიტად ის პიროვნებაა, ვინც ვიტენბერგში საფუძველი დაუდო სქოლასტიკის ბატონობის დასასრულს და ხელი შეუწყო იმას, რომ იქ საჯაროდ ესაუბრათ ბერძნებზე, იერონიმეზე, ავგუსტინესა და პავლეზე". ერთი სიტყვით, ლუთერის მხარდამჭერები ძალზე აქტიურობდნენ, თუმცა მასაც მოუხდა თავის დაცვა ისეთ ძლიერ მოწინააღმდეგესთან, როგორიც იყო ცნობილი საეკლესიო პოლემისტი და თეოლოგიის პროფესორი იოჰან ეკი, რომელიც შეეცადა დაეცინა ლუთერის თეზისებისათვის. პასუხმაც არ დააყოვნა, 1518 წლის თებერვალში იბეჭდება ლუთერის ორი თხზულება: ერთი იყო ლათინურ ენაზე დაწერილი "95 თეზისის განმარტება" და მეორე - "საუბარი შენდობისა და წყალობის შესახებ", რომელიც გერმანულ ენაზე დაწერილი მისი პირველი ნაშრომია. ამ ნაშრომებში ლუთერი ახლა უფრო ბევრად გაბედულად გამოთქვამს თავის აზრებს, პირდაპირ ამბობს, რომ ეკლესია საჭიროებს რეფორმას, რომ ეს რეფორმა არ შეიძლება იყოს მხოლოდ კარდინალებისა და პაპის საქმე ნაკლი და ბოროტებანი უნდა განიხილოს ყველამ და თანაც ღიად. იგი იმასაც ამბობდა, რომ პაპს უფლება არა აქვს განაგებდეს მორწმუნეთა სინდისს. ბევრად უფრო რადიკალურია მისი ეს გამონათქვამი: ერისკაცებზე დაყენებულია ორი ხელისუფლება, ერთი ტიარას ატარებს, მეორე კი გვირგვინს,

თანაც ორივეს წმინდა პოლიტიკური მოვალეობა აკისრია. "რისთვისაა საჭირო ეს უცნაური ორხელისუფლებიანობა?" სვამს კითხვას ლუთერი და იქვე თვითონვე პასუხობს: სწორი ის იქნებოდა, რომ გარეგნული მეთვალყურეობისა და სასჯელის ყველა ფუნქცია იმყოფებოდეს ერთის, სახელდობრ, საერო მმართველის ხელში.

ამგვარად, ლუთერს ჯერ კიდევ 1518 წლიდან შეაქვს ეჭვი, პაპების მიერ საერო ხელისუფლების ფლობის მართებულობაში. ეს სიახლე იყო მის შემოქმედებაში, რომელიც შემდეგში ტეცელთან მისი ურთიერთობის გამწვავების ერთ-ერთი მიზეზი შეიქმნა. ცეცხლზე ნავთი ლუთერის მომხრე სტუდენტებმა დაასხეს, როცა 1518 წლის იანვარში ვიტენბერგში ჩასულ ტეცელს მათ ასეთი სიურპრიზი მოუწყეს: შეაგროვეს მისი თეზისების რამდენიმე ასეული ეგზემპლარი და საზეიმოდ დაწვეს. ამან ტეცელის აღშფოთება გამოიწვია. სტუდენტების საქციელს მოწონებით არც ლუთერი შეხვედრია, რადგან მშვენივრად იცოდა, რომ იგი ხელს შეუშლიდა ტეცელთან კამათის გამართვას კანონის ფარგლებში. მართლაც, სულ მალე ტეცელმა და მისმა მომხრეებმა ლუთერი ოფიციალურად დაადანაშაულეს ერესში და მიიღეს გადაწყვეტილება, ბორკილებით მიეგვარათ იგი რომში. მაგრამ ლუთერის მფარველმა კურფიურსტმა ფრიდრიხ ბრძენმა ეს არ დაუშვა, ლუთერი არ გაუშვა რომში.

ასეთ ვითარებაში გამწარებულმა ტეცელმა და მისმა მომხრეებმა სიყალბეც კი ჩაიდინეს, გამოაცხვეს პასკვილი, რომლის ავტორად ლუთერი გამოაცხადეს, ისე გამოიყვანეს, თითქოს მას ჰქონდა საუბარი რომის კურიის ანგარებისმოყვარეობაზე. ყველაფერი ეს მათ მიართვეს კარდინალ კაეტანს, პაპის მთავარ კურატორს გერმანიაში. აღშფოთებულმა კაეტანმა მაშინვე აცნობა მომხდარის შესახებ რომში, თვითონ კი აუდიენცია ითხოვა აუგსბურგში მყოფი იმპერატორი მაქსიმილიანე I-საგან, გამოსტყუა მას იმის ნებართვა, რომ პაპს დაეჩქარებინა ლუთერის დაგმობა. მაგრამ პაპ ლეო X-ეს ამ ცნობის გამო მაინცდამაინც დიდი განგაში არ აუტეხია, ჩათვალა,

რომ ეს იყო უმნიშვნელო კამათი ორ სხვადასხვა ორდენის ბერებს შორის. ამასთან მას არც ლუთერის მფარველი კურფიურსტის წყენინება სურდა, რადგან იგი დიდი გავლენით სარგებლობდა გერმანიაში. ამას ემატებოდა ისიც, რომ პაპი ცდილობდა გერმანიისაგან მიელო დიდი ფულადი თანხა თითქოსდა თურქებთან ომის საწარმოებლად.

ლუთერის წინააღმდეგ აგორებულ პროცესს გაჩერება მაინც არ ეწერა. ჯერ იყოდა 1518 წლის 7 აგვისტოს იგი რომში გამოიხმეს, გადაჭრით მოითხოვეს, რომ ეს ჩასვლა ორ თვეში მომხდარიყო. თვით იმპერატორი მაქსიმილიანეც პირობას დებდა, რომ ლუთერს აუცილებლად ჩაიყვანდა რომში. აქ მას უეჭველი სასიკვდილო განაჩენი ელოდებოდა. მის საქმეს კიდევ ის ართულებდა, რომ 23 აგვისტოს რომის კურიის უმაღლესმა მოსამართლემ გინუჩიმ ლუთერი „აშკარა ერეტიკოსად" გამოაცხადა, თან რომიდან გერმანიაში სამი წერილიც აფრინა: ერთი კაეტანისაგან მოითხოვდა ვიტენბერგელი შფოთისთავის სასწრაფოდ დაჭერას; მეორე კურფიურსტ ფრიდრიხისაგან იმას მოითხოვდა, რომ ლუთერი ვიტენბერგიდან აუგსბურგში სასწრაფოდ გადაეყვანა; მესამე წერილი ავგუსტინური ორდენის მეთაურისაგან - გაბრიელო ვენეტურისაგან მოითხოვდა ლუთერის ძალით შეპყრობას იმ შემთხვევაში, თუ მისი კურფიურსტი დაეყოვნებდა კურიის გადაწყვეტილების შესრულებას.

ჩანდა, რომ ლუთერის ბედი გადაწყვეტილი იყო. გერმანელი დომინიკანელები ხელებს ისრესდნენ და სიხარულით აცხადებდნენ, რომ აშშრალებდნენ შეშას კოცონისათვის.

დომინიკანელთა ამ სურვილის მიუხედავად, ლუთერის წაყვანა რომის ტრიბუნალზე მაინც არ შედგა. 1518 წლის 30 აგვისტოს კურფიურსტმა ფრიდრიხმა კაეტანი იმაში დაითანხმა, რომ ლუთერს ჩაიყვანდა აუგსბურგში დისპუტზე.

ეს დღეც დადგა. ოქტომბრის პირველ რიცხვებში ლუთერი აუგსბურგისაკენ ფეხით გაუყვა გზას, თან ახლდა კურფიურსტის ორი მრჩეველი. „მე ვიცი, რომ მოვკვდები. კოცონი ჩემთვის უკვე აღმართულია", ეუბნებოდა იგი შემხვედრთ, თუმცა იმის იმედიც ჰქონდა, რომ ღმერთი არ გაწირავდა მას.

აუგსბურგში ლუთერი 7 ოქტომბერს ჩავიდა და მაშინვე გაიგო, რომ მას მიცემული აქვს იმპერატორისგან დაცვის სიგელი. დაელოდა რა მის მიღებას, 12 ოქტომბერს, დილით, იგი გამოცხადდა ბანკირ ფუგერების სახლში, სადაც იმყოფებოდა რომის პაპის ლეგატი კაეტანი. ლუთერი იმთავითვე განეწყო დისპუტისათვის. როგორც შემდეგში იგონებდა, მასში იმძლავრა ეროვნულმა გრძნობამ, მით უფრო თავის ქვეყანაში მყოფმა გადაწყვიტა ღირსეული პასუხი გაეცა პაპის მთავარი კურატორისათვის, კაეტანისათვის. ამ უკანასკნელის ულტიმატუმს "თუ გინდა შეწყალება მიიღო, უნდა შეასრულო მისი უწმინდესობის (ე.ი. პაპის გ.კ.) სამი მოთხოვნა: პირველი უარი უნდა თქვა ყველა შენს მცდარ მოსაზრებაზე; მეორე - ეს მოსაზრებანი არავის უნდა უქადაგო შემდეგში და მესამე არასოდეს არ უნდა აღაშფოთო მსოფლიოს ეკლესია" - ლუთერმა მაშინვე უპასუხა: იგი მზად არის დაემორჩილოს მისი უწმინდესობის ნებას ყველაფერში, მაგრამ იმავე დროს ხაზგასმით ისიც თქვა, რომ არ შეუძლია უარი თქვას თავის მოსაზრებებზე, თუ არ მიუთითებენ, რაში მდგომარეობს მათი ცდომილება.

რატომღაც კაეტანს მოეჩვენა, რომ შეიძლებოდა ლუთერის "მოთვინიერება", ცდომილის დაბრუნება ეკლესიის წიაღში და დაუწყო დარიგება. ფაქტიურად, მათ შორის დაიწყო მეცნიერული კამათი. ლუთერი ამ კამათში საღვთო წერილს ემყარებოდა, კაეტანი კი თომა აკვინელს და სქოლასტიკას.

როცა კაეტანი გადაწვდა "95 თეზისს" და ლუთერისაგან მოითხოვა განთავისუფლება 58-ე, ასევე 53-55-ე და 92-95-ე თეზისებში განვითარებული აზრებისაგან, სახელდობრ იმ აზრისაგან, რომლის თანახმად ქრისტესა და წმინდანების წყალობით დაგროვილი განძი, ეკლესიის მონაპოვარი ან გასანაწილებელი როდია, რაც ასე ეწინააღმდეგებოდა პაპ ევგენი IV-ის დეკრეტალიებს; ამ განძზე, განმარტავს იგი, არათუ არ მიუწვდება ხელი პაპს, როგორც ამას ლუთერი ამტკიცებს, არამედ მას მისი განაწილება და გადანაწილებაც შეუძლია, „პაპს ხომ განუსაზღვრელი ძალაუფლება გააჩნია ყველაფერზე“,

კაეტანის ამ მოთხოვნა-მტკიცებებს ლუთერმა ასე უპასუხა: — პაპ ევგენი IV-ის დეკრეტალიები მისთვის არ წარმოადგენს ავტორიტეტს, რადგან ისინი "ეფუძნებიან არა საღვთო წერილს", რომელიც პაპის ავტორიტეტზე მაღლა დგას, არამედ უბრალოდ "იმეორებენ თომა აკვინელის თვითნებურ აზრებს". ეს სიტყვები იმდაგვარად იყო წარმოთქმული, რომ კაეტანი უნდა მიმხვდარიყო: ლუთერის დაბრუნება ეკლესიის წიაღში ადვილი არ იყო. კაეტანმა ნიშნისგებით გაიმეორა ლუთერის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვები: "საღვთო წერილი" და იქვე დასძინა: — პაპის ძალაუფლება არათუ საღვთო წერილზე, არამედ ყველა საეკლესიო კრებაზეც მაღლა დგასო. ლუთერს უპასუხოდ არც ეს მოსაზრება დაუტოვებია: — "არა, ფრიადპატივცემულო მამავ, მიმართა მან კაეტანს, თუ პაპი დაადგება ცდუნების გზას, მისი მხილება ღვთის სიტყვაზე დაყრდნობით შეუძლია არა მარტო საეკლესიო კრებას, არამედ უბრალო ერისკაცსაც კი, რადგან პაპი კი არ დგას ღვთის სიტყვაზე მაღლა, არამედ ღვთის სიტყვა დგას პაპზე მაღლა, როგორც მოციქული პავლე გვეუბნება (გალატელთა მიმართ)".

ამ განცხადების შემდეგ ერთხანს დარბაზში სიჩუმემ დაისადგურა, ყველამ იგრძნო, რომ ლუთერს თავს დაატეხდნენ რისხვას, მართლაც, კაეტანმა ჯერ თითების ფშვნეტასა და ნოტაციის კითხვას მიპყო ხელი, შემდეგ ყვირილიც მორთო: "უარი თქვი, უარი თქვი! თუ არადა გაეთრიე აქედან". მისგან თეზისებზე უარის თქმას მოითხოვდნენ, მაგრამ ლუთერს უარი არ უთქვამს.

ასე გაგრძელდა მომდევნო (13 და 14 ოქტომბრის) შეხვედრებშიაც, მაგრამ ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ ლუთერი უარს არ იტყოდა არცერთ თეზისზე. ჩანს, კაეტანსაც მოსწყინდა უაზრო კამათი და გაჯავრებული ტონით განაცხადა: "არ მსურს მეტად ამ პირუტყვთან საუბარი, რამეთუ ამ ადამიანს აქვს "ღრმად ჩამჯდარი თვალები და უჩვეულო აზრები თავში". სულ მალე გასკდება "საპნის ბუშტი", ასკვნიდა იგი.

დაპირისპირებამ, რომელიც გაგრძელდა რამდენიმე დღე, სულ მალე გამოიღო შედეგი: ქალაქში ვრცელდება უბოროტესი ხმები, იმას ამბობენ, რომ ლუთერს სულ მალე დაიჭერენ და რომში გააგზავნიან. მოსალოდნელ საფრთხეზე საუბრობენ ლუთერის მეგობრებიც. მათ კარგად ესმოდათ, რომ იმპერატორის დაცვის სიგელი ბევრს არაფერს ნიშნავს. განა ასეთი სიგელი არ ჰქონდა იან ჰუსს, რომელიც შეიპყრეს და კოცონზე დაწვეს. ლუთერმაც შეისმინა მეგობრების რჩევა და 20 ოქტომბერს, ღამით, მოსყიდული დარაჯის დახმარებით მიწისქვეშა გზით გააღწია ქალაქის კედლებს იქით, სადაც მას წინასწარმომზადებული ცხენით ელოდებოდნენ. ერთი სიტყვით, მან დატოვა აუგსბურგი და მეორე დღეს ვიტენბერგში ჩავიდა.

პაპმა სასურველ შეთანხმებას მაინც მიაღწია, მან ლუთერს მიუგზავნა საოცრად მოხერხებული საქსონელი აზნაური, რომის კურიის ნოტარიუსი, კარლ ფონ მილტიცი, რომელმაც იმის გაკეთება შეძლო, რაც ვერ გააკეთა კაეტანმა; ლუთერთან მიაღწია შეთანხმებას ორ პუნქტში: 1) ორივე მხარეს უნდა შეეწყვიტა ქადაგება, წერა და მსჯელობა სადავო საკითხზე; 2) მილტიცს საქმე უნდა გადაეცა პაპისათვის, რათა დაენიშნა სწავლული ეპისკოპოსები მისი გამოკვლევისათვის; მილტიცის წარმატებულ მოლაპარაკებაზე მეტყველებს წერილი, რომელიც ლუთერმა გაუგზავნა პაპ ლეო X-ს 1519 წლის 3 მარტს. მასში ნათქვამია: "უწმინდესო მამავ, არ ვიცი როგორ ავიცდინო თქვენი რისხვა. ჩემგან მოითხოვენ უარის თქმას, რაც მხოლოდ დააკნინებდა რომაულ ეკლესიას, უდიდეს ბოროტებას მოუტანდნენ მას ჩემი მოწინააღმდეგეები, რომლებმაც შეარცხვინეს გერმანია ბავშვური რაღაცეების ქადაგებით. მე ღმერთის წინაშე მართალი ვარ, არასოდეს არ მიფიქრია წინ აღვდგომოდი რომაულ ეკლესიას და თქვენს უწმინდესობას. მე ვაღიარებ, რომ ამ ეკლესიის ძალაუფლება ყველაზე მაღლა დგას, დედამიწაზე არ არის სხვა არაფერი, მასზე წინ რომ დავაყენოთ, გარდა იესო ქრისტესი". ამ წერილში ლუთერი იმის პირობასაც იძლეოდა, რომ ხელს აიღებდა თავის მოძღვრებაზე, თუ მისი მოწინააღმდეგეები გაჩუმდებოდნენ.

მაგრამ ლუთერს სულ მალე მოუწია ამ პირობის დარღვევა. საქმე ის არის, რომ სარბიელზე გამოჩნდა ახალი ადამიანი, დომინიკანელი ბერი და ინგოლშტადტის უნივერსიტეტის კანცლერი დოქტორი იოჰან ეკი, რომელმაც „95 თეზისის" შესახებ თავისი შეპასუხებანი გერმანიაში გაავრცელა. გარდაუვალი გახდა ახალი დისპუტის გამართვა.

§3. ლაიფციგის დისპუტი და ალში გახვეული პაპის ბულა

დისპუტი ეკსა და ლუთერს შორის, რომელიც ლაიფციგში 1519 წლის 28 ივნისს დაიწყო, მნიშვნელოვანი ეტაპია რეფორმაციის ისტორიაში. იგი მიმდინარეობდა საქსონიის ჰერცოგ გეორგის პლეისენბურგის ერთ-ერთ სასახლეში მღვდლების, ბერების, აბატების, დოქტორ-ღვთისმეტყველებისა და მრავალი ცნობილი ადამიანის თანდასწრებით. დისპუტი გრძელდებოდა ექვსი დღე, დილიდან საღამომდე. მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა ჰუმანისტმა და პოეზიის პროფესორმა პეტრე მოზელანიუსმა, რომელმაც ქებით მოიხსენია როგორც ჰერცოგი გეორგი, ისე ლაიფციგის უნივერსიტეტი და თვით დისკუსიაში მონაწილეთა ღირსებანი. სხვათაშორის, მანვე დაგვიტოვა ამ დისკუსიაში მონაწილე ეკისა და ლუთერის აღწერილობაც, რომელიც მოგვიანებით გააკეთა იქ მიღებული შთაბეჭდილებების საფუძველზე.

აი, რას წერს იგი ეკის შესახებ: — „ესაა მაღალი, მაგარი და ჯმუხი აგებულების ადამიანი, რომლის გულმკერდიდან მომდინარე მჟღერი და მძლავრი გერმანული ხმა, შეიძლება ჰქონდეს არა მარტო ტრაგიკოს აქტიორს, არამედ საჯარო გამომსვლელს. მაგრამ მისი ხმა უფრო უხეშია, ვიდრე მკაფიო. ყოველ შემთხვევაში ციცერონის მიერ ასე დიდად დაფასებული ლათინური ენის კეთილხმოვანება სათანადო გამოხატულებას ვერ პოულობს მის სიტყვებში. მისი პირი, თვალი და მთელი ფიზიონომია ისეთია, რომ ყასაბს ან უხეშ ლანდსკნეხტს მოგვაგონებს, ვიდრე თეოლოგს. რასაც მას ვერ წაართმევ, ესაა

ფენომენალური მეხსიერება. მას რომ ისეთივე მახვილი ჭკუა გააჩნდეს, ის იქნებოდა ნამდვილად სხვა ადამიანი. მაგრამ მას არ ჰყოფნის სისწრაფე გაგებისა და სიმახვილე განსჯისა თვისება, ურომლისოდაც ყველა სხვა სულიერი ნიჭი უსარგებლოა... მისი ჟესტი თითქმის თეატრალურია, ხოლო მანერები მბრძანებლური. მოკლედ რომ ვთქვად, ის სრულებითაც არ ჰგავს თეოლოგს; ის უფრო არაჩვეულებრივად თავხედი და უსირცხვილო სოფისტია".

არანაკლებ საინტერესოა ლუთერის მოზელანისეული აღწერაც. — "მარტინ ლუთერი, წერს იგი, არის საშუალო სიმაღლის ადამიანი, ფიქრითა და შრომით იმ ზომამდე დასუსტებული, რომ მის გამხდარ სხეულზე ყველა ძვლის დათვლა შეიძლება, თუმცა სრულიად საღად და ვაჟკაცურად გამოიყურება; მას ხმა მაღალი და სუფთა აქვს. ის დასრულებული სწავლულია, სრულყოფილად იცის საღვთო წერილი, რომელიც თითქმის ზეპირად ახსოვს, ასევე შეუძლია ყველა თავისი მოსაზრების ზეპირად ჩამოთვლა. ბერძნული და ებრაული გაეგება იმდენად, რომ შეუძლია იმსჯელოს განმარტების ღირსებაზე. იგი ფაქტობრივი ცნობების უზარმაზარ მარაგს ფლობს და მისი სიტყვაც თავისუფლად მოედინება. ადამიანებთან ურთიერთობაში იგი თავაზიანი და გულღიაა, თავისუფალი ყოველგვარი სიმკაცრისა და მედიდურობისაგან, ადვილად ეგუება ადამიანების სახეებსა და გარემოს. საზოგადოებაში მხიარულია, ხუმრობის მოყვარული და გონებამახვილი. ყოველთვის ნათელი სახე აქვს, მაშინაც კი, როცა ემუქრებიან მოწინააღმდეგეები. ძნელია დაიჯერო, რომ მას ღვთის კურთხევის გარეშე ხელი მოეკიდებინოს ასეთი საოცარი საქმისათვის, მხოლოდ ერთადერთი ნაკლი აქვს, სახელდობრ, პოლემიკაში ვერ იცავს ზომიერებას და უფრო მეტ გესლს ამჟღავნებს, ვიდრე ეს თეოლოგსა და რწმენის მოძღვარს ეკადრება".

როგორც ვხედავთ, მოზელანიუს ეკი, ლუთერთან შედარებით, არასახარბიელოდ ყავს დახასიათებული, "თავხედ და უსირცხვო სოფისტად" მოიხსენიებს მას, თუმცა უთქმელი არც

ის რჩება, რომ ეკს "ვიტენბერგელი" კარლშტადტისა და ლუთერის წინაშე დიდი უპირატესობა ჰქონდა ორატორულ ხელოვნებაში. მართლაც, დისპუტის პირველი დღეები ეკის დიდი უპირატესობით წარიმართა, კარლშტადტმა იწვნია მწარე მარცხი, "დიდების ნაცვლად სირცხვილი ჭამა", როგორც შემდეგში ლუთერი იგონებდა. ეკის ზეპირად მოხმობილ ციტატებსა და მტკიცებულებებს კარლშტადტი დროულად ვერ პასუხობდა, უხდებოდა წიგნების ფურცვლა და სათანადო ადგილების მოძიება, რაც დამსწრეთა უკმაყოფილებას იწვევდა.

დისპუტი ბევრად უფრო ცოცხალი და საინტერესო გახდა 4 ივლისიდან, როცა კამათში უშუალოდ ლუთერი ჩაება. ორი დღე ეკამათებოდნენ ისინი ერთმანეთს სალხინებლის, ცოდვათა მიტევებისა და მონანიების შესახებ, აგრეთვე სხვა საკითხებზე, მაგრამ ამას ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა ეკისათვის. მისთვის მთავარი იყო დისპუტის იმდაგვარად წარმართვა, რომ ლუთერი მახეში გაება. ამ მიზნით ეკმა გაიხსენა კონსტანცის საეკლესიო კრება და იან ჰუსის დებულებანი, რომელიც ამ კრებამ დაგმო. ამით ლუთერს აშკარად აგრძნობინა, რომ თუ ის უარს არ იტყოდა თავის რელიგიურ დებულებებზე, მასაც იან ჰუსის ბედი ელოდა. აქვე ეკმა პაპის უფლებამოსილებისა და მისი სტატუსის საკითხიც წამოჭრა, თქვა, რომ "ეკლესია მეთაურის გარეშე შეიქმნებოდა ურჩხული". ამის პასუხად, მიუბრუნდა რა დამსწრე საზოგადოებას, ლუთერმა თქვა: "ბატონი დოქტორი მართალია, როცა ბრძანებს, რომ ეკლესიას უნდა ჰყავდეს მეთაური. თუ ვინმე ამის წინააღმდეგია, დაე ადგეს, მაგრამ ეს მე არ შეხება". ეკის კითხვაზე, ვინაა ეს მეთაური, თუ არა პაპი, ლუთერმა უპასუხა: "ეკლესიის მეთაურად, თუმცა უხილავი, უნდა ჩაითვალოს იესო ქრისტე. პაპი როდია ღმერთის მოადგილე, ის ღმერთის დასმული კი არაა, არამედ არჩეულია დასავლეთის ეკლესიის მიერ". ამ სიტყვებს ეკი ასე გამოეხმაურა: "მე ვხედავ, რომ შენი მოძღვრება ემსგავსება ჰუსიტობას".

ეკიმ იცოდა, რომ გერმანიაში არ უყვარდათ ჰუსი და როცა ამგვარ ბრალდებას უყენებდა, დარწმუნებული იყო, რომ

ლუთერი დაყრიდა ფარ-ხმალს დამსწრე საზოგადოების წინაშე. მაგრამ ლუთერი არ შეეპუა ამას და შეეპასუხა: "მე არ მიყვარს და არასოდეს შემიყვარდება განხეთქილება. ჩეხები ჩვენგან თავისით გამოეყვნენ, ამით მათ, რაც უნდა მართლები იყვნენ, ცუდი გააკეთეს, რადგან უმაღლესი ღვთაებრივი სამართალი ესაა სიყვარული და სულის ერთიანობა". რაც შეეხება "იან ჰუსისა და ჩეხების მოძღვრებას, - დასძინა ლუთერმა, - მასში ბევრი რამ ქრისტიანული და ევანგელიკურია". მაგალითად, ის, რომ ხსნისათვის საჭირო არ არის ვირწმუნოთ რომის ეკლესიის მეთაურობა და მისი პირველობა სხვებისადმი, უიკლიფმა თქვა ეს, იან ჰუსმა თუ სხვა ვინმემ, სულ ერთია, ეს ჭეშმარიტებაა".

აქვე ლუთერმა ისიც თქვა, რომ ამ საკითხში უფრო სწორი პოზიცია უკავიათ ბიზანტიელებისა და, საერთოდ, მართლმადიდებლური ეკლესიის წინამძღოლებს, რომლებიც არ ცნობენ რომის პაპის პირველობას. მეტიც, ისინი კმაყოფილდებიან მხოლოდ ადამიანების სულიერი "შეს" გამგებლობით. მათ არასოდეს არ გასჩენიათ სურვილი საერო ხელისუფლების დაუფლებისა, რაც ასე მისაღები და გამართლებულია არა თუ პაპებისათვის, არამედ საეკლესიო კრებებისთვისაც კი.

ერთი სიტყვით, ასკვნის ლუთერი, ჩვენ არ გვაშინებს არც მუქარა და არც ერეტიკოსად გამოცხადება, ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ "კონსტანცის საეკლესიო კრება არ იყო უშეცდომო". სახელდობრ, შეცდომა იყო ის, რომ "მან მიიღო დადგენილება ჰუსის დაწვის შესახებ". ჩაეჭიდა რა ამ სიტყვებს, ეკმა საზეიმოდ განაცხადა: — დიდადპატივცემულო მამავ, თუ თქვენ მიგაჩნიათ, რომ საეკლესიო კრებანი ცდებიან ან შეეძლოთ შემცდარიყვნენ, თქვენ ჩემთვის სხვა არაფერი ხართ, თუ არა წარმართი და მწვალებელი. თუ რას წარმოადგენს ერეტიკოსი, ამის ახსნას არ შევუდგები.

ეს იყო განკვეთის ტოლფასი სიტყვები, დამადასტურებელი დისპუტში ეკის გამარჯვებისა და უეჭველი საბუთი მარტინ ლუთერის დამარცხებისა. ყოველ შემთხვევაში ასე აღიქვა

დამსწრე საზოგადოების იმ ნაწილმა, რომელიც ეკს უჭერდა მხარს. ასე აღიქვა ლაიფციგის უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამაც, რომელმაც ეკს მიულოცა ტრიუმფი და უბოძა მსხვილი ფულადი პრიზიც.

ასე და ამგვარად 16 ივლისს დასრულდა ლაიფციგის დისპუტი. მართალია, ამ დისპუტმა საბოლოო წერტილი დაუსვა რომის ეკლესიასთან ლუთერის განხეთქილებას, მაგრამ მან მაინც ბევრი პასუხგაუცემელი კითხვა დატოვა. იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ დისპუტი კი არ დამთავრდა, არამედ არც დაწყებულა, ვინაიდან ეკმა ლუთერის ვერცერთი მთავარი მტკიცება ვერ შეაფასა, ვერაფერი თქვა იმაზე, თუ რამდენად სწორი იყო ლუთერი, როცა ამბობდა, რომ ყოველი ეკლესია, სადაც ღვთის სიტყვა იქადაგება, დამოუკიდებელია რომაული ცენტრალიზმისაგან, რომ საღვთო წერილი არა მარტო პაპისეულ დეკრეტებზე, არამედ საეკლესიო კრებებზეც მაღლა დგას.

იქმნებოდა იმის შთაბეჭდილებაც, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც დისპუტს ესწრებოდა, სულაც არ ფიქრობდა ეკის სასარგებლოდ. მაგალითად, მოზელანიუსის დასკვნითი შთაბეჭდილებიდან იმას ვიგებთ, რომ „ეკის ავტორიტეტი ამ დისპუტის შედეგად შეირყა. მარტინიუსს კი ახლა უფრო თანაგრძნობით ეპყრობიან, ვიდრე ადრე". ერაზმიც არ მალავდა, რომ "ლუთერს ხელთ უპყრია საქმის არსი. რაც შეეხება ეკს, იგი ამართლებდა თავის სახელის მნიშვნელობას (ძველგერმანულად „Jeck" ნიშნავს „სულელს")". შვეიცარიელი რეფორმატორი ულრიხ ცვინგლიც არ მალავდა, რომ „ლუთერი იყო პირველი, ვინც აღიმაღლა ხმა პაპობის წინააღმდეგ, მან შიში ჩამოაცილა იმათ, ვისაც „ანტიქრისტეს" (ე.ი. პაპის) ბატონობა ზიზღსა ჰგვრიდა, თუმცა არავინ ფიქრობდა, რომ თავს დასხმოდა მას". ზემოგერმანული რეფორმაციის გამოჩენილი მოღვაწე ოკალამპადიუსიც გამოუტყდა ლუთერს: „მე არ მიხარია, რომ გიპირისპირდები შენ, იმას, ვინც მიმაჩნია ბიბლიის ღირსეულ მსახურად და რომლის მეშვეობითაც ღმერთმა ბევრს აუხილა თვალი, რათა შეეცნოთ ჭეშმარიტების ნამდვილი გზა".

მაგარამ, ალბათ, ყველაზე ნათელი შედეგი ლაიფციგის დისპუტისა ის ინტერესი იყო, რომელიც ლუთერის მიმართ გამოიჩინეს ჩეხეთში. პრაღელმა ორღანის ოსტატმა იაკუბეკმა, რომელიც დისპუტს ესწრებოდა, პრაღაში დაბრუნების შემდეგ თავის თანამემამულეებს გაუზიარა ის შთაბეჭდილება, რომელიც ლუთერმა მოახდინა მასზე. მალე პრაღელებმა ლუთერს „საქსონელი ჰუსი" უწოდეს და გაუგზავნეს მხარდაჭერის წერილი იან ჰუსის თხზულება „ეკლესიასთან" (De ecclesia) ერთად. ამ თხზულებას ლუთერი მიღებისთანავე გაეცნო და თავისი შთაბეჭდილება გამოთქვა სპალატინისადმი წერილში: "მე ადრე არ მქონდა შეგნებული და იმას ვასწავლიდი, რასაც ასწავლის ჰუსი... ასე აკეთებდა შტაუპიციც. ჩვენ ყველანი, თვით პავლეც და ავგუსტინეც, უნებლიე ჰუსიტები ვართ. ამგვარად, ასი წლის უკან ცეცხლს მისცეს სახარებისეული ჭეშმარიტება, რომელიც დღემდე რჩება დაწყევლილად".

ლაიფციგის დისპუტში ლუთერის მიერ დაკავებულმა პოზიციამ, რომელსაც პაპთან კავშირის გაწყვეტა მოჰყვა, ფართო აღიარება მოუტანა მას ქვეყნის ფარგლებს გარეთაც კი. თვით გერმანელთა თვალში იგი უკვე ეროვნულ გმირად იქცა. ოპოზიციური დაჯგუფებები კიდევ უფრო მტკიცედ დაირაზმნენ მის გარშემო. მას მიემხრო თვით ის ჰუმანისტებიც, რომლებიც ადრე სკეპტიკურად ეკიდებოდნენ მის გამოსვლას. ეგონათ, რომ იგი იყო რიგითი ბერი, რომელმაც კინკლაობა იწყო ტეცელთან ("ბერებს შორის ყოველთვის ყოფილა კინკლაობა, დაე მათ ერთმანეთი დაუჭამიათ", — აცხადებდა ჰუტენი), მაგრამ შეურიგებელმა პოზიციამ, რომელიც ლუთერმა დაიკავა ლაიფციგის დისპუტზე, ჰუმანისტები დაარწმუნა, რომ "ვიტენბერგელი ბერის პროტესტი" არ იყო ბერებს შორის უბრალო კინკლაობა, მას ეროვნული მნიშვნელობაც ჰქონდა და ისინი ერთიმეორის მიყოლებით ლუთერის მხარეს გადავიდნენ.

ერთ-ერთი პირველთაგანი, ვინც ლუთერის სიკვდილის შემდეგ მალე გახდა რეფორმატორის თანამგზავრი, მისი საქმის გამგრძელებელი, ფილიპ მელანქტონი იყო. ლუთერის მოკავში-

რედ გამოაცხადა თავი ულრიხ ფონ ჰუტენმაც, რომელიც, როგორც ითქვა, რაინდთა სამხედრო ძლიერების აღდგენაზე, ერთიანი გერმანიის შექმნასა და რომის პაპის გავლენისაგან მის განთავისუფლებაზე ოცნებობდა. ლუთერსაც გადაედო ეს პატრიოტული სულისკვეთება და გაბედულად ალაპარაკდა: "ჩემთვის წილი ნაყარია. მე მეზიზღება როგორც რომაელთა მძვინვარება, ისე მათი კეთილგანწყობილება, არ შემიძლია სამარადისოდ შევეგუო მათ, მქონდეს მათთან რაიმე საერთო. დაე, დაგმონ და დაწვან ჩემი წიგნები. სამაგიეროდ მე დავგმობ და სახალხოდ დავწვავ მთელ პაპისეულ სამართალს". - წერდა იგი სპალატინს 1520 წლის თებერვალში.

ეს ის პერიოდია, როცა ლუთერის ღონიერმა გლეხურმა ბუნებამ შმაგად იჩინა თავი და იმპერატორსა და მთავრებს მოუწოდა ყოველნაირი იარაღით თავს დასხმოდნენ გარყვნილების მავნებელ მასწავლებლებს, პაპებს, კარდინალებს, ეპისკოპოსებსა და რომის სოდომის მთელ ხროვას. „თუ მათი (ე.ი. რომაელი ხუცების) გააფრთებული ბორგვა კიდევ გაგრძელდა, წერდა იგი, ჩემი აზრით საუკეთესო დარიგება და წამალი ამის გასაკურნავად ის იქნებოდა, რომ მეფეები და მთავრები ძალას მიმართავდნენ... აღიჭურვებოდნენ და ამ მავნე ადამიანებს ბოლოს მოუღებდნენ იარაღით და არა სიტყვებით. თუ ჩვენ ქურდებს მახვილით ვსჯით, კაცის მკვლელებს სახრჩობელათი, ხოლო ერეტიკოსებს ცეცხლით, რატომ ყოველნაირი იარაღით თავს არ ვესხმით პაპებს, კარდინალებს, ეპისკოპოსებს და რომის სოდომის მთელ ხროვას და რატომ მათი სისხლით არ ვიბანთ ხელებს?“

ყველაფერი ეს ჰგავდა მეხის გავარდნას, რომელმაც მთელი გერმანელი ერი აამოძრავა. ერთი მხრივ, გლეხებმა და პლებეებმა აჯანყების ნიშანი დაინახეს მის მოწოდებაში ხუცების წინააღმ-დეგ, მის ქადაგებაში ქრისტიანული თავისუფლების შესახებ; მეორე მხრივ, მას უფრო ზომიერი ბიურგერები და დაბალი თავადაზნაურობის (რაინდების) დიდი ნაწილი მიემხრნენ; თვით მთავრებიც კი გაიტაცა საერთო ნიაღვარმა. ზოგიერთს ეგონა

დადგა დღე, როცა შეგვიძლია ანგარიში გავუსწოროთო ყველა მჩაგვრელს, ზოგიერთს კი მხოლოდ ის უნდოდა, რომ ბოლო მოეღოთ ხუცების ბატონობისა და რომის დამოკიდებულებისგან, მოესპოთ კათოლიკური იერარქია და საეკლესიო ქონების კონფისკაციით გამდიდრებულიყვნენ.

ასეთ ვითარებაში რომის პაპს მეტის დაგვიანება არ შეეძლო. მისი მითითებით შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელმაც კელნის და ლევენის უნივერსიტეტების თეოლოგების დასმენისა და სათანადო დოკუმენტაციის შემზადების საფუძველზე ლუთერის წიგნებს გამოუტანა მკაცრი განაჩენი, უნდა დაეწვათ ისინი. ფაქტობრივად ეს ლუთერის მოძღვრების აკრძალვას ნიშნავდა. ამის დასტური იყო პაპის ბულაც, რომელიც 1520 წლის 15 ივნისს გამოქვეყნდა. ბულაში ლაპარაკი იყო ლუთერისეულ მოძღვრების 41 დებულებაზე, რომლის უარყოფასაც ლუთერისაგან 60 დღის განმავლობაში მოითხოვდნენ. ბულა გერმანიაში ჩამოიტანა ეკმა და რამდენიმე ქალაქში, საჯარო ადგილებზე გააკრა. პაპის მომხრეებს იმედი ჰქონდათ, ეს ბულა დააფრთხობდა ლუთერსა და მის მომხრეებს, მაგრამ მოტყუვდნენ. სულ მალე ლუთერს გამამხნევებელი წერილი მოუვიდა ჰუტენისაგან, რომელიც წერდა: "შენი განკვეთის ცნობა, თუ ეს მართალია, მაშინ შენ უფრო ამაღლებული ხარ, ვინაიდან ყველა ჭეშმარიტი ქრისტიანი იტყვის, რომ სიმართლისთვის უსამართლოდ დაგსაჯეს".

ჰუტენი მხოლოდ მორალური მხარდაჭერით არ კმაყოფილდება, წერილში ლუთერს მოუწოდებს, რომ იგი გაუფრთხილდეს თავის თავს; რომ მისი დაკარგვა დიდ ზიანს მოუტანს „საერთო საქმეს". ლუთერს აცნობებს იმასაც, რომ ემუქრებიან ჰუტენსაც, რომ ეკის თქმით მეც შენთან ვარ. ის მართალიცაა, ვინაიდან ყველა ჩემი აზრი ემთხვევა შენსას, ჩემში ყოველთვის იპოვი მომხრეს. დღეიდან შენ თავსუფლად შეგიძლია გამიზიარო ყველა შენი მოსაზრება და გეგმა, „დავუბრუნოთ გერმანიას თავისუფლება, გავათავისუფლოთ სამშობლო, ასე დიდხანს ჩაგვრის უღელს რომ იტანდაო". ლუთერს იგი პრაქტიკულ დახმარებასაც

აღუთქვამდა, წერდა, რომ მიემგზავრება ფერდინანდთან (კარლ V-ის ძმასთან) და შეეცდება მის მიმხრობას. უფრო მეტიც, ლუთერს იგი ეპატიჟებოდა თავის მეგობრისა და თანამებრძოლის ფრანც ფონ ზიკინგენის (1481-1523) ციხეში, ებერნბურგში, რომელიც იყო ცენტრი რაინდთა ოპოზიციისა მთავრებისა და კათოლიკური სამღვდელოების წინააღმდეგ. ჰუტენი ჰპირდებოდა ლუთერს, რომ ზიკინგენი დაიცავდა მას ყოველი მტრისაგან. იგი ლუთერს მხარდაჭერასა და დაცვას აღუთქვამდა თავის "გერმანელი ერის ყველა წოდებისადმი" მიმართვაშიც, რომელიც ლუთერის განკვეთიდან სულ მალე გამოვიდა. ბუნებრივია, ჰუტენისა და მისი პარტიის წარმომადგენლების ამგვარ მხარდაჭერას არ შეიძლება კეთილისმყოფელი გავლენა არ მოეხდინა ლუთერზე. ამის უქონლობას არც ლუთერი უარყოფდა, აკი წერდა: – მათ მიხსნეს მე ადამიანების წინაშე შიშისაგან. ამჟამად არაფრის არ მეშინია.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ სიტყვების ავტორი მხარს დაუჭერდა ჰუტენის შემოთავაზებას, მაგრამ ეს ასე არ მოხდა. საქმე ის არის, რომ 1520 წლის მეორე ნახევრიდან, როცა ლუთერმა დაინახა, რომ მის მიერ გამოწვეულ მოძრაობაში ჩაბმულმა ფართო ოპოზიციურმა წრეებმა მისი მოთხოვნები თავისებურად (ისე როგორც მათ სურდათ) გაიგეს და იარაღით ბრძოლის გზას დაადგნენ, ხოლო მისმა მეგობრებმაც (კარლშტადტმა და სხვამ), როგორც ამას ქვემოთაც ვიტყვით, საეკლესიო გარდაქმნის საქმეში ძალა გამოიყენეს, რეფორმატორმა მისთვის დამახასიათებელი სიფხიზლით და პოლიტიკური თავშეკავებით უარყო ჰუტენის მიერ შემოთავაზებული წინადადება, და მართალიც იყო, ვინაიდან, წინააღმდეგ შემთხვევაში, რაინდთა მოძრაობასთან ერთად ისიც დამარცხდებოდა. ჰუტენის მიწვევაზე ჩემთან და ზიკინგენთან მოდი ებერნბურგში, რათა საშშობლოს ინტერესებისათვის ერთად ვიბრძოლოთ, ლუთერმა უპასუხა: "მე არ მინდა, რომ სახარება ძალმომრეობით და სისხლის ღვრით დავიცვათ. ქვეყანა სიტყვამ დასძლია, ეკლესია სიტყვამ შეინახა, იგი ხელახლა სიტყვით

აღსდგება და რაკი ანტიქრისტე თავისას მიიღებს ძალმომრეობის გარეშე, უძალმომრეობიდ დაემხობა". ანალოგიური შინაარსის შემცველია მისი ეს სიტყვებიც: — "პირველი, რაც არ უნდა მოხდეს ამ საქმეში, ისაა, რომ ჩვენ არაფერს ვაკეთებთ ხელისუფლების ან გონების იმედზე, თუნდაც მთელი მსოფლიოს იმედზე, ვინაიდან ღმერთს არ სურს და ვერც მოითმენს რაიმე კარგი საქმის დაწყებას საკუთარ ძალაზე ან გონებაზე დაყრდნობით"

ამგვარად, გზა, რომელსაც ლუთერი სთავაზობდა ჰუტენს და სხვა ოპოზიციურ წრეებს 1520 წლის მეორე ნახევრიდან, სხვა არაფერი იყო, თუ არა მშვიდობიანი პროგრესისა და პასიური წინააღმდეგობის გზა. ე.ი. საეკლესიო გარდაქმნაში წარმატება მას სურდა არა რომელიმე ადამიანის ან პარტიის მხარდაჭერით, მისთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ლოცვა და ღმერთისათვის მიმართული თხოვნა, ვიდრე იარაღით ბრძოლა. ლუთერი ემყარებოდა ბიბლიას, ახმოვანებდა მის სიტყვებს და ადამიანებს შერიგებისკენ მოუწოდებდა. ამის მიუხედავად, ვერ ვიტყვით, რომ მასში თაბორიტული სული ერთიანად ჩაკვდა, მისი მეამბოხე სული სულ მოკლე ხანში ისევ გამოვლინდება: 1520 წლის 10 დეკემბერს, როცა ვიტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების, აგრეთვე ქალაქის მაცხოვრებელთა თანდასწრებით ეკის თხზულებებსა და კანონიკურ წიგნებს ქალაქგარეთ დანთებულ კოცონზე წვავდნენ, ლუთერმა ცეცხლს მისცა პაპის ბულა და დეკრეტები ლათინურად წარმოთქმული სიტყვების თანხლებით: — „ისე როგორც შენ დაღუპე ჭეშმარიტება ღვთისა, დაე, თვითონაც ამ ცეცხლში შთაინთქე დღეს". ფაქტობრივად ეს იყო ანათემა, განკვეთა პაპისა და მისი მორჩილი კათოლიკური ეკლესიის იერარქიისა, რომელსაც, ობიექტურად, დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა და რომლის მსგავსი საქციელი თავის დროზე იან ჰუსმა ჩაიდინა.

პაპის ბულის დაწვამ, ბუნებრივია, მთელი რომი განარისხა. იმპერატორისაგან კატეგორიულად მოითხოვდნენ, რომ "ერეტიკოსი კოცონზე დაეწვათ, ბოლო მოეღოთ „ამ ჭირისათვის". მაგრამ ახალარჩეული ახალგაზრდა იმპერატორი კარლ V მოე-

რიდა ასეთი ნაბიჯის გადადგმას, მან იცოდა, რომ პაპისათვის სიამოვნება ძვირად დაუჯდებოდა. ლუთერის დაჭერა და დასჯა, ეუბნებოდა იგი პაპის ლეგატს ალეანდრეს, გამოიწვევდა "მთელი გერმანელი ხალხის აჯანყებას".

მაგრამ ალეანდრეს და მის თანამოაზრეებს ნაკლებად აწუხებდათ გერმანელთა ბედი, მათთვის უფრო ძვირფასი იყო პაპისა და მისი ტახტის უსაფრთხოება. ამიტომ მზად იყვნენ, ხელოვნურად გამოეწვიათ ეს დაპირისპირება, რათა გერმანელ ხალხს დაეგლიჯა ერთმანეთი. „თუ გერმანელები შეეცდებიან რომაული ტახტის დამხობას, ჩვენ ისე მოვიქცევით, რომ მათ (ე.ი. გერმანელებს - გ.კ.) ერთმანეთს დავაგლეჯინებთ, საკუთარ სისხლში ვაბანავებთ", - იმუქრებოდა ალეანდრე. როგორც ჩანს, ამდაგვარი ფიქრის ნაყოფია გლეხთა ომი გერმანიაში, თუმცა ამაზე მოგვიანებით ვისაუბრებთ.

§4. „რეფორმატორული ტრილოგია" და რომის პაპის წინააღმდეგ ლუთერისეული ბრძოლის პატრიოტული ხასიათი.

ლუთერის გაბედულება 1520 წელს მარტო პაპის ბულის დაწვით არ ამოიწურება. მან თავისი "მსუბუქი ხელისა და ზუსტი მეხსიერების" წყალობით ლაიფციგის დისპუტის შემდგომ ხანაში, განსაკუთრებით კი 1520 წლის მეორე ნახევარში, შექმნა სამი უაღრესად გაბედული თეოლოგიურ-პუბლიცისტური თხზულება, რომლებიც, ლეოპოლდ ფონ რანკეს თქმით, მსოფლიო ისტორიული შინაარსის მატარებელია.

უპირველესად ესაა წიგნი მიმართვა "გერმანელი ერის ქრისტიანი თავადაზნაურობისადმი ქრისტიანთა მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ", რომელიც მკითხველმა 1520 წლის აგვისტოში იხილა. ამავე წლის ბოლოს გამოვიდა რეფორმატორის ისეთი მნიშვნელოვანი თხზულებებიც, როგორებიცაა "ეკლესიის ბაბილონური ტყვეობის შესახებ" და "ქრისტიანის თავისუფლების შესახებ". ამ სამ თხზულებაში, ანუ, ერიხ სოლოვიევის მოხდენილი თქმით, "რეფორმაციულ ტრილოგიაში"

დასმული იყო პირველად კათოლიკური საეკლესიო წყობილებისა და წეს-ჩვეულებების გარდაქმნის მოთხოვნა, თუმცა ლუთერმა მშვენივრად იცოდა, რომ პაპები ყოველი ღონით წინ აღუდგებოდნენ ამას. მათ ხომ წინასწარვე იზრუნეს და "თავიანთ გარშემო უდიდესი მოხერხებულობით აღმართეს ქაღალდის სამი კედელი, რითაც ისინი აქამდე იცავდნენ თავს". აი ეს კედლებიც: — ჯერ ერთი, თუ მათ ემუქრებოდნენ საერო ხელისუფლებით, ისინი ამბობდნენ და ირწმუნებოდნენ, რომ საერო ხელისუფლებას არა აქვს უფლება იმოქმედოს მათზე, პირიქით კი უნდა იყოს, ვინაიდან სასულიერო ხელისუფლება საეროზე მაღლა დგას. მეორეც, თუ მათი მოჭკვიანება სურდათ საღვთო წერილზე დაყრდნობით, ისინი ირწმუნებოდნენ, რომ არავის, გარდა პაპისა, მისი განმარტების უფლება არა აქვს. მესამეც, თუ მათ ემუქრებოდნენ საეკლესიო კრებით, ამას ისინი უპირისპირებდნენ მონაჩმახს, რომ საეკლესიო კრების მოწვევა მხოლოდ პაპს შეუძლია.

„გერმანელი ერის ქრისტიანი თავადაზნაურობისადმი" მიმართვაშიც ლუთერი სწორედ ამ „სამი კედლის" დანგრევას ცდილობდა. იერიში მიაქვს რა პირველ კედელზე, ლუთერი საღმრთო წერილზე დაყრდნობით იმ აზრს გამოთქვამს, რომ უსაფუძვლოა პაპების მტკიცება, თითქოს საერო ხელისუფლებას არ აქვს უფლება ჩაერიოს საეკლესიო საქმეებში, ვინაიდან საერო ხელისუფლება სასულიეროზე დაბლა დგას. სინამდვილეში, ლუთერის აზრით, საერო ცხოვრება და საერო ხელისუფლება ღმერთის მიერაა დაწესებული, თანაც ისე, როგორც ყველა ქრისტიანი, საერო ხელისუფლებაც თანასწორია ღმერთის წინაშე, რამეთუ მან "ისეთივე მონათვლა მიიღო, როგორც ჩვენ, აქვს ისეთივე რწმენა და სახარება, აქვს უფლება იყვნენ მღვდლები და ეპისკოპოსები". საყოველთაო მღვდლობის და თანასწორობის ამ მოძღვრებიდან გამოდის ლუთერი, როცა საერო ხელისუფლებაზე სასულიეროს პრიმატის მოთხოვნას უარყოფს, ეს იმას ამტკიცებს, რომ საერო ხელისუფლება თანამდებობრივად სასულიეროზე მაღლა დგას და იმის უფლებაც აქვს, რომ საჭიროების შემთხვევაში ჩაერიოს საეკლესიო საქმეში.

ანალოგიურად მსჯელობს ლუთერი, როცა მიუღებლად აცხადებს ქალალდის მეორე და მესამე "კედლებში" გატარებულ აზრს, რომლის თანახმად საღვთო წერილის განმარტებისა და საეკლესიო კრების მოწვევის უფლება მხოლოდ პაპებს აქვთ. უნდა შევიგნოთ, რომ ნათლობა ყველა ქრისტიანს, მათ შორის საერო ხელისუფლებას, თანასწორს ხდის ღმერთის წინაშე და მათ იმის უფლებასაც ანიჭებს, რომ დამოუკიდებლად ჩაწვდეს საღვთო წერილის თითოეულ მცნებას და შესძლოს მისი განმარტება. ასევეა საეკლესიო კრების მოწვევის შემთხვევაშიც. თუ ეკლესიის მესვეურები თავს ვერ ართმევენ საეკლესიო საქმეებს, საეკლესიო კრების მოწვევისა და რეფორმების გატარების საკითხებს, მაშინ პირველი, ვისაც ამის აღსრულების უფლება აქვს, საერო ხელისუფლებაა. მას შეუძლია ხელში აიღოს ინიციატივა და აქტიური მონაწილეობა მიიღოს საეკლესიო წყობილებისა და წეს-ჩვეულებების გარდაქმნის საქმეში.

ამრიგად, აღიარა რა საერო ხელისუფლების უფლება-მოვალეობანი საეკლესიო წესრიგის და წეს-ჩვეულებების გარდაქმნის საქმეში, ლუთერმა მთავარი დარტყმის ობიექტად აქცია რომის პაპი და მისი კურია, ისინი გამოაცხადა ბოროტ ძალად, რომლებმაც დასცეს ეკლესიის ავტორიტეტი, წაბილწეს მთელი საქრისტიანო. თვით რომიც კი, რომელიც „საქრისტიანოს ცენტრად" ითვლება, მათი წყალობით, „უზნეობის ცენტრი" გამხდარა, აქედან იღებს სათავეს "სიცრუე და მოტყუება, ძარცვა, ქურდობა, ყაჩაღობა, ფუფუნებით ტრაბახი, ქალთა და მამაკაცთა გარყვნილება და ღვთის ყოველგვარი უგულებელყოფა". აქვე, ანვითარებს რა ლაიფციგის დისპუტზე გამოთქმულ იდეას, ლუთერი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ პაპების აღზევება და ზნედაცემულობა განსაკუთრებით იმ დროიდან იწყება, როცა მათ გადაუხვიეს სახარების პრინციპებს და ხელთ იგდეს საერო ხელისუფლება. რატომ არ ვეუბნებით მათ: თუ აღმოსავლური, მართლმადიდებლური (ბიზანტიური, ქართული, რუსული) ეკლესიების მესვეურებს შეუძლიათ იარსებონ საერო ხელისუფლების გარეშე, რატომ არ იქცევიან რომის პაპები ასე, რომლებსაც ხელთ უპყრიათ ვრცელი ტერიტორიები და ქალაქები, რომლებიც

ოდესღაც გერმანელი ერის რომის საღმრთო იმპერიის იმპერატორებს ეკუთვნოდათ? მათი ტირანია მძიმე ტვირთად აწევს გერმანელთა ქონებას, სხეულს, სულს.

ამგვარად, მიუთითებს რა პაპების მიერ საერო ხელისუფლების ფლობის უმართებულობაზე, ლუთერი ამ კრიტიკას წარმართავს არა მარტო წმინდა რელიგიური მოტივით, მასში იგი პატრიოტულ სულს დებს. არ უნდა, რომ თავის ხალხს ხედავდეს რომის პაპისაგან გაუბედურებულს, სულიერად და მატერიალურად დაკაბალებულს, დამცირებულს და სურს მისგან განთავისუფლება. რომის პაპი და მისი კურია, ლუთერის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა „ცხვრის ტყავში გახვეული მტაცებელი მგლები", რომლებმაც, „ამოჭამეს რა იტალია", ხელი მიჰყვეს გერმანიის ძარცვასაც, თან ძარცვის ათასგვარი საშუალება გააჩნიათ, ისინი არა მარტო ინდულგენციებით და სასულიერო თანამდებობებით ვაჭრობენ, არამედ გერმანიაში კარდინალების თანამდებობაც გადმოაქვთ, რომელსაც სხვა მიზანი არა აქვს, თუ არა ამ ქვეყნის ეკონომიკური გაკოტრება და სულიერი დამონება.

„ჩვენ, - წერს ლუთერი, - უკვე გვყავს რამდენიმე კარდინალი. თუ რა სურთ რომაელებს, ამას გერმანელები მხოლოდ მაშინ გაიგებენ, როცა მათ აღარ დარჩებათ არცერთი საეპისკოპოსო, მონასტერი, მრევლი და არცერთი ჰელერი და პფენინგი". კარდინალები, ლუთერის თქმით, ეკლესიებს ართმევენ არა მარტო სამწყსოს, არამედ თვით კეთილსინდისიერ მწყემსებსაც და ამით ღუპავენ საღმთო საქმეს და ღვთისმსახურებას. პაპებს გერმანიაში ანატების აკრეფის უფლებაც აქვთ, რაც "გერმანელი ერის თითოეული ლენის შემოსავლის ნახევარს" შეადგენს. ამ გზით ისინი კრეფენ დიდძალ თანხას, რომელიც შეთანხმებისამებრ უნდა მოხმარდეს თურქების წინააღმდეგ ომს. ამ თანხის აკრეფა ას წელზე მეტია გრძელდება, მაგრამ დღესავით ნათელია, რომ აკრეფილი თანხიდან არც ერთი გროში არ მოუხმარიათ დანიშნულებისამებრ, ყველა ეს თანხა პაპების "უძირო ტომარას" ავსებს. ამ თანხის ოდენობა, ლუთერის გამოანგარიშებით, ყოველწლიურად 300 ათას გულდენს შეადგენს; ბუნებრივია,

იგი აღარიბებს მთავრებს, აზნაურებს, ქალაქებს, მონასტრებს, ქვეყანასა და ხალხს. დიახ, ჩვენ ის უნდა გვიკვირდეს, დღემდე როგორ ვირჩენთ თავს?. სამაგიროდ, ლუთერის აზრით, ის არ უნდა გვიკვირდეს, რომის პაპი და მისი კურია რომ დაგვცინის: „ველური, ლოთი გერმანელები ყველაფერს ამას აიტანენო“.

დასაცინი გერმანელებს, ლუთერის თქმით, სხვაც ბევრი აქვთ, მაგალითად ის, რომ პაპებს გერმანიაში გაუხსნიათ "სავაჭრო სახლი", რომელიც ათასგვარი სიბინძურისა და გარიგების ადგილი გამხდარა. აქ ხდება პაპებისათვის სასურველი ფულიანი და სანდო კანდიდატების შერჩევა, რომელთაც სასულიერო თანამდებობებზე ნიშნავენ, აქვე ეწევიან გერმანული ლენებითა და სამრევლოებით ვაჭრობას. "სავაჭრო სახლი" ყოველგვარი უზნეობის ერთგვარი კანონმდებელიცაა, თან არ არსებობს ისეთი უმსგავსო საქციელი, რომლის გამართლებაც აქ არ შეიძლებოდეს. აქ ადამიანები თავისუფლდებიან აღთქმისაგან, მღვდლები ქორწინდებიან, თანაც დაშვებულია ქორწინება ნათესავებს შორის, თვით ნაძირალები რაინდებად ეკურთხებიან და კეთილშობილები ხდებიან.

ლუთერს გულს უკლავს ის, რომ ყველაფერს ამას პაპები აკეთებენ გერმანელი მმართველების უნიათობის გამო. ბევრი მათგანი ისე იქცევა, თითქოს მონუსხული იყოს, ხშირად იმას აკეთებს, რაც პაპებსა სურთ, ადვილად წამოეგებიან ხოლმე პაპების ანკესზე, დებენ შეთანხმებას, რომლის შესრულებაზე, თუნდაც უმნიშვნელოდაც, პაპებს არც უფიქრიათ. ასე იყო მაშინაც, როცა პაპებმა მიიღეს ანატების აკრეფის უფლება, ეს ის თანხაა, რომელიც თითქოს თურქების წინააღმდეგ ომის საჭიროებას უნდა მოხმარებოდა. პაპები თვით იმპერატორსაც უპირისპირდებიან, ცდილობენ მის გადაყენებას და სასურველი კანდიდატურის გაყვანას. ამას ზოგჯერ ახერხებენ, ზოგჯერ კი არა, მაგრამ ამას ხშირად თან ახლავს სავალალო შედეგი შინააშლილობა და აურაცხელი მსხვერპლი. გერმანელები თავიდან აიცდენდნენ ამას, ამბობს ლუთერი, თუ მიბაძავდნენ საფრანგეთს, რომელმაც დიდი ხანია გადააგდო პაპის უღელი. თუკი საფრანგეთის სამეფომ დაიცვა თავი, მაშინ ჩვენ,

გერმანელები, რატომ ვასულელებინებთ თავს და რატომ ვაძლევთ ძარცვისა და დაცინვის უფლებას, წერს იგი.

ლუთერი ხედავს იმასაც, რომ მის ქვეყანაში საკმაოდ ძლიერია პაპის თანამზრახველთა პოზიცია, რომელთა მოქმედებას განსაზღვრავს არა იდეური მრწამსი, არამედ პიროვნული, ანგარებით სავსე მოსაზრებები. ეს ის სასულიერო პირები არიან, რომელთაც საეკლესიო თანამდებობა მიულიათ არა გამორჩეულობით, არა ნიჭისა და ცოდნის წყალობით, არამედ ფულით, პოლიტიკური სამსახურის საფასურად. მათთვის უცხოა ეროვნული და პატრიოტული საქმეები, თავიანთი პრივილეგირებული მდგომარეობის შენარჩუნების მიზნით ისინი ყველაფერს იკადრებენ, არაფრად აგდებენ ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს. ამის გამოხატულებაა მათი ეროვნული ნიჰილიზმიც, „გერმანული თვისებებისა და ჩვეულებების" უპატივცემულობა და ყოველგვარი პაპური წეს-ჩვეულებებისადმი მონური მორჩილება, ასკეტური მორალისა და უსასრულო მოთმინებისაკენ მოწოდება. ლუთერს ღრმად სწამს, რომ ამქვეყნიური ცხოვრებისაგან განდგომა, მხოლოდ ზეცისკენ ყურება, თვითდამცირება და უსასრულო მოთმინება ხალხს აბეჩავებს და წინააღმდეგობის სურვილს უკარგავს. სხვათა შორის, პაპების პატივმოყვარეობის და უსასრულო მოთმინების ქადაგების წინააღმდეგ ლუთერის თანამედროვე არაერთი ცნობილი მოღვაწეც გამოდიოდა. მაგალითად, მაკიაველი მიუთითებდა, რომ პაპების პატივმოყვარეობაა იტალიის ეროვნული უბედურების უმთავრესი მიზეზი, რომ მათი "წყალობითაა ჩვენი ქვეყანა ასე დაქუცმაცებული", რომ ამ ქვეყნისათვის ზურგის შექცევამ, თვითგანდგომამ, თვითდამცირებამ და უსასრულო მოთმინებამ, ხალხისაგან რომ მოითხოვდნენ, "განაიარაღა ზეცა და გააქალაჩუნა ქვეყანა", და რომ გაიძვერებს მიჰყვება ხალხიც, "ნაცვლად იმისა, რომ სამაგიერო მიუზღას შეურაცხმყოფელთ".

ცხადია, „დაბეჩავებული და დაქუცმაცებული" იტალიის და გერმანიის შვილებს, მაკიაველსა და ლუთერს, თავიანთი ქვეყნის გაერთიანება და პროგრესი პაპებისა და მათი თანამზრახველების კლანჭებისაგან თავის დაღწევის გარეშე ვერ წარმოედგინათ. თანაც, ლუთერის ღრმა რწმენით, ყველაფერი

ამის მიღწევა მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, თუ პაპებს წაერთმეოდათ სხვა უფლება, გარდა უმთავრესი მოვალეობისა - „ყოველდღიური ვედრებისა და ცრემლისა ქრისტიანობისათვის". მით უფრო მიუღებლად მიაჩნდა ლუთერს პაპების პრეტენზია ეკლესიის მეთაურობაზე, რომელსაც, სინამდვილეში იესო ქრისტე წარმოადგენს. მათთვის, ასკვნიდა ლუთერი, „ეპისკოპოსის უბრალო გვირგვინიც იკმარებდა". ამით ლუთერი, ფაქტიურად, პაპობის ინსტიტუტს უარყოფდა, მას არც ის მიაჩნდა აუცილებლად, რომ მაინც და მაინც რომი ყოფილიყო საეკლესიო ცენტრი. „ეკლესია ყველგანაა, სადაც ქადაგებენ და აღიარებენ ღვთის სიტყვას; ეკლესია ემორჩილება რწმენას, მისი თავი უხილავია და გვეკლინება რწმენის ობიექტად. ეკლესიის გადაქცევა ხილულ სამეფოდ შეცდომაა", - ასკვნიდა ლუთერი.

ამრიგად, თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში (1517-1521) ლუთერმა არა მარტო საეკლესიო რეფორმა და რომის პაპის უფლებამოსილების შეკვეცა მოითხოვა, არამედ ამ უკანასკნელის ბატონობისაგან გერმანიის განთავისუფლების საკითხიც წამოაყენა, რაც, ობიექტურად, პროგრესულ, მკაფიოდ გამოხატულ პატრიოტულ ხასიათს ატარებდა. იგი მთელი გერმანელი ხალხის ინტერესებს პასუხობდა და ეროვნული ეკლესიისა და ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბების კეთილშობილურ იდეას ემსახურებოდა.

რა თქმა უნდა, რომის პაპისა და მისი კურიისადმი ასეთი დაპირისპირება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ლუთერს მთელი საეკლესიო ღვთისმსახურებისა და წეს-ჩვეულებების ერთიანად მოსპობა სურდა, თუმცა იმაში ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ისინი არავითარ როლს არ ასრულებდნენ ქრისტიანების ხსნის საქმეში. ეკლესიის შინაგანი ბუნება, მისი არსი, ლუთერის მოძღვრების თანახმად, მხოლოდ რწმენას შეეძლო განესაზღვრა. ამგვარად, ლუთერი უპირატესობას ანიჭებს სულიერ, "უხილავ" ეკლესიას. უპირისპირებდა რა ხილულ ეკლესიას, ლუთერი ეჭვის ქვეშ აყენებდა თითქმის მთელ საეკლესიო ავტორიტეტს, გადაჭრით გამორიცხავდა არსებულ საეკლესიო იერარქიას, რომლის გარეშე წარმოუდგენელი იყო კათოლიკური ეკლესია.

პაპობა, ეპისკოპოსობა, წმინდანთა კულტი, საეკლესიო კრებათა დადგენილებანი, ხატები, ინდულგენცია, მესა, ბერული აღთქმანი, საიდუმლოებანი (შვიდი საიდუმლოებიდან მან მხოლოდ ორი დატოვა: ნათლობა და ზიარება), ყველაფერი ეს, ლუთერის თანახმად, არ დასტურდება საღვთო წერილში და, მაშასადამე, თვით ღვთაებრივ წარმოშობასაც არ ამტკიცებს. ყველა ეს დაწესებულება წარმოადგენს "თესლს, რომელიც დათესილია ღვთის მინდორზე სატანის მიერ რომაული კერპის უმაღლესი ხელისუფლების შემწეობით". ლუთერის თვალთახედვით, თუ ეკლესია განთავისუფლდება ამ მძიმე ტვირთისაგან, ის გახდება ნეტარი, ხოლო ხალხი თავისუფალი. ამგვარად, ლუთერი გამორიცხავდა ყველაფერს, რაც კათოლიკურ ეკლესიაში ისტორიულად დამკვიდრდა და არ შეესაბამებოდა სახარებას, რასაც რწმენისა და სულის ხსნის საქმეში არავითარი როლი არ ენიჭებოდა. ერთადერთი ავტორიტეტი, რომელსაც ცნობდა ლუთერი, იყო სახარება. იგი მიაჩნდა რწმენის წყაროდ, რომლიდანაც ის აზრი გამომდინარეობს, რომ მორწმუნის სულსა და ღმერთს შორის არ შეიძლება იყოს სხვა შუამავალი, გარდა იესო ქრისტესი. ამასთან, საჭიროა სიყვარული მოყვასისადმი, — ქადაგებდა იგი.

ლუთერი ყოველგვარი შუასაუკუნეობრივი ასკეტიზმის წინააღმდეგაც ილაშქრებდა, გმობდა ცელიბატს, რომელიც ევროპაში XI საუკუნიდან მკვიდრდება და რომელიც ითვალისწინებდა კათოლიკური სამღვდელოების უქორწინობას: ლუთერს ქორწინება ღვთის ნების გამოვლინებად მიაჩნია, რომელსაც ადამიანებისათვის ზნეობრივი სიწმინდე უფრო მოაქვს, ვიდრე უზნეობა. აქედან გამომდინარე, იგი გმობს ათასგვარ შეზღუდვას, რომლებიც რომის პაპიდან თუ ეკლესიიდან მომდინარეობდა. ადამიანებს (თვით მღვდლებსაც) ლუთერი ქორწინებისა და გამრავლებისაკენ მოუწოდებს. ლუთერმა მღვდლებს თვითონვე მისცა მაგალითი, როცა 1525 წელს, 42 წლის ასაკში, ცოლად შეირთო ყოფილი მონაზონი, ახალგაზრდა (25 წლის) კატარინა ფონ ბორა, რომელთანაც ექვსი შვილი ეყოლა.

ეკლესიის გარეგნული მხარის გამარტივებას რომ ქადაგ-ებდა, "ტრილოგიაში" ლუთერი ამ აზრსაც გამოთქვამდა, რომ უარი ეთქვათ ქრისტიანების სასულიერო და საერო წოდებებად ტრადიციულ დაყოფაზე, რადგან ასეთ დაყოფას არ იცნობს სახარება. მისი აზრით, უდიდესი უსამართლობაა ის, რომ "პაპს, ეპისკოპოსებს, მღვდლებს, ბერებს" სასულიერო წოდებად მოიხ-სენიებენ, ხოლო "მთავრებს, ბატონებს, ხელოსნებს, მიწათმოქმედს საერო წოდებად". ყველაფერი ეს ეშმაკური გამონაგონია, ერ-თიანი სიცრუეა, ვინაიდან ყველა ქრისტიანი ჭეშმარიტად სასუ-ლიერო წოდებისაა. ნათლობა, სახარება, რწმენა - აი, რა ხდის მათ "სასულიეროდ". ეს არის ლუთერის უმთავრესი თეზისი, „ყველა მორწმუნის საყოველთაო მღვდლობის" შესახებ, რომლის თანახმად ღვთისადმი სამსახური, აგრეთვე, იქადაგოს საღვთო წერილი, არა მარტო მღვდლის ფუნქციას შეადგენს, არამედ ყოველი ქრისტიანის უფლებამოსილებაცაა. ერთი სიტყვით, ლუ-თერის აზრით, ყველა ქრისტიანს, გამონაკლისის გარეშე, უფლება აქვს ეკურთხოს მღვდლებად. თვით საერო ხელისუფლების წარმომადგენლებსაც კი შეუძლიათ "ეკურთხონ მღვდლებად და ეპისკოპოსებად - ასკვნიდა ლუთერი.

საყოველთაო მღვდლად კურთხევის უფლებაზე რომ მიუთითებს, ამით ლუთერი იმას კი არ ამბობს, რომ ყოველი პირი, ვინც მოისურვებდა მღვდლად კურთხევას, აუცილებლად მიიღებდა ამ თანამდებობას. არა, იგი არჩევითობის პრინციპს ემორჩილებოდა, მღვდლად კურთხევას წინ უძღოდა არჩევნები, სადაც აქტიურ როლს რელიგიური თემი ასრულებდა, იგი ირჩევდა მღვდელს, რომლის ერთადერთი მოვალეობა ისაა, რომ იქადაგოს და გაავრცელოს სახარება ანუ ღვთის სიტყვა", ჩაუნერგოს მასებს ღვთისადმი მორჩილების შეგნება. მან არ უნდა დაუშვას, რომ უწინდებურად აღასრულოს წირვა და სხვა საეკლესიო წეს-ჩვეულებანი, უარი უნდა თქვას გარეგნულ "კეთილ საქმეებზე", რომლის შესრულებასაც კათოლიკური ეკლესია მოითხოვდა, უნდა გაიგოს, რომ ყველაზე სასურველი კეთილი საქმე, ესაა რწმენა ქრისტეზე. არჩევნების დროს

მღვდლად კურთხევის მოსურნეებს შორის მრევლი საუკეთესოს ირჩევს, აქ გამორიცხულია ყოველგვარი იძულება. მაშასადამე, ნამდვილი ქრისტიანული ეკლესიის არჩევნებში ლუთერი უშვებს დემოკრატიულ ელემენტებს, რომლებიც კეთილმყოფელ გავლენას ახდენენ XVI საუკუნის პოლიტიკურ - იურიდიულ აზროვნებაზე, მისი თანამედროვე სხვა რეფორმატორების იდეურ მრწამსზე.

ადრებურჟუაზიული პოლიტიკური აზროვნების აღმოცენებისათვის ასევე დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ღმერთის წინაშე ყველა ქრისტიანის თანასწორობისა და სინდისის თავისუფლების ქადაგებას, რომელსაც საყოველთაო მღვდლობის ლუთერისეულ მოთხოვნაში ეხვდებით. ლუთერს ნათქვამი აქვს: ღმერთის წინაშე"ჩვენ, როგორც ქრისტიანები, თანასწორები ვართ, აკი მიღებული გვაქვს ერთნაირი ნათლობა, ერთნაირი რწმენა და სული". ეს რწმენა, სინდისის თავისუფლება განუყოფელი საჩუქარია ყველასათვის, რომლის შემდეგ მორწმუნე დამოუკიდებლად არკვევს თავის დამოკიდებულებას ღმერთთან. იგი საკუთარი სინდისით მოქმედებს და, მაშასადამე, არ უნდა დავუშვათ მისი (ე.ი. სინდისისა და ღმერთის წინაშე თანასწორობის) უზურპაცია, რომელსაც პაპები მიმართავდნენ. "განა ამას არ ნიშნავს ის, რომ, - კითხულობდა ლუთერი, - საეკლესიო სამართალში ასე მაღლაა დაყენებული სასულიერო პირთა თავისუფლება, პიროვნება და ქონება, და ეს მაშინ, როცა, თითქოსდა საერონი სულიერად ისეთივე კეთილი ქრისტიანები არ იყვნენ, როგორებიც სასულიერო პირები არიან?... რატომაა, რომ შენ ასე თავისუფალი ხარ სხეულით, ცხოვრებით, ქონებით და პატივით, მე კი არა, თუმცა ჩვენ ერთნაირი ქრისტიანები ვართ, ერთნაირად მონათლულები, გვაქვს ერთი და იგივე რწმენა, სული და ყველაფერი დანარჩენი? თუ მღვდელს მოკლავენ, ადგილს ინტერდიქტი დაედება, რატომ არ ხდება ეს, როცა კლავენ გლეხს? საიდან მომდინარეობს ასეთი განსხვავება ურთიერთთანასწორ ქრისტიანებს შორის თუ არა მხოლოდ ადამიანური (ე.ი. პაპისეული გ.კ.) კანონებისა და პაპის თანამზრახველების მონაჩმახებისაგან".

ერთი სიტყვით, ლუთერი ქრისტიანებს შორის, სხვა განსხვავებას ვერ ხედავდა, გარდა საქმიანობისა და თანამდებობრივისა. "ყველანი ჩვენ, - წერდა იგი, - ერთი სხეულის წევრები ვართ, მაგრამ ყოველ წევრს თავისი განსხვავებული საქმიანობა აქვს, რითაც ის ყველა დანარჩენს ემსახურება". მაგალითად, მღვდელს საქმე აქვს საიდუმლოებებთან და საღვთო წერილთან ესაა მისი საქმიანობა და თანამდებობა, ამის ანალოგიურად, საერო ხელისუფლებას ხელთ უპყრია მახვილი, რათა დასაჯოს ბოროტი და დაიცვას წესრიგი: — მეჩექმეს, მჭედელს, მიწათმოქმედს - თითოეულს აქვს თავისი სამუშაო და მოვალეობა, რომელიც დაწესებულია ღმერთის მიერ და რომელსაც არც ერთი არ ჰყავს გამორჩეული. ესა თუ ის საქმიანობა ღმერთის წინაშე განიზომება მხოლოდ იმის მიხედვით, თუ როგორია ამ საქმიანობის უკან მდგარი ადამიანის რწმენა და სიყვარული. მაშასადამე, ლუთერის აზრით, ცდებიან ის ადამიანები, ვისაც მღვდლის შრომა უფრო საპატიოდ წარმოუდგენია ან ამ მოტივით მღვდლობა განუზრახავს. — არ ვურჩევ ვისმე შევიდეს რომელსამე მონაზვნურ ორდენში ან მიიღოს მღვდლობა, - წერს იგი "ეკლესიის ბაბილონურ ტყვეობაში, უკეთუ მას... არა აქვს შეგნებული, რომ მონაზვნებისა და მღვდლების შრომა, რაგინდ ძნელად შესასრულებელი და წმინდა არ იყოს იგი, ღმერთის თვალში, იოტის ოდენადაც არ განსხვავდება გლეხის შრომისაგან მინდორში ანდა ქალის შრომისაგან ოჯახში, რადგან ყოველგვარი საქმიანობა ღმერთის წინაშე იზომება მხოლოდ რწმენით".

ამრიგად, აღიარა რა ყველა ქრისტიანის თანასწორობა ღმერთის წინაშე და ის, რომ ღმერთისათვის არც ერთი საქმიანობა თუ თანამდებობა არ არის გამორჩეული, ამით ლუთერმა საფუძველი გამოაცალა სამღვდელოების პრივილეგირებული მდგომარეობის ტრადიციულ გაგებას. მეტიც, მან საეჭვო გახადა ფეოდალური საზოგადოების ერთ-ერთი უპირველესი წოდების არსებობის საკითხი, შეასრულა თავისებური დენთის როლი, რომელმაც, როგორც ამერიკელი ისტორიკოსი ვ.პარინგტონი

აღნიშნავს, აფეთქება გამოიწვია და ბზარი გაუჩინა ფეოდალიზმის ციხის კედლებს.

არანაკლებ დიდი დარტყმა მიაყენა სასულიერო წოდებას ლუთერის მიერ საერო ცხოვრებისა და საერო ხელისუფლების როლის წინ წამოწევამ და ეს არ მომხდარა შემთხვევით. საქმე ის არის, რომ პაპობა აღმოცენების დღიდან სულ იმის ცდაში იყო, რომ მსოფლიოში ყოვლისმომცველი ძალაუფლებისთვის მიეღწია. ადამიანთა მოდგმის "ცოდვილიანობიდან" მას ის დასკვნა გამოჰქონდა, რომ საქრისტიანოში გაერთიანებული "ორი ხალხიდან" სასულიეროდან და ერისკაციდან, ერთი სრულყოფილი და ამაღლებულია, მეორე კი დაქვემდებარებული; ერთის ცხოვრებას აწესრიგებს სასულიერო ხელისუფლება და საეკლესიო სამართალი, მეორის ცხოვრებას - საერო ხელისუფლება და სამოქალაქო სამართალი, თუმცა ამ უკანასკნელს თვით ეკლესიისგან ეძლევა "მახვილი", რათა დაიცვას ეკლესიისავე ინტერესები. ეკლესიის მესვეურთა ამ თეოკრატიულ მისწრაფებას ყველაზე მკაფიოდ პაპი ბონიფაციუს VIII (1294 -1303წწ.) გამოთქვამდა. "ეკლესიის ხელში, ამბობდა იგი, იმყოფება ორი მახვილი - სასულიერო და საერო, პირველს იგი თვითონ ფლობს, მეორეც ასევე ეკლესიის ინტერესებს იცავს. პირველი იმყოფება მღვდლის (ე.ი. პაპის გ.კ) ხელში, მეორე კი - მეფეებისა და ჯარისკაცების ხელში, თუმცა ეს უკანასკნელიც მღვდლის ნებართვით გამოიყენება. აუცილებელია, რომ ერთი მახვილი მეორეზე მაღლა იმყოფებოდეს, რომ საერო ხელისუფლება ემორჩილებოდეს სასულიეროს". ერთი სიტყვით, კათოლიკური იდეოლოგიის მიერ საერო ცხოვრება და საერო ხელისუფლება ისეთი ზეწოლის ქვეშ იყო მოქცეული, რომ უკანასკნელს მხოლოდ სასულიერო (რომის პაპის) ხელისუფლების ერთგვარ დანამატად აქცევდა.

საჭირო იყო ამ მოჯადოებული წრის გარღვევა, დაძლევა ტრადიციული წარმოდგენისა "ქრისტიანულ კორპუსზე", საიდანაც გამომდინარეობდა მთელი შუასაუკუნეობრივი სოციალური, პოლიტიკური და სამართლებრივი აზრი. რა თქმა უნდა, ლუთერამდეც იყვნენ ადამიანები, რომლებიც ილაშქრებდნენ

პაპების თეოკრეტიული მისწრაფებების წინააღმდეგ, მიაჩნდათ, რომ საერო ხელისუფლება სასულიერეროზე მაღლა დგას და რომ პაპი უნდა ემორჩილებოდეს იმპერატორს, რაც არყევდა პაპების ავტორიტეტს. მაგრამ ეს ამოცანა, როგორც სამართლიანად შენიშნავს ი.გოლუბკინი, საბოლოოდ მაინც ლუთერმა გადაჭრა. თავის მიმართვაში "გერმანელი ერის ქრისტიანი თავადაზნაურობისადმი" რეფორმატორმა დამაჯერებლად აჩვენა პაპების თეოკრატიული მისწრაფებების უსაფუძვლობა, გაილაშქრა იმ "მრავალრიცხოვანი სულელური კანონებისა" და დოგმების წინააღმდეგ, რომლებიც პაპებს უმორჩილებდნენ არა მარტო საერო ხელისუფლებას, არამედ ერთიან "ქრისტიანულ სხეულსაც", რომლის მეთაური, ლუთერის აზრით, ქრისტეა და არა პაპი.

ლუთერმა უპირველესად ის თქვა, რომ საერო ცხოვრება და საერო საქმეები არ უნდა განვიხილოთ როგორც ცოდვილიანობის სფერო, რასაც პაპის და, საერთოდ, სქოლატიკური მოძღვრების, წარმომადგენლები ამტკიცებდნენ. ადამიანის მოღვაწეობის ეს მხარე, თუმცა, მისი აზრით, წარმავალია, მაგრამ საკვებით საჭიროა, აუცილებელია თვით სახელმწიფო დაწესებულებანიც, საერო ხელისუფლება და სამართალი, რომლებიც დაწესებულია ღმერთის მიერ. ამასთან, ეს დაწესებულებები არათუ რომის პაპსა და საეკლესიო ადმინისტრაციას უნდა ემორჩილებოდნენ, რომლის პრეტენზიაც, როგორც ვთქვით, კათოლიკურ ეკლესიას ჰქონდა, არამედ, პირიქით, ისინი თანამდებობრივად უფრო მაღლა დგანან და ეკლესიის მესვეურებს თვითონ უნდა კარნახობდნენ თავიანთ ნებას. მაშასადამე, ლუთერის აზრით, ცდებიან ის ადამიანები, ვინც ფიქრობს, რომ საერო ხელისუფლებას არ შეუძლია იმბრძანებლოს სამღვდელოებაზე, არ შეუძლია მისი დასჯა.

— ეს, — ამბობს ლუთერი, - იმას ნიშნავს, რომ თქვა: ხელი არ უნდა დაეხმაროს თვალებს, თუნდაც ისინი იყვნენ სავალალო მდგომარეობაში. ეს არა თუ არაქრისტიანულია, არამედ მართლაც არაბუნებრივიცაა, რომ სხეულის ერთი წევრი არ დაეხმაროს მეორეს, რომ არ იხსნას იგი დაღუპვისაგან". ლუთერი

სასულიერო პირებისაგან იმის შეგნებას მოითხოვს, რომ საერო ხელისუფლებას, რომელიც ღმერთის მიერაა დაწესებული ბოროტთა დასასჯელად და ღვთისმოსავთა დასაცავად, გარდა ერთი შემთხვევისა, თვითონვე დამორჩილდნენ ნებაყოფლობით. "პაპს, წერდა იგი, - არ შეშვენის საერო ხელისუფლებაზე მაღლა დგომა, გარდა სასულიერო მოვალეობისა, მაგალითად, ქადაგებისა და ცოდვათა მიტევებისა, სხვა შემთხვევაში იგი დაბლა უნდა იდგეს, როგორც ამას პავლე (რომაელთა მიმართ 13, 1-7) და პეტრე (1 პეტრე 2, 13-18) გვასწავლიან". ანალოგიური აზრის შემცველია ეს სიტყვებიც: ვინაიდან „საერო ხელისუფლება დაარსებულია ღმერთის მიერ ბოროტთა სასჯელად და ღვთისმოსავთა დასაცავად, მან თავისი მოვალეობა თავისუფლად და დაუბრკოლებლად უნდა გაავრცელოს მთელი საქრისტიანოს სხეულზე, ყოველგვარი გამონაკლისის გარეშე, ეს ეხება პაპს, ეპისკოპოსებს, მღვდლებს, ბერებს თუ სხვა ვინმეს". და თუ ვინმე შემოგვედავება და გვეტყვის, ამბობს ლუთერი, რომ სასულიერო თანამდებობის პირები არ საჭიროებენ ასეთ სამსახურს, მაშინ გამოდის, რომ ისინი ასევე არ საჭიროებენ სხვა თანამდებობის თუ ხელობის ადამიანთა სამსახურს; — უნდა აგვეკრძალა თერძისათვის, მჭედლისათვის, მსახურისათვის, მზარეულისათვის, ლაქიისათვის თუ სხვა პროფესიის ადამიანებისათვის გაეკეთებინათ და მიერთმიათ პაპებისათვის, მღვდლებისათვის და ბერებისათვის ფეხსაცმელი, ტანსაცმელი, საჭმელი თუ სხვა რამე", რომელთაც ფართოდ მოიხმარს ყველა.

როგორც ვხედავთ, ლუთერი "გერმანელი ერის ქრისტიანი თავადაზნაურობისადმი" თავის მიმართვაში სახელმწიფოსა და ეკლესიას განიხილავს როგორც ერთიან ორგანიზმს, სადაც საერო ხელისუფლება თანამდებობრივად სასულიეროზე მაღლა დგას. საჭიროების შემთხვევაში იგი მღვდელთა საქმიანობასაც აკონტროლებს, იწვევს საეკლესიო კრებას, ზრუნავს რეფორმისათვის. "თუ წარმოიშობა აუცილებლობა და პაპი გახდება მაცდუნებელი საქრისტიანოსათვის, წერდა ლუთერი, - მაშინ პირველი, ვისაც კი შეუძლია, მოვალეა იზრუნოს, როგორც მთელი სხეულის ერთგულმა წევრმა, ჭეშმარიტად თავისუფალი

კრების მოწვევისათვის" ესაა საერო ხელისუფლება. დიახ, იმპერატორს, მთავრებს, რაინდებს უნდა გამოეჩინათ ინიციატივა და უნდა მოეწვიათ "ეროვნული საეკლესიო კრება", თავი უნდა მოებათ საეკლესიო გარდაქმნის საქმისათვის. მათ პაპობისა და კურიისათვის უნდა ჩამოერთმიათ ყველა უფლება და შესაძლებლობა ეცხოვრათ გერმანელთა ხარჯზე, არ უნდა დაეშვათ მათი მონაწილეობა ან ჩარევა გერმანიის მართვასა და გერმანელი ერის საქმეებში. მომავალში მათ არც ასკეტიზმისა და ცელიბატის აღსრულების ნება უნდა მიეცათ კათოლიკური ეკლესიის მესვეურებისათვის, რამეთუ ისინი არც ბუნებისა და არც ღმერთისათვის სასურველი საქმეებს არ ეშსახურებიან. — ცელიბატის გამოგონება კი პაპის ერთ-ერთი "უდიდესი დანაშაულია", აცხადებდა ლუთერი. "ამგვარი ქადაგებებით იგი, როგორც მართებულად შენიშნავს ვ. რუტენბურგი, „აღორძინებას ენათესავება".

ლუთერმა ამრიგად, თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში (1517-1521წწ.) არა მარტო საეკლესიო რეფორმის იდეა წამოაყენა, არამედ საერო ცხოვრებისა და საერო ხელისუფლების რეაბილიტაციაც მოახდინა, გაათავისუფლა ისინი შუასაუკუნეობრივი სკოლასტიკური მსოფლმხედველობისაგან. ყველა მისი მოთხოვნა შეესაბამებოიდა გერმანიის წარჩინებულთა და ყველა საიმპერიო წოდების ინტერესებს და მიზნად ისახავდა ნაციონალური სუვერენიტეტის განმტკიცებას, ეროვნული ეკლესიისა და ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებას გერმანიაში. გარკვეულ წილად ეს დაგვიანებული გამოძახილი იყო იმისა, რაც მნიშვნელოვანწილად მიღწეული იყო საფრანგეთში, ესპანეთსა და ინგლისში: მეფისადმი ეკლესიის მორჩილება მთელი ქვეყნის მასშტაბით.

§5. კარლ V და ვორმსის რაიხსტაგი

შეურიგებელმა პოზიციამ, რომელიც ლუთერმა "რეფორმატორულ ტრილოგიასა" და პაპის ბულის დაწვისას დაიკავა, დააშინა არა მარტო პაპი და მისი მომხრეები, არამედ გერმანიის მბრძანებელი კარლ V-ეც, რომელიც იმპერატორად 1519 წელს აირჩიეს.

კარლ V მსოფლიო კათოლიკური მონარქიის შექმნაზე ოცნებობდა, მონაწილეობდა "იტალიურ ომებში", 1494-1559 წლებში რომ მიმდინარეობდა (ომი დრო და დრო ახლდებოდა). ბუნებრივია, იმპერატორს პაპის მხარდაჭერა სჭირდებოდა. ამიტომაც მისთვის მიუღებელი აღმოჩნდა რეფორმაციული მოძრაობა და 1521 წლის 6 მარტს ბრძანება გამოსცა რაიხსტაგში ლუთერის გამოძახების შესახებ; მასვე მიეცა საგარანტიო საშეიც, რათა მგზავრობისას ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე, სადაც კი გაივლიდა, დაბრკოლება არ შეხვედროდა. 26 მარტს ლუთერმა მიიღო იმპერატორის მიწვევა რაიხსტაგზე, სადაც ერთ-ერთ საკითხად მისი საქმეც იხილებოდა. სათანადო მომზადების შემდეგ, 2 აპრილს, იგი ვორმრისაკენ გაუდგა გზას.

გზისპირას, სადაც რეფორმატორს უნდა გაევლო, გაკრული იყო მის წინააღმდეგ მიმართული პაპის დეკრეტები, რითაც მისი დაშინება სურდათ. ლუთერი არა, მაგრამ შიშმა მისი მეგობრები მართლაც შეიპყრო, რომლებმაც ვერაფრით ვერ დაითანხმეს ლუთერი, უარი ეთქვა წასვლაზე. სასურველი შედეგი ვერც ლუთერის მფარველის ფრიდრიხ ბრძენის წარმომადგენლის სპალატინის მცდელობამ გამოიღო. ამ უკანასკნელის რჩევას, ხელი აეღო წასვლაზე - "ვაი თუ იან ჰუსის ბედი გეწიოსო" ლუთერმა ვაჟკაცურად მიუგო: – მართალია, ჰუსი დაწვეს, მაგრამ მასთან ერთად არ დაღუპულა ჭეშმარიტება. მე მაინც წავალ რაიხსტაგში, თუნდაც ჩემს წინააღმდეგ გამოვიდეს იმდენი ეშმაკი, რამდენიც კრამიტია სახურავზე. – ასეთმა გამბედაობამ ლუთერი ნაციონალურ გმირად აქცია, ვიტენბერგიდან ვორმსამდე, მთელი გერმანიის გავლით, მოეწყო ლუთერის ტრიუმფალური სვლა. ხალხი მის სანახავად მოაწყდა, გზისპირას, სადაც მას უხდებოდა გავლა. იქვე გაკრული იყო მის წინააღმდეგ მიმართული პაპის დეკრეტები, რითაც სურდათ მისი დაშინება. იმავდროულად იმპერატორის ბრძანებით მისი წიგნები იწვებოდა. ლუთერი მაინც განაგრძობდა გზას.

16 აპრილს ის ვორმში ჩავიდა, მას მიაცილებდა მრავალი რაინდი, გზებზე გამოფენილი იყო ორ ათასზე მეტი მოქალაქე.

ასე შევიდა იგი ვორმსში. — ჩვენთანაა ღმერთი! წამოიძახა ლუთერმა, როცა გადმოვიდა ეტლიდან და გადახედა ხალხს.

მეორე დღეს, 1521 წლის 17 აპრილს, როცა ლუთერი წარსდგა რაიხსტაგში, დამსწრე საზოგადოებამ მასზე გავლენა მოახდინა. მღელვარებამ მოიცვა (ბოლოს და ბოლოს ისიც ხომ ადამიანი იყო), მიხვდა, რომ სათანადოდ ვერ გამოიჩენდა თავს და ითხოვა, რომ მისი გამოსვლა გადაეტანათ მომდევნო დღისათვის, უარი არ უთქვამთ. დადგა მომდევნო დღეც: 18 აპრილს, ხუთშაბათს, ლუთერი კვლავ წარსდგა სახელმწიფო მოხელეების წინაშე: რაიხსტაგში იმყოფებოდა იმპერატორი, მისი ძმა ფერდინანდი, 6 საიმპერატორო კურფიურსტი, 28 ჰერცოგი, 8 მარკგრაფი, 30 არქიეპისკოპოსი, ეპისკოპოსი და აბატი, მრავალი მთავარი და გრაფი, 10 თავისუფალი ქალაქის წარმომადგენელი, სტუმრები იტალიიდან და ესპანეთიდან. აქვე იყო კარლ V-ც, რომელიც ერთდროულად ესპანეთის მეფეც იყო.

კვამლიანი ჩირაღდნები ანათებდა პირამდე სავსე დარბაზს. ახალგაზრდა იმპერატორს გარს ეხვია მსახურები, რომელნიც ისე „გამოიყურებოდნენ, როგორც ცხვრები, რომელიც გარშემორტყმულია ძაღლებითა და ღორებით", - იგონებდა ლუთერი შემდეგში.

სანახაობა საოცრად შთამბეჭდავი იყო. ლუთერს შეჰყურებდა ცნობისმოყვარე და განრისხებული ათეულობით ადამიანის თვალი, თუმცა იყვნენ ისეთებიც, ვინც რეფორმატორს თანაუგრძნობდა. მიუხედავად ამისა, ამჯერად ლუთერს თავი ვაჟკაცურად და თავისუფლად ეჭირა. მისი ხმა მკაფიოდ გაისმოდა. ეკის (ტრირის არქიეპისკოპოსის ოფიციალის) მოთხოვნაზე: — მისი იმპერატორის უდიდებულესობა შენგან მოითხოვს პირდაპირ და ნათელ პასუხს: უარს ამბობ თუ არა შენი თხზულებებისა და ცდუნებისაგან კი ან არა - თქვიო", ლუთერმა თვალი მიმოავლო დარბაზს და მერე გაბედულად უპასუხა: "არა". ხოლო როცა მოთხოვეს გარკვევით ჩამოეყალიბებინა თავისი აზრი საეკლესიო კრების შესაძლებელ შეცდომებზე, ლუთერმა აქაც უკან არ დაიხია და თქვა: — ჩემგან პირდაპირი, ნათელი და

კატეგორიული პასუხი სურთ. კარგით, მეც გიპასუხებთ მიკიბვ-მოკიბვის გარეშე: – მე არ შემიძლია დავუმორჩილო ჩემი რწმენა[1] არც პაპს, არც საეკლესიო კრებას, რადგან დღესაკით ნათელია, რომ ისინი ხშირად ცდებიან და თვით ერთმანეთსაც ეწინააღმდეგებიან. თუ მე არ დამარწმუნებენ საღვთო წერილის დამოწმებით ან ნათელი გონივრული მოსაზრებით, თუ მე არ დამარწმუნებენ თვით იმ ტექსტებით, რომელნიც მოვიტანე, და თუ ამდაგვარად ღვთის სიტყვით არ შებოჭავენ ჩემს სინდისს, მაშინ მე არ შემიძლია და არც მსურს უარი ვთქვა არაფერზე, რადგან ქრისტიანს არ შეშვენის გამოვიდეს სინდისის წინააღმდეგო. – ლათინურად წარმოთქმული ეს სიტყვა ლუთერმა გერმანულადაც გაიმეორა და თავისი გამოსვლა ასე დაასრულა: – „ამაზე ვდგავარ და სხვაგვარად არ ძალმიძს. დაე, ღმერთი შემეწიოს, ამინ“ (Hier Stehe ich, Ich kann nicht anders. Gott helfe mir. Amen).

ლუთერის ეს გამოსვლა არა მარტო რომის თამამი გამოწვევა იყო, არამედ სინდისის, აზრის თავისუფლების პრინციპის საქვეყნოდ გამოცხადებაც, რომლის მსგავსი მანამდე იშვიათად მომხდარა.

შთაბეჭდილება, რომელიც მოახდინა ლუთერმა კრებაზე, სხვადასხვაგვარი იყო. აღფრთოვანებულ წამოძახილებს, აღშფოთებულთა მუქარა ცვლიდა. ლუთერს მიაცილებდა ესპანელთა სტვენა და დაცინვა, თუმცა შიგადაშიგ მომხრეების მხარდამჭერი სიტყვებიც გაისმოდა. სასტუმროში, სადაც ლუთერი შეჩერდა, მისმა მომხრეებმა მოიყარეს თავი. მათ შორის იყო ახალგაზრდა ლანდგრაფი ფილიპ ჰესენელი, რომელმაც ლუთერს უთხრა: – „თუ შენ თვლი, რომ შენი საქმე ღვთაებრივია, იდექი მტკიცედ“. ლუთერმა რაიხსტაგში მიღებული შთაბეჭდილებე-

---

[1] „პაპი, ამბობდა ლუთერი სხვაგან, რა უფლებით აწესებს კანონებს ჩვენზე? მას ვინ მისცა ძალაუფლება, დაეპატრონოს თავისუფლებას, რომელიც გვეძლევა ნათლობით? მე ვამბობ: არც პაპს, არც ეპისკოპოსს, არც სხვა ვინმეს უფლება არა აქვს დააწესოს ქრისტიანზე თუნდაც მარტოოდენ ერთი სიტყვა, თუ ამაზე საკუთარი თანხმობა არ იქნება“.

ბი გამოთქვა წერილში, რომელიც თავის მეგობარს, ცნობილ მხატვარს ლუკა კრანახს მისწერა: "მე ვფიქრობდი, რომ მისი აღმატებულება ვორმსში შეკრებდა ღვთისმეტყველთა 50-მდე დოქტორს, რათა დაეერწმუნებინე მე, ბერი. არაფერი ამდაგვარი. გაიმართა მხოლოდ ასეთი დიალოგი: შენია ეს წიგნები? დიახ. — უარყოფ მათ? - არა. მაშ, გაეთრიე აქედან! - აი, ასეთია მთელი ისტორია.

ბუნებრივია, ამის პატიება არც პაპს შეეძლო და არც იმპერატორს. იმპერატორის განაჩენმაც არ დააყოვნა. 21 მაისს რაიხსტაგში წაკითხულ იქნა ვორმსის სამარცხვინო ედიქტი, რომლითაც ლუთერი კანონგარეშედ ცხადდებოდა, საფრთხე ემუქრებოდათ იმათაც, ვინც რეფორმატორის დამალვას ან მისი წიგნების გავრცელებას შეეცდებოდა, მაგრამ გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც არ შეუშინდნენ ამ მუქარას. ლუთერს კვლავ მფარველად მოევლინა ფრიდრიხ ბრძენი. მისი ნებით ჯერ კიდევ კანონგარეშედ გამოცხადებამდე კარგა ხნით ადრე, 26 აპრილს, როცა რეფორმატორი ვიტენბერგში ბრუნდებოდა, ნიღაბაფარებული შეიარაღებული რაინდების ჯგუფი "თავს დაესხა" მის ეტლს, ეტლიდან ჩამოაგდეს ლუთერის თანამგზავრი ბერი და ლუთერი ბიბლიით ხელში გზას გაუყენეს. ამ გათამაშებული სპექტაკლის შესახებ თვითონ ლუთერმა არაფერი იცოდა, რის გამოც ვარტბურგის კომენდანტმა, ვისთანაც იგი მიიყვანეს, ბოდიშიც კი მოუხადა მას.

საიდუმლოებით მოცულმა ამ მოტაცებამ ხალხში მითქმა-მოთქმა გამოიწვია, გავრცელდა ხმა, რომ ლუთერი ჯვარს აცვეს სახარების მტრებმა, პაპისტებმა. მთელი გერმანია მწუხარებამ მოიცვა. მაშინდელი გერმანელების განწყობილებას გადმოსცემს მეორე დიდი გერმანელი მხატვარი (ასევე ლუთერის მეგობარი) ალბრეხტ დიურერი, როცა წერს: "ვინც დოქტორ მარტინ ლუთერის წიგნებს კითხულობს, ყველა ხედავს, რა ნათელი და გამჭვირვალეა მისი მოძღვრება - ის ხომ წმინდა სახარებას ასწავლის. ამიტომაც არა თუ უნდა დავწვათ ეს წიგნები, არამედ დიდი პატივით უნდა შევინახოთ. უკეთესი ის იქნებოდა, რომ

ცეცხლისათვის მიგვეცა მისი მოწინააღმდეგეები მთელი თავიანთი მოსაზრებებით, რომლებიც ყოველთვის გამოდიან ჭეშმარიტების წინააღმდეგ და რომლებსაც ღმერთების შექმნა ადამიანებისაგან სურთ... — ოი, ღმერთო, თუ ლუთერი მკვდარია, მაშინ დღეის იქით ასე ნათლად ვინ გადმოგვცემს წმინდა სახარებას? ოი, ღმერთო, კიდევ რამდენის დაწერა შეეძლო მას ათი-ოცი წლის განმავლობაში! ოი, თქვენ, ღვთისმოსავო ქრისტიანებო, დამეხმარეთ მე ღირსეულად დავიტირო ღვთის ნების აღმსრულებელი ეს ადამიანი".

სინამდვილეში კი, სრულიად უვნებელი, რაინდ გეორგის სახელს ამოფარებული და წვერმოშვებული ლუთერი, ამ დროს იმალებოდა ვარტბურგში, საქსონიის კურფიურსტის ფრიდრიხ ბრძენის ციხეში, რომელიც აიზენახიდან არცთუ ისე შორს იყო.

§6. ე.წ. „ვარტბურგის ტყვეობა" და ვიტენბერგელი რადიკალები

ლუთერის ყოფნა ვარტბურგში, რომელსაც ხშირად „ვარტბურგის ტყვეობის" სახელით მოიხსენიებენ, 1521 წლის 4 მაისიდან 1522 წლის 8 მარტამდე გაგრძელდა. გარესამყაროსაგან მოწყვეტილი ლუთერისათვის დროის ეს მონაკვეთი საკმაოდ ხანგრძლივი პერიოდი აღმოჩნდა, რომელმაც სიმშვიდე წაართვა მას, განსაკუთრებით ვერ შეეგუა იძულებით უმოქმედობას, უძილობას და კვების რეჟიმს, რომელიც მას "ტყვეობის" პირველ დღეებში გადახდა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში, როცა რეფორმატორი წერდა: — უკვე რვა დღეა, რაც არაფერს ვაკეთებ, არც ვწერ და არც ვკითხულობ, მხოლოდ ვჭამო". ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა, როგორც თვითონ ამბობს, — „ცოცხლად დალპობა", რომელსაც „კოცონზე დაწვა" ერჩივნა. ამას ემატებოდა საკვებთან დაკავშირებული პრობლემაც, რომელზეც სხვაგვარ კავშირში უფრო დაწვრილებით ვისაუბრებთ. აქ მხოლოდ იმას აღვნიშნავთ, რომ მას დაეწყო კუჭის ავადმყოფური აშლილობანი, რომელმაც ყოველგვარი ხალისი

დაუკარგა. მას არც აზნაურული გართობანი იტაცებდა და არც ნადირობა, საოცრად გულჩვილი იყო გარეული ცხოველებისა და ფრინველების მიმართ, ვერ იმეტებდა მოსაკლავად. დეპრესიისაგან იგი იხსნა შემოქმედებითმა პროცესმა, ხელი მიჰყო ბიბლიის თარგმნას, რომელსაც ძველბერძნულიდან და ებრაულიდან გერმანულ ენაზე თარგმნიდა.

მან იმთავითვე ის მიზანი დაისახა, რომ თავისი ხალხისათვის მიეცა "ლათინურზე უკეთესი თარგმანი", რომელიც დაეყრდნობოდა არა "სასახლეებში გამეფებულ სიტყვებს, არამედ უბრალო ადამიანების ენას. "ვაკვირდებოდი რა უბრალო ადამიანების ლაპარაკს, ან კიდევ დიასახლისებისა და დედების საუბარს ოჯახის წევრებთან თუ შვილებთან, მე ვსწავლობდი მათგან და მათთან შეძენილ სიტყვებს ვიყენებდი საღვთო წერილის სათარგმნელად", - ამბობს ლუთერი. ამგვარად, ლუთერმა სწორად განსჭვრიტა, რომ ბიბლია საჭიროებდა "უბრალო, ყველასათვის გასაგებ ენაზე თხრობას", "ნამდვილი ხალხური ენის გამოყენებას". თარგმნისას იგი დაეყრდნო ქვემო და ზემო საქსონური დიალექტისათვის დამახასიათებელ ხალხურ ნიშნებს, რაც მომავალი გერმანული სალიტერატურო ენის საფუძვლად იქცა.

რა თქმა უნდა, თარგმნის პროცესი ერთბაშად, ვარტბურგშივე არ დასრულებულა, ეს სამუშაო მან ვიტენბერგში დაბრუნების შემდეგაც გააგრძელა, ჯერ ახალი აღთქმის თარგმანი დაასრულა (1523წ.), ძველი აღთქმის თარგმნას კი ათი წელი მოანდომა და 1534 წელს დაასრულა.

მართალია, თარგმნისას მას ეხმარებოდნენ ფ.მელანქტონი (მთავარი მრჩეველი იყო ბერძნულ ენაში), აუროგალუსი (მრჩეველი ძველ ებრაულ ენაში), კრუციგერი და სხვა ცნობილი თეოლოგები, მაგრამ მათი დახმარება მეტწილად ტექნიკური ხასიათის იყო, თარგმნის მთელი სიმძიმე მაინც ლუთერზე გადადიოდა, მასვე ეკუთვნის მრავალრიცხოვანი კომენტარები, რომელიც ბიბლიის გამოცემას თან ერთვოდა; ერთადერთი ილუსტრაცია იყო, რომელიც ახლდა გამოცემას და არ ეკუთვნოდა ლუთერს, იგი ლუკა კრანახი უფროსის შესრულებული გახლავთ.

ერთი სიტყვით, ბიბლიის ლუთერისეული თარგმანი და, საერთოდ, მთელი მისი შემოქმედება რენესანსულია, ისეთივე ტიტანური შრომის და მრავალმხრივი ნიჭის ნაყოფია, როგორც თავის დროზე პეტრარკამ, ლეონარდო და ვინჩიმ, მიქელანჯელომ, დიურერმა, რაბლემ თავიანთ ტილოებში, სკულპტურებსა და წიგნებში გამოავლინეს. ამიტომაც, ბუნებრივია, ადამიანები ბიბლიის მისეულ თარგმანს მოკრძალებით ეკიდებოდნენ, თანაც ეს თარგმანი მოწონებით სარგებლობდა არა მარტო პროტესტანტებში. უსაფუძვლოდ როდი ამბობდა ჰაინე: ლუთერმა, როგორც მთარგმნელმა სალიტერატურო ენის შექმნით პოლიტიკურად და სარწმუნოებრივად შეკრა დაქუცმაცებული გერმანია. მისეულ თარგმანს ასევე მაღალ შეფასებას აძლევდა ცნობილი ფილოლოგი რ.ბორხარდი, იგი წერდა: – გერმანელი ხალხისთვის ლუთერისეული ბიბლია ისეთივე გახდა, რასაც დანტეს პოეზია წარმოადგენდა იტალიისათვის. მის პოპულარიზაციას, რა თქმა უნდა, დიდად უწყობდა ხელს ბიბლიის ბეჭდური გავრცელება, რომელიც 1522 წლიდან 1546 წლამდე 430-ჯერ გამოიცა.

ბიბლიის თარგმანს ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ მან დიდი გავლენა მოახდინა რეფორმაციული იდეების ფართოდ გავრცელებასა და რევოლუციური მოძრაობის შემდგომ რადიკალიზაციაზე. ამ თარგმანით ლუთერმა დაშლის გზაზე მდგარ ფეოდალურ საზოგადოებას ისეთი საზოგადოების სურათი უჩვენა, რომელმაც არაფერი იცოდა ხელოვნურად აგებულ ფეოდალურ იერარქიაზე. გლეხების ხელში იგი აღმოჩნდა იარაღი, რომელსაც იყენებდნენ მთავრების, თავადაზნაურების და ხუცების წინააღმდეგ. ამ იარაღის პოპულარობაზე მეტყველებს ლუთერის დაუძინებელი მტრის, კათოლიკე იოჰან კოხლეის სიტყვებიც: – ეს თარგმანი "დიდი რაოდენობით ვრცელდება გერმანიის ყველა კუთხეში. მას უდიდესი სიხარბით ეწაფებიან რიგითი ადამიანები, მკერავები და მეჩექმეები, ქალები და კაცები, თითქოს იგი იყოს ყოველგვარი სიმართლის წყარო. ზოგიერთი მას უბით ატარებს და ზეპირადაც კი იცის".

ლუთერის მოღვაწეობა ვარტბურგში მარტო თარგმნით არ ამოიწურება. მუშაობას იგი სხვა მიმართულებითაც წარმართავდა და ამის საფუძველიც ჰქონდა. ოთახში, სადაც ლუთერი ცხოვრობდა, კედელს დღესაც ატყვია ლაქები, დარჩენილი იმ დროიდან, როცა იგი "ეშმაკს ერეკებოდა სამელნეებით". ამას ლუთერი აკეთებდა არა მარტო პირდაპირი მნიშვნელობით, მას ხომ არაერთხელ მოსჩვენებია ეშმაკი, არამედ იმიტომაც, რომ გაუჩნდა სურვილი დაპირისპირებოდა კათოლიკური თეოლოგიის მტკიცებას, რომლის თანახმად ეშმაკი მიჩნეული იყო საეკლესიო მშვიდობის მტრად და ერესების საიდუმლო შთაგონებად. ლუთერი კი, პირიქით, იმ აზრს გამოთქვამდა, რომ ეშმაკი (მის ქვეშ ხშირად პაპია ნაგულისხმები) სხვა არაფერია, თუ არა მოჩვენებითი ერთიანობის და ცრუ სამართლიანობის დამცველი, რომელიც მხარს უჭერს საეკლესიო მშვიდობას სამოქალაქო მშვიდობის დარღვევის გზით.

ეშმაკი, მსჯელობს ლუთერი, როცა ხედავს, რომ მისი უბრწყინვალესი ქმნილება — „ანტიქრისტიანული პაპისეული ეკლესია“ საფრთხის ქვეშ იმყოფება, ცდილობს ააცილოს მას დაღუპვა და ამ მიზნით ადამიანებს შორის თესავს შხამს, ერთს განაწყობს მეორის წინააღმდეგ, თიშავს მთელ საზოგადოებს, რომ ანტიპაპისტები ჩაითრიოს წოდებათა შორის ომში. ახლაც, როცა დაიწყო რეფორმაცია, ეშმაკი დაადგა ნაცად გზას და რეფორმაციას დაუპირისპირა თავისი ორი იარაღი: ერთია ის, რომ მან მთავრებსა და აზნაურებს ისე „გადაუტრიალა“ ტეინი, რომ მათ უკიდურესობამდე დაჰყავთ ქვეშევრდომების ჩაგვრა, რაც ამ უკანასკნელებს აჯანყებისაკენ უბიძგებს; მეორეა ის, რომ მან დააჩქარა აქტიურობა ბრბოსი, რომელიც ისედაც მიდრეკილია ძალისმიერი ანარქიული მოქმედებისაკენ.

ამგვარად, ასკვნის ლუთერი, არ უნდა წამოვეგოთ ეშმაკის ხრიკებს, უნდა შევეცადოთ იმას, რომ გამოვაცალოთ მას ორივე იარაღი, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ ბატონებმა ხელი აიღონ უკიდურესი ჩაგვრისაგან, ხოლო დაჩაგრულებმა საერო წესრიგის ძალისმიერი გარდაქმნის აზრისაგან. მოთმინება და ერთობა — აი, რა უნდა დავუპირისპიროთ ეშმაკისეულ ორ იარაღს,

"სხვაგვარად ვერაფერს გავხდებით", მხოლოდ მოთმინებითა და ერთობით მივაღწევთ განთავისუფლებას ეშმაკისეული ზრახვებისაგან, "ანტიქრისტე პაპისა" და მისი მომხრეებისაგან, არწმუნებდა ლუთერი თავის თანამემამულეებს. აზრთა ამ ჭიდილში იქმნება მისი თხზულება - "ბერული აღთქმაც", რომელიც 1521 წლის ბოლოს გამოვიდა.

ვერ ვიტყვით, რომ ეს თხზულება ლუთერის სხვა ადრინდელი თხზულებებისაგან ბევრად განსხვავდებოდა, რა თქმა უნდა, ცალკეული გამონაკლისების გარდა. მასში კვლავინდებურად გაკრიტიკებელი იყო სამონასტრო წეს-ჩვეულებანი, ასკეტიზმი, ცელიბატი, მათხოვრული ორდენები, წამოყენებული იყო საეკლესიო გარდაქმნის ძირითადი პრინციპები, მაგრამ ბევრი რამ პრაქტიკული საორგანიზაციო საკითხებიდან ისევ ღიად რჩებოდა. იგი არ პასუხობდა კითხვებს: თუ როგორ უნდა იყოს ღვთისმსახურება რეფორმირებულ ეკლესიაში, თუ რაში მდგომარეობს პასტორის თანამდებობის არსი, თუ როგორ უნდა მოვეკიდოთ ხატებს, ფრესკებს და სამკაულებს, რომლებიც საუკუნობით ამშვენებდნენ ტაძრებს.

იფიქრეს რა, რომ ვარტბურგში მყოფ ლუთერს ჯერ კიდევ არ ეცალა ამ კითხვებისათვის და პრაქტიკული გარდაქმნებისათვის, მისაღები პასუხების მოძიებას და საეკლესიო გარდაქმნის ძირითადი პრინციპების ცხოვრებაში გატარებას შეეცადნენ რეფორმატორის უახლოესი მეგობრები და მიმდევრები, რომლებიც ვიტენბერგში იყვნენ. ესენი იყვნენ ფილიპ მელანქტონი, ანდრეას კარლშტადტი და გაბრიელ ცვილინგი. თუ რა პასუხები მოიძიეს მათ ან რა ინიციატივა გამოიჩინეს საეკლესიო გარდაქმნის საქმეში, ამაზე ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ, ჯერ ვნახოთ, თუ რას წარმოადგენდნენ ეს პიროვნებები.

ლუთერის მეგობრებსა და მიმდევრებს შორის განსაკუთრებით უნდა გამოვყოთ ცნობილი ჰუმანისტი და თეოლოგი, ზომიერი ბიურგერული მიმართულების წარმომადგენელი ფილიპ მელანქტონი (1497-1560), რომელიც დაიბადა ბადენში, მეიარაღეს ოჯახში. ის იყო იოჰან როიხლინის დის შვილიშვილი და თაყვანისმცემელი ერაზმისა, რომელსაც როიხლინმა ბრწყინვალე

აკადემიური კარიერა უწინასწარმეტყველა. მართლაც, მელანქ-
ტონი 12 წლისა იყო, როცა შეეიდა უნივერსიტეტში, ხოლო
14 წლისა გახდა ბაკალავრი. სულ მალე მაგისტრის ხარისხიც
მიიღო ტიუბინგენის უნივერსიტეტში და აქვე დაიწყო მას-
წავლებლობა მჭერმეტყველებასა და ისტორიაში. 1518 წლის
ზაფხულში მას უკვე ვიტენბერგში ვხედავთ, უნივერსიტეტში
გადმოდის ერაზმისა და როიხლინის სარეკომენდაციო წერილე-
ბით, მალევე ბერძნული ენის პროფესორი ხდება.

ამ სუსტი აგებულების (ლუთერის თქმით, „ნაზმა") ახალ-
გარზრდამ იმთავითვე მიიპყრო სწავლულების ყურადღება. იგი
სხვა ჰუმანისტების მსგავსად, ღრმად ჩახედული იყო კლასიკურ
ფილოლოგიაში, ფილოსოფიაში, ისტორიაში, პედაგოგიკაში,
ასტროლოგიასა და იურიდიულ მეცნიერებაში. მან ახლებური
დასაბუთება მისცა ჰუმანისტურ საუნივერსიტეტო კურსებს,
დაწერა უაღრესად საინტერესო სახელმძღვანელოები ძველ ენებ-
ზე, გრამატიკაზე, ეთიკასა და ისტორიაზე. მან მოამზადა პრო-
ფესორებისა და მასწავლებლების პლეადა, რომლებმაც თავი
გამოიჩინეს XVI საუკუნის მეორე ნახევარში. მან განავითარა
ჰუმანისტური გიმნაზიის იდეა და მოხაზა სასკოლო განათლების
ის ტიპი, რომელმაც ბურჟუაზიულ პრაქტიკაში თავისი
მნიშვნელობა შეინარჩუნა XIX საუკუნის შუახანებამდეც კი.
აქტიურმა პედაგოგიურმა მოღვაწეობამ მოუტანა მას „Praeceptor
germaniae" („გერმანიის მასწავლებლის") სახელი.

მელანქტონმა ვერც რეფორმაციულ მოძრაობას აუარა გვერ-
დი, 1519 წლიდან იგი უახლოვდება ლუთერს და ხდება მისი
თანამოაზრე, ლუთერის სიკვდილის შემდეგ კი - მისი საქმის
გამგრძელებელი, რომელმაც პირველმა მოიყვანა სისტემაში ლუ-
თერის ევანგელიკური მოძღვრება და არაერთხელ გამოსულა
პოლემიკურ ბრძოლებში როგორც ამ მოძღვრების დამცველი.
საღვთისმეტყველო წიგნებმა, განსაკუთრებით "თეოლოგიის
საერთო გაგებამ" 1530 წელს აუგსბურგის რწმენის აღსარებაში
დიდი როლი შეასრულა და მოუპოვა მას ახალი ეკლესიის
ერთ-ერთი დამფუძნებლის სახელი. ჩანს, აქედან გამოდის გერ-
მანელი ისტორიკოსი ლეო შტერნი, როცა მელანქტონის გადამე-

ტებულ შეფასებას იძლევა, თვლის, მელანქტონი რომ არა, ლუთერი თავისი მოძღვრებისათვის ვერც მტკიცე "დოგმატურ - თეოლოგიური საფუძვლის შექმნას" შეძლებდა და ვერც ბიბლიის ზუსტად თარგმნას. რა თქმა უნდა, მრავალმხრივ განათლებული მელანქტონის დახმარებას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ჰქონდა ლუთერის მოძღვრების სისტემური გადმოცემისათვის, რისთვისაც გამოიყენა "საკუთარი მოხდენილი სტილი, დახვეწილი ლათინური და სისტემატიზებული გონება" (ჩ.ბერდი), მაგრამ, არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ გაკაფული გზის შელამაზება გაკაფვაზე ბევრად ადვილია. ამ შემთხვევაში გამკაფავი და გზის მაჩვენებელი ლუთერი იყო. ეს იკითხება ლუთერის ამ სიტყვებშიც, რომელიც ახალგაზრდა მელანქტონის მისამართით ხუმრობით უთქვამს: — "მე მხოლოდ წინამორბედი ვარ ჩემი პატარა ბერძენისა". თვითონ მელანქტონიც აღიარებდა: მას არასოდეს არ შორდება აზრი, რომ იგი ლუთერზე - "ამ ძლიერ პიროვნებაზე სუსტია" და რომ — „ხშირადაც იძულებულია საკუთარი ნება დაუმორჩილოს მისას". საკუთარ თავზე მაღლა რომ აყენებდა ლუთერს, ეს მაშინაც ჩანს, როცა მელანქტონი ანაბაპტისტების ქადაგებათა სირთულეზე საუბრობს: — „ამაში, - წერს იგი, — არავის არ შეუძლია სწრაფად გაერკვეს, გარდა მარტინიუსისა". მარტინიუსისა სჯეროდა მას, არც მარტინიუსი იყო მის მიმართ გულგრილი, ლუთერს იგი უყვარდა როგორც საკუთარი შვილი.

რეფორმაციის ასევე თვალსაჩინო მოღვაწეა ანდრეას კარლშტადტი (დაახ. 1480-1541). რომლის ნამდვილი გვარია ბოდენშტაინი, კარლშტადტი ეწოდა დაბადების ადგილის ქვემოფრანკონული ქალაქ კარლშტადტის მიხედვით. იგი ვიტენბერგის უნივერსიტეტის პროფესორია 1505 წლიდან. სწორედ აქ ყოფნის დროს, 1512 წელს, გაეცნო იგი ლუთერს. ამ წელს ვიტენბერგის უნივერსიტეტის თეოლოგიის ფაკულტეტის დეკანატმა, რომლის ხელმძღვანელიც კარლშტადტი იყო, ლუთერს მიანიჭა ღვთისმეტყველების დოქტორის ხარისხი. ცოტა მოგვიანებით, 1517 წლიდან უკვე, კარლშტადტი ლუთერს აშკარად მიემხრო; იგი პირველი იყო, ვინც მხარი დაუჭირა მას ინდულგენციის წინააღმდეგ ბრძოლაში. 1520 წელს კი, ლუთერის

გავლენით, მან გამოსცა თხზულებები „პაპის წმინდანობის შესახებ", რითაც საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი ეკლესიასთან, მოითხოვდა საეკლესიო იერარქიის დამხობას. 1521-1522 წლებში კი კარლშტადტი და მისი მომხრეები, როგორც ამას ქვემოთაც ვიტყვით, ლუთერზე ბევრად შორს წავიდნენ; — ვიტენბერგში საეკლესიო გადატრიალება მოახდინეს. 1525 წელს კარლშტადტი პასუხისგებაშიც კი მისცეს და გლეხთა ომის ერთ-ერთ წამომწყებად გამოაცხადეს, მაგრამ ლუთერი გამოექომაგა მას და დასჯისაგან იხსნა. ამით უნდა აიხსნას ის, რომ ლუთერის ქორწინების დღეს სხვებთან ერთად კარლშტადტიც გამოცხადდა, თუმცა დაპატიჟებული არ ყოფილა. მეტიც, ლუთერისაგან მან თავშესაფარიც კი ითხოვა. ლუთერი არ იყო წვრილმანი და შურისმაძიებელი და მან კარლშტადტს თხოვნა შეუსრულა, თუმცა ამ დროისათვის ისინი ერთმანეთს მტრობდნენ. კარლშტადტი 1534 წლიდან ბაზელის უნივერსიტეტში მოღვაწეობს.

რაც შეეხება გაბრიელ ცვილინგს, მის შესახებ ცნობები მეტად მწირია, მხოლოდ ის ვიცით, რომ იგი დაიბადა ჩეხეთის სასაზღვრო ოლქში, სადაც გერმანელები ცხოვრობდნენ. იყო ბერი - ავგუსტინელი, რომელიც ადრიდანვე მოქმედებდა ლუთერის მითითებებითა და რჩევებით. ლუთერის რჩევით მას ბერძნულის შესწავლაც კი დაუწყია. მართალია, ხშირად "მეორე ლუთერადაც" მოიხსენიებდნენ, თუმცა ყოველთვის როდი იდგა მის სიმაღლეზე. 1517 წელს იგი ერფურტში გაუსახლებიათ, რადგან ვიტენბერგის მონასტერში მთელი ხუთი წლის ყოფნის მიუხედავად რიგიანად ვერ გარკვეულიყო, თუ რა უნდა ეკეთებინა ბერს. მოგვიანებით ცვილინგი კვლავ დაუბრუნდა ვიტენბერგს, სადაც მისი გააქტიურება 1521 წლიდან, ქალაქში ლუთერის არყოფნის დროიდან იწყება. მან თავი გამოავლინა როგორც ენამწარე და გესლიანმა აგიტატორმა, რომელიც დაუნდობლად მოეკიდა ეკლესიებსა და ერთმორწმუნეებს.

აი, მოკლედ იმ ტრიუმვირატის შესახებ, რომელთა ხელში აღმოჩნდა მთელი საეკლესიო საქმეების მართვა და გარდაქმნის პროცესი, როცა ლუთერი ვარტბურგში იყო. მელანქტონი,

რომელსაც გულწრფელად სჯეროდა, რომ მიჰყვებოდა თავისი მასწავლებლის მიერ დასახულ გზას, პირველი იყო, რომელიც საეკლესიო გარდაქმნის ლუთერისეული პროგრამის კონკრეტულ რეალიზაციას შეეცადა. მან უნივერსიტეტის სხვა თეოლოგებთან ერთად შეიმუშავა "საერთო სალაროს წესრიგი", რომელიც ვიტენბერგის საქალაქო საბჭომ 1522 წლის 24 იანვარს დაამტკიცა. მელანქტონის პროექტის თანახმად მღვდელთმსახურების ცენტრში ქადაგება იყო დაყენებული, თემი ირჩევდა მქადაგებელს, რომელიც განმარტავდა სახარებას. მართალია, ამ პროექტის მიხედვით მესა არ იკრძალებოდა, მაგრამ არც ის უნდა მომხდარიყო, რომ მას ხელი შეეშალა ქადაგებისათვის. ეკლესიას უნდა ეარსება მრევლისაგან აკრეფილი საწევროების ხარჯზე, რისთვისაც ვიტენბერგში იქმნებოდა სპეციალური "საერთო სალაროს წესრიგი". იგი ახდენდა აკრეფილი თანხის გადანაწილებას, ერთი ნაწილი ხმარდებოდა პასტორების შრომით ანაზღაურებას, მეორე ნაწილი ნაწილდებოდა ქველმოქმედების მიზნით; საეკლესიო შემწეობა გაიცემოდა არა მათხოვრებზე, როგორც ეს ადრე იყო, არამედ მოხუცებზე, ქვრივებზე და ობლებზე. პროექტი განათლების დარგში ღარიბი მშობლებისადმი გვერდში ამოდგომასაც ითვალისწინებდა. სახსრები ეძლეოდათ მათ შვილებს, რათა უზრუნველყოფილი ჰქონოდათ უფასო დაწყებითი სწავლება, ხოლო იმათ, ვინც თავს გამოიჩენდა სწავლისას, წარჩინებულებს ეძლეოდათ სტიპენდია განათლების გასაგრძელებლად. პროექტის თანახმად არც ერთი შრომისუნარიანი ქრისტიანი არ უნდა მდგარიყო ხელგაწვდილი. ასეთ პირს თვითონ უნდა მოეძებნა რაიმე საქმე, ან უნდა დაეტოვებინა ქალაქი. პროექტი კრძალავდა მევახშეობას, ითვალისწინებდა მკაცრ სადამსჯელო ზომებს ლოთობის წინააღმდეგ.

ერთი სიტყვით, „საერთო სალაროს წესრიგი" გულისხმობდა იმ იდეების პრაქტიკულ რეალიზაციას, რომელიც წამოყენებული იყო ლუთერისეულ "ტრილოგიაში". ჩანს, 1521 წლის დეკემბერში, ვარტბურგიდან წამოსულმა ლუთერმა, რამდენიმე დღე რომ დაჰყო ვიტენბერგში, სანქცია მისცა

მელანქტონის პროექტს. ამას ადასტურებს ქალაქ ლეისნიგის თემისადმი რეფორმატორის დამოკიდებულებაც. ამ უკანასკნელთა თხოვნას, ერჩია მათთვის, თუ როგორ გამოეყენებინათ ეკლესიისა და მონასტრებისათვის ჩამორთმეული ქონება, ლუთერმა მიუძღვნა სპეციალური თხზულება „საერთო სალაროს წესრიგი" (Ordnung eines gemeinen), სადაც არათუ მხარს არ უჭერს „საერთო სალაროს წესრიგს", არამედ იძლევა კონკრეტულ ჰუმანისტურ რჩევას, ესა თუ ის ჩამორთმეული ქონება როგორ და ვისზე გაენაწილებინათ. ამ რჩევის თანახმად, ქონების ერთი ნაწილი უნდა მოხმარებოდა მოქმედი მონასტრების მომსახურე პერსონალის შენახვას, მეორე ნაწილი გამიზნული იყო იმ პირთათვის, ვინც ტოვებდა საეკლესიო სამსახურს და სხვა სამუშაოზე გადადიოდა; ქონების მესამე ნაწილის შესახებ ლუთერი ასე წერს: – მესამე სახე ყველაზე კარგია: დარჩენილი ნაწილი თავსდება "საერთო სალაროში" და აქედან გაიცემა ქრისტიანული სიყვარულის გამო ან სესხის სახით ყველა იმ პირზე, ვინც დახმარებას საჭიროებს. შემდეგ ლუთერი კონკრეტულად მიუთითებს, რისთვის ან ვისზე შეიძლებოდა ამ სალაროდან თანხის გაცემა: მღვდელთა დასახმარებლად ან ფულადი ანაზღაურებისათვის, სკოლების ტექნიკური მომსახურებისათვის, დავრდომილი და მოხუცი ადამიანების დასახმარებლად, ობლებისა და ღარიბი ბავშვებისათვის, ღარიბი ადამიანებისათვის, უცხო პირთათვის, ვინც ამ მრევლში ცხოვრებას მოისურვებდა, მრევლის შენობების შესაკეთებლად და ახლების ასაგებად, გაჭირვების ჟამს მარცვლეულის მარაგის შესაქმნელად; დასასრულს ლუთერს შესაძლებლად მიაჩნდა, რომ გამოთავისუფლებული მონასტრების ერთი ნაწილისგან შექმნილიყო მოზარდი გოგონებისა და ვაჟებისათვის საჭირო სკოლები, მეორე ნაწილი გამოყენებულიყო საცხოვრებელ სახლებად. ასეთია მოკლედ ის პროგრამა, რჩევა, რომელსაც აძლევდა ლუთერი ქალაქ ლეისნიგის თემს. იგი თავისებური გამოხმაურება იყო მელანქტონის ინიციატივისა, რომელიც მან გაატარა ვიტენბერგში. ამ ინიციატივას გამოეხმაურნენ გერმანიის სხვა ქალაქებიც - სტრასბურგი, ნიურნბერგი, კონსტანცი, ულმი,

ნორდლინგენი, ესლინგენი, მაგდებურგი, შტრალზუნდი და ბრემენი. ეს იყო დიდი გამარჯვება, რომელიც უპირველესად ბიურგენელ - მწარმოებელთა ინტერესებს შეესაბამებოდა. დიახ, მელანქტონი მათი ინტერესების აქტიური მქადაგებელი იყო, თუმცა წარმატების მოსაპოვებლად მას, მსგავსად თავისი მასწავლებლისა, ძალდატანებისათვის არასოდეს არ მიუმართავს.

სამაგიეროდ, ძალმომრეობისაკენ მოწოდების შემცველი იყო ის ქადაგებანი, რომლითაც გამოდიოდნენ ცვილინგი და კარლშტადტი ვიტენბერგში. ცვილინგმა ჯერ კიდევ 1521 წლის ოქტომბერში მრავალრიცხოვანი მსმენელების წინაშე მკაცრად გაილაშქრა კათოლიკური მესას წინააღმდეგ, იქ განაცხადა, რომ მესას არათუ რაიმე სიკეთე მოაქვს, არამედ იგი დამლუპველია ზეციური გამართლებისათვის, რომ ღვთის წყეულას იმსახურებს ყველა ადამიანი, ვინც მას მისდევს. ანალოგიურად მოეკიდა იგი ბერულ - ასკეტურ მოქმედებას, ის იქადაგა, რომ ადამიანებს მისგან კი არ ეძლევა "ზეციური მადლი", მას მხოლოდ ცოდვები მოაქვს და ღუპავს სულებს. ამიტომაც, მისი აზრით, სულაც არ არის საკმარისი, რომ მღვდლებს უბრალოდ დაატოვებინონ მონასტრები, ეს ცოტაა მათთვის, ისინი უფრო იმას იმსახურებენ, რომ განიდევნონ მონასტრებიდან და გაიკრიჭონ.

ასეთი მრისხანე ქადაგებანი, რომელიც მოგვაგონებდა საეონარროლას გამოსვლებს, ასევე დამახასიათებელი იყო კარლშტადტისათვის, თუმცა თავდაპირველად იგი სიტყვიერი მოწოდებებით კმაყოფილდებოდა. "7 თეზისში", რომელიც 1521 წლის 20 ივნისს წამოაყენა, მან ცელიბატის წინააღმდეგ გაილაშქრა. 19 ივლისს გალობის გაუქმება მოითხოვა ღვთისმსახურების დროს; დაგმო ხატებისა და წმინდანების თაყვანისცემა, წამოაყენა წინადადება, რომ საერო პირთათვის ზიარება ყოფილიყო ორი სახით - პურითა და ღვინით (მანამდე კათოლიკურ ეკლესიაში ზიარება ორი სახით წარმოებდა მხოლოდ სასულიერო პირებისათვის, რაც შეეხება საერო პირებს, მათთვის ზიარება მარტოოდენ ერთი სახით პურით აღევლინებოდა), რაც სამღვდელოების პრივილეგირებული მდგომარეობის უარყოფას ნიშნავდა. მან ასევე დაგმო კათოლიკური მესასთვის

დამახასიათებელი მდიდრული წეს-ჩვეულებანი. მეტიც, 1521 წლის ოქტომბერ-დეკემბერსა და 1522 წლის იანვარში კარლშტადტი და მისი ამხანაგები კიდევ უფრო გაქტიურდნენ, ხელი მიჰყვეს საეკლესიო დოგმების აკრძალვას, ეკლესიებიდან გაიტანეს საკურთხეველი, ხატები, მირონი, სამკაულები და სხვა საეკლესიო ნივთები, დამღუპველად გამოაცხადეს მარხვა და აღსარებანი, ცელიბატი, საეკლესიო მხატვრობებით გატაცება და ა.შ. ამგვარი ქადაგებებისა და მოქმედების შედეგად სულ მალე ბერებმა მიატოვეს მონასტრები, ბევრგან გაუქმდა წირვა-ლოცვა, ზიარება წარმოებდა ორივე სახით და ა.შ. ერთი სიტყვით, საეკლესიო ცხოვრებაში ეს იყო ნამდვილი გადატრიალება ჭეშმარიტად ანტიკათოლიკური რევოლუცია, რომელიც ნაკარნახევი იყო ბიურგერობის რადიკალური ნაწილის ინტერესებით, მათ იდეალს ხომ იაფი, გამარტივებული ეკლესია წარმოადგენდა.

ცვილინგისა და კარლშტადტის ქადაგება-მოქმედებას არ შეიძლება გავლენა არ მოეხდინა სტუდენტებსა და ახალგაზრდებზე, აკი თავიანთი მასწავლებლების ხელმძღვანელობით მათ იწყეს შეჭრა და დარბევა ეკლესიებისა. მაგალითად, სასტიკად დაარბიეს წმ. მარიამის ეკლესია და იქ აკრძალეს სამსხვერპლო მესას აღსრულება. სტუდენტები ეკლესიებიდან ერეკებოდნენ მღვდლებსა და ბერებს, ხოლო იმ ეკლესიებში, სადაც ვერ შედიოდნენ, გარედან დაუმტვრეველს არაფერს არ ტოვებდნენ.

შფოთი და სრული გაურკვევლობა, რომელიც სუფევდა ვიტენბერგში, ერთი ხანობა განიმუხტა კიდეც და ეს მას შემდეგ მოხდა, რაც ქალაქის მაგისტრატმა იწყო მელანქტონისეული "საერთო სალაროს წესრიგის" გატარება. ამის წინააღმდეგი არც კარლშტადტი იყო, მაგრამ ვიტენბერგს სიმშვიდე არ ეწერა, 1521 წლის დეკემბრის ბოლოს აქ ჩამოდის სამი ცვიკაუელი (ცვიკაუ ქალაქია, რომელიც მდებარეობდა ჰერცოგ საქსონელის სამფლობელოში) მემაუდე - ნიკოლას შტორხი, ტომას დრეკსელი და მარკუს შტიუბნერი; ესენი იყვნენ ახალი სექტის ანა-

ბაპტისტების[1] წარმომადგენლები, რომლებსაც "ცვიკაუს წინასწარმეტყველთა" სახელით მოიხსენიებდნენ და რომლებიც მიუნცერის გავლენას განიცდიდენ. როცა მიუნცერის აქტიურობამ ცვიკაუში საშიშ ზღვარს მიაღწია, ადგილობრივმა ხელისუფლებამ ის ქალაქიდან გააძევა. ქალაქიდან გაიქცნენ შტორხი და მისი ამხანაგებიც, რომლებიც ვიტენბერგში ჩავიდნენ და აქაც დაძაბეს სიტუაცია.

მარკუს შტიუბნერმა, სულ ცოტა ხნის წინ ლუთერის მსმენელი რომ იყო, ვიტენბერგის სტუდენტებისა და მასწავლებლების წინაშე იმის მტკიცება დაიწყო, რომ სულაც არ არის საჭირო "წიგნიერება". – სწავლას, – ამბობდა იგი, – მხოლოდ ის მოაქვს, რომ უბრალო და გაუნათლებელ ადამიანებს უკარგავს (სხვისი დახმარების გარეშე) ბიბლიის სწორად გაგების უნარს. ამიტომაც უნდა დავხუროთ სკოლები და უნივერსიტეტები, უნდა მივსდიოთ არა ძველ ენებს, სქოლასტიკას ან საეკლესიო ისტორიას, არამედ მიწათმოქმედებასა და ხელოსნობას.

---

[1]ანაბაპტისტები წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან anabaptizo და "ხელახლა-მონათლულებს" ნიშნავს. ისინი ჩვილობაში მონათვლას უკარგისად, ძალის უქონელად თვლიდნენ. მონათვლის საიდუმლოს, მათი აზრით, ძალას ანიჭებს მხოლოდ რწმენა, რაც ბავშვს არ შეიძლება აქონდეს. მხოლოდ მოზრდილებს შეუძლიათ იმოქმედონ შეგნებულად, რწმენის ბრძანებით და ამიტომაც ხელახლა უნდა მოინათლონ ისინი (აქედან წარმოსდგება სექტის სახელწოდებაც).

ანაბაპტისტები უარყოფდნენ საეკლესიო იერარქიას, ხატებსა და კულტის სხვა გარეგან გამოხატულებას, საეკლესიო საიდუმლოებას, საღვთო წერილის (ბიბლიის) ავტორიტეტზე მაღლა აყენებდნენ ე.წ. "შინაგან გამოცხადებას" (ხილვას), რომელსაც მორწმუნე (ზოგჯერ ექსტაზის მდგომარეობაში) ღებულობს უშუალოდ სულისაგან, და ასეთ "შთაგონებულ" ადამიანს შეუძლია ქადაგება და წინასწარმეტყველება. ისინი ოცნებობდნენ ქრისტეს "მეორედ მოსვლაზე" და "ღვთის ათასწლოვანი სუფევის", ე.ი. სამართლიანი სოციალური წყობილების დამყარებაზე. არ ცნობდნენ კერძო საკუთრებას და გამოდიოდნენ ქონების ერთობის მაუწყებლად. ფაქტობრივად, ანაბაპტისტები არსებულ პოლიტიკურ წყობილებას უპირისპირდებოდნენ, მასში ხედავდნენ ყოველგვარი ცოდვის წყაროს და ადამიანებისაგან მოითხოვდნენ, რომ უარი ეთქვათ სამხედრო სამსახურზე, სახელმწიფო თანამდებობების შესრულებისაგან, იარაღის ტარებისა და ფიცის დადებისაგან.

სხვათა შორის, შტიუბნერთან და, საერთოდ, ანაბაპტისტებთან სწრაფად მონახა საერთო ენა თვით ისეთმა მწიგნობარმაც კი, როგორიც იყო კარლშტადტი. ფიქრობდა რა, რომ ლუთერი ვარტბურგშია, მას მეტის გაკეთება სურდა ვიტენბერგში, აკი ამბობდა კიდეც: – „ლუთერი ლაპარაკობს, მაგრამ არ აკეთებს საქმეს, მხოლოდ ტკეპნის ერთ ადგილს". მან ეკლესიებისა და იმ საიდუმლოებათა (მონათვლისა და ზიარების) განადგურება მოითხოვა, რომელთაც ლუთერი ძალაში ტოვებდა, იგი ასევე უარყოფითად მოეკიდა უნივერსიტეტებსაც. ამბობდა, რომ ღმერთისათვის სულაც არ არის საჭირო პროფესორები და საუნივერსიტეტო წოდებები, სტუდენტებმა უარი უნდა თქვან თვით ლათინური და ბერძნული ენების შესწავლაზეც. მეტიც, კარლშტადტი უფრო შორს წავიდა, იწყო სიარული მოქალაქეთა სახლებში და უბრალო ადამიანებისაგან (ხელოსნებისა და გლეხებისაგან) მოითხოვა დახმარებოდნენ მას ბიბლიის ძნელადგასაგები ადგილების განმარტებაში, სტუდენტებს კი ურჩევდა ხელი მოეკიდათ ხელოსნობის რომელიმე დარგისათვის ან მიწათმოქმედებისათვის. იგი იშველიებდა არგუმენტს ბიბლიიდან: – "ოფლითა პირისა შენისათა სჭამდე პურსა შენსა" (დაბადება, 3,19). გარკვეულად კარლშტადტი იმას იმეორებდა, რასაც ადრე ლუთერი გამოთქვამდა. ლუთერს არაერთხელ აქვს ნათქვამი, რომ სახარების არსი სავსებით მისაწვდომია უბრალო ადამიანებისათვის ("მეწისქვილის გოგოსაც, თუ მას გააჩნია რწმენა, შეუძლია სახარების გაგება"). მაგრამ ამას ლუთერი მაშინ ამბობდა, როცა გმობდა პაპების პრეტენზიას, რომ მხოლოდ მათ ძალუძთ ბიბლიის სწორად გაგება და განმარტება.

შტიუბნერმა და კარლშტადტმა კი, ჩაეჭიდნენ რა ლუთერის ცალკეულ გამონათქვამებს, რომლებიც ბიბლიის გაგებაში უბრალო ადამიანების მისაწვდომობაზე მიუთითებდა (თითქოს მას სწავლებაზე სხვა არაფერი ჰქონდა ნათქვამი), იგი განავრცეს მთელ სწავლებაზე, რასაც სავალალო შედეგი მოჰყვა: მშობლებმა მასობრივად იწყეს თავიანთი შვილების სკოლებიდან და უნივერსიტეტებიდან გამოყვანა. სტუდენტები დაიფანტნენ. ამას

ადასტურებს ვიტენბერგის უნივერსიტეტის მაგალითიც: თუ აქ 1521 წელს 311 სტუდენტი ირიცხებოდა, 1522 წელს მათი რიცხვი შემცირდა 120-მდე, ხოლო 1523 წელს 72-მდე. ლუთერი წუხილსა და შეშფოთებას ვერ მალავდა, როცა ამ საკითხს ეხებოდა. "ყველგან, მთელ გერმანულ მიწაზე, - წერდა იგი, ჩვენ ვხედავთ ერთსა და იმავეს უნივერსიტეტები დაცარიელდა, ასევეა დაწყებით სკოლებშიც, არავის სურს ასწავლოს თავიანთ შვილებს". მარტო უნივერსიტეტების დაცარიელება როდი აწუხებდა ლუთერსა და მის თანამოაზრეებს, ისინი ხედავდნენ, რომ თვით იმ სტუდენტებშიც, რომლებიც ჯერ კიდევ რჩებოდნენ უნივერსიტეტებში, არ იყო სწავლისადმი ინტერესი, მათში უზნეობას დაესადგურებინა. "სკოლა დაცემის პირასაა, სტუდენტების უზნეობა კი ისეთ ზღვარს აღწევს, რომელსაც ვერ ნახავთ თვით ჯარისკაცების ყაზარმებში. აუდიტორიებსა და ბაღებში, სადაც კი გაიხედავ, ყველგან გარყვნილება სუფევს", - წერდა ლუთერანული რწმენის მიმდევარი ჰაინრიხ ებერვეინი. იგი გულისტკივილით იმასაც ამბობდა, რომ სტუდენტები ახლა "ლათინურის დაზეპირებას ძარცვას ამჯობინებენ, ხოლო ფილოსოფიაში ვარჯიშს სასიყვარულო თავგადასავლებს; უხეშობა, სწორხაზოვნება და თავზეხელაღებულობა კი სტუდენტებში მოდად იქცა".

სტუდენტების ამგვარი საქციელით შეშინებული და უკმაყოფილო არაერთი პროფესორი, როგორც ჰუმანისტი ეობან ჰესი მოგვითხრობს, ტოვებდა უნივერსიტეტს, ისინი ვერც იმ (ბერ-განდგომილთა) საქციელს ეგუებოდნენ, ვინც სახარების ქადაგების მომიზეზებით ძირს უთხრიდა წმინდა მეცნიერებათა რეპუტაციას, დევნიდა ლიტერატურასა და სხვა სასწავლო დისციპლინას, ვინც ყოველგვარ სისულელეს "უმაღლეს სიბრძნედ" მოიხსენიებდა, ვინც სტუდენტებს უსასრულოდ არწმუნებდა, რომ მათი პროფესორები უვარგისები არიან, ცუდად ასწავლიან. მათ გულისტკივილს განსაკუთრებით ის იწვევდა, რომ უნივერსიტეტებში ბევრი აღმოჩნდა სტუდენტი, ვინც ბრმად, ყოველგვარი განსჯის გარეშე, მიჰყვებოდა "მედროვე და საშიშ

მქადაგებლებს", აკეთებდა ყველაფერ იმას, რასაც მათგან მოითხოვდნენ, ეწაფებოდა იმ "სასიკვდილო შხამს", რომელიც უბედურებას უმზადებდა არა მარტო სტუდენტებს, არამედ მთელ ქვეყანას.

ერთი სიტყვით, ცხადი იყო, რომ ვიტენბერგსა და, რა თქმა უნდა, მთელს გერმანიაში სწავლა-განათლებას ნიჰილისტურად ეკიდებოდნენ, ხდებოდა ფასეულობათა თავისებური გადაფასება, რომელმაც დააბნია თვით ფილიპ მელანქტონიც. იგი ვერ გარკვეულიყო, თუ რა საფრთხე მოელოდა ქვეყანას კარლშტადტისა და ანაბაპტისტების მხრიდან. "არავის შეუძლია ამაში სწრაფად გაერკვეს, გარდა მარტინიუსისა", წერდა მელანქტონი კურფიურსტ ფრიდრიხისადმი წერილში, რომელიც 1522 წლის დასაწყისში გააგზავნა.

მართლაც, მეტის დაყოვნება არ შეიძლებოდა. ვიტენბერგელ ნოვატორებს ლუთერმა ჯერ წერილი გაუგზავნა (1521 წლის დეკემბერში), სადაც წერდა: — "აი, თქვენ იწყეთ სწრაფი მოქმედება და მუშტებსაც იყენებთ. ეს სრულებით არ მომწონს. საქმე იქამდე მივიდა, რომ მე არ ვიქნები თქვენს მხარეზე, თქვენ იგი უჩემოდ დაიწყეთ და მას უჩემოდ დაამთავრეთ", მაგრამ ამ შეგონებამ ვერ გაჭრა და, ამიტომ, მოსალოდნელი ხიფათის მიუხედავად, ლუთერმა დატოვა თავშესაფარი. მფარველი კურფიურსტის ფრიდრიხ საქსონელის თხოვნაზე ვიტენბერგში არ გამგზავრებულიყო, ლუთერმა უპასუხა წერილით: „კარგად ვუწყი იმ ხიფათის შესახებ, რაც მომელის, მაგრამ მე მაინც წავალ ვიტენბერგში. მე არ მჭირდება მახვილით დაცვა, ჩემი დამხმარეა ღმერთი".

რაინდის ტანსაცმელში გამოწყობილი ლუთერი 1522 წლის 8 მარტს ვიტენბერგში ჩავიდა (ეს მისი მეორე ჩასვლა იყო) და მეორე დღეს, 9 მარტს, ავიდა რა კათედრაზე, დაიწყო ქადაგება იმ "ჭინკების" (კარლშტადტის, ანაბაპტისტებისა და მათ მიმდევართა) წინააღმდეგ, რომლებმაც "ვიტენბერგის უწესრიგობანი" გამოიწვიეს. განსაკუთრებული რისხვა მან დაატეხა კარლშტადტს, — უგუნურს ბევრი არ მოეთხოვება, მაგრამ დიდ ცოდ-

ვას სჩადის ის მოაზროვნე და განათლებული ადამიანი, რომელიც უგუნურის ნებას გაპყვება. მაგალითად მე შემიძლია შევიწყნარო ისეთი "ნათელმხილველები", როგორებიც არიან შტორხი და შტიუბნერი, მაგრამ ვერ შევურიგდები დოქტორ კარლშტადტს, რომელიც მიპყვება მათ ნებას და ყველა უსარგებლო ნივთს მავნედ აცხადებს, ყველა არასრულყოფილს დაღუპვის ღირსად, ყველა არაკეთილგანწყობილს - მტრად, — თქვა ლუთერმა და განაგრძო: — რა საერთო უნდა ჰქონდეს მას იმ "ხატმებრძოლებთან", რომელთაც ვერ შეუგნიათ: რატომ ლოცულობენ მზეზე, მთვარეზე და ვარსკვლავებზე; ამის გამო ჩვენ რა, უნდა გავცოფდეთ და ჩამოვაგდოთ ზეციდან ვარსკვლავები, მზე და მთვარე?ღვინოსა და ქალებს ბევრი ადამიანი მიპყავს უბედურებამდე და ტანჯვამდე; ამ მიზეზით ჩვენ უნდა გადაველვაროთ ღვინო და დავხოცოთ ქალები? ოქრომ და ვერცხლმა, ფულმა და ქონებამ ადამიანთა შორის ბევრი ბოროტება დათესა; ამის საფუძველზე ჩვენ უნდა გადავყაროთ ისინი? რა თქმა უნდა, არა!"

ამას რომ ამბობდა, ლუთერს არ ავიწყდებოდა ის, რომ ცოტა ხნის წინ თვითონაც მოითხოვდა კერპებისა და "მკაცრი სამონასტრო ცხოვრების" მსხვრევას, ამბობდა, რომ ბერების დიდი ნაწილი (განასხვავებდა რა "კარგ" და "ცუდ" ბერებს) "ნასუქი ღორები არიან", რომლებიც მხოლოდ იმით იწონებენ თავს, რომ ახურავთ "წითელი და ყავისფერი ბერეტები" და "ეწევიან მკაცრ სამონასტრო ცხოვრებას": ლოცულობენ, მარხულობენ, ეწევიან თვითგვემას, დაიარებიან თავგადაპარსულნი, დუმან და ატარებენ უხეშ ტანსაცმელს, წვებიან მაგარ საწოლზე, უარს ამბობენ ქორწინებაზე და ა.შ., რაც "სასიკვდილო ცოდვები" უფროა, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანების ცხოვრება. მათ არაფერი აქვთ საერთო რწმენასთან. "ამდაგვარი რამ არც უქადაგია ღმერთს", — ამბობდა ლუთერი, თუმცა იძულებული იყო იქვე მიეცა შემდეგი განმარტება: თუ ადრე მეც ვამბობდი კერპების მსხვრევის ან ცელიბატისა და მესას გაუქმების საჭიროებაზე, ამის ქვეშ ვგულისხმობდი არა გარეგნულ ("ფიზიკურ")

მსხვრევას; შინაგანად, გულში უნდა დაგვემსხვრია ისინი. მაშასადამე, ლუთერის აზრით, კარლშტადტს, ცვილინგს და მათ მომხრეებს იმის გაგება მართებთ, რომ ქორწინებაში შესვლა და უარის თქმა მასზე, ხატების განადგურება, ბერად და მონაზვნად აღკვეცა, ბერების მიერ მონასტრების დატოვება, ხორცის გამოყენება პარასკევს ან არ გამოყენება - ყველაფერი ეს დამოკიდებულია თავისუფალ ნებაზე და არავისგან არ უნდა აიკრძალოს. მათ უნდა გაიგონ ისიც, რომ "თავისუფლება გამორიცხავს ძალდატანებას. თვით რწმენაც, რომელიც თავისუფალი უნდა იყოს, არ უნდა გავხადოთ სავალდებულო". მე იმის წინააღმდეგი როდი ვარ, განაგრძობს ლუთერი, რომ აუქმებთ მესასა და ცელიბატს, მაგრამ ის კი ვერ გამიგია, თუ რატომ ამტვრევთ ხატებს, რას ერჩით მღვდლებს, რატომ დევნით მათ ან რატომ შლით სასწავლო პროცესს სკოლებსა და უნივერსიტეტებში? თქვენ იმის შეგნება გმართებთ, რომ მოთმინებით მოეკიდოთ სხვათა გრძნობებს და ჩვეულებს, იყოთ შემწყნარებელნი.

ლუთერის ამგვარმა ქადაგებებმა და საქმიანობამ ის შედეგი გამოიღო, რომ ცვიკაუს ანაბაპტისტები — შტორხი, დრეკსელი და შტიუბნერი სულ მალე გაეცალნენ ვიტენბერგს და აქ ხატმებრძოლური განწყობილებაც ასე თუ ისე ჩაცხრა. რაც შეეხება ცვილინგსა და კარლშტადტს, უნდა ითქვას, რომ პირველი დაექვემდებარა ლუთერის ავტორიტეტს, მეორესთან კი მან იმას მიაღწია, რომ მაგისტრატის მეშვეობით აკრძალა მისი ის თხზულებანი, რომლებიც შტიუბნერის იდეების გავლენით იყო დაწერილი. ავტორიტეტდაკარგული კარლშტადტი მალე ვიტენბერგიდან გაიქცა და სოფელს შეაფარა თავი.

ვიტენბერგში კვლავ აღსდგა ლუთერის ავტორიტეტი, ადგილობრივი თეოლოგები ახლა ყოველ მის სიტყვას ეკიდებოდნენ, როგორც ინსტრუქციას და უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ მას. მიუხედავად ამისა, ვერ ვიტყვით, რომ ლუთერი ერთი საზომით მიუდგა კარლშტადტის მიერ შემოტანილ ყველა სიახლეს: ზოგიერთი რამ უცვლელად დატოვა, ზოგიც უკუაგდო ღვთისმსახურებიდან, უპირველესად მან აკრძალა ყოველგვარი ფუფუ-

ნება და ღვთისმსახურების ცენტრში ქადაგება დააყენა, რითაც თემსაც მიეცა საშუალება, თავად მიეღო მონაწილეობა ამ პროცესში. ერთ-ერთი საეკლესიო რიტუალი, რომელიც მან შემოიღო, იყო სასულიერო გალობა და ამ მიზნით ფართოდ გამოიყენა ძველი ლათინური ჰიმნები, რომლებიც თარგმნა გერმანულად. გარდა ამისა, ლუთერი თავადვე ქმნიდა საეკლესიო ჰიმნებს, თხზავდა ტექსტებს და წერდა მუსიკას. რა თქმა უნდა, ეს სიახლეები შენაძენი იყო რეფორმაციული მოძრაობისათვის, თუმცა ლუთერი გრძნობდა, რომ შეუძლებელი იყო სრული წარმატების მოპოვება რელიგიურ გარდაქმნებში, თუ არ იქნებოდა სიმშვიდე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ სფეროში.

აქაც მას თავისი სიტყვა უნდა ეთქვა.

თავი V

მარტინ ლუთერის პოლიტიკური თვალთახედვანი

ლუთერს მწყობრი პოლიტიკური პროგრამა არ მოუცია, იგი, უპირველეს ყოვლისა, თეოლოგი იყო და პოლიტიკურ საკითხებზე ჩერდებოდა იმდენად, რამდენადაც ამას ვითარება უკარნახებდა. სწორედ XVI საუკუნის 20-იანი წლების დასაწყისში შეიქმნა ის ვითარება, რომელმაც რეფორმატორს უკარნახა დაეფიქსირებინა თავისი შეხედულებანი აჯანყებაზე, საერო ცხოვრებასა და საერო დაწესებულებებზე, საერო ხელისუფლების უფლება-მოვალეობაზე, სამართლიანობასა და სამართალზე, ომისა და მშვიდობის საკითხებზე, ერთი სიტყვით, ყველაფერზე, რაც დაკავშირებული იყო ლუთერის თანამედროვე გერმანიის პოლიტიკურ ცხოვრებასთან.

ამთავითვე ვიტყვით იმასაც, რომ ლუთერის იდეური განვითარება აბსოლუტური თანმიმდევრობით არ ხასიათდება, შესამჩნევია "მერყეობა და წინააღმდეგობრიობა", რაც, საერთოდ, დამახასიათებელია ყველა რეფორმატორისათვის, მაგრამ მასთან ვხვდებით არაერთ ისეთ იდეასაც, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა, ამდენად ამ საკითხებზეც მსჯელობა გვმართებს.

§1. რეფორმაცია ამბოხების გარეშე

ვიტენბერგში დაბრუნებული ლუთერის რვადღიან ქადაგებას, როგორც ვთქვით, უკვალოდ არ ჩაუვლია, ერთი ხანობა ქალაქში სიმშვიდემ დაისადგურა, მაგრამ რეფორმატორი ხვდებოდა, რომ ეს იყო მოჩვენებითი სიმშვიდე, მაუწყებელი იმისა, რომ დღედღეზე მოსალოდნელი იყო დიდი რყევები, აკი უბრალო ადამიანები მოითხოვდნენ არა მარტო კათოლიკური ეკლესიის რეფორმაციას, არამედ არსებული წეს-წყობილების შეცვლასაც.

თვით რაინდებიც კი ლუთერისაგან იმას მოითხოვდნენ, რომ რეფორმაციას მიეღო აშკარა ბრძოლის ხასიათი. ყველაფერი ეს „უბედურებას“ უმზადებდა მთელ გერმანიას, - ამბობდა ლუთერი. ასეთ ვითარებაში მას სხვა გზა არ დარჩენოდა, - თუ არა ეზრუნა რეფორმაციისა და ქვეყნის გადარჩენისათვის. იგი, უპირველესად, იმას შეეცადა, რომ თეორიულად დაესაბუთებინა ქვემოდან დაწყებული აჯანყების მიუღებლობა. მან სულ მოკლე ხანში საზოგადოებას წარმოუდგინა საკმაოდ კარგად არგუმენტირებული თხზულებანი - "მოძღვრული დარიგება ყველა ქრისტიანს, რათა მოერიდონ აჯანყებასა და შფოთს" (1522 წლის მარტი), "საერო ხელისუფლების შესახებ, თუ რამდენად უნდა დავემორჩილოთ მას" (1523 წლის მარტი) და გლეხთა ომის დროს დაწერილი მიმართვა - მოწოდებანი. ამ თხზულებებში, მართალია, ლუთერი კვლავინდებურად იცავს აზრს, რომ საეკლესიო რეფორმაცია და პაპობის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლა ბოლომდეა მისაყვანი. მეტიც, მისი თქმით, "პაპობა და ყველა მისი დაწესებულება სიცრუეა და სიცრუითაა აღმოცენებული" და იმას მოიმკიან, რასაც იმსახურებენ, სახელდობრ თავს დაატყდებათ "ყველა უბედურება, თვით სტიქიური ანგარიშსწორებაც" კი, რაც ბუნებრივი მოვლენა იქნებოდა. უბრალო ადამიანები, რომლებიც აღშფოთებული და განაწყენებული არიან უთვალავი ქონებრივი ზარალისა და სულიერი ვნების გამო, ამიერიდან არ მოითმენენ მსგავს რამეს და ხელში აიღებენ "ხელკეტსა და კომბალს", რათა ფეხქვეშ გათელონ სასულიერო წოდების ყველა წარმომადგენელი - პაპები, ეპისკოპოსები და ბერები; მათ "გაანადგურებენ ან განდევნიან", ისინი "მტვერში ამოიგანგლებიან". მაგრამ ყველაფერი ეს გაფრთხილება უფრო იყო, ვიდრე იმის სურვილი, რომ სასულიერო პირებისათვის ბოლო მოეღოთ სახალხო აჯანყების გზით. მისთვის მთავარია არა ის, რასაც ისინი იმსახურებენ, ან კიდევ: რაც მათ აჯანყების შემთხვევაში მოელით, არამედ ის, თუ რამდენად მართებულია ქვემოდან დაწყებული აჯანყება. რა თქმა უნდა, ლუთერი არ გამორიცხავს უბრალო ადამიანების

უფლებამოსილებას, რომ მონაწილეობა მიიღონ პაპისა და მისი მსახურების წინაღმდეგ ბრძოლაში, მაგრამ ეს მას სურს არა თვითნებური ან ბუნტარული მოქმედებით, მისთვის დასაშვებია ისეთი "აჯანყება", რომელიც იწყება "ზემოდან", საერო ხელისუფალთა ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, რადგან, მისი აზრით, "ის, რაც ხდება კანონიერი ხელისუფლების ხელმძღვანელობით, არ შეიძლება ჩაითვალოს აჯანყებად". იგივე აზრის შემცველია ეს სიტყვებიც: "ვიდრე მმართველები არ მოკიდებენ ხელს საქმეს, მანამდე აღვირი უნდა ამოსდო შენს ხელებს, შენს ბაგეს და შენს გულს და არაფერი არ უნდა წამოიწყო. თუ ხელისუფალთ არ სურთ ეს ბრძოლა, მაშინ შენც არ უნდა გინდოდეს. თუ არ იშლი შენსას, შენ მტერზე უარესი ხარ". ამგვარად, ლუთერი იმის მომხრე იყო, რომ გერმანელ ერისკაცებს გამოეჩინათ გონიერება და შეექმნათ ერთიანი ორგანიზებული ძალა, რომელიც ბოლოს მოუღებდა გერმანიაში პაპებისა და მისი მსახურების თვითნებობას, თანაც, როგორც ვთქვით, ეს უნდა მომხდარიყო საერო ხელისუფალთა ინიციატივითა და ხელმძღვანელობით. ასეთია "ზემოდან" მომდინარე "ხორციელი" (ფიზიკური) აჯანყების ლუთერისეული გამართლება. მართალია, ლუთერი "სულიერ" აჯანყებაზეც ლაპარაკობს, უშვებს მის შესაძლებლობას, მაგრამ ეს უფრო მშვიდობიანი პროგრესის გზაა. უპირისპირდებოდა რა ანაბაპრისტებსა და კარლშტადტს, რომლებიც ძალისმიერი მეთოდით ებძოდნენ კათოლიკური ეკლესიის წეს-ჩვეულებებს, ლუთერი აქცენტს აკეთებდა სიტყვიერ ბრძოლაზე; დარწმუნებული იყო, რომ თუ საღვთო წერილზე დაყრდნობით გამოვამჟღავნებდით და ავუხსნიდით ადამიანებს იმ სიცრუეს, რომელზეც დაფუძნებული იყო "პაპობა და ყველა მისი დაწესებულება", მაშინ იგი თავისთავად დაეცემოდა.

ლუთერი, რა თქმა უნდა, კარგად იცნობდა მის თანამედროვე გერმანიაში არსებულ კლასობრივ ჩაგვრას, ლაპარაკობდა კიდეც "უბრალო ადამიანების" აუტანელ მდგომარეობაზე, იმაზე, რომ მისი ქვეყნის "ბატონები და მთავრები" მოქმედებენ როგორც

ტირანები, უმოწყალოდ ყვლეფენ ქვეშევრდომებს, "ტყავს აძრობენ მათ", რომ ასეთი საქციელის გამო ისინი იმსახურებდნენ ჩამოგდებას.

მოსალოდნელი იყო, რომ ამ სიტყვების ავტორი, ლუთერი, შორსმიმავალ დასკვნებს გააკეთებდა, მხარს დაუჭერდა აჯანყებას, როგორც სოციალური ჩაგვრის თავიდან აცილების საშუალებას. ეს მოსალოდნელი იყო იმიტომაც, რომ ლუთერს დანაშაულად მიაჩნდა ქვეშევრდომების მორჩილება ბატონებისადმი "მთლიანად და ყველაფერში", მაგრამ ასეთი დასკვნისაგან იგი შორსაა.

მართალია, 1521 წლის 1 ნოემბერს იურისტ ნიკოლო გრებელისადმი წერილში ლუთერი წერდა: "მე დაბადებული ვარ ჩემი გერმანელებისათვის და მსურს ასევე ვემსახურო მათ". 1521 წლის დეკემბერში რეფორმატორი აცხადებდა: "ათი სიცოცხლე რომ მქონდეს, მე მოვისურვებდი ყველა ეს სიცოცხლე მთელი გულით შემეწირა ღარიბი თემისათვის". ჭეშმარიტად, ლუთერი თავისი ხალხისა და ქვეყნის პატრიოტი იყო, ასეთად დარჩა იგი სიცოცხლის ბოლომდე, მაგრამ, ამის მიუხედავად, იგი ვერასოდეს ვერ შეგუებია ხალხის სტიქიურ გამოსვლებს, "ქვემოდან დაწყებულ აჯანყებას". მან ჯერ კიდევ 1510 წელს გამოავლინა უნდობლობა „Herr Omnes" მიმართ, როცა გაილაშქრა ერფურტის „მეამბოხეთა" წინააღმდეგ. თუ რითი ხსნიდა ამას, ქვემოთ ვისაუბრებთ, ჯერ ვნახოთ, თუ რა შინაარსს დებდა იგი მოწოდებაში - ქვეშევრდომები არ დამორჩილებოდნენ თავიანთ ბატონებს „მთლიანად და ყველაფერში". ეს ნიშნავდა რწმენისა და სინდისის თავისუფლების ხელშეუხებლობას, იმის უფლებას, რომ ქვეშევრდომებს სულიერი წინააღმდეგობა გაეწიათ ხელისუფალთათვის, თუ ეს უკანასკნელნი ჩაერეოდნენ მათი რწმენის საქმეში. მაშინაც კი, როცა ლუთერი ტირანის დასჯის გარდაუვალობაზე მიუთითებდა, მას მხედველობაში ჰქონდა ღვთიური სასჯელი, რამეთუ "ღმერთია მსჯავრმდებელი დედამიწაზე". მაშასადამე, ლუთერი მხოლოდ პასიური წინააღმდეგობის უფლებას ქადაგებდა. ამაზე მიუთითებს მისი ეს სიტყვებიც: წარსულში, „წარმართობის ხანაში", კლავდნენ

და თავიდან იშორებდნენ „უსარგებლო და ავ ხელისუფლებას", რისთვისაც საზოგადოებრივ ქებასაც იმსახურებდნენ, მაგრამ ის, რასაც აკეთებდნენ წარმართნი, რომელთაც არაფერი იცოდნენ საერო ხელისუფლების "ღვთაებრივი" წარმოშობის შესახებ, არ უნდა გაიმეორონ ქრისტიანებმა, რომლებმაც ყველაფერი ეს კარგად იციან. ქრისტიანებმა, ლუთერის ღრმა რწმენით, არ უნდა მიმართონ აჯანყებას იმიტომაც, რომ იგი მიუღებელია არა მარტო ღმერთისათვის, არამედ გონებისთვისაც. "აჯანყება,

წერს იგი, გონებიდან არ მომდინარეობს და ყველა მისი სიმძიმე თავს ატყდება ჩვეულებრივ უფრო უდანაშაულოებს, ვიდრე დამნასავეებს". ანალოგიური შინაარსის შემცველია ეს სიტყვებიც: აჯანყება "რაღაც ავაზაკური მკვლელობა როდი გახლავთ, არამედ წააგავს უზარმაზარ ხანძარს, რომელიც აგიზგიზდება და გააჩანაგებს მთელ ქვეყანას... აჯანყება, ვითარცა ყველაზე დიდი უბედურება, ანგრევს სახელმწიფოს, ბოლოს უღებს ხელისუფლებას და თვით ღვთის სიტყვასაც", იგი მკვლელობებითა და სისხლის ღვრით მოიცავს ქვეყანას, ამრავლებს ქვრივებსა და ობლებს და ყველაფერს "ანადგურებს თავის გზაზე". გლეხთა ომის დროს, მიმართავდა რა აჯანყებულ გლეხებს, ლუთერი დაბეჯითებით ირწმუნებოდა: თქვენი მოთხოვნათა უმეტესობა სამართლიანია, უმოწყალოდ გექცევიან ბატონები და ისინი დამხობას იმსახურებენ, მაგრამ ეს არ უნდა გააკეთოთ იმიტომ, რომ, ჯერ ერთი, "არასოდეს არცერთი აჯანყება კეთილად არ დამთავრებულა; თვით ღმერთი გმობს მას, რამეთუ ამბობს: "ვინც მახვილს არმართავს, მახვილითვე დაიღუპება" და, მეორეც, გამარჯვების შემთხვევაშიც კი "გამარჯვებული" აჯანყებულნი არათუ "სასურველ გაუმჯობესებას" მოიპოვებენ ან შეინარჩუნებენ ხელისუფლებას, არამედ სულ მალე ერთმანეთს დაერევიან და მუსრს გაავლებენ. "ასე ყოფილა და ასე იქნება",

ასკვნის ლუთერი. ამრიგად, ლუთერთან ძალადობას, ე.ი. "ქვემოდან" დაწყებულ აჯანყებას, არავითარი გამართლება არ გააჩნია, მან იცის, რომ ძალადობის გზით ხელისუფლების მოპოვებას ისევ ძალადობა ცვლის, ტირანიას ტირანია მოსდევს,

საზოგადოებრივი ცხოვრების მოშლა, უზნეობისა და უკანონობის დაკანონება, ხალხის დაბეჩავება და უიმედობა მოაქვს.

აჯანყებისადმი ლუთერის უარყოფით დამოკიდებულებას დიდად განაპირობებდა მის სახელთან დაკავშირებული რეფორმაციული მოძრაობის ბედიც. მართალია, ის პირდაპირ არსად არ ამბობს, რომ აჯანყებამ შეიძლება დამღუპველი ზიანი მოუტანოს რეფორმაციას, მაგრამ იმას კი მიგვანიშნებს, რომ როცა ქვეყანას ყავს ისეთი ძლიერი მტერი, როგორიც რომის პაპია, ურთიერთდაპირისპირება კი არ გვმართებს. 1522 წლის ივნისში გამოქვეყნებულ ნაშრომში - "პაპისა და ეპისკოპოსების წოდების წინაარმდეგ, რომლებიც არასწორად იწოდებიან სასულიეროდ", ლუთერი მთელ გერმანელ ხალხს პირდაპირ ეუბნება: "ჩვენი მთავარი მტერია რომი და ის ეპისკოპოსები და აბატები, რომლებიც გერმანიაში ასრულებენ პაპის აგენტების როლს", წარმოადგენენ მის "კუდებს" და მათთან დასაპირისპირებლად ერთიანობა გვმართებს. ამრიგად, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რეფორმაციულ მოძრაობას ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მნიშვნელობაც ჰქონდა, მაშინ ცხადი ხდება, რომ ლუთერს სურდა ეროვნული ძალების არა დაქუცმაცება და ურთიერთშორის ბრძოლა, არამედ მათი კონსოლიდაცია, რათა ერთიანი ძალით შესაძლებელი გამხდარიყო წარმატების მოპოვება პაპებთან და მის აგენტებთან ბრძოლაში. ცხადია, ლუთერს რეფორმაციის მომხრე მთავრების დაკარგვაც არ სურდა.

ამრიგად, ლუთერის დამოკიდებულება სოციალური პროტესტის რადიკალურ ფორმებთან ცალსახაა: "მე ყოველთვის ვიქნები იმათი წინააღმდეგი, ვინც წამოიწყებს აჯანყებას, როგორი უმწიკვლოც არ უნდა იყოს თვით საქმე, რამეთუ აჯანყება არ შეიძლება მოხდეს უდანაშაულო ადამიანების სისხლისა და ზიანის გარეშე", - ასე წერდა ლუთერი 1522 წელს, ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა იგი 1524-1525 წლების გლეხთა ომის დროსაც, როცა თავდაპირველი შემრიგებლური პოზიციის შემდეგ, სასტიკად გაილაშქრა აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ,

მოითხოვა მათი ამოხოცვა, როგორც "ცოფიანი ძაღლებისა".

არ ვიქნებოდით მართალნი, თუ ვიტყოდით, რომ ლუთერი იყო ერთადერთი, რომელიც ილაშქრებდა რევოლუციური გარდაქმნების წინააღმდეგ. ცნობილია, რომ ლუთერამდე და მის შემდეგაც მრავალ გამოჩენილ პიროვნებას გაულაშქრია აჯანყებისა და რევოლუციური გარდაქმნების წინააღმდეგ, მათ შორის სახელმოხვეჭილ ჰუმანისტებსაც. მაგალითად, ისეთი დიდ ჰუმანისტი, როგორიც იყო ლუთერის თანამედროვე ერაზმ როტერდამელი, სიძულვილით იყო განწყობილი აჯანყების მიმართ. იგი ულრიხ ფონ ჰეტენისადმი გაგზავნილ წერილში წერდა: "აჯანყებას მე ყოველთვის ზიზღით ვეკიდებოდი". "ბრბოს ექსცესებში" იგი ხედავდა ანარქიის წყაროს, რომელთანაც დაკავშირებულია "ძალადობა და სისხლიანი ანგარიშსწორება". აღსანიშნავია, რომ ერაზმისათვის რატომღაც შეუმჩნეველი დარჩა ლუთერის ჭეშმარიტი დამოკიდებულება აჯანყებისადმი. ლუთერისეულ "მხოლოდ რწმენით" გამართლების თეორიაში მან დაინახა "თავაწყვეტილი თავისუფლება", მოწოდება ამბოხებისაკენ. ანალოგიურ აზრს გამოთქვამდა "უტოპიის" ავტორი ტომას მორიც. ეს უკანასკნელი, როგორც ქვემოთაც ვიტყვით, თვლიდა, რომ რწმენით გამართლების ლუთერისეული თეორია საყოველთაო ქაოსის მომასწავებელია და განადგურებით ემუქრება არა მარტო კათოლიკურ ეკლესიას, არამედ ყოველგვარ პოლიტიკურ წესრიგს, მთელ ქრისტიანულ კულტურას, მეტიც, მორი, როგორც თვითონ ამბობდა, მზად იყო უმალ ცეცხლისათვის მიეცა როგორც მეგობრის ერაზმის წიგნები, ასევე თავისიც (მხედველობაში ჰქონდა "უტოპია"), ვიდრე დაეშვა ის, რომ ამ წიგნების კითხვას ხალხი შეცდომაში შეეყვანა და ავის მომასწავებელი ამბოხება გამოეწვია. უბრალო ადამიანებს მორი მორჩილებისაკენ მოუწოდებდა, თვლიდა, რომ მათ არა აქვთ უფლება აძაგონ ხელისუფლება, რამეთუ იგი დაწესებულია ღმერთის მიერ. მორმა გაამართლა აჯანყებული გლეხების დასჯა გერმანიაში. თუ რაოდენ გადაჭარბებულ შეფასებას აძლევენ ერაზმი და მორი ლუთერისეულ "მხოლოდ რწმენით

გამართლებას" ან რარიგ ვერ სწვდებიან ისინი ლუთერის პოლიტიკური მოძღვრების არსს, ეს სხვა საქმეა, მთავარი ისაა, რომ სამივე ამ მოაზროვნეს ბევრი რამ საერთო აქვთ აჯანყებასთან დამოკიდებულების საკითხში. მთავარი მაინც ისაა, რომ სამივე მათგანი გამოხატავს ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ბურჟუაზიის პოზიციას, რომელსაც, ჯერ კიდევ არ გააჩნია რა ზუსტად ორიენტირებული პოლიტიკური ამოცანები და იმყოფება რა მონარქის კალთებს ქვეშ ამოფარებული, აშინებს რევოლუციური გარდაქმნები.

აღსანიშნავია, რომ ლუთერი არა მარტო უბრალო ადამიანების გამოსვლებს გმობდა, არამედ წარჩინებულთა აჯანყებებსაც, რომელნიც მიმართული იქნებოდნენ ზემდგომ ხელისუფალთა წინაღმდეგ. "გლეხთა აჯანყება რომ არა, წერდა იგი ამასთან დაკავშირებით, მოხდებოდა აზნაურთა აჯანყება მთავრების წინააღმდეგ, და შესაძლებელია, მეფის წინააღმდეგაც კი; ამგვარად გერმანია ჩავარდებოდა უხერხულ მდგომარეობაში".

გვებადება კითხვა: გლეხებისა და რაინდების აჯანყებებს რომ გმობს, ეს ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ლუთერს ასევე მიუღებლად მიაჩნია მთავართა აჯანყება ტირანი იმპერატორის წინააღმდეგ? თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ლუთერი ტირან ხელისუფალთა გამოსწორების შესაძლებლობას უშვებს, მაშინ მოსალოდნელია, რომ მას მთავართა აჯანყებაც გამოერიცხა. მართლაც, აჯანყების დაუშვებლობის პრინციპს დიდხანს იცავდა ლუთერი. ვორმსის ედიქტის გამოცემის (1521წ.) შემდეგაც კი, როცა, როგორც ვთქვით, იმპერატორისა და მის მომხრეთა მხრივ ლუთერის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრა, მას კატეგორიულად არსად დაუსვამს საკითხი - იმპერატორისადმი მთავრების წინააღმდეგობის გაწევისა. პირიქით, იგი სულ იმის ცდაში იყო, რომ მთავრებისათვის მორჩილება ჩაეგონებინა. მაგალითად, 1522 წლის თებერვალ-მარტში, როცა საქსონიის კურფიურსტმა ფრიდრიხ ბრძენმა აუკრძალა ლუთერს ვარტბურგიდან ვიტენბერგში დაბრუნება იმ მოტივით, რომ შეიძლებოდა

იგი მოეკითხა იმპერატორს, ამის პასუხად 1522 წლის 5 მარტის წერილში რეფორმატორი ფრიდრიხ ბრძენს ურჩევდა, ყოფილიყო იმპერატორის გამგონე, რომ არ გაეწია წინააღმდეგობა მისადმი იმ შემთხვევაშიც კი, თუ ეს უკანასკნელი შეიპყრობდა ან მოკლავდა ლუთერს. რეფორმატორი ამტკიცებდა, რომ არავის, გარდა ღმერთისა, არ შეუძლია დაამხოს ხელისუფლება ან წინააღმდეგობა გაუწიოს მას. ვინც დაარღვევს ამ წესს, მისი აზრით, გამოდის ღვთის ნების წინააღმდეგ და მეამბოხეა. იმპერატორისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობას ქადაგებდა ლუთერი 1523 წელს დაწერილ თხზულებაშიც "საერო ხელისუფლების შესახებ", როცა წერდა: "მთავარმა არ უნდა აწარმოოს ომი თავისი სიუზერენის წინააღმდეგ, ეს იქნება მეფე, იმპერატორი თუ სხვა ვინმე. დაე, მან (ე.ი. იმპერატორმა - გ.კ.) აიღოს ის, რაც მოესურვება. უფროსებს წინააღმდეგობა უნდა გაუწიო არა ძალით, არამედ მხოლოდ თავისი სიმართლის შეგნებით, და თუ ამას იგი მიაქცევს ყურადღებას ხომ კარგი, თუ არა - მაშინ შენ უდანაშაულო ხარ და ითმენ ცილისწამებას ღვთის გულისათვის". ასეთივე აზრს გამოთქვამს ლუთერი თავის გვიანდელ თხზულებებში: "მეომრებსაც ხომ შეუძლიათ, აგრეთვე, იყვნენ ნეტარნი" (1526წ.) და "თურქების წინააღმდეგ ომის შესახებ" (1529წ.). ამ თხზულებებში გარკვევითაა მითითებული, რომ დაბლამდგომი ხელისუფალი ზემდგომი ხელისუფლებისადმი "დაქვემდებარებულ" პირს წარმოადგენს და მისი მორჩილება მართებს. ლუთერის ამ თხზულებებში დაგმობილია მთავრების თვითნებობა, დასმულია საკითხი, რომ სიკვდილით დაესაჯათ არა მარტო აჯანყებული გლეხი, არამედ აჯანყებული წარჩინებულიც. ამასთან დაკავშირებით ლუთერი წერდა: "ყველაფერი, რასაც მე ვამბობ ქვეშევრდომებზე, ეხება ორივე მხარეს: გლეხებს, ბიურგერებს და წარჩინებულებს - ბატონებს, გრაფებს და მთავრებს; იმიტომ, რომ მათაც (ე.ი. წარჩინებულებსაც - გ.კ.) ჰყავთ ზემდგომი ხელისუფალნი და მხოლოდ ისე, როგორც თავს აჭრიან აჯანყებულ გლეხებს, ასევე თავი უნდა მოაჭრან აჯანყებულ წარჩინებულს გრაფს, მთავარს, როგორც ერთს,

ისე მეორესაც, მაშინ არასოდეს არ იქნება დაშვებული უსამართლობა". მაგრამ იმპერატორისადმი მისი ასეთი დამოკიდებულება რამდენადმე შეიცვალა 1530 წლიდან. საქმე ისაა, რომ კარლ V უკომპრომისო პოზიციამ, რომელიც დაიკავა მან რეფორმაციისა და პროტესტანტი მთავრების მიმართ ამ წელს, ლუთერს იმის შიში ჩაუნერგა, რომ პროტესტანტი მთავრების განადგურება მისი საქმის მარცხიც იქნებოდა და ამიტომაც განაცხადა: "იმპერატორს, როგორც ხელმწიფეს, არა აქვს საფუძველი, ებრძოლოს გერმანელ მთავრებს. ამ შემთვევაში ის იცავს პაპს. ჩვენმა მთავრებმაც სამართლიანად გადაწყვიტეს, რომ ის იმპერატორი კი არაა, არამედ პაპის მსახური და ჯარისკაცი. გერმანიის იმპერატორი შეუზღუდველი ხელმწიფე როდია თვითმპყრობელური უფლებებით; მას არ შეუძლია გადააყენოს კურფიურსტები და შეცვალოს იმპერიის მმართველობის ფორმა და სიდიადე". მაშასადამე, ლუთერის აზრით, იმპერატორი, რომელსაც შეულახავს ეროვნული ინტერესები, უცხო ძალები გაუხდია თავის დასაყრდენად და ამ ძალების ინტერესების გამტარებელიცაა თავის ქვეყანაში, ტირანია და მის წინააღმდეგ მთავრებს შეუძლიათ ბრძოლა, რათა დაიცვან "ქალები და ბავშვები, მსახურები და ქვეშევრდომები. ეს მათი მოვალეობაა". ამგვარად, ლუთერი, რომელსაც ადრე დაუშვებლად მიაჩნდა ზემდგომი ხელისუფალის წინააღმდეგ გამოსვლა, XVI საუკუნის 30-იან წლებში იძულებულია აღიაროს "ტირანი იმპერატორისადმი" მთავრების წინააღმდეგობის გაწევის უფლება, თუმცა აქაც იგი ბოლომდე თანმიმდევრული როდია. ქვეყნის ერთიანობის სურველი მას არც შემდეგში განელებია. გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, 1545 წელს, ლუთერი კვლავ ესარჩლება იმპერატორის ხელისუფლებას, ურჩევს კარლ V, რომ მან, ეპისკოპოსების გარეშე, რომაულ ბატონობას ჩამოაცილოს ძველი მეფეების სამემკვიდრეო. მეტიც, თავის თხზულებაში „რომში პაპობის შესახებ“ ლუთერი კვლავ მიუთითებს იმპერატორის უზენაესობაზე. "როცა იმპერატორი აძლევს ლენს წყალობის გამო, წერს ლუთერი, შეუძლია

იგი წაართვას კიდეც მეკლობელს დანაშაულისათვის. მაგალითად, იმპერატორები: ფრიდრიხი, ლოთარი და ოტოები[1] ხშირად ართმევდნენ მთავრებს მათთვის ადრე ნაბოძებ მიწებს და ხელახლა უბრუნებდნენ, თუ მათში გულწრფელ მონანიებას დაინახავდნენ".

ამგვარად, ლუთერი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამოდიოდა, როცა იმპერატორისადმი წინააღმდეგობის გაუწევლობისა და მორჩილების აუცილებლობას ქადაგებდა. ასეთი ქადაგება, ობიექტურად, ხელს უწყობდა დაქუცმაცებული გერმანიის გაერთიანებისათვის ბრძოლას.

§2. ლუთერისეული „ორი სამეფოს" არსი და საერო ხელისუფალთა უფლება-მოვალეობანი

აჯანყებისადმი ლუთერის დამოკიდებულებას რომ ვეცნობოდით, იმაშიც დავრწმუნდით, რომ მას არსებულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ურთიერთობაში რაიმე არსებითი ცვლილების შეტანის მოთხოვნა არ წამოუყენებია თავისი მოღვაწეობის მეორე პერიოდის დასაწყისში (1522-1523წწ.), თუმცა მისი ცალკეული შეხედულებანი, რომელსაც "ორი სამეფოს" და საერო ხელისუფლების უფლება-მოვალეობის შესახებ აყალიბებს, მნიშვნელოვანწილად გაჯერებულია არა მარტო რელიგიური, არამედ რაციონალისტური არგუმენტებითაც და ამდენად საგულისხმოა. ეს ის დროა, როცა ლუთერი "საყოველთაო მღვდლობისა" და "ერთიანი ქრისტიანული სხეულის" იდეაზე ხელის აღების გზას დაადგა. ეს შემთხვევით არ მომხდარა. საქმე ის არის, რომ ვორმსის ედიქტმა (1521წ.), რომელმაც ლუთერი "კანონგარეშედ" გამოაცხადა, საფუძველი დაუდო რეფორმატორის დევნას ფეოდალურ-კათოლიკური რეაქციის და იმპერატორ კარლ V-ის მხრიდან; ირღვევა

[1] როგორც ჩანს, ლუთერს მხედველობაში ჰყავდა გერმანელი ერის რომის საღმთო იმპერიის იმპერატორები: ოტი I დიდი (936-973), ოტო II (973-983), ოტო III (983-1002), ლოთარ III (1125-1137), ფრიდრიხ I ბარბაროსა (1152-1190).

რეფორმაციის ერთიანი ბლოკი, რეფორმატორისაგან დამოუკიდებელი მოქმედება იწყეს ყოფილმა თანამოაზრეებმა და მათ შორის კარლშტადტმა; ხდება რაინდთა აჯანყებაც ჰუტენისა და ზიკინგენის მეთაურობით (1522-1523წწ.). ასეთ ვითარებაში, ყოველივე ზემოაღნიშნულის გავლენით, ლუთერი იწყებს ლაპარაკს ზნეობრივ უთანასწორობაზე, იმაზე, რომ ადამიანებს შორის (არათუ სასულიერო პირებში, არამედ თვით საერო ხელისუფალთა შორისაც) უფრო მეტია ბოროტი, ვიდრე კეთილი, რომ მონათვლის მიუხედავად, ათასიდან ერთს თუ იპოვი ჭეშმარიტ ქრისტიანს", რომ ქრისტიანი ის როდია, ვინც დაიბადა ან მოინათლა საქრისტიანოში, არამედ ის, ვინც ცხოვრობს ქრისტიანულად. ამგვარმა მსჯელობამ ლუთერი მიიყვანა ახალ მოძღვრებამდე - "ორი სამეფოს" აუცილებლობის აღიარებამდე, რომელშიც სულ სხვადასხვაგვარადაა დასმული საერო და სასულიერო სფეროების ურთიერთმიმართების საკითხი.

ამ მოძღვრების თანახმად, რომელსაც იგი აყალიბებს ტრაქტატში "საერო ხელისუფლების შესახებ" თუ სხვა ქადაგებანმარტებებში, ღმერთი ქმნის "ღვთის სამეფოს" და "ამქვეყნიურ სამეფოს". რა თქმა უნდა, ამგვარი დაყოფა ახალი არ ყოფილა; იგი ნეტარი ავგუსტინედან (354-430წწ.) იღებს სათავეს, რაც შემდეგში კათოლიციზმის იდეოლოგებმაც გადაიღეს. მაგრამ, როგორც ზემოთ ვთქვით, თუ მათ ადამიანთა მოდგმის ცოდვილიანობიდან ის დასკვნა გამოჰყავდათ, რომ ადამიანთა მთელი საზოგადოება, თვით სახელმწიფო, უნდა ემორჩილებოდეს ეკლესიას, როგორც ღვთის სამეფოს ნაწილს, ლუთერი ამის საპირისპიროდ (თუმცა ადამიანთა მოდგმის ცოდვილიანობას არც ის უგულებელყოფს) ორივე სამეფოს საკრალური და ამქვეყნიური, სასულიერო და საერო სფეროების - თავისთავადობას ქადაგებს, ერთზე მეორის გამგებლობას კატეგორიულად გამორიცხავს, თუმცა მიუთითებს, რომ ისინი ურთიერთისათვის საჭირონი არიან. საერო ხელისუფლება, განმარტავს ლუთერი, ღმერთმა არა მარტო მიწიერი, წარმავალი ცხოვრების სასიკეთოდ დააარსა, არამედ იმიტომაც, რომ მშვიდობა მოუტანოს ეკლესიას,

რომელსაც "სხვა დანიშნულება არა აქვს, თუ არა ემსახუროს მომავალ ცხოვრებას". აქ ლუთერი კატეგორიულად უგულებელყოფს კათოლიკური ეკლესიის ამბიციას - ყოფილიყო საერო ხელისუფალი, ასევე დაუშვებლად მიაჩნია ის, რომ საერო ხელისუფალი შეიჭრას სასულიერო ხელისუფალის კომპეტენციაში.

"ღვთის სამეფოს" ქვეშ ლუთერი გულისხმობს "ქრისტესა და სული წმინდას წყალობით" გაერთიანებულ მართლმორწმუნე ქრისტიანებს, მათ შინაგან "მეს", რწმენას, სინდისს, რომელსაც "არც კანონები სჭირდება და არც მახვილი". ესაა უხილავი სამეფო, რომლის ბუნებას, არსებას, განსაზღვრავს არა კათოლიკური სისტემის გარეგნული მოჩვენებითი ღვთისმოსაობა, არა რომის პაპი და მისი დადგენილებანი, არამედ შინაგანი რწმენა და სახარების ანუ "ღვთაებრივი სამართლის" განუხრელი აღსრულება, რომელიც მქადაგებლის ხელით ხდება. იგი ხელს უწყობს ხსნის მარადიული ნეტარების მიღწევას იმით, რომ სახარებას განავრცობს. ისე კი, ამ სამეფოს მეუფე და გამგებელი მხოლოდ იესო ქრისტეა.

რაც შეეხება "ამქვეყნიურ სამეფოს", მის ქვეშ ლუთერი გულისხმობს ადამიანთა ურთიერთობის მატერიალურ სფეროს, კანონებითა და მითითებებით რომ რეგულირდება. ამ სფეროში გაერთიანებულია სამეურნეო, საოჯახო და ა.შ. კავშირები. მთავარი მაინც, ლუთერის აზრით, პოლიტიკური, სახელმწიფოებრივი (მმართველობა და სასამართლო) კავშირებია, ისინი წარმოადგენენ სამართლებრივი უშიშროების და მშვიდობის გარანტიას, რაც ასე საჭიროა მარადიული ნეტარების მოსაპოვებლად. აქ თითოეული "მთავარი, გამგებელი, მრჩეველი, მოხელე, მღვდელი, სწავლული, მასწავლებელი" კეთილსინდისიერად ემსახურება თავის საქმეს. ფაქტიურად ეს არის უკვე არსებული და თვით ღმერთის მიერ დაწესებული ურთიერთსასარგებლო სამსახურის სისტემა, ისეთი ურთიერთობა, რომელიც ექვემდებარება საზოგადოებრივი მიზანშეწონილობის მოთხოვნებს, ანუ "ბუნებრივ სამართლებრივ" ნორმებს. აქ საზოგადოების

ყოველ წევრს, ყოველ წოდებას (ისევე როგორც ადამიანის სხეულის ნაწილებს თავს, გულს, ხელებს და ა.შ.) აქვს თავისი საკუთარი ფუნქცია და დანიშნულება ("საქმე და თანამდებობა"), ერთი ემსახურება მეორეს და ურთიერთსასარგებლონი არიან.

ურთიერთსასარგებლო სამსახურის სისტემიდან ლუთერი განსაკუთრებით ქვეყნის მართვის საქმეს გამოჰყოფს, დაბეჯითებით აცხადებს, რომ მართვა უაღრესად მძიმე და საპასუხისმგებლო შრომაა, რომელსაც დიდი ფიქრი და საზრუნავი ახლავს. "მთავრის კვერნის ქუდის ქვეშ, - წერს იგი ერთგან, - დამალულია იმდენი ფიქრი და საზრუნავი, რამდენიც თმაა ამ ქუდის ქვეშ". რა თქმა უნდა, ლუთერი არ გამორიცხავს, რომ მმართველს გააჩნდეს სიმდიდრე, დიდება და ძლიერება, მაგრამ ამას ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ქვეყნის მართვისათვის გადამწყვეტია ის, თუ რაოდენ დიდია მასში"ბუნებრივი გონება და ბუნებრივი სამართალი", ე.ი. სიბრძნე. ამ სათნოებით შემკულ მმართველს, "თუნდაც ის იყოს ღარიბი და უძლური", ლუთერი ღმერთის "რჩეულად" მოიხსენიებს, თვლის, რომ მას მეტი სარგებლობა მოაქვს ქვეყნისა და ხალხისათვის.

სამწუხაროდ, ფიქრობს ლუთერი, ეშმაკს არ სძინავს, იქ, სადაც ღმერთი გვიბოძებს "გამოჩენილ ადამიანებს", ეშმაკი მოგვივლენს "აჭალბუჭულებს", უზნეო და ქვეყნის მართვისათვის გამოუსადეგარ, მაგრამ თანამდებობის მოყვარულ ადამიანებს, რომლებიც, შეეჭიდებიან რა სამეფოებისა და ქვეშევრდომების მართვის საქმეს, ეშმაკს ემსგავსებიან და "დიდი გასაჭირი და ყოველგვარი უბედურება" მოაქვს ქვეყნისათვის.

ასევე დამღუპველია ქვეყნისათვის, როცა მართვის სურვილი უჩნდებათ ადამინებს, რომელთაც მხოლოდ ძლიერი მუშტი აქვთ და მახვილი უჭირავთ. ამ შემთხვევაში ლუთერს მხედველობაში ჰყავს აჯანყებული გლეხები, რომლებიც გლეხთა ომის დროს მმართველობას იჩემებდნენ. რა თქმა უნდა, ლუთერი არ გამორიცხავს, რომ ღმერთს გლეხებს შორისაც ჰყავს თავისი "რჩეული", ნიჭიერი ადამიანები (თვითონაც ხომ გლეხთა წრიდან

იყო), რომელთაც ასევე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ ქვეყნის მართვა-გამგეობაში (თუნდაც კანცლერების, იურისტების, მდივნების და სხვა სახით), მაგრამ ლუთერს ვერ წარმოუდგენია, ქვეყანა მართოს ბრბომ, ვისაც მართვისათვის საჭირო "ბუნებრივი გონება და სამართალი" არ გააჩნია. მაშასადამე, ლუთერის აზრით, საზოგადოების თითოეული წევრი უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რაც მათ ღმერთმა განუმზადა, რა მოვალეობაც დააკისრა. წინააღმდეგ შემთხვევაში "დიდი არევ-დარევა და უწესრიგობა იქნებოდა ქვეყანაში".

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს არ ნიშნავს, რომ ლუთერი უპირატესობას მხოლოდ ინტელექტუალურ საქმიანობას ანიჭებს, როგორც ეს ტომას მორთანაა. ლუთერს არაერთგან აქვს ნათქვამი, რომ საპატიოა ყოველგვარი შრომა, მათ შორის ფიზიკურიც, რამეთუ ყოველი "საქმე და თანამდებობა" ღვთისგანაა დაწესებული. თანაც აქტიურ შრომით მოღვაწეობას მოითხოვს ლუთერი საზოგადოების ყოველი წევრისაგან, ყოველი თანამდებობის პირისაგან. იგი გმობს უსაქმურობასა და სიზარმაცეს, შრომასა და სიბეჯითეში ხედავს საზოგადოებრივი წინსვლის აუცილებელ პირობას, ღირსების საქმეს და ზნეობრივი სიწმინდის გარანტიას, რომელიც ადამიანს თანასწორს ხდის. ის, ვინც არ მუშაობს ბეჯითად, მდაბიოა ღმრთის თვალში, თუნდაც იგი იყოს მთავარი, ანდა იურისტი, - ასკვნიდა ლუთერი. ამგვარად, ლუთერი ერთ-ერთი პირველთაგანია (რა თქმა უნდა, ჰუმანისტებთან ერთად), რომელმაც შუა საუკუნეების ევროპაში ყოველგვარი შრომა საპატიოდ და ღირსების საქმედ გამოაცხადა. აქ გამოვლინდა მისი ჰუმანურ დემოკრატიული მიდგომა შრომისადმი.

რა თქმა უნდა, ლუთერი ერთიანად არ გამორიცხავს სოციალურ უთანასწორობას, აკი თანამდებობრივი, სამსახურეობრივი განსხვავება, რომელსაც უშვებს იგი, ერთის მეორისადმი მორჩილებასაც გულისხმობს, თუმცა, ლუთერის თქმით, ღმერთი ამას უშვებს არა ადამიანთა ცოდვების გამო, როგორც ამას კათოლიკეთა იდეოლოგები ქადაგებდნენ, არამედ იმისათვის, რომ

საზოგადოება იყოს სიცოცხლისუნარიანი. მორჩილება თავისებურად ურთიერთსამსახურსა და ურთიერთსარგებლობას ნიშნავს; როცა ქვეშევრდომები ემორჩილებიან ხელისუფლებას, ან კიდევ ადამიანები ემსახურებიან ერთმანეთს ნებაყოფლობით და უანგაროდ, ამას ისინი აკეთებენ იმის ღრმა რწმენით, რომ ამას ითხოვს ახლობლისადმი ზრუნვა და სიყვარული. მორჩილებას, რომელზეც ლაპარაკია აქ, ხშირად, ლუთერის აზრით, საფუძვლად უდევს ოდითგანვე მომდინარე მემკვიდრეობითი განსხვავებაც, მაგრამ ამან გული არ უნდა გაუტეხოს ადამიანებს, ვინაიდან ამ განსხვავების შემოქმედია არა ღმერთი, არამედ თვითონ ადამიანი. ადამიანია "ღმერთის ქმნილება", რომელიც მემკვიდრეობით ტიტულებზე მაღლა დგას. "ის, რომ ერთი არის მთავარი და დიდი ბატონი, - წერს ლუთერი, - ეს, როგორც ამას წმ. პეტრე ამბობს, ადამიანური ქმნილებაა. ღმერთს რომ ჯერ ადამიანი არ შეექმნა, მაშინ არც მთავარი იქნებოდა... ამიტომაც ყოველმა ჩვენთაგანმა პატივით უნდა წარმოთქვას: მე ვარ ადამიანი, იგი უფრო მაღალი ტიტულია, ვიდრე მთავარი. რატომ? იმიტომ, რომ მთავრები შექმნეს ადამიანებმა და არა ღმერთებმა. ადამიანის შექმნა კი მხოლოდ ერთადერთ ღმერთს შეეძლო". ამდენად, ლუთერის აზრით, იმპერატორის, მთავრების თუ სხვა ხელისუფალთა მოღვაწეობის შეფასებისას პატივი უნდა მივაგოთ არა მათ გვარიშვილობასა და ტიტულს, არამედ მათ მიერ დაკავებულ თანამდებობას, რადგან იგი დაწესებულია ღმერთის მიერ, რათა დაიცვას წესრიგი და ემსახუროს ხალხს. მათ ხომ, პირველ ყოვლისა, ის სარგებლობა მოაქვთ, რომ თავიდან გვაცილებენ ქაოსსა და ანარქიას, აკავებენ ბოროტ "არასრულყოფილ" ადამინებს, იმათ, ვინც, მართალია, მონათლული არიან, მაგრამ თავიანთი ქცევით შორს დგანან ქრისტიანული მორალის ნორმებისაგან. ასე რომ არ იყოს, დასძენს ლუთერი, ვერავინ შეინახავდა ცოლსა და შვილს, შეუძლებელი იქნებოდა მშვიდობიანი შრომა და ღვთისმსახურება. მაშასადამე, ლუთერის აზრით, საერო ხელისუფლებაზე დაკისრებული უპირველესი ამოცანაა საზოგადოებრივი სიმშვიდისა და წესრიგის

უზრუნველყოფა, რაც ასე აუცილებელია როგორც საერო ცხოვრებისათვის, ისე ღმრთის სამეფოსათვის.

საზოგადოებრივი სიმშვიდისა და წესრიგის უზრუნველყოფას ლუთერი შეუძლებლად თვლის არა მარტო იმ ადამიანთა მორჩილებით, რომელთა ქცევა შორს დგას ქრისტიანული მორალის ნორმებისაგან, არამედ "ჭეშმარიტი ქრისტიანების" მორჩილებითაც. მართალია, ეს ის ადამიანებია, რომელთაც რწმენა აღამაღლებს და სულიერად სრულყოფილს ხდის და, ამდენად, ისინი არ საჭიროებენ არც მთავრებს, არც მეფეებს, არც ბატონებს, არც მახვილს და არც კანონს", მაგრამ, ამის მიუხედავად, ლუთერის აზრით, რამდენადაც ისინი საზოგადოების უმცირესობას შეადგენენ (არც არის იმედი, რომ საზოგადოების ყველა წევრი ჭეშმარიტი ქრისტიანი გახდეს და მსოფლიოში დამყარდეს "ერთიანი ქრისტიანული მმართველობა"), რამეთუ მათ სულიერ მხარესთან ერთად ხორციელი, მატერიალური მხარეც გააჩნიათ, მათ მართებთ სამსახური და მორჩილება იმათ წინაშე, ვისაც ხელთა აქვს საერო მახვილი და სამართალი. "ჭეშმარიტი ქრისტიანი, განმარტავს ლუთერი, მიწაზე ცხოვრობს და ემსახურება არა მარტო თავის თავს, არამედ ახლობელსაც; ამიტომ იგი, ქრისტიანული მოძღვრების სულისკვეთებით, აკეთებს იმას, რასაც თვითონ არ საჭიროებს, მაგრამ საჭირო და სასარგებლოა მახლობლისათვის. ვინაიდან მახვილი დიდად საჭიროა მთელი ქვეყნისათვის, რათა შენარჩუნებულ იქნეს მშვიდობა, დაისაჯოს დამნაშავე, წინ აღუდგეს ბოროტებას, ამიტომ იგი (ჭეშმარიტი ქრისტიანი გ.კ.) თავისი ნებით ემორჩილება ხელისუფლებას, იძლევა შთამომავლობას, პატივს სცემს უფროსობას, მსახურობს, ეხმარება და აკეთებს ყველაფერ იმას, რისი გაკეთებაც შეუძლია, რასაც კი მოითხოვს ხელისუფლება". ამრიგად, მართალია, ლუთერის ცალკეულ გამონათქვამებში, როგორც ზემოთაც ვთქვით, ვხვდებით ჰუმანურ - დემოკრატიულ პრინციპებს, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მისეული ეს პოზიცია არსებულ ხელისუფალთა წისქვილზე ასხამდა წყალს, აქვეითებდა მათდამი ქვეშევრდომების წინააღმდეგობის სურვილს.

ამასთანავე, რაც ფრიად მნიშვნელოვანია, ლუთერი მორწმუნეთა სულიერი ცხოვრების, სინდისისა და რწმენის, ყოველგვარი ხელყოფის წინააღმდეგ გამოდიოდა. "ნათლობით, - წერდა იგი, - ჩვენ გავხდით თავისუფალი და მხოლოდ ღვთის სიტყვას ვემორჩილებით; რატომ უნდა მოვექცეთ ჩვენ ადამიანური სიტყვის ტყვეობაში. როგორც წმ. პავლე ამბობს: "თავისუფლებისათვის გაგვათავისუფლა ქრისტემ. მაშ, იდექით და ნუღარ შეუდგებით მონობის უღელს" (გალატელთა მიმართ 5,1), ე.ი. "ნუ გახდებით იმათი მონები, ვინც მართავს ადამიანური კანონებით". იგივე აზრს გადმოსცემს ლუთერი, როცა წერს: "რა უფლებით გვიდგენს ჩვენ პაპი კანონებს? ვინ მისცა მას უფლება დაიმონოს ის თავისუფლება, რომელიც მონიჭებული გვაქვს ნათლობით? მე ვამბობ: არც პაპს, არც ეპისკოპოსს, არც სხვა რომელიმე კაცს არა აქვს უფლება დაუდგინოს თუნდაც ერთი ასო ქრისტიანს, უკეთუ ამაზე არ იქნება მისი დასტური". მით უფრო მიუღებლად მიაჩნდა ლუთერს საერო ხელისუფალთა ცდა, თავიანთი კანონები გაევრცელებინათ კაცთა აზრებსა და გრძნობებზე, სინდისისა და რწმენის საქმეში. "აზრისა და სულის სასოება, - წერდა იგი, - არ შეიძლება დაექვემდებაროს ვინმეს, გარდა ღმერთისა, ამიტომაც უაზრო და შეუძლებელია, ბრძანებებით ვაიძულოთ ვინმე ირწმუნოს ასე და არა სხვაგვარად... და თუ მაინც შენი საერო მფლობელი ცდილობს ამის გაკეთებას, მაშინ უთხარი მას: არ შეეფერის ლუციფერს წამოიჭიმოს ღმერთის გვერდით; შენ, ხელმწიფევ, მე ვალდებული ვარ გემსახურო სხეულით, ჩემი ავლა-დიდებით... მაგრამ თუ მიბრძანებ ვირწმუნო სხვაგვარად, ვიდრე მე მწამს, არ დაგიჯერებ, ვინაიდან ამ შემთხვევაში შენ ტირანი ხარ და ცდილობ დაიქვემდებარო ის, რისი არც უფლება გაქვს და არც ძალაუფლება". მაშინაც კი, როცა, ლუთერის აზრით, საქმე გვაქვს ერესთან, იგი უნდა აღმოვფხვრათ არა ძალის გამოყენებით, არა საერო ხელისუფლების ჩარევით, არამედ დარწმუნების გზით, საღვთო წერილის ქადაგებითა და გავრცელებით, რისი უფლებაც მხოლოდ მღვდლებს აქვთ. გასაკვირი არაა ის გარემოება, რომ

ლუთერი თავის 1520-1524 წლების ნაშრომებში მხოლოდ სინდისის თავისუფლების ქადაგებით არ კმაყოფილდება, იგი სიტყვისა და ბეჭდვის თავისუფლების მოთხოვნასაც აყენებდა, მოითხოვდა ბიბლიის დაუყოვნებლივ გავრცელებას. "ღვთის სიტყვას მიეცით გზა!", ქადაგებდა იგი.

როგორც ნათქვამიდან ჩანს, "ორი სამეფოს" ლუთერისეულ თეორიაში ვლინდება, როგორც დადებითი, ისე უარყოფითი მომენტები.

დადებითია ის, რომ ლუთერი ურთიერთისაგან მიჯნავს სასულიერო და საერო მმართველობის სფეროებს, - არა მარტო საერო ხელისუფლებას ათავისუფლებს ეკლესიის მეურვეობისაგან, არამედ ეკლესიის თავისთავადობასაც აღიარებს, რწმენისა და სინდისის თავისუფლებას ქადაგებს. მართალია, გლეხთა ომის დროს (1524-1525წწ.) ლუთერმა რეფორმაციის მომხრე მთავრებს რელიგიის სფეროშიც მიანიჭა მოქმედების უფლება, მაგრამ ეს იყო რეფორმაციის საჭიროებით ნაკარნახევი იძულებითი ნაბიჯი, მას არ უარუყვია ეკლესიის დამოუკიდებლობა. ამაზე მიუთითებს მისი შემდეგი სიტყვებიც: "სამღვდელოება მთავრების მსახური ან გლეხების მონა როდია. იგი მხოლოდ ღვთის მსახური და მონაა", - ასე წერდა ლუთერი 1530 წელს.

დადებითია, აგრეთვე, ლუთერისეული ყოველგვარი შრომის (მათ შორის ფიზიკური შრომის) საპატიოდ და ღირსების საქმედ გამოცხადება, სიბეჯითის წინ წამოწევა, სიზარმაცის დაგმობა, ჩამომავლობასა და ტიტულებზე მაღლა ადამიანის დაყენება, სინდისისა და რწმენის თავისუფლების აღიარება.

უარყოფითია ის, რომ ლუთერი ყოველგვარი ხელისუფლებისადმი (მათი თვითნებობისა და უზნეობის მიუხედავად) ქვეშევრდომთა მატერიალური მორჩილების და წინააღმდეგობის გაუწევლობის იდეას ქადაგებს.

ახლა ვნახოთ, კონკრეტულად, თუ როგორ წარმოუდგენია ლუთერს ხელისუფალი და მისი უფლება-მოვალეობანი.

უპირველეს ყოვლისა, ლუთერი თეოლოგი იყო და, ბუნებრივია, ოცნებობდა ისეთ ხელისუფალზე, რომელიც ერთდროულად

იქნებოდა ღვთისმოშიშიცა და ბრძენიც, თუმცა მან მშვენივრად იცოდა, რომ ასეთი მმართველის დაშვება ყოველთვის როდი იყო შესაძლებელი, მით უფრო ისეთ ვითარებაში, როცა "ქვეყანა აღსავსეა ბოროტებით" და "ანტიქრისტიანებით" (თუმცა შეიძლება ისინი მონათლულებიც იყვნენ და ქრისტიანებადაც იწოდებოდნენ), შეუძლებელი იქნებოდა მართვა სახარებითა და ქრისტიანული მორალით, როგორც ეს შესაძლებლად მიაჩნდა ცვინგლს. ამიტომაცაა, რომ ასეთ ქვეყანას ღმერთი მოუვლენს ხოლმე "გამროზგავებსა და ჯალათებს", ე.ი. პოლიციური ფუნქციით აღჭურვილ ადამიანებს, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში არც ძალას დაერიდებიან და არც სიმკაცრეს, ასეთ ხელისუფალთა გარეშე, იძულების გარეშე, ამბობდა ლუთერი, ადამიანები "ურთიერთს შესანსლავდნენ", შეუძლებელი იქნებოდა "ბოროტთა მოთვინიერება და გარეგნული მშვიდობის" დამყარება.

რა თქმა უნდა, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამდაგვარი მსჯელობით ლუთერი შიშველი ძალის აპოლოგიას ეწეოდა. თვით "მკაცრ მართვაში", რომლის საჭიროებაზეც იგი მიუთითებდა, კანონით დაშვებული ძალის გამოყენება იგულისხმება. ამაზე მიუთითებს 1525 წელს მის მიერ გამოქვეყნებული "მეორე სჯულის განმარტებაც", სადაც ხაზგასმითაა ნათქვამი, რომ შეუძლებელია ძალადობით განაახლო სამყარო და დაამყარო სრულქმნილი წესრიგი, რომ ადამიანების მართვისას შიშველ "ძალასა და ხელკეტს" არ მოაქვს სასურველი შედეგი, რომ ძალდატანება ველური, უგუნური საქმეა, რომ მხოლოდ ცხოველებს მართავენ ძალდატანებით და ეშმაკური ფანდებით. მაშასადამე, ლუთერის აზრით, რაკი ხელმწიფე ადამიანებს მართავს, მან შეიძლება ყველაფერი გამოიყენოს, გარდა შიშველი ძალისა. იგი უპირველესად სამ ძირითად თვისებას უნდა ფლობდეს: მიხვედრის უნარს (ღმერთიდან რომ მომდინარეობს), გონებას და ცხოვრებისეულ გამოცდილებას. ამ სამი თვისებით შეიძლება ყველაფრის მიღწევა, რამეთუ ადამიანი ძლიერია გონებით. გონიერი მართვა აი, რას მოითხოვს ლუთერი მმართველისაგან, რაც, მისი თქმით, იმას ნიშნავს, რომ მმართველი კარგად გაერკვეს ცხოვრებისეულ სიტუაციებში და იმოქმედოს

მხოლოდ მაშინ, როცა აქვს "დანახვის, ცოდნის, აწონ-დაწონის, გონიერი განსჯის, არსებულის შეცვლის, გადასხვაფერების შესაძლებლობა. მხოლოდ განსჯისა და გაანალიზების შემდეგ თუ შეიძლება მივიღოთ სათანადო გადაწყვეტილება". ამგვარად, ლუთერის იდეალია ბრძენი ხელმწიფე, რომელიც არა მარტო იმით გამოირჩევა, რომ უფრო მეტი იცის, ვიდრე მისმა მრჩევლებმა ან სამართლის წიგნებშია, არამედ იმითაც, რომ თვითონვე აკონტროლებს მმართველობასა და სასამართლოს, გააჩნია მოხერხებისა და წინასწარგანჭვრეტის უნარი, მოქმედებს სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილობისა და რეალური კატეგორიებით, პრაქტიკული ინტერესებით, იგი საკუთარი გონებით განსაზღვრავს, "სად და როდის გამოიყენოს კანონი მთელი სიმკაცრით, სად და როდის შეარბილოს იგი". იმავე აზრს გამოთქვამს ლუთერი, როცა წერს: "ხელისუფალი მუდამ უნდა მართავდეს კანონებით, ხოლო უმაღლეს კანონად და საუკეთესო კანონმდებლად დაე იყოს მისი გონება. "ჭკუა და გონება კანონების გული და მფლობელია", იმეორებს იგი სხვა შემთხვევაში. ასე რომ, მსგავსად განათლებული აბსოლუტიზმის იდეოლოგებისა, ლუთერი "ბუნებრივ გონებას და ბუნებრივ სამართალს" დაწერილ კანონებზე მაღლა აყენებს, რთული და ურთიერთსაწინააღმდეგო რეალური სინამდვილიდან გამოსავლის წყაროს ხედავს არა სახელმწიფო ინსტიტუტებში (თუმცა ერთიანად არც მათ საჭიროებას გამორიცხავს), არამედ ხელისუფალთა პირად შეგნებასა და ზნეობრივ თვისებებში, მათ სიბრძნესა და განათლებულობაში. ვფიქრობთ, მართალია მ.სმირინი, როცა ამასთან დაკავშირებით ამბობს: ლუთერთან საბოლოოდ თუ არაა გადაწყვეტილი, ყოველ შემთხვევაში დასმული მაინცაა ბუნებრივი სამართლის, სახელმწიფოებრივი პოლიტიკისა და საერო მმართველობის სფეროებში ადამიანური გონების სრული რეაბილიტაციის საკითხი. როცა ლუთერს სახელმწიფოს პრაქტიკული მოღვაწეობა გადააქვს საერო სამართლის (ბუნებრივი სამართლის) სფეროში და უშვებს, რომ ხელმწიფეს შეუძლია თავის პრაქტიკულ მოღვაწეობაში იხელმძღვანელოს საკუთარი გონებით, ამით მისი პოლიტიკური

კონცეფცია უახლოვდება ახალი დროის პოლიტიკურ კონცეფციას, რომელიც სახელმწიფოს ჭვრეტს "ადამიანური თვალებით და მისი ბუნებრივი კანონები გამოჰყავს გონებიდან და გამოცდილებიდან და არა თეოლოგიიდან".

ახალი დროის პოლიტიკურ კონცეფციას ლუთერი მაშინაც უახლოვდება, როცა ცალკეულ შემთხვევებში რესპუბლიკური პრინციპებისაკენ მიდრეკილებას ამჟღავნებს, მკითხველს მის ობიექტურობასა და სიკეთეში აჯერებს, აკი წერს: "... ჩანს ასევე, რომ საჭიროა უმაღლესი ხელისუფალნი არჩეულ იქნენ ხალხის ნებით, რომ ხალხმა აირჩიოს მხოლოდ "ბრძენი, გონიერი და გამოცდილი კაცები" და თუ ვინმე ასე არ იქცევა, მას საფრთხე ემუქრება". ხალხს, ლუთერის აზრით, "რჩევა-დარიგების" უფლებაც აქვს, თუ ხელისუფალი "განიცდის კეთილი ნების ნაკლებობას" ან მოკლებულია მიხვედრის უნარს, მაშინ ხალხი ან მისი წარმომადგენლები იმას უნდა ცდილობდეს, რომ უჩვენოს მას სწორი გზა. მრავლისმეტყველი სიტყვებია, თუმცა ამას ლუთერი ამბობდა 1525 წელს, იმ დროს, როცა ილაშქრებდა აჯანყებული გლეხების წინააღმდეგ, რომლებმაც "თვითონ მოისურვეს მართვა". მართალია, აქ გამოთქმული რესპუბლიკური იდეები არატიპიურია ლუთერისათვის, რადგან ეს იდეები ვერ პოულობს შემდგომ განვითარებას, მაგრამ მათ მაინც ის მნიშვნელობა ჰქონდათ, რომ გადამდებად მოქმედებდნენ, ხელს უწყობდნენ მასების რადიკალიზაციას, შეახსენებდნენ ხელისუფალთ, თუ რა რიგ "საშიში და საზიანოა" ხალხისა და ქვეყნისათვის იმ უფლება-მოვალეობის არ აღსრულება ან გადამეტება, რომელიც მათ აკისრიათ.

თუ როგორია ეს უფლება-მოვალეობანი (ნაწილობრივ მათზე უკვე გვქონდა საუბარი), ამაზე დაწვრილებით ვისაუბრებთ მომდევნო პარაგრაფებში. ჯერ ვნახოთ, თუ როგორ წარმოედგინა ლუთერს ხელისუფალთა იერარქია.

გერმანიის ხელისუფალთაგან ლუთერი "სამოქალაქო იერარქიის" უმაღლეს საფეხურზე რომის საღმრთო იმპერიის იმპერატორს აყენებდა. იმპერატორში ხედავდა იგი როგორც

ახალგაზრდების ინტერესების დამცველს, ისე მთელი ერის ერთიანობის სიმბოლოს, თუმცა ისიც ნათელი იყო, რომ სწორედ ეს ერთიანობა აკლდა გერმანიას; ამიტომაც ჯიჯგნიდნენ მას რომის პაპები და მისი აგენტები. "არ იქნებოდა ეს, ჩვენ რომ ერთიანი მმართველობა და სახელმწიფო გვყავდეს", წერდა ლუთერი. ცხადია, რეფორმატორი ოცნებობდა ძლიერ და სტაბილურ საიმპერატორო ხელისუფლებაზე, რომელიც გერმანიას მოუტანდა ერთიანობას და ქვეყანას გაანთავისუფლებდა კათოლიკური ეკლესიის თვითნებობისა და პარპაშისაგან. იგი გამოსცემდა "საერო ნაციონალურ კანონს", რომელიც ბოლოს მოუღებდა პაპიზმის ამბიციურ მისწრაფებებს; კანონით აიკრძალებოდა ანატების გაცემა, საეკლესიო თანამდებობებით ვაჭრობა, რომიდან საეპისკოპოსო მანტიებით ვაჭრობა და ეპისკოპოსების დამტკიცება. კანონს ქვეყნიდან ფეხი უნდა ამოეკვეთა "პაპის ნდობით აღჭურვილი პირებისათვის" ეს იქნებოდა კარდინალი თუ სხვა ვინმე. კანონს უნდა აეკრძალა პაპებისათვის გერმანიაში ვითომცდა თურქეთის წინააღმდეგ ომისათვის საჭირო თანხების აკრეფა. ძლიერი საიმპერატორო ხელისუფლების პრინციპის ბოლომდე ერთგული დარჩა ის, თუმცა მასში გარკვეული კორექტივის შეტანა მაინც მოუხდა. მას შემდეგ, რაც იმპერატორმა კარლ V-ემ ვერ გაამართლა ლუთერის იმედები, მისთვის, როგორც ვთქვით, უცხო აღმოჩნდა გერმანული ეროვნული საქმეები, თვით რეფორმაციული მოძრაობაც, რეფორმატორმა იწყო ძლიერი მოკავშირის მოძებნა. ასეთ მოკავშირედ მან რეფორმაციის მომხრე მთავრები ჩათვალა და მათთან დაახლოება დაიწყო. თავის თხზულებაში "საერო ხელისუფლების შესახებ", რომელიც, როგორც ვთქვით, ლუთერმა 1523 წელს გამოსცა, მან საერო მთავრების ხელისუფლებაც გაამართლა, თუმცა მათი ხელისუფლება სრულებითაც არ ყოფილა მისი პოლიტიკური იდეალი. პირიქით, ამ თავნება მთავრებში იგი ხედავდა აბსოლუტური მონარქიის პაროდიას. "სამყაროს შექმნის დღიდან, - წერს ლუთერი, - ბრძენი მთავარი იშვიათია, უფრო იშვიათია ღვთისმოსავი მთავარი. ჩვეულებრივ

ისინი ან უდიდესი სულელები არიან, ან თავზეხელაღებული ბოროტმოქმედნი; ყოველთვის მათგან უარეს უნდა მოელოდე, იშვიათად რაიმე კარგს..." ამის მიუხედავად, განაგრძობს ლუთერი, ისეთ ვითარებაში, როცა გერმანიას რომთან სასიკვდილო ბრძოლა აქვს, ქვეშევრდომებმა ხელი კი არ უნდა კრან ამ "არარაობა მმართველებს", არამედ უნდა დაექვემდებარონ მათ ისე, თითქოს თითოეული მათგანი ფლობდეს სამეფო ღირსებას. ამასთან, ლუთერის თქმით, მთავრებს უნდა ახსოვდეთ, რომ ისინი იმყოფებიან თავიანთ სახლში, თავიანთ ქვეყანაში და არ არიან ვალდებული დაემორჩილონ რომს. ერთი სიტყვით, ლუთერმა თავისი ქვეყნის მთავრებს უთხრა "ისეთი სიტყვა, რომ ისინი დარჩნენ ქრისტიანებად". მეტიც, 1524-1525 წლებში ლუთერმა რეფორმაციის მომხრე მთავრებს დაუქვემდებარა თვით საეკლესიო გარდაქმნის ორგანიზაციაც.

იბადება კითხვა: რამდენად გამართლებული იყო ლუთერის ეს ნაბიჯი? ხომ არ მოაწავებდა მთავრებთან კავშირი ეროვნული ინტერესების ღალატს?

თუ ამოვალთ იქიდან, რომ მთავრები ცენტრიდანულ ძალებს განასახიერებდნენ, მაშინ ეროვნული თვალსაზრისით, ლუთერის ამ ნაბიჯს არა აქვს მორალური გამართლება, მაგრამ აქ უნდა გავითვალისწინოთ მეორე მხარე: ეს ძალები, რომლებმაც წინ წაიმძღვარიეს რეფორმაციის იდეა, უპირისპირდებიან ჰაბსბურგულ უნივერსალიზმს და თვით პოლიტიკური იზოლირების პირობებშიც კი ხელს უწყობენ სულიერი ერთობისაკენ სწრაფვას, აღვივებენ რომის კათოლიციზმის წინააღმდეგ ერთიანი ბრძოლის სურვილს და, ამდენად, მათი მოქმედება ეროვნული თვალსაზრისით საესებით გამართლებულია. რა თქმა უნდა, როგორც ამას ზოგიერთი ისტორიკოსი (მაგალითად მ.სმირინი, მ.შტაინმეტცი) ფიქრობს, ბიურგერული შეზღუდულობა რომ არა, ლუთერს შეეძლო რეფორმაციის დაკავშირება გლეხურ-პლებეურ ოპოზიციასთან, რომელმაც მოახდინა გლეხთა ომი გერმანიაში, მაგრამ ასეთი კავშირი მაშინდელ ძალთა თანაფარდობის პირობებში (უპირატესობა მთავრების მხარეს

იყო) განწირული იყო დასაღუპავად; მთავრები (როგორც კათოლიკური ბანაკის წარმომადგენლები, ისე რეფორმაციის მოსურნენი) ერთიანი ძალით ბოლოს მოუღებდნენ არა მარტო გლეხთა ომს, არამედ რეფორმაციის საქმესაც. პროტესტანტიზმის მოსპობა კი უდიდესი უბედურება იქნებოდა არა მარტო გერმანელებისათვის, არამედ აგრეთვე მთელი მსოფლიოსთვისაც. ევროპის სულიერი განვითარება უსასრულოდ ერთგვაროვანი იქნებოდა. ამდენად, ლუთერის არჩევანი ისტორიულად გამართლებულად უნდა ჩაითვალოს. მას აღმოაჩნდა სწორი პოლიტიკური ალღო. მან გაითვალისწინა ძალთა თანაფარდობა და მთავრების სიძლიერე, ის რომ მოცემული მომენტისათვის გერმანიაში მხოლოდ მთავრებს შეეძლოთ პროტესტანტიზმის დაცვა. სწორედ ამით აიხსნება ლუთერის დაახლოება მთავრებთან.

ამ დაახლოების მიუხედავად, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ლუთერი მთავრების აპოლოგიას ეწეოდა, ეპირფერებოდა მათ. მართალია, ამდაგვარი ბრალდება არაერთხელ წაუყენებიათ მისთვის (მაგალითად, მიუნცერს), მაგრამ, როგორც ლუთერი თვითონ აღნიშნავდა, მის "პირფერობაში" "ბევრი მწარე სიმართლეც იყო". მთავრებისათვის დამახასიათებელი მანკიერება, ამპარტავნობა და სიავე, მას არც შემდეგში დაუმალავს, დაუფარავად უთქვამს, რომ "ბრძენი მთავარი იშვიათი ფრინველია", რომ ისინი "ჩვეულებრივ ან უდიდესი სულელები არიან ან თავზე ხელაღებული ბოროტმოქმედნი", რომელთაც არ სცალიათ ქვეყნის მართვისათვის, აკი ცხოვრების მიზნად საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნვა და დროსტარება გაუხდიათ. მათ ფული სჭირდებოდათ და მზად იყვნენ მისი მიღების მიზნით "ეშმაკისათვის მიეყიდათ სული", მოზიარეებად გაეხადათ ქვეყნის მტრები, თვით "ოთხმაგი ქურდები და კაცის მკვლელებიც" კი. მათი უსირცხვილობა იქამდე მიდიოდა, რომ "პატარა ქურდბაცაცებს", რომლებმაც "ერთი ან ნახევარი გულდენი მოიპარეს", ხუნდებს ადებდნენ ან სახრჩობელაზე აჰყავდათ, თვითონ კი (უშიშრად რომ იპარავდნენ და ძარცვავდენ ქვეყანას) "ოქრომკედში და აბრეშუმში გამოწყობილნი" ყველას

თვალწინ ამაყად დააბიჯებდნენ. მართლდებოდა ძველი ანდაზა: "დიდი ქურდები პატარა ქურდებს ახრჩობენო". ასეთ ხალხთან, რომლებთანაც "სიბილწე იქცა პატიოსნებად და მანკიერება სათნოებათ", აბა რას გასჭრის "რჩევა-დარიგებაო", - ასკვნიდა ლუთერი.

ერთი სიტყვით, ლუთერს არ აკლდა მოქალაქეობრივი გამბედაობა - ემხილებინა მთავრების მორალური გახრწნილება და გულქვაობა., მაგრამ მისი გამბედაობა ზნეობრივ შეგონებას არ სცილდებოდა, იგი მიზნად ისახავდა ხელისუფალთა (მთავართა) არა ჩამოგდებას ან შეცვლას, არამედ მათ ზნეობრივ გარდაქმნას, იმდაგვარ გამოსწორებას, რომ ისინი თავიანთ ხელისუფლებას მოკიდებოდნენ არა როგორც თვითმპყრობელურ ფუნქციას თუ თვითგანდიდების საშუალებას, არამედ როგორც საზოგადოებრივად სასარგებლო მოვალეობას; შეიგნებდნენ რა, რომ ისინი "მსახურებია და არა ბატონი ხალხისა", თავიდან ამოიგდებდნენ ფიქრს: "ქვეყანა და ხალხი ჩემია, როგორც მოვისურვებ, ისე მოვიქცევი", ისინი უარს იტყოდნენ ხელისუფლების სიტკბოებაზე და იმოქმედებდნენ "ქვეყნისა და ხალხის სარგებლობისა და წარმატებისათვის", იზრუნებდნენ იმისათვის, რომ უბრალო ადამიანების საარსებო პირობების მინიმალური გაუმჯობესებისათვის მაინც მიეღწიათ, რომ მათაც რგებოდათ "ჰაერი და სივრცე" ცხოვრებისათვის. ცხადია, ლუთერს ხელისუფალთა იმგვარი "გამოსწორება" სურდა, რომ ისინი თავიანთ მოქმედებაში ქრისტეს დამსგავსებოდნენ, რომ ქვეშევრდომებისადმი მათი ზრუნვა სიყვარულს წარემართა. ქრისტიანული სიყვარული - აი, რა არის ლუთერის პოლიტიკური ეთიკის საფუძველი. ეს იყო მშვიდობიანი პროგრესის გზა. თუ რამდენად რეალური იყო ეს მაშინდელ სინამდვილეში, სხვა საქმეა, მაგრამ ის, რომ ლუთერს ამგვარი სურვილები გააჩნდა, მრავლისმეტყველია. მისი ასეთი იდეები, უპირველეს ყოვლისა, იმ შეხედულებების უსაფუძვლობას ცხადყოფს, რომლის მიხედვით, თითქოს ლუთერი, საერთოდ, ხელისუფლებას არ ავალებდა "ადამიანის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას",

როგორც ამას გერმანელი ისტორიკოსი კ.პინრიხსი ამტკიცებს. შეიძლება ლუთერს ხალხის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე უფრო მეტი ეთქვა, მაგრამ მაშინდელი ვითარება, ბიურგერობის სისუსტე, მას არ აძლევდა იმის გამბედაობას, რომ უფრო მწვავედ დაეყენებინა ეს საკითხი.

აღსანიშნავია, რომ მთავრების და, საერთოდ, საერო ხელისუფალთა კრიტიკა, ისევე როგორც უბრალო ადამიანების მდგომარეობის გაუმჯობესებაზე ფიქრი, ლუთერს არც გლეხთა ომის შემდგომ შეუწყვეტია. ამას მოწმობს მისი თხზულება "დარიგება, რათა ბავშვები სკოლაში უნდა გვყავდეს მიბარებული", რომელშიაც ლუთერი იმის თქმასაც კი ბედავს, რომ ქვეყნის მართვის უფლება სულაც არ არის მხოლოდ მემკვიდრეობით მიცემული თანამდებობის პირების - იმპერატორის, მთავრების, გრაფების, ბარონებისა და სხვათა პრივილეგია. საერო ხელისუფლებას, მისი თქმით, ის პირებიც (კანცლერები, იურისტები, მრჩევლები, მდივნები და სხვანი) ქმნიან, რომელთა მეტი ნაწილი უბრალო ადამიანების წრიდანაა გამოსული, მაგრამ გააჩნიათ მრავალი ინდივიდულაური ღირსება, განსწავლულობა, პატიოსნება, შინაგანი კეთილშობილება და იმის უნარიც, რომ ერთგულად მისდიონ კანონებს. ამ ინტელექტუალურ არისტოკრატიას ანგარიშს უწევენ თვით ისინიც, ვისაც ხელთა აქვთ ძალაუფლება. ამის დასტურად ლუთერს მოაქვს იმპერატორ მაქსიმილიანე I-ის მაგალითი, რომელსაც სასახლის მსახურთა "ბუზღუნზე", რომ იგი ელჩებად და სხვა თანამდებობებზე ნიშნავს არაწარჩინებულებს, უთქვამს: "მე რა ვქნა? რადგან ისინი (ე.ი. წარჩინებულნი - გ.კ.) უვარგისნი არიან, ძალაუნებურად მიხდება განათლებულთა აყვანა"; ან კიდევ: "აზნაურის შექმნა შემიძლია, დოქტორისა კი ვერა". ამდაგვარი გამონათქვამები ლუთერს სხვაც ბევრი აქვს და ყველაფერი ეს იმაზე მიანიშნებს, რომ იგი ძალზე ახლოს დგას ინდივიდუალიზმის ჰუმანისტურ პრინციპთან, რომლის თანახმად, როგორც ამას XV საუკუნის იტალიელი ჰუმანისტი პოჯო ბრაჩოლინი ამბობს, "კეთილშობილებას ადამიანს ანიჭებს ნიჭი და არა წარმოშობა". სხვათაშორის,

ანალოგიური აზრის შემცველია XIX საუკუნის ქართველი პოეტის გრ.ორბელიანის ეს სტროფიც: "მიეცით ნიჭსა გზა ფართო, თაყვანისცემა - ღირსებას, ნიჭს აძლევს ზენა მხოლოდ კაცს და არა გვარიშვილობას". უფრო შორს მიდის ლუთერი, როცა ამბობს: ნებისმიერ ადამიანს, წარმოშობის მიუხედავად, თავისი ნიჭისა და განათლების წყალობით იმის უფლებაც აქვს, რომ სახელმწიფოში ეჭიროს კანცლერების, იურისტების, მდივნების და სხვა თანამდებობანი. აქ, რეფორმატორის თქმით, ღმერთის ნებაც ვლინდება. "ღმერთს, წერს იგი, - არ სურს, რომ ერთპიროვნულად მართავდეს და ბატონობდეს მხოლოდ ის, ვინც დაიბადა მეფედ, მთავრად, გრაფად ან აზნაურად. ღმერთს სურს, რომ ხელისუფლებას ფლობდნენ ღარიბებიც, სხვაგავრად აზნაურები იფიქრებდნენ, თითქოს ღმერთი კი არა, წარჩინებული წარმომავლობა იძლევა ხელისუფლებას და მმართველობას". ანალოგიური აზრის შემცველია მისი შემდეგი სიტყვებიც: "შენი და ჩემი შვილი, ბავშვები უბრალო ადამიანებისა, ჩემი აზრით, ყოველთვის იქნებიან მსოფლიოს, საერო და სასულიერო ცხოვრების, გამგებლები"; მათგან ყალიბდება როგორც სასულიერო ხელისუფლება სულის მოძღვარნი, ისე საერო ხელისუფალთა ის ნაწილი, რომელიც გონებას ფლობს "ბუშტის" საპირისპიროდ. "ეს ასეა, და მარად ასე იქნება", ასკვნიდა ლუთერი.

მრავლისმეტყველი სიტყვებია, ნიჭიერება და განათლება აქ წარმოდგენილია როგორც სოციალურ ფენათა შორის აღმართული მიჯნებისა და ჯებირების გადალახვის ერთგვარი საშუალება, ღვთის თავისებური სანქცია, რომელიც უბრალო ადამიანთა შვილებს ქვეყნის მართვა-გამგეობაში (თუნდაც კანცლერების, იურისტების, მდივნების და სხვათა სახით) მონაწილეობის უფლებას ანიჭებს. ამით, როგორც ვთქვით, ლუთერი ეხმიანება (ან წინ უსწრებს) თავისი თანამედროვე ჰუმანისტებისა და მომდევნო ხანის გამოჩენილი მოაზროვნეების (განსაკუთრებით განმანათლებლების) პროგრესულ იდეებს.

ამრიგად, ეხება რა საერო ხელისუფალთა უფლებამოვალეობას (არა მარტო გლეხთა ომამდე, არამედ მის შემდეგაც),

ლუთერი გამოთქვამს არაერთ პოზიტიურ იდეას, რომელიც არა მარტო ლუთერის მოღვაწეობის ჟამს, არამედ უფრო გვიანაც ინარჩუნებდა აქტუალობას. ეს კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება, როცა გავეცნობით ლუთერის მიერ გამოთქმულ აზრებს სამართლიანობასა და სამართალზე, ომისა და მშვიდობის საკითხებზე, აგრეთვე, ეკონომიკისა და სწავლა-განათლების ახლებურად მოწყობის საქმეში ხელისუფლების როლის შესახებ.

§3. სამართლიანობისა და სამართლის ლუთერისეული გაგება

ვერ ვიტყვით, რომ ლუთერის შეხედულებანი სამართლიანობასა და სამართალზე, სახელმწიფოს კანონქმედებით და სადამსჯელო ფუნქციებზე, იურისპუდენციის შესწავლასა და მისი ცხოვრებაში გატარების გზებზე, ერთიანად ორიგინალურია. ჩანს, ლუთერი განიცდის ანტიკური მწერლების (განსაკუთრებით პლატონის და ციცერონის) იურიდიული ნააზრევის გავლენას, თუმცა მასთან ვხვდებით (ისე როგორც სხვა შემთხვევაში) ზოგიერთ ისეთ მოსაზრებასაც, რომელიც მას თავისი დროის თუ უფრო გვიანდელი პერიოდის მოწინავე მოაზროვნეებთან აახლოებს. მაგალითად, იგი გამოთქვამს მოსაზრებას, რომ სამართლიანობა ადამიანთა ერთობლივი ცხოვრების საფუძველია, რომ იგი მიიღწევა მაშინ, როცა საზოგადოების თითოეული წევრი, როგორც ქვეშევრდომი, ისე ხელისუფალი, იმას აკეთებს, რისი უნარიც აქვს და რასაც სარგებლობა მოაქვს სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოებისათვის. ამისგან ყოველგვარი გადახვევა (მაგალითად ის, რომ მთავარი "ბოროტად იყენებს თავის უფლებებს", არაფრად აგდებს თანამემამულეთა ბედს ან ჩაგრავს ხალხს და ა.შ.) ლუთერს სამართლიანობის შებღალვად მიაჩნია. რამდენად განსახორციელებელი იყო სამართლიანობა მაშინდელი საზოგადოებრივი ურთიერთობის პირობებში, სხვა საქმეა, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ლუთერი საზოგადოებრივი ურთიერთსასარგებლო სამსახურის აღსრულებაში ხედავს სამართლიანობის

მიღწევის გარანტიას, თუმცა მის აღსასრულებლად მას ასევე საჭიროდ მიაჩნია სამართალი, რომელსაც ესა თუ ის ხალხი შეიმუშავებს.

ვერ ვიტყვით იმასაც, რომ ლუთერი კანონის უზენაესობის პრინციპის ერთგული დანცველია, მაგრამ ის კი ცხადია, რომ მასთან სამართალი და სასამართლო სახელმწიფო მმართველობის აუცილებელი ატრიბუტებია, რომლებიც იცავენ სიმართლეს და ებრძვიან ბოროტებას, მათ წესრიგი და მშვიდობა მოაქვთ საზოგადოებისათვის, ამიტომაც მათ თვით ჭეშმარიტი ქრისტიანებიც ემორჩილებიან, თუმცა, ლუთერის აზრით, ადამიანებს შორის ცოტა როდია ისეთი, რომელსაც სამართლის გვერდის ავლით, თავის ნებაზე სურს ცხოვრება და საქმიანობა. ასეთებს ლუთერი უგუნურებად მოიხსენიებს, თვლის, რომ ისინი კაცობრიობის სიკეთილს აჩქარებენ, ვინაიდან "გონების, სიბრძნისა და კანონების გარეშე არც თათრებს და არც ტარტაროზებს შეუძლიათ ცხოვრება. თუკი ადამიანი ხარ, - სამართალი, კანონები და წესრიგი გჭირდება. მხოლოდ დათვები, მგლები, ლომები და სხვა გარეული მხეცები ცხოვრობენ ეკონომიკისა და სამართლის გარეშე, მათ არც სახლი გააჩნიათ, არც საერო მმართველობა და არც აღზრდა".

აღსანიშნავია, რომ ლუთერი განასხვავებს ოთხი კატეგორიის კანონებს: ერთია საღვთო სასჯელი, მეორეა ბუნებითი კანონები, მესამე იმპერატორისეული კანონები და მეოთხეა საქალაქო და ადგილობრივი კანონები. აქედან პირველს - საღვთო სჯულს (სახარებას) ლუთერი "ღვთაებრივი სამართლის" სახელითაც მოიხსენიებს და თვილს, რომ იგი უნდა ასხივოსნებდეს მმართველის გონებას, აკი "ღმერთი მოითხოვს, რომ მას მიმართავდნენ: ღმერთო ძლიერო! მე ვარ მთავარი, გამგებელი, მრჩეველი, მოხელე, მღვდელი, სწავლული, მასწავლებელი, მაგრამ შენი ვარ, ასევე შენია მმართველობა, სახელმწიფო, სასამართლო. მომეცი მე ძალა (მიხვედრის უნარი), რათა ჩემი მმართველობა და ჩემი საქმე ამ სამსახურში იყოს სამართლიანი". ერთი სიტყვით, ლუთერის აზრით, მმართველს

ყოველთვის გზას უნდა უნათებდეს ღვთის სიტყვა, უნდა სწამდეს, რომ ღმერთია შემოქმედი სახელმწიფოსი, რომ მისგან მომდინარეობს ხელისუფალთა "მიხვედრის" და "სამართლიანი" მოქმედების უნარი. მაგრამ იმავდროულად ლუთერი დარწმუნებულია, რომ მართვისას არ კმარა მარტო ღვთის ნება და ვედრება, რომ ქვეყანაში, სადაც უმრავლესობას "არა-ქრისტიანები" შეადგენენ, სახარებით ანუ "ღვთაებრივი სამართლით" ვერ ვიხელმძღვანელებთ, იგი ვერ მოიტანს სასურველ შედეგს, და თუ მაინც ვინმე შეეცდებოდა ქვეყნის მართვას სახარების მიხედვით, იმის იმედით, რომ მისი ქვეშევრდომები არიან და, მაშასადამე, ქრიატიანებიც, იგი გამოუსწორებელ შეცდომას ჩაიდენდა: ადამიანები ერთმანეთს დაერეოდნენ, ვერვინ შეძლებდა ცოლ-შვილის შენახვას, შეუძლებელი იქნებოდა მშვიდობიანი შრომა და ღვთისმსახურება, მსოფლიო უდაბნოდ იქცეოდა. ამრიგად, ლუთერის აზრით, სახარებას მხოლოდ რელიგიური, ზნეობრივი აღზრდის ფუნქცია აკისრია, იგი მორწმუნის სულიერების, რწმენის წარმმართველია, ხელისუფალთა (სურვილის შემთხვევაში) სწორ გზაზე დამყენებელია, მაგრამ როცა საქმე ეხება კანონსაწინაღმდეგო მოქმედებას, ბოროტთა დასჯასა და წესრიგის დაცვას, "საჭმელს, სასმელს, ქონებას", ე.ი. მატერიალური ურთიერთობების სფეროს, იქ უკვე ვერ დავეყრდნობით სახარებას, ვერ მივანიჭებთ მას კანონმდებლურ ძალას, როგორც ეს შესაძლებლად მიაჩნდათ უიკლიფსა და ჰუსს, აგრეთვე, ლუთერის თანამედროვე შვეიცარიელ რეფორმატორს ჰულდრაიხ ცვინგლის. "ღმერთმა თავისი ძე ქვეყანაში იმისთვის კი არ გამოგზავნა, რათა წესრიგში მოეყვანა იგი, არამედ იმისთვის, რომ მისი წყალობით ქვეყანამ მიაღწიოს სიწმინდეს", - წერდა ლუთერი.

მეორე კატეგორიის კანონებს, როგორც ვთქვით, ლუთერი ბუნებით სამართალს განაკუთვნებს, თანაც, განსხვავებით ანტიკური ხანის ავტორების წარმოდგენისაგან, რომლის თანახმად ბუნებითი სამართალი დაუწერელი სამართალია და გამომხატველია ბუნების ნებისა (იგი კრძალავს უზნეობას, მშობლებისადმი

უპატივმცემლობას და ა.შ., თანაც ამ მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში სასჯელი გამოაქვს არა სპეციალურ სადამსჯელო ორგანოს, არამედ თვით ბუნებას), ლუთერს მიაჩნია, რომ "ბუნებრივი გონება და ბუნებრივი სამართალი" ცალკეული ხელმწიფეების (ღვთის "რჩეულნი" რომ არიან) ნებაა, დაფიქსირებული კონკრეტულ შემთხვევაში და არა წერილობით, თუმცა მისგან გამომდინარე განაჩენი ბევრად უფრო ობიექტური და ჰუმანურია, ვიდრე ამას იურისტები გააკეთებდნენ ან დაწერილი სამართალი ითვალისწინებს. ამ ხელმწიფეებს ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი ფლობენ მიხვედრის უნარს ანუ სიბრძნეს და მაშინვე ჭვრეტენ, "თუ სად და როდის გამოიყენონ კანონი მთელი სიმკაცრით, სად და როდის შეარბილონ იგი".

რაც შეეხება იმპერატორისეულ კანონებს (თუ, საერთოდ, საერო სამართალს), ლუთერი თვლის, რომ ეს დაწერილი კანონებია და გამომხატველნი არიან ადამიანური ნებისა, ისინი იწერება იურისტების მიერ კონკრეტული სიტუაციების გათვალისწინებით და ვრცელდება მხოლოდ "გარეგნულ საქმეებზე", ადამიანების ხილულ მოქმედებაზე და არა მათ სულზე. და მაინც, ეს კანონები, თუ ისინი არ იჭრებიან ღმერთის მოქმედების სფეროში რწმენის საქმეში, არ შეიძლება "არაქრისტიანულად და არასწორად" გამოვაცხადოთ: "რწმენა და სიყვარული შეიძლება დარჩეს იმპერატორისეული კანონების პირობებშიც", აცხადებს ლუთერი, თუმცა გამართლებულად როდი მიაჩნია ის, რომ დაწერილ კანონებში ხშირად გვხვდება შეუსაბამობა. შეუსაბამობაა, მისი აზრით, როცა კანონი ერთგზის ქათმის ქურდსა და მრავალგზის, გამოუსწორებელ ქურდს ერთნაირად ეკიდება, ერთნაირ სასჯელს - ჩამოხრჩობას უსჯის. ეს ბუნებითი კანონის საწინააღმდეგოა, მას შეიძლება ეწოდოს სხვა არაფერი, თუ არა "სისხლით დაწერილი" კანონი. მაშასადამე, ლუთერი იმის მომხრეა, რომ დაწერილი კანონები (მათ შორის საქალაქო და ადგილობრივი კანონები, რომლებიც სავალდებულოა მხოლოდ ცალკეული ქალაქებისა და ადგილებისათვის) იყოს მკაცრად დიფერენცირებული, სადაც ყოველ დანაშაულს შესაბამისი სასჯელი მიესადაგებოდა.

ლუთერს შესანიშნავად ესმის, რომ თვით დიფერენცირებული კანონებიც თავისთავად ბევრს არაფერს ნიშნავს, რომ იგი მაშინ არის ეფექტური, ღმრთისა და ადამიანებისთვის სასურველი, თუ მას ახორციელებს ბრძენი მმართველი: სიბრძნე, ლუთერის აზრით, სათნოებაა, ღვთიური საჩუქარია და ვინც ამ სათნოებით გასხივოსნებულ გონებას ფლობს, იგი მოქნილს ხდის კანონებს, მას ბრმად კი არ მისდევს, არამედ, თუ საჭიროება მოითხოვს, გადაუხვევს კიდეც, ვინაიდან "როგორი კარგი და სამართლიანი არ უნდა იყოს კანონები, ყველა მათგანს აქვს ერთი ნაკლი: ისინი უძლურნი არიან გაჭირვების წინაშე". "გაჭირვება კი ამსხვრევს ყინულებს, მას შეუძლია შემუსროს სამართალიც". მაშასადამე, ლუთერის აზრით, ბრძენი მმართველი კანონებზე მაღლა დგას, უფრო მეტი იცის, ვიდრე მისმა მრჩევლებმა ან კანონის წიგნებშია და შეუძლია თავიდან აიცილოს მოსალოდნელი საფრთხე. იგი მოქმედებს სახელმწიფოებრივი მიზანშეწონილობისა და რეალური კატეგორიებით, პრაქტიკული ინტერესებით, საკუთარი გონებით განსაზღვრავს, "სად და როდის გამოიყენოს კანონი მთელი სიმკაცრით, სად და როდის შეარბილოს იგი".

ლუთერი დარწმუნებულია, რომ სიბრძნის გარეშე თვით განათლებულ გონებასაც არ ძალუძს კანონების შექმნა, რომ სიბრძნეს მოკლებული მმართველი უნდა მოერიდოს საკუთარი გულის კარნახით მოქმედებას, იმის იმედით ყოფნას, რომ მის რჩევა-დარიგებას ბოროტმოქმედი შეისმენს და გამოსწორდება: ცხოვრებისეული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ გამოუსწორებელი ქურდების და მკვლელების ქმედებას განსაზღვრავს არა გაჭირვება, არამედ "მათ სისხლში დაბუდებული რაღაცნაირი ძალა", რომელიც ადამიანს არ ასვენებს და სიავისაკენ უბიძგებს. ამიტომაც ასეთი მმართველი იმას უნდა ცდილობდეს, რომ არ გადაუხვიოს "დაწერილ კანონებს". დაეყრდნობა რა მას, იგი არ დაუშვებს, რომ მისი ქვეყანა არამზადებით გაივსოს. თითოეულ დამნაშავეს იგი დროულად მიუზღავს თავისას, სასიკეთილო განაჩენს გამოუტანს ყველას, "ვისაც სხვებისათვის უბედურება მოაქვს".

რა თქმა უნდა, ლუთერი შორს დგას იმ აზრისაგან, რომ კანონისადმი პატივისცემა მარტო ქვეშევრდომების ვალია. იგი თვით მმართველებისაგანაც მოითხოვს, რომ არ დაუშვან კანონებისადმი ოდნავი უპატივცემულობის გამოვლენა, ვინაიდან სხვაგვარი საქციელი გადამდებად იმოქმედებს ხალხზე.

მმართველებს არც სხვა ქვეყნების კანონების მექანიკური გადმოღება და თავიანთ ხალხზე მორგება მართებთ, ვინაიდან, ლუთერის აზრით, კანონები, რომლებიც საკუთარი ხალხის წიაღიდან არ აღმოცენებულა ან მისი ყოფა-ცხოვრებისათვის არ შეუფარდებიათ, ვერ გამოიღებს სასურველ შედეგს.

და ბოლოს, "კანონების დამცველების ანუ იურისტების" შესახებ, რომლის საჭიროებაზეც ლუთერი მიუთითებდა. რა თქმა უნდა, ლუთერი ხვდებოდა, რომ "იურისტების რჩევა უმწიკვლო და სრულიად საკმარისი" როდია, რომ იურისტები და კარისკაცები თავიანთ სიცოცხლეზე და მდგომარეობის შენარჩუნებაზე უფრო ფიქრობენ და ამიტომაც ეპირფერებიან ხელმწიფეს, არ ეუბნებიან მას სიმართლეს, რომ ხშირად ისინი თავად არიან ხალხის შევიწროებისა და უკმაყოფილების მიზეზები. ამის მიუხედავად, დარწმუნებულია ლუთერი, ხელმწიფემ ხელი არ უნდა ჰკრას იურისტებს, არ უნდა აწყენინოს უნდობლობით, რამეთუ "სადაც უჩინარდებიან იურისტები, იქ უჩინარდება კანონი და მასთან ერთად მშვიდობაც; რჩება მხოლოდ ძარცვა, მკვლელობა, ძალადობა და დანაშაული, ადამიანები კი მხეცებად იქცევიან". მაშასადამე, ლუთერის აზრით, იურისტებს საპატიო მისია აკისრიათ, ისინი მმართველებს ეხმარებიან კანონებისა და სიმშვიდის დაცვაში, არიან მსჯავრმდებელნი, მრჩეველნი და, გარკვეული მოსაზრებით, აღმზრდელებიც, რომლებიც ადამიანებში აღვივებენ სამართლიანობის გრძნობას, თუმცა ყველა იურისტი როდია მოწოდებული იმისათვის, რომ აღასრულოს თავისი მოვალეობა, ეს მხოლოდ იმათ შეუძლიათ, ვისაც სუფთა სინდისი გააჩნია და აქვს სათანადო ცოდნა იურისპრუდენციაში. იურისპრუდენციის შესწავლასთან ერთად, ნათქვამი აქვს მას ერთგან, მომავალმა იურისტმა უნდა

იკითხოს ბიბლია და ფსალმუნები, რომელიც წმენდს ზნეობას, იძლევა იმის გარანტიას, რომ იურისტი "სუფთა სინდისით ემსახუროს თავის ხალხს და ქვეყანას".

იურისტისაგან ლუთერი უპირველესად იმას მოითხოვს, რომ ერთგულად ემსახუროს დადგენილ კანონებს და მათზე დაყრდნობით, "სინდისის ქეჯნის გარეშე", სასიკვდილო განაჩენი გამოუტანოს ყველას, ვინც ამას იმსახურებს. მას მოაქვს 18 წლის ბიჭის მაგალითი, რომელიც ერთხელ ქურდობის გამო დააპატიმრეს. მოსამართლეები სიამოვნებით დაიხსნიდნენ მას თავისი ახალგაზრდობის გამო სახრჩობელისაგან, მაგრამ ბიჭი ამბობს: "არ დამინდოთ, თუ დამინდობთ, მე ისევ გავაგრძელებ ქურდობას და კაცის კვლას, ამიტომ დამსაჯეთო". აქ ჩანს ლუთერის პოზიცია: "სიკვდილით უნდა დაისაჯოს ყველა ის, ვისაც სხვებისათვის უბედურება მოაქვს". ერთი სიტყვით, კანონების განუხრელ დაცვაში ხედავს ლუთერი იურისტების საპატიო მოვალეობას, თუმცა შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ იურისტებს ლუთერი ყველა შემთხვევაში მკაცრი სასჯელის გატარებისაკენ მოუწოდებდა. მისი აზრით, იურისტებსაც მართებთ ჰუმანურობა, გონიერება და სიფრთხილე. "დაუფიქრებლად და უეცრად გაბრაზება და დასკვნის გამოტანა, როგორც ეს ახალგაზრდებს ჩვევიათ ხოლმე, წერს იგი, საჭირო არაა. გამოცდილება გვიჩვენებს: ახალგაზრდა იურისტს უმკაცრესი სასჯელის დადგენა სურს, ახალგაზრდა თეოლოგს - უდიდესი სიწმინდისა, ახალგაზრდა რეგენტს - უსიტყვო მორჩილებისა. მათ ყველაფერი ისე ჰგონიათ, როგორც წიგნებშია, რითაც ისინი ხელმძღვანელობენ. ზოგჯერ ცოტა გადახვევაა საჭირო".

გამოცდილი და კეთილსინდისიერი მოსამართლე, რომელიც ჭეშმარიტებას ეძებს, სიმკაცრეში როდი ხედავს თავის მოწოდებას, მისთვის მთავარია საქმის სწორად წარმართვა და დროულად დასრულება, ობიექტური სასჯელის გამოტანა, იგი არ დაუშვებს იმას, რომ სასჯელის შერბილება ან გამკაცრება ვინმეს ზეგავლენით მოხდეს. რა თქმა უნდა, მოსამართლე მსჯელობს მოწმეთა ჩვენებების მიხედვით, მაგრამ როცა მისთვის

ცხადი ხდება, რომ მოწმეები ცრუობენ, ეჭვმიტანილი კი უდანაშაულოა, მან გაბედულად უნდა განაცხადოს: "მე ვიცი, რომ ის უდანაშაულოა და ვერ დაესჯი". მას ყოველთვის უნდა ახსოვდეს, რომ "ოდითგანვე იყვნენ ცრუ მოწმეები, რომ ქრისტეც ცრუ მოწმეებმა მოკლეს".

ლუთერის აზრით, ცრუმოწმეობაზე არანაკლებ უზნეობაა, როცა ღვთისმსახურიც მოწმის როლში გამოდის, ხელისუფალს გაანდობს მოსანანიებლად მისული ქურდის აღსარებას. ვინც აღსარებაზე მიდის, - წერს ლუთერი, - "ესაუბრება არა კაპელანს ან აღსარების მიმღებს, არამედ ღმერთს, რომლის ადგილზე იმ წუთში ის დგას, ამიტომ ეს აღსარება მან საიდუმლოდ უნდა შეინახოს" და თუ ის მაინც გასცემს საიდუმლოს, პატიოსანი მოსამართლე, მას არ გაუწევს ანგარიშს, ვინაიდან "ერთი ადამიანის ჩვენება ფაქტიურად არაფერს არ ამტკიცებს".

იურისტების პატიოსნებაზე რომ მსჯელობს, ლუთერი იქვე მიუთითებს, რომ მის თანამედროვე გერმანიაში ასეთები ძალზე ცოტაა, უფრო მეტია "ვაი - იურისტები", რომლებიც სინდისის კარნახით მოქმედებასა და საქმეების დროულად დასრულებას "ტალერის აღებას და ფუფუნებით ცხოვრებას ამჯობინებენ". მათთვის დამახასიათებელი გამოძალვა და მექრთამეობა აქვს მხედველობაში, როცა ლუთერი მეტყავის პირით ამბობს: "ამ ქვეყნად იურისტებზე უფრო დიდი გამტყავებელი არ არსებობს: ისინი ტყავს აძრობენ ცოცხლებს, ჩვენ კი - მკვდარ ცხოველებს". ასეთ იურისტებს ლუთერი „მეტად საშიშ ხალხადაც" მოიხსენიებს, თუმცა მათ ყველაფერში როდი ადანაშაულებს. იგი ფიქრობს, რომ ეკონომიკური გაჭირვების წინაშე ყველაზე "კარგი კანონიც" უძლურია, რომ დაბალი ჯამაგირის გამოა, როცა "იურისტების ერთი ნაწილი ფულების გამოძალვას ეწევა, მეორე ნაწილი კი ხელს ჰკიდებს მეურნეობას, რათა ამ გზით გამოკვებოს ოჯახი". მაშასადამე, ლუთერის აზრით, საჭიროა დახარჯული შრომის სათანადოდ ანაზღაურება, რაც გერმანიაში არ ხდება. მაგალითად, იტალიაში იურისტებს წელიწადში უხდიან 400 დუკატზე მეტს, გერმანიაში მათ აძლევენ 4-ჯერ

ნაკლებს. აქედან გამომდინარე ლუთერი თავის ქვეყნის ხელისუფალთ აფრთხილებს: თუ გსურთ იურისტებმა (ასევე სხვა პროფესიის ადამიანებმა) "პატიოსნად იმუშაონ, მათ უკეთ უნდა აუნაზღაუროთ შრომა".

ამრიგად, ლუთერის შეხედულებანი სამართლიანობაზე, სამართალზე და იურისტების უფლება-მოვალეობაზე, მათ შრომით ანაზღაურებაზე გარკვეულ შეზღუდულობასთან ერთად ისეთ იდეებსაც შეიცავენ, რომლებიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენენ რეფორმაციის ეპოქის საზოგადოებრივ ცნობიერებაზე; ისინი შემდეგშიც არ კარგავენ აქტუალობას.

§4. ლუთერი ომისა და მშვიდობის შესახებ

ფრიად საყურადღებოა ლუთერის აზრები მშვიდობის, ომისა და სამხედრო საქმის შესახებ, რომლებიც მნიშვნელოვანწილად ავსებენ მის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თვალთახედვას. ამდენად, მათი გვერდის ავლა მართებული არ იქნებოდა.

ამთავითვე ვიტყვით, რომ ლუთერის სახით ჩვენ საქმე გვაქვს საყოველთაო მშვიდობის არა ისეთ მეხოტბესთან, როგორიც იყო ერაზმ როტერდამელი. იგი, მით უფრო, არც კლაუზევიცის მასშტაბის სამხედრო თეორეტიკოსია და არც დელბრიუკის დონის სამხედრო ისტორიკოსი. ლუთერის თხზულებებში ჩვენ ვერ ვხედავთ სამხედრო საქმის ცოდნის თუნდაც ისეთ გამოვლინებას, როგორსაც ამჟღავნებენ მისი თანამედროვენი იტალიელი ნიკოლო მაკიაველი და შვეიცარიელი ჰულდრაიხ ცვინგლი. ჩვენ არც იმის თქმა გვსურს, რომ ლუთერის შეხედულებანი მშვიდობაზე, ომსა და სამხედრო საქმეზე სავსებით მისაღებია დღევანდელობისათვის, რომ ისინი მოკლებულია რეაქციულ ელემენტებს, მაგრამ ლუთერის თხზულებებში ჩვენ ვხედებით ისეთ გამონათქვამებსაც, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა და აქტუალობა.

ლუთერს ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა იმ დროს, როცა იტალიურმა ომებმა (1494-1559წწ.) საერთო ევროპული ხასიათი მიიღო.; მათში ჩაბმული აღმოჩნდნენ: "რომის საღმრთო

იმპერია" (გერმანია), ესპანეთი, საფრანგეთი, იტალიის სახელმწიფოები, ინგლისი, შვეიცარია. უშუალოდ ლუთერის რეფორმაციულ მოღვაწეობას დაემთხვა ის ოთხი ომი (1521-1526წწ., 1527-1529წწ., 1536-1538წწ., 1542-1544წწ.), რომლებიც წარიმართა "რომის საღმთო" იმპერატორ კარლ V და საფრანგეთის მეფე ფრანსუა I შორის. კარლ V წილად ხვდა ბრძოლა ოსმალებთანაც, რომლებიც თავს დაესხნენ ჰამსბურგთა სამფლობელოებს გერმანიაში. მრავალ წერილ-წერილ სამთავროებად დაქუცმაცებულ გერმანიაში ხშირი იყო შინაფეოდალური ომებიც, რომელთა მომსწრეც თვითონ ლუთერი იყო. ამასთანავე, იგი მოწმე გახდა გლეხთა დიდი ომისაც, რომელიც ფართოდ გაიშალა გერმანიაში 1524-1525 წლებში.

რა თქმა უნდა, ყველაფერი ეს არ შეიძლება დარჩენილიყო ლუთერის ყურადღების გარეშე. უშუალოდ ამ ომების გავლენითა და შთაბეჭდილებებით არის დაწერილი მისი თხზულებანი: "შეომრებსაც ხომ შეუძლიათ აგრეთვე იყვნენ ნეტარნი" (1526წ.) და "თურქების წინააღმდეგ ომის შესახებ" (1529წ.).

ამ თხზულებების სათაურების წაკითხვამ შეიძლება გვაფიქრებინოს, რომ მათ ავტორს საეჭვოა პროგრესული გამონათქვამები გააჩნდეს ომსა და მშვიდობაზე: აკი ავტორი, როგორც ეს პირველი თხზულების სათაურიდან ჩანს, მეომართა სამოთხეში მოხვედრის შესაძლებლობას უშვებს (ეს საკითხის ერთი მხარეა, რაზეც მოგვიანებით ვისაუბრებთ), სინამდვილეში კი, როგორც ამ თხზულების საფუძვლიანი გაცნობა დაგვარწმუნებს, ერაზმ როტერდამელის მსგავსად, ლუთერიც მკაცრად გმობს ფეოდალურ აგრესიულ ომებს, რომლებიც ანადგურებენ ყოველივეს რელიგიას, სასულიერო და საერო მმართველობას. "სიღატაკე თუ სიძვირე კუდად მას თან სდევს". ასევე გმობდა ლუთერი "თოფსა და დენთს", უწოდებდა მათ "უბედურების მომტან ინსტრუმენტს", რომელიც ანგრევს "კედელსა და კლდეს, ადამიანს აიტაცებს ჰაერში". ასე, რომ თოფის წინააღმდეგ ყოველგვარი ძალა უძლურია. "ადამს რომ ეხილა ეს ინსტრუმენტი, რომელიც შექმნეს მისმა შვილებმა, დარდისაგან მოკვდებოდა", - დასძენს

ლუთერი. მაშასადამე, ლუთერის აზრით, "სულელია" ყველა ის, ვინც შეუპყრია ომის სურვილს, ვინც "პირველი იშიშვლებს მახვილს".

ნიშანდობლივია ისიც, რომ ლუთერი არ კმაყოფილდება ომების ზოგადი კრიტიკით და მისი თანამედროვე მოწინავე ადამიანების მსგავსად, აყენებს ომების თავიდან აცილების კონკრეტულ წინადადებებსაც: მიმართავს რა თავისი ქვეყნის მმართველებს, ლუთერი მათგან მოითხოვს ზრუნვას კეთილ-მეზობლური ურთიერთობის დამყარებაზე როგორც გერმანიის ფარგლებში, ისე მის გარეთ. მმართველებმა თავად უნდა გამოიჩინონ ინიციატივა და სადავო საკითხები უნდა გადაჭრან მშვიდობიანი მოლაპარაკებისა და შეთანხმების გზით. ასეთი სწრაფვა, ფიქრობს ლუთერი, ხელისუფალთა უწმინდესი მოვალეობაა. "როცა მრავალტოტიან ხეს მოჭრიან და მისი შეტანა სურთ სახლში, კენწეროში კი არ უნდა წაავლონ ხელი", რადგან ასეთ შემთხვევაში ყველა ტოტი დაიმტვრევა, არამედ "პირიქით უნდა მოიქცნენ ხეს ძირში უნდა ჩასჭიდონ ხელი და ისე გასწიონ. ასევე უნდა მოიქცნენ, როცა მშვიდობის დამყარება სურთ. ერთმა მეორეს უნდა დაუთმოს, ხოლო თუ ერთი სიმართლეს იჩემებს და მეორეს არ უთმობს, ისინი ვერასოდეს ვერ შეთანხმდებიან". იგივე აზრს შეიცავს ლუთერის ეს გამონათქვამიც: "ორი თხა ერთმანეთს რომ შეხვდეს ვიწრო ხიდზე, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი? არც ერთს არ უნდა უკან დახევა, გვერდს კი ვერ აუვლიან ერთმანეთს, და თუ ერთმანეთს დაეჯახებიან, ორივენი წყალში ჩავარდებიან. მაშ რა უნდა ქნან მათ? ერთი უნდა დაწვეს, რათა მეორეს გზა მისცეს და ორივე გადარჩება. ასე უნდა იქცეოდნენ ადამიანებიც, რათა აიცილონ ჩხუბი, შუღლი და ომი". ერთი სიტყვით, ლუთერის აზრით, ყოველ ხელისუფალს უნდა ამოძრავებდეს ასეთი ფიქრი: "მუდამ მშვიდობის ერთგული ვიქნები, თუ ამას ჩემი მეზობლებიც მოისურვებენ". ამასთანავე, ლუთერი სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობაში ვერაგული პოლიტი-კის წინააღმდეგი იყო. მას საძრახის საქციელად მიაჩნდა

სახელმწიფოს მეთაურთა ისეთი მოქმედება, როცა ისინი სიტყვით მშვიდობას იცავენ, საქმით კი მას საფუძველს უთხრიან. ამრიგად, გმობს რა ომებსა და მათ გამჩაღებლებს, ლუთერი საყოველთაო მშვიდობის მქადაგებლად გამოდის. ამდენად, მტკიცება, თითქოს ლუთერთან ჩვენ ვხვდებით მსოფლიო მასშტაბით "წესრიგის" (ე.ი. მშვიდობის) შენარჩუნების საქმეში ძალის (თვით ომის ჩათვლით) გამოყენების მოთხოვნას, როგორც ამას გერმანელი ისტორიკოსი გ.რიტერი ცდილობს, უმართებულოა. მართალია, "ორი სამეფოს" ლუთერისეული კონცეფცია შეიცავს თეზისს, რომლის მიხედვითაც, ღვთის მიერ დაწესებული საერო ხელისუფლება ვალდებულია "წესრიგი" შეინარჩუნოს ქვეყანაში, მაგრამ ამ შემთხვევაში ლუთერს მხედველობაში აქვს არა მთელი მსოფლიო, როგორც ეს გ.რიტერის ჰგონია, არამედ კონკრეტულად თავისი ქვეყანა და მისი შინაგანი პრობლემები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ გ.რიტერს მოღვაწეობა მოუხდა ნაცისტური რეჟიმის წლებში, მაშინ ცხადი გახდება, რატომ დასჭირდა მას ლუთერისეული "წესრიგის" გავრცობა მთელი მსოფლიოს მასშტაბით.

ლუთერი სახელმწიფოთაშორისო ომის წინააღმდეგი რომ იყო, ეს ჩანს მისი გამონათქვამებიდან, რომლებშიაც მხილებულია ომის ნამდვილი გამჩაღებლების ბუნება და მისწრაფებანი. ლუთერი დარწმუნებულია, რომ ომი მოსახლეობის ფართო ფენების ინტერესებიდან არ გამომდინარეობს, ლუთერი კიცხავს მათ მთავარ გამჩაღებლებს – „ძლიერთა ამა ქვეყნისათა", რომლებსაც ომების გზით სურთ მოიპოვონ მეტი პატივი, დიდება და ქონება, გაზარდონ თავიანთი სამფლობელოები ან კიდევ მათ ამოძრავებთ მეზობლებზე ჯავრის ამოყრის სურვილი და შურისძიება.

ლუთერის განსაკუთრებულ რისხვას იწვევს რომის კათოლიკური ეკლესიის მესვეურების როლი ომების გაჩაღების საქმეში. ამ საკითხზე ჩვენ ნაწილობრივ უკვე ვისაუბრეთ. ახლა იმას დავძენთ, რომ ლუთერი ბრალს დებდა პაპებს იმაში, რომ ისინი ხშირად აქტიურად მონაწილეობდნენ როგორც

სახელმწიფოთაშორის, ისე ძმათამკვლელ ომებში. მათ მუხანათურ საქციელს, ლუთერის აზრით, საზღვარი არ ჰქონდა გერმანიაში. "რამდენჯერ განკვეთეს და გადააყენეს პაპებმა იმპერატორები, რათა თვითონვე დაესაკუთრებინათ მისი უფლებები, როცა შეჩვენების გზით ვერ აღწევდნენ იმპერატორის ჩამოგდებას, მაშინ ისინი კურფიურსტებში განხეთქილებას ჩამოაგდებდნენ ხოლმე, რათა ურჩი იმპერატორი გადაეყენებინათ და თავიანთი სურვილის მიხედვით, სხვა აერჩევინებინათ, რომ ამ გზით იმპერატორზე და კურფიურსტებზე მაღლა მდგომი ხელისუფალნი გამხდარიყვნენ. ზოგჯერ აღწევდნენ ამას, ზოგჯერ ვერა, მაგრამ ამ საქმეს ყოველთვის სისხლისღვრა მოსდევდა". ვერ ვიტყვით, რომ ლუთერმა პირველმა წაუყენა ასეთი ბრალდება პაპებს. ცნობილია, რომ ადრეც და, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ლუთერის თანამედროვე გერმანელმა ჰუმანისტმა ულრიხ ფონ ჰეტენმა 1517 წელს გამოაქვეყნა ლორენცო ვალას თხზულება "კონსტანტინეს ნაბოძვრის შესახებ", რომელშიც მხილებული იყო ყველა ის სიყალბე, რასაც ემყარებოდა პაპების საერო ხელისუფლება, მასთან დაკავშირებული მრავალი ინტრიგა და ომი, არაერთი ცნობილი ადამიანი გმობდა პაპების ამ საქციელს. მაგალითად, პაპების სამარცხვინო როლზე ომების გაჩაღების საქმეში მიუთითებდნენ ერაზმი და ჰუტენი. ჰულდრაიხ ცვინგლი კი თავის "67 თეზისში" დაუფარავად წერდა: "სულიერ მამებს სისხლიან დავათა გამოსწორება კი არ სურთ, არამედ, პირიქით, ისინი ქმნიან მათ. ჩვენ დროში ვინ არ ხედავს, რომ პაპია მიზეზი ხანგრძლივი ომისა (საუბარია იტალიურ ომებზეც გ.კ.); იგი ვერ იტანს ხან იმპერატორს, ხან მეფეს და ამგვარ დავამდე დაჰყავს საქმე ქრისტესა და მშვიდობის სახელით". ამ ავტორების მსგავსად, ლუთერიც იმ დასკვნამდე მიდიოდა, რომ პაპების სამარცხვინო როლს ომების გაჩაღების საქმეში მანამდე არ მოეღება ბოლო, ვიდრე მათ არ ჩამოერთმევათ უკანონოდ მითვისებული საერო ხელისუფლება, ვიდრე მათი მოღვაწეობის სფერო არ შემოიფარგლება მხოლოდ სასულიერო საქმეებით.

ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ლუთერი გამოდიოდა დამპყრობლური, სხვისი მიწების მიტაცებისათვის წარმოებული

უსამართლო ომების წინააღმდეგ. გმობდა ანექსიას და ყველა იმათ, ვინც ომების გაჩაღების საქმეში აქტიურად მონაწილეობდა. მშვიდობისთვის ზრუნვა მიაჩნდა მას ხელისუფალთა უკეთილშობილეს მოვალეობად.

მართალია, ლუთერი ხაზგასმით არსად არ ამბობს, რომ ომის აღმოფხვრის საქმეში ფართო მასებსაც უნდა მიეღოთ მონაწილეობა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ იგი ქვეშევრედომებისაგან მოითხოვდა უარის თქმას უსამართლო ომებში მონაწილეობაზე (ამაზე უფრო დაწვრილებით ქვემოთ ვისაუბრებთ), მაშინ ცხადია, რომ ლუთერი, ერაზმის მსგავსად, მშვიდობისათვის ზრუნვას, ხელისუფლებთან ერთად, რიგით ადამიანებსაც აკისრებდა.

ომის საწინაღმდეგო ლუთერისეულ გამონათქვამებზე რომ ვმსჯელობთ, ამით იმის თქმა კი არ გვსურს, რომ ლუთერი, საერთოდ, უგულებელყოფდა ყოველგვარი ომის, მათ შორის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი ბრძოლის, საჭიროებას. ეს რომ ასე არ არის, ჩანს ომების მისეული კლასიფიკაციიდან. მართალია, ომების დახასიათებისას ლუთერი არ იყენებს "სამართლიანი" და "უსამართლო" ომების ცნებებს, მაგრამ მის ქვემოთ მოტანილ გამონათქვამებში აშკარად შეიმჩნევა ამგვარი კლასიფიკაციისაკენ მისწრაფება. "თუ მე მეზობელი მაიძულებს დავიწყო ომი, წერდა ლუთერი, - ასეთ ომს უნდა ეწოდოს არა მხოლოდ ომი, არამედ - იძულებითი... თავდაცვა. ეს იმიტომ, რომ ომი ომისაგან უნდა განირჩეოდეს, სახელდობრ, ომი, რომელსაც ზოგიერთი იწყებს მონდომებით და სურვილით, და ომი, რომელსაც ზოგიერთს თავს მოახვევენ და აიძულებენ, აუცილებლობას უქმნიან იომოს". "პირველს, განაგრძობდა იგი, ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ ომი ომისადმი სიყვარულოს გამო, მეორეს კი ომი აუცილებლობის გამო. ამრიგად, სამშობლოს დაცვის მიზნით წარმოებულ ომს ლუთერი სამართლიან ომად აცხადებს. უფრო მეტიც, ასეთ ომს იგი ღვთის სანქციას ანიჭებდა ამბობდა, ასეთი ომი "ღმერთისათვის საამოა". ამ პრინციპიდან გამოდიოდა ლუთერი, როცა თავის თხზულებაში წერდა: "მეომრებსაც

შეუძლიათ, აგრეთვე, იყვნენ ნეტარნი", რომ სამშობლოს დაცვის მიზნით წარმოებული კაცისკვლა მათ ცოდვათ არ ჩაეთვლებოდათ. სხვათა შორის, ანალოგიურ აზრს გამოთქვანდა ერაზმიც: "ადამიანის მოკვლა მაშინ არ არის ცოდვა, როცა იგი შენს სამშობლოს ესხმის თავს". ამრიგად, როგორც ერაზმთან, ისე ლუთერთან, სამშობლოს დაცვის საქმე წმინდათაწმინდა მოვალეობად იყო გამოცხადებული.

აღსანიშნავია, რომ ლუთერი თვით სამართლიანი ომის შემთხვევაშიც ყოველგვარი აჩქარების წინააღმდეგი იყო. როგორც ზემოთაც ვთქვით, ასეთი ომის დაწყებას იგი მოითხოვდა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავდასხმის საშიშროების წინაშე მყოფი ქვეყნის მმართველის მხრიდან სადავო საკითხის მშვიდობიანი გადაჭრის ყოველი ცდა უშედეგოდ ჩაივლიდა. ლუთერი წერდა, რომ თუ მშვიდობისაკენ სწრაფვას არ გამოიჩენს "შენი მეზობელი, მაშინ შენ შეგიძლია დაცვა სუფთა სინდისით აწარმოო". სწორედ ამ პრინციპიდან გამოდიოდა ლუთერი, როცა ამართლებდა იმპერატორ კარლ V ბრძოლას საფრანგეთის მეფის წინააღმდეგ, თუმცა ვერ ვიტყვით, რომ აქ იგი ყველაფერში თანმიმდევრული და მართალი იყო. მხედველობაში ჰქონდა რა იტალიური ომები, ლუთერი წერდა: "საფრანგეთის მეფეს რომ არ წამოეწყო ომი იმპერატორ კარლთან, მას არ გაანადგურებდნენ და იგი (ე.ი. საფრანგეთის მეფე - გ.კ.) ასე სამარცხვინოდ არ ჩავარდებოდა ტყვედ".[1]

მაშასადამე, ხელმძღვანელობდა რა ტრადიციული გაგებით, რომლის მიხედვით, იტალია "რომის საღმრთო იმპერიის" შემადგენელი ნაწილია, ლუთერი კარლ V მოქმედებაში ხედავდა ოდითგან შექმნილი იმპერიის დაცვის უფლების გამოვლენას. რამდენად სწორია ასეთი პოზიცია, ეს სხვა საქმეა. ამ შემთხვევაში ლუთერი გამონაკლისი არ ყოფილა, ლუთერამდე ბევრად უფრო ადრე იმპერიის ერთიანობის იდეას იტალიელი

---

[1] ცნობილია, რომ იმპერატორმა კარლ V 1525 წელს პავიასთან გაანადგურა ფრანგთა არმია და ფრანსუა I ტყვედ ჩაიგდო.

დანტე ალიგიერიც იცავდა თავის თხზულებაში "De monarchia" ში. ანალოგიური აზრისა იყო ლუთერის თანამედროვე ბევრი მოწინავე ადამიანიც, მაგრამ ის გარემოება, რომ ლუთერი, საერთოდ გმობდა უსამართლო ომებსა და ამ ომების წამომწყებთ, მოსაწონი და პროგრესულია. იტალიური ომების შეწყვეტის შესაძლებლობას იგი მხოლოდ იმაში ხედავდა, რომ ფრანგებს ხელი უნდა აეღოთ იმპერიის ხელყოფის განზრახვაზე და რადგანაც მათ პირველებმა დაიწყეს ომი, ასევე პირველებს უნდა შეეწყვიტათ იგი.

ანალოგიური პოზიცია ეკავა ლუთერს, როცა ოსმალებთან ომის საჭიროების საკითხს ეხებოდა. თუ 1526 წელს დაწერილ თხზულებაში "მეომრებსაც ხომ შეუძლიათ, აგრეთვე, იყვნენ ნეტარნი" მას საჭიროდ არ მიაჩნდა თურქების წინააღმდეგ ომი, ვინაიდან ისინი "თავიანთ სამშობლოში გაბრუნდნენ". მოგვიანებით, 1529 წელს, როცა თურქებმა უშუალო საფრთხე შეუქმნეს გერმანიას (თურქთა ჯარი ვენის მისადგომებთან იდგა), ლუთერმა კატეგორიულად მოითხოვა, რომ გერმანელები მტკიცედ შებრძოლებოდნენ მათ. თურქს, მისი აზრით, არა აქვს უფლება თავს დაესხას "იმ ქვეყნებს, რომლებიც მას არ ეკუთვნის. ცხადია, მისი ომი სუფთა ბოროტებასა და ძარცვას წარმოადგენს".

ოსმალებთან ომის საჭიროების საკითხს ლუთერი სხვა კუთხითაც აშუქებდა. მას ღრმად სწამდა, რომ თურქები მის ქვეყანას ემუქრებიან არა მარტო ძარცვის მიზნით, არამედ რელიგიური მოსაზრების გამოც. ამიტომაც, ფიქრობდა იგი, თურქებთან ომის დროს ბრძოლის ორი ფორმა "სულიერი ომი" და "ხორციელი ომი" შეხამებულად უნდა იქნეს გამოყენებული. მხოლოდ ასეთ მოქმედებას მოაქვს წარმატება.

ბუნებრივად იბადება კითხვა: რა კონკრეტულ შინაარსს გულისხმობდა "სულიერ ომსა" და "ხორციელ ომში". მისი თხზულებების გაცნობა გვარწმუნებს, რომ მასთან "სულიერი ომი" - ესა საკუთარი, ქრისტიანული რელიგიის უპირატესობის ჩვენება და ამ გზით ისლამის დასაყრდენი "ძალისა და ღვთაებისათვის" ძირის გამოთხრა. ეს ნიშნავს იმას, რომ

"ლოცვითა და ღმერთისადმი ვედრებით (და არა "მუშტებით..., როგორც ამას პაპი და მისი მსახურები" ქადაგებენ) დაიძლიოს ალაჰი, რომელიც, ლუთერის აზრით, ეშმაკს წარმოადგენს; ნაჩვენები უნდა იქნეს ყურანის დამღუპველი მნიშვნელობა და ანტიქრისტიანული ხასიათი, რომელიც ისლამში ვლინდება სამ გარემოებაში: ჯერ ერთი, მუჰამედი დაყენებულია ქრისტეზე მაღლა, მეორე, დაშვებულია სამფლობელოების გაფართოება "მახვილის მეშვეობით"; მესამეც, გამართლებულია უპატივმცემ-ლობა ცოლქმრული დამოკიდებულებისადმი. როგორც ვხედავთ, ბრალდებანი საკმაოდ სერიოზულია. ცხადია, ლუთერს ისლამის ამგვარი კრიტიკითა და ქრისტიანული რელიგიის უპირატესობის ჩვენებით სურდა გერმანიის საზღვრებს მომდგარი ოსმალების იდეური განადგურება, ეს მიაჩნდა მას მათი "ხორციელი" განდევნის საწინდრად. იგი წერდა: "თუ ჩვენ ჯერ არ დავა-მარცხებთ თურქების ღმერთს, რომელიც ეშმაკს წარმოადგენს, მაშინ უნდა გვეშინოდეს იმისა, რომ თურქების დამარცხება არცთუ ისე ადვილი საქმე იქნება".

რაც შეეხება "ხორციელ ომს", ლუთერი ფიქრობდა, რომ იგი მიმართული უნდა იქნეს "ურწმუნო" თურქების ხორციელი მისწრაფებების აღკვეთისაკენ. რამდენადაც თურქები განადგუ-რებით ემუქრებიან არა მარტო "ქრისტიანულ რწმენასა და თვით იესო ქრისტეს", არამედ გერმანიასა და გერმანელ ხალხს, ლუთერის აზრით, საჭიროა მათი განდევნა ყოველგვარი იარაღის - "აბჯრის, თოფის, ცხენისა და ადამიანის" გამოყენებით. უფრო მეტიც, აგრესორის წინააღმდეგ ბრძოლას იგი ქრისტიანულ საქმედ აცხადებდა. "ქრისტიანული საქმეა, სიყვარულის საქმეა, - წერდა ლუთერი, - უშიშრად სცემო, ძარცვო, გადაბეგო მტერი და ყველაფერი მტრისა, მოიმოქმედო ყოველივე, რასაც ზიანი მოაქვს მტრისათვის". ამასთანავე, ლუთერი კატეგორიული წინააღმდეგი იყო იმისა, რომ მისი ქვეყნის ჯარისკაცებს მიე-მართათ მოწინააღმდეგეთა "ქალებისა და ქალიშვილების გაუპა-ტიურებისათვის". ასეთ ქცევაში იგი ხედავდა საძრახის საქმეს, მიუღებელს ქრისტიანული მორალისათვის.

როდესაც "სულიერი" და "ხორციელი" ომების აუცილებლობას ეხება, ლუთერი იხილავს საკითხსაც, თუ ვინ უნდა წარმართოს თითოეული მათგანი. სულიერი ომის წარმართვა, მისი აზრით, მხოლოდ "ჭეშმარიტი ქრისტიანების" (ე.ი. ჭეშმარიტად მორწმუნე სასულიერო პირების) მოვალეობაა, ესაა მათი ქრისტიანული საქმე; სწორედ მათ უნდა ამხილონ ისლამის დამღუპველობა და მისი ანტიქრისტიანული ხასიათი, ის, რომ ისლამით მოწამლული თურქები იქცნენ "ეშმაკის მსახურებად" და განადგურებით ემუქრებიან არა მარტო ქრისტიანულ ქვეყნებსა და ქრისტიანებს, არამედ "ქრისტიანულ რწმენას და თვით იესო ქრისტესაც".

ხორციელი ომის წარმოების უფლება კი, ლუთერის აზრით, გააჩნია საერო ხელისუფალთ. მხედველობაში ჰყავდა რა გერმანიის იმპერატორი კარლ V, ლუთერი წერდა: "იმპერატორმა, როგორც საერო ხელისუფალმა, თურქებთან ომი თვითონ უნდა იკისროს... ეს იმიტომ, რომ თურქი თავს ესხმის მის ქვეშევრდომებს და მის სამეფოს, და იგი, როგორც წესიერი ხელისუფალი, დაყენებული ღმერთის მიერ, ვალდებულია დაიცვას თავისიანები". ამასთანავე, ლუთერის აზრით, იმპერატორმა "ხორციელი ომი" უნდა აწარმოოს არა შურისძიებისა და ჯავრის ამოსაყრელად, ან იმისათვის, რომ "მიიღოს დიდი პატივი, დიდება და ქონება და გაზარდოს თავისი ქვეყანა", ან იმისათვის, რომ თავის ქვეყანას თავიდან ააცილოს მოსახლეობის სიჭარბითა და მოუსავლიანობით გამოწვეული სიძვირე და სოციალური აფეთქება, როგორც ამას ულრიხ ფონ ჰუტენი ქადაგებდა[1], არამედ მხოლოდ იმისათვის, რომ დაიცვას ქვეყანა და ხალხი. განსხვავებით ცვინგლისაგან, რომელიც თავდაცვითი ომების აუცილებლობას რელიგიური მოტივებითაც ასაბუთებდა, ლუთერი კატეგორიულად ილაშქრებდა იმის წინააღმდეგაც, რომ იმპერატორს "სახარების საქმეში

---

[1] ულრიხ ფონ ჰუტენი ომების საჭიროებას ასაბუთებდა არა მარტო გარეგანი საშიშროების თავიდან აცილების მიზნით, არამედ თვით ქვეყნის შიგნით მოსალოდნელი სოციალური აფეთქების აცილების აუცილებლობითაც. ასეთ აზრს გამოთქვამდა იგი თავის თხზულებაში "თურქული სიტყვა".

ჩაერთო ომის საქმე", რომ ეკლესიის მფარველობის მოტივით მას ადამიანები ეხოცა. თუ იმპერატორი მაინცდამაინც არ დაიშლის და მოისურვებს "თურქების როგორც ურწმუნოების და ანტიქრისტიანების (და არა როგორც მისი ქვეყნის მტრების) გაწყვეტას, წერდა იგი, მაშინ მას ეს უნდა დაეწყო არა თურქებიდან, არამედ პაპიდან, ეპისკოპოსებისა და სამღვდელოებიდან; ამისათვის შეიძლებოდა მას ჩვენი და საკუთარი თავიც კი არ დაეზოგა; ეს იმიტომ, რომ მის სამეფოშიც არის საძაგელი კერპთაყვანისმცემლობა".

ამრიგად, როცა "სასულიერო" და "საერო" საქმეებში მოქმედების სფეროებს მიჯნავს, ლუთერი ავითარებს იმ აზრს, რომ იმპერატორის მოვალეობას შეადგენს თავისი ქვეყნისა და ხალხის დაცვა მხოლოდ "ხორციელი" ხელყოფისაგან. ე.ი. მისი აზრით, იმპერატორის ბრძოლას თურქების წინააღმდეგ საფუძვლად უნდა დაედოს არა ის, რომ ისინი "ურწმუნონი" არიან, არამედ ის, რომ თურქნი ხელყოფდნენ მის სამეფოსა და ქვეშევრდომებს. აღსანიშნავია, რომ ლუთერი ასე უდგებოდა გერმანიის სხვა ხელისუფალთა - მთავართა უფლება-მოვალეობასაც. მისი აზრით, "გერმანიის მთავრები და ბატონები მხოლოდ თავიანთთვის როდი უნდა ზრუნავდნენ, მათ უნდა ესმოდეთ, რომ ისინი არიან მმართველნი, რომლებიც სხვებს ეკუთვნიან". ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი ვალდებულნი არიან დაიცვან თავიანთი ქვეშევრდომნი და მშვიდობა შეუნარჩუნონ მათ. ეს მათი "სინდისის საქმე" უნდა იყოს.

ამრიგად, ვაანალიზებთ რა ლუთერის შეხედულებებს სამართლიან და უსამართლო ომებზე, აგრეთვე, სამართლიან ომებში ხელისუფალთა უფლება-მოვალეობაზე, მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ამ შეხედულებებიდან ზოგიერთი რამ დღესაც მისაღები და აქტუალურია.

§5. მევახშეობისაგან ქვეყნის დახსნის ლუთერისეული გზები

ლუთერმა მშვენივრად იცოდა, რომ "მიწა კვებავს ადამიანს", რომ ის ადამიანი იქცევა "უკეთესად, ვინც საღვთო წერილის

თანახმად, ამუშავებს მიწას და მასში პოულობს თავის გამოსაკვებს". მიწათმოქმედებისა და ხელოსნობის უპირატესი განვითარება აი, რა მიაჩნდა მას ქვეყნის განუხრელი განვითარებისა და ზნეობრივი სიწმინდის დაცვის გარანტიად. რაც შეეხება "ყიდვა-გაყიდვას" ანუ ვაჭრობას, ლუთერის აზრით, ისიც "აუცილებელი საქმეა", ურომლისოდაც ქვეყანას წინსვლა არ უწერია. საძრახისი როდია ადამიანებმა გაყიდონ ან იყიდონ ყოველდღიური მოთხოვნილების საგნები, აკი "პატრიარქებიც ყიდულობდნენ და ყიდდნენ პირუტყვს, მატყლს, პურს, ერბოს, რძეს" და ყველა იმ "ღვთიურ საჩუქარს, რომელიც მათ ეძლევათ მიწიდან და ნაწილდება ადამიანებს შორის". მაგრამ ამასთანავე ლუთერს მიუღებლად მიაჩნია ვაჭართა იმ ნაწილის საქმიანობა, რომლებიც შორეულ საშუამავლო ვაჭრობას ემსახურებიან და აკმაყოფილებენ მზარდი აზნაურულ მთავრული წოდების "მისწრაფებას ფუფუნებისადმი". როცა გერმანელებს ასე ბევრი გვაქვს "მატყლი, ბეწვი და სელი", რაც ასე საჭიროა სამოსელისათვის, ინდოეთიდან და სხვა ქვეყნებიდან არ უნდა შემოგვქონდეს აბრეშუმი, ხავერდი, ფარჩა, ოქროულობა და სანელებლები, რომლებიც "ემსახურებიან ფუფუნებას" და არა სარგებლობას, მათ მხოლოდ ფულის გადინება და უზნეობა მოაქვთ ქვეყნისათვის, წერდა ლუთერი. ანალოგიური აზრის შემცველია მისი ეს სიტყვებიც: "ღმერთმა გერმანელები გააჩინა არა იმისთვის, რომ უცხო ქვეყნებში გადავისროლოთ ჩვენი ოქრო-ვერცხლი, მთელი მსოფლიო გავამდიდროთ, ჩვენ კი გავმათხოვრდეთ". ცხადია, ლუთერის ამ სიტყვებში თავს იჩენს ადრეული მერკანტილიზმის დამახასიათებელი ცალკეული ნიშნები: მისი აზრით, აუცილებელია ოქრო-ვერცხლის ქვეყნიდან უთავბოლო გადინების აკრძალვა, ხელოსნობისა და მიწათმოქმედების განვითარება, ქვეყნის შიგნით დამზადებული საგნებისა და პროდუქტების წინ წამოწევა და მისი რეალიზაცია.

სამწუხაროდ, ლუთერის აზრით, ქვეყნის სასიკეთოდ მიმართული ამდაგვარი განვითარება უცხო იყო "სავაჭრო კომპანიებისა" და მევახშეებისათვის, რომელთა საქმიანობა გერმანიაში XV

საუკუნიდან იღებს სათავეს. მევახშე, რომელიც სესხს გასცემს, თითქოს კეთილშობილურ საქციელს სჩადის ეხმარება გაჭირვებულს, სინამდვილეში ამ დახმარების ქვეშ უხეში ექსპლუატაცია იმალება. "დახმარებას" იგი სამმაგად და უფრო მეტადაც ამოიგებს. მევახშეები დაუნდობლად იქცევიან მაშინაც, როცა შეისყიდიან პურს და ელოდებიან ხელსაყრელ დროს, მოუსავლიან წელს, რათა ეს პური გაყიდონ სამგზის ძვირად. ერთი სიტყვით, ისინი მდიდრდებიან სხვისი გაჭირვების ხარჯზე; საქონელს ისინი თვითნებურად უმატებენ ან აკლებენ ფასს, ყელეფენ ხალხს, გლეხობასა და წვრილ მოხელეებს, დაუნდობელნი არიან წვრილი ვაჭრების მიმართ, რომელთაც ისე ექცევიან, ვით "ქარიყლაპია წვრილ თევზებს წყალში", სპობენ და ანადგურებენ, თითქოსდა მათი უფლება იყოს - ფლობდნენ "ღვთის ყველა ქმნილებას". მევახშეებს, — განაგრძობს ლუთერი, ას წელზე მეტია უბედურება მოაქვს გერმანელებისათვის; თუკი მათი საქმიანობა "კიდევ ას წელს გასტანს, მაშინ გერმანიაში არცერთი გროში არ დარჩება და, მაშასადამე, ჩვენ ერთმანეთის შეჭმა მოგვიწევს, ეშმაკმა მოიგონა ის, ხოლო პაპმა დაამკვიდრა და გავრცელდა მთელს ქვეყანაში".

ამ ფრაზაში პაპს ლუთერი შემთხვევით როდი მოიხსენიებს. საქმე ისაა, რომ, როგორც ადრე ვთქვით, პაპის წარმომადგენლებს (ტეცელსა თუ სხვას) გერმანიაში, ინდულგენციებით რომ ვაჭრობდნენ, ყოველთვის გვერდში ედგნენ მევახშეები, სახელდობრ, ფუგერები და დიდ მოგებასაც ნახულობდნენ, თუმცა, ამ მოგების მიუხედავად, ისინი საოცრად გულქვა და წუწურაქები იყვნენ, თანამოქალაქეთა სატკივარი გულთან ახლოს არ მიჰქონდათ. მაგალითად, ფუგერებს, წერდა ლუთერი, — ის სურთ, რომ "მთელი მსოფლიო მისთვის შიმშილობდეს და სწყურიოდეს, იღუპებოდეს სიღატაკესა და მწუხარებაში, რომ მას ჰქონდეს ყველაფერი, და რომ თითოეული იღებდეს მისგან, როგორც ღმერთისგან, რომ ყველა იყოს მისი ყმა". "შეიძლება ღვთიური ან სამართლიანი ვუწოდოთ იმას, რომ ერთმა კაცმა (ე.ი. ფუგერმა გ.კ.) მოაგროვა ამდენი მეფური სიმდიდრე",

დასძენდა ლუთერი და საერო ხელისუფალთაგან იმის შეგნებას მოითხოვდა, რომ არ დაეშვათ მევახშეთა პარპაში და უნამუსობა, მაგრამ ერთია მოთხოვნა და მეორე - მისი აღსრულების სურვილი. ლუთერი ხედავდა, რომ გერმანელი მთავრები თავიანთი სახელმწიფოებრივი მოვალეობის აღსრულებაზე კი არ ფიქრობდნენ, არამედ პირიქით იქცეოდნენ, მევახშეებთან ერთად შეთანხმებით მოქმედებდნენ, მათი ინტერესები გადანასკული იყო, ერთმანეთს ემსგავსებოდა „მათი ჟინი და ჩვეულება". "სრულდება ისაიას წინასწარმეტყველება, - წამოიძახებს ლუთერი, - შენი მთავრები გახდნენ ქურდების თანამზრახველები. ისინი ახრჩობენ პატარა ქურდებს, რომლებმაც მოიპარეს გულდენი ან ნახევარგულდენი, ხოლო იმ ქურდებთან, რომლებიც ძარცვავენ მათ ქვეყანას, ერთობლივად მოქმედებენ".

ლუთერისათვის ერთგვარი შვების მომტანია იმის გააზრება, რომ ღმერთი არ ივიწყებს გერმანიას, რომელსაც უგზავნის "შარაგზის ყაჩაღებს". "ღმერთი, წერს იგი, გვიგზავნის რაინდებს და ყაჩაღებს და მათი მეშვეობით სჯის ვაჭრებს უკანონობისათვის. ასე უსწორდება ის ერთ თაღლითს მეორეთი". რამდენად სწორია მევახშეობისაგან ქვეყნის განთავისუფლების ეს გზა, სხვა საქმეა, იგი გულის მოოხებას უფრო ნიშნავს, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ლუთერი ერთ-ერთი პირველთაგანია, ვინც შეეცადა გაეკრიტიკებინა გერმანული სავაჭრო-სავახშო კომპანიები ანუ, როგორც მას უწოდებდნენ, "მონოპოლიები". თანაც ეს გააკეთა მან არა მარტო იმის გამო, რომ ამ კომპანიებში მართებულად ხედავდა პაპების მოკავშირეს გერმანიაში, არამედ იმიტომაც, რომ მათი წყალობით მის ქვეყანაში დარღვეული იყო ვაჭრობის აქტიური ბალანსი. "სიზარმაცესა და ფუფუნებაში" მაცხოვრებელი ეს ადამიანები სხვათა შრომის ხარჯზე ეწეოდნენ მფლანგველურ და გარყვნილ ცხოვრებას, ნაკლებად აინტერესებდათ ოჯახური ტრადიცია და სიწმინდეები და უზნეობას ამკვიდრებდნენ მთელს გერმანიაში. აკი, ახალგაზრდა გოგონები და ქალები მათ თავიანთი აკბორცობის მოსაოხებელი გაუხდიათ, თუმცა საროსკიპოების შექმნაში, ლუთერის აზრით,

ხელისუფალთა ხელიც ურევია. "განა შეურაცხმყოფელი არ არის, წერს ლუთერი, როცა ჩვენ, ქრისტიანები, ნებას ვაძლევთ იარსებოს საროსკიპოებმა და იმავდროულად თავს ვდებთ პატიოსნებაზე. მე კარგად ვიცი, ამას ზოგიერთი იმით ამართლებს, რომ, მათი აზრით, ეს დამახასიათებელია არა მარტო ჩვენთვის, რომ უმჯობისია ასეთი დაწესებულების ქალებთან ვიაროთ, ვიდრე შევარცხვინოთ გათხოვილი ქალები, ან ქალიშვილები, საერთოდ პატიოსანი ქალი. თუ ისრაელის ხალხმა შესძლო ეარსება ასეთი სახლების გარეშე, მაშინ ქრისტიან ხალხს რატომ არ შეუძლია ეს? გერმანელებმა რატომ უნდა იარონ იმ ვირთხების "რჩევით", რომელთაც ნაკლებად აწუხებთ ჩვენი ქვეყნის ბედი". ამრიგად, გმობდა რა სავაჭრო სავახშო კომპანიების მესვეურთა თვითნებობასა და უზნეობას, რეფორმატორი გერმანიის საერო ხელისუფალთ ერთხელ კიდევ შეახსენებდა იმის აუცილებლობას, რომ ქვეყანა გაეთავისუფლებინათ ამ გარეწრებისაგან ანუ, როგორც თვითონ ამბობს, "ოთხმაგი ქურდებისა და კაცისმკვლელებისაგან"; მათთვის უნდა ჩამოერთმიათ ის "მეფური სიმდიდრე", რითაც თავს იწონებდნენ და რყვნიდნენ ახალგაზრდებს, უნდა მოებრუნებინათ საერო ცხოვრებისაკენ ის ახალგაზრდებიც, "ვინც უარს ამბობდა ქორწინებაზე და შედიოდა სასულიერო წოდებაში იმ მოტივით, რომ მოიპოვოს საარსებო საშუალება... ასეთი სულწასულობა ღუპავს ყველაფერს, ადამიანი მიჰყავს უნამუსობამდე და სრულ გადაგვარებამდე, თვით ხალხისა და ქვეყნის გაქრობამდე". ლუთერი გერმანელი ახალგაზრდების "გადარჩენის" სხვა კონკრეტულ გეგმასაც წარმოაჩენდა, ხელისუფალთაგან იმას მოითხოვდა, რომ ახალგაზრდებისათვის შეექმნათ ყველა პირობა, რათა ფიზიკური და გონებრივი შრომით მოეპოვებინათ საარსებო საშუალება, შრომასა და სწავლაში ეძებნათ თავიანთი არსებობის გამართლება, ყოველგვარ მანკიერებაზე უარის თქმისა და სულიერი ამაღლების საშუალება.

თავი VI

ლუთერის პედაგოგიკური შეხედულებანი

ლუთერი იყო არა მარტო პედაგოგ-პრაქტიკოსი – პროფესორი უნივერსიტეტისა, არამედ თეორეტიკოსიც, რომელმაც თავის თხზულებებში გვერდი ვერ აუარა პედაგოგიკისა და განათლების რეფორმის საკითხებსაც, და ეს არც შეეძლო სხვაგვარად, რამეთუ საეკლესიო პროგრამის ცხოვრებაში გატარება, რომელსაც იგი აყენებდა, შეუძლებელი იყო სქოლასტიკაზე დაფუძნებული აღზრდა-განათლების ძველი სისტემის გარდაქმნის გარეშე. თვით საერო ცხოვრებისა და საერო მმართველობის მისეული რეაბილიტაციაც ამგვარი გარდაქმნის საჭიროებაზე მიუთითებდა.

სქოლასტიკური აღზრდა-განათლების უვარგისობისა და სასკოლო განათლების ახლებურად მოწყობაზე ლუთერს საუბარი აქვს თავის თხზულებებში "გერმანელი ერის ქრისტიან თავადაზნაურობას", "დარიგება, რათა ბავშვები სკოლაში გვყავდეს მიბარებული", "სუფრული საუბრები" და სხვა, რომლებიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ლუთერის პედაგოგიკურ შეხედულებებზე, აგრეთვე, სასკოლო და საუნივერსიტეტო დისციპლინებზე და ა.შ. ამ საკითხების ირგვლივ ლუთერის ზოგიერთ გამონათქვამს, რა თქმა უნდა, ვერ გავიზიარებთ, მაგრამ არის ნაწილი საკითხებისა, რომლებიც საოცრად ადამიანური, ჰუმანური პოზიციებიდანაა გაშუქებული და, ამდენად, მათ გვერდს ვერ ავუვლით. ისინი გავლენას ახდენენ თვით XIX საუკუნის გერმანული სკოლების განვითარებაზე. ზოგიერთი მისი იდეა დღესაც აქტუალურად ჟღერს.

§1. ლუთერი განათლების მნიშვნელობისა და სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლების ახლებურად მოწყობის შესახებ.

ლუთერის პედაგოგიკური მოძღვრების ცენტრში განათლების და აღზრდის საკითხები დგას. ეს შემთხვევითი არაა. საქმე

ისაა, რომ მის თანამედროვე გერმანიაში სათანადო ყურადღებით არ ეკიდებოდნენ განათლებისა და აღზრდის საქმეს, მისი თანამემამულენი მოკლებულნი იყვნენ "ბუნების წყალობის" ჯეროვანი გამოყენების უნარს. ამასთან დაკავშირებით იგი წერს: "გერმანია ძალიან კარგი ქვეყანაა, მას ყველაფერი აქვს საკმარისი, რისი მიღებაც შეიძლება ბუნებისაგან: ყოველნაირი ხილი, მარცვლეული, ღვინო, მარილი, მაღაროები და სხვა, რაც კი მიწიდან მიიღება; გვაკლია მხოლოდ ის, რომ ჯეროვნად ვერ ვიყენებთ ყოველივე ამას". თავის სათქმელს რეფორმატორი უფრო მკაფიოდ გადმოსცემს, როცა აღნიშნავს: "გერმანელებს არაფერი აკლიათ, ყველაფერი საკმარისი აქვთ, მხოლოდ გონება, მეცნიერება, სიბეჯითე და საგნების სწორად გამოყენების უნარი აკლიათ". მაშასადამე, მსგავსად ერაზმ როტერდამელისა[1], ლუთერი თავისი ქვეყნის ხელისუფალთ და ხალხს იმას უმტკიცებს, რომ ყოველგვარი სიკეთის წყაროს წარმოადგენს განათლება, რომ ადამიანს არ შეიძლება იმაზე მეტი და უკეთესი ქონება ქონდეს, ვიდრე ცოდნაა - ადამიანს შეიძლება "სახლი და კარი დაეწვას, ცოდნა კი მუდამ თან ექნება"[2].

ლუთერი განათლების დიდ ზნეობრივ ძალაშიც იყო დარწმუნებული. თუ ადამიანთა განათლების უკმარისობა, აცხადებდა იგი, ყოველგვარი საზოგადოებრივი მანკიერების, ბოროტების და შეზღუდულობის საწყისი და საფუძველია, განათლება კი, პირიქით, ადამიანთა გამაკეთილშობილებელია, იგი ადამიანებს დახვეწილ მანერებსა და წეს-ჩვეულებებს,

---

[1] "საზოგადოების კეთილდღეობა, წერდა ერაზმ როტერდამელი "ანტიბარბაროსების წიგნებში", - როგორც მე წარმომიდგენია, დამოკიდებულია სამ ძალაზე: მთავრის წესიერ აღზრდაზე, მქადაგებლებზე და სკოლის მასწავლებლებზე".

[2] რეფორმატორის ეს სიტყვები ერთგვარ პარალელს პოულობს XVIII საუკუნის ქართველი პოეტის დ.გურამიშვილის შემოქმედებასთან სწავლა-განათლების შესახებ: "სწავლა სიკვდიმდე შენია, მუდამ შენთანა მყოფელი, მას გეცილების ვერაკინ, არ არის გასაყოფელი", - წერდა იგი "ქართლის ჭირის" 32-ე სტროფში.

ღვთისმოსაობისა და სამართლიანობის გრძნობას უღვიძებს. განათლებული ადამიანი, თუ მას მაღალი ზნეობაც ახლავს, ბოროტებას არ ჩაიდენს, იგი ნიადაგ ჭეშმარიტების მთქმელი და სიკეთის მთესველია. ერთი სიტყვით, განათლებაში ლუთერი ხედავდა იმ ფენომენს, რომელიც უჩვენებდა ადამიანებს სულიერ და ფიზიკურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების ჭეშმარიტ გზას, ასწავლიდა, როგორ დაემორჩილებინათ გონებისათვის "უვიცობით" გამოწვეული ზღვარდაუდებელი ოცნებანი და ვნებები. აქედან გამომდინარე, ლუთერი, ბუნებრივია, ვერ ურიგდებოდა განათლების მოძულე ადამიანებს, იმათ ვისაც "სწავლულებისა და მქადაგებლების" გარეშე, თვითნებურად სურთ ცხოვრება. ამის დაშვება, მისი აზრით, მსოფლიოს დაღუპვას დააჩქარებდა. განათლებისა და სწავლების გარეშე, - წერდა იგი, - "მსოფლიო დაიღუპებოდა, რადგან გონების, სიბრძნისა და კანონების გარეშე არც თურქებს და არც იმათ, ვინც განწირულია ჯოჯოხეთისათვის, არ შეუძლიათ ცხოვრება". განათლებაზე უარის თქმა მას თვით ადამიანობაზე ხელის აღებად მიაჩნდა. "ადამიანებს სამართალი, კანონები და წესრიგი სჭირდებათ, ხოლო თუ დათვები, მგლები, ლომები მხეცები ხართ, მაშინ ეკონომიკისა და პოლიციის (Okonomie und Polizei) გარეშე იცხოვრეთ, არც სახლი დაგჭირდებათ, არც საერო მმართველობა და არც აღზრდა", დასძენდა იგი. მაშასადამე, ლუთერისათვის განათლება, სწავლება თვითმიზანი კი არაა, არამედ ადამიანში ადამიანურობის ჩამოყალიბებისა და ნორმალური საზოგადოებრივი ურთიერთობის შექმნის აუცილებელი პირობა.

თუ რაოდენ დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა განათლებას ზნეობრივი სრულყოფისა და საზოგადოებრივი სიკეთის საქმეში, ეს კარგად ჩანს თავისი ქვეყნის მმართველთა გაუნათლებლობის შესახებ ლუთერის მსჯელობისას. ესმოდა რა, რომ გონიერი, განათლებული ხელისუფალი თვითონაა ყოველგვარი უზნეობის მტერი, რომელიც საზოგადოებრივს პირადულზე მაღლა აყენებს, ემსახურება ხალხის კეთილდღეობას, ლუთერი თითქმის ვერ პოულობდა ასეთ მმართველს გერმანიაში. იგი პირდაპირ

აცხადებდა: "ბრძენი მთავარი იშვიათი ფრინველიაო". ნაცვლად იმისა, რომ თავიანთი ქვეყნის სიმდიდრე სწავლა-განათლებასა და აღზრდის საქმისათვის მოეხმარებინათ, გერმანელი მთავრები, ლუთერის აზრით, პირიქით იქცეოდნენ, ბოროტად იყენებდნენ ღვთისაგან ბოძებულ ყოველგვარ სიკეთეს არც ღმერთს ემორჩილებოდნენ და არც განათლებისათვის ზრუნავდნენ, არ იცლიდნენ თვით საკუთარი ცოდნის ამაღლებისათვის. იტალიელები მხეცებს გვეძახიან, საფრანგეთი და ინგლისი დაგვცინის, ასევე ფიქრობენ ჩვენზე სხვა ქვეყნებშიც", გულისტკივილით წერდა ლუთერი.

თავისი სამშობლოს პატრიოტი ლუთერი მმართველთა გაუნათლებლობას უკავშირებს ეროვნულ და სოციალურ ბოროტებასაც. მისი ღრმა რწმენით, გერმანიის უბოროტესი მტერი, რომის პაპი (რელიგიის კათოლიციზმის დროშის ქვეშ მსოფლიო გაერთიანების, ერთიანი თეოკრატიული მონარქიის შექმნის და, რა თქმა უნდა, გერმანიის მორჩილების მოსურნე) გერმანელი ხალხის სულიერ და მატერიალურ მორჩილებაში ყოფნას სწორედ ასეთ ხელისუფალთა (უპირველესად სასულიერო მთავართა) მხარდაჭერით აღწევს, ვინც ან გაუნათლებელია, ან ვისი ნიჭიც საშუალოზე დაბალია. ასეთი ხალხი იმის გამო, რომ ჩვეულებრივ პირობებში (რომის პაპის მხარდაჭერა თუ არ ექნებათ) ვერ შეინარჩუნებდნენ თანამდებობას, ხალხი უფრო ნიჭიერს აირჩევდა, ადვილად ხდებიან მარიონეტები და თავიანთი მფარველის ნების აღმსრულებელნი. ასეთი მმართველი ბოროტად იყენებს თავის უფლებას, არაფრად აგდებს თანამემამულეთა ბედს, ბღალავს სამართლიანობას და ჩაგრავს ხალხს. ასეთ "უფლებამოსილს", ველურობა, პატივმოყვარეობა და ქედმაღლობა რომ დაუფლებია, იმის გააზრებაც კი არ სურს, თუ როგორ მართოს ხალხი. მხოლოდ გამოსწორება თუ უშველით მათ. გამოსწორების საწინდარად კი ლუთერს განათლება მიაჩნია. "ჩვენთვის ცნობილია, რაოდენ აუცილებელი და სასარგებლოა ადამიანებისთვის და ასევე სასიამოვნოა ღმერთისათვის, რომ მთავარი, ბატონი, რატმანი და, საერთოდ, ყოველგვარი მმართველი

იყოს განსწავლული, შეძლოს ქრისტიანულად შეასრულოს ის ვალდებულებანი, რომლებიც დაკავშირებულია მის წოდებასთან,

ამბობდა იგი და ამით განათლებას აკისრებდა უაღრესად კეთილშობილურ მისიას (განათლებას ასეთსავე მისიას აკისრებდნენ შემდეგში განმანათლებლებიც). მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ტირანიისა და ყოველგვარი ბოროტების აღმოფხვრის ძირითად ღონისძიებად განათლების გამოცხადება გამართლებულია, თუმცა არც იმის უგულებელყოფა შეიძლება, რომ იგი ერთ-ერთი აუცილებელი საშუალებაა ბოროტების თავიდან ასაცილებლად.

დაკნინებული მდგომარეობიდან ერის გამოყვანის და ხელისუფალთა "გამოსწორების" გზა, რომელსაც ლუთერი ქადაგებდა, სულაც არ ნიშნავს პასიურობას, იმას, რომ განათლება თავისთავად მოვა. მართალია, ლუთერი თავის "მეასე ფსალმუნის განმარტებაში" (1534წ.) ამბობს (ასეთ გამონათქვამებს შემდეგში ჟან კალვინთანაც ეხვდებით), რომ "ადამიანებს შორის - ყველა წოდებაში - ღმერთს ყავს ორგვარი ადამიანი. ერთნი, რომლებიც, დაბადებულნი არიან ბედნიერი ვარსკვლავის ქვეშ და დედამიწაზე სარგებლობენ იმით, რასაც ბედნიერება და წარმატება ეწოდება". ესენი ღმრთის "რჩეულებია", "არა გაწვრთნილები ან ხელოვნურად აღზრდილები", არამედ იმთავითვე მოწოდებულნი იმისათვის, რომ მართონ ქვეყანა. ღვთისაგან ბოძებული სიბრძნისა და შეგონების წყალობით ისინი წარმატებით უძღვებიან თავიანთ მოვალეობას. ამით ლუთერს იმის თქმა სურდა, რომ ცალკეული ადამიანების ნიჭი და სიბრძნე გამორჩეულია და ასეთი ადამიანებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა არა აქვს საოჯახო და სასკოლო აღზრდას, თუმცა მეტწილად იგი იმ აზრს იცავდა, რომ განათლებული ადამიანები თავისთავად არ იბადებიან; ლოდინი იმისა, თითქოს ასეთი ადამიანები თვითონ აღმოცენდებიან, მისი აზრით, თავის მოტყუება იქნებოდა: "არ შეიძლება მათი ქვიდან გამოკვეთა, არც ხიდან გამოჭრა; ღმერთი არ მოახდენს სასწაულს... ადამიანს ისედაც მრავალი საშუალება აქვს, რათა საკუთარ თავს დაეხმაროს ამ საქმეში". საოჯახო და სასკოლო

აღზრდის გაუმჯობესება და ჯეროვანი განათლების მიღება აი, "გამოსწორების" ის საშუალება, რომლითაც ლუთერს სურდა თავისი ქვეყნისათვის (აწყმოში თუ არა, მომავალში მაინც) "ფუტურო ჯირკის" მსგავსი (ე.ი. გაუნათლებელი) მმართველები თავიდან აეცილებინა, რადგან, მისი თქმით, "ასეთი რამ ველურობა და უგუნურებაა", ეროვნული დაკნინების მაჩვენებელია.

სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლების გაუმჯობესებაზე რომ ლაპარაკობს, ლუთერი მის ქვეშ "ძველი სკოლის და უნივერსიტეტების" მასწავლებელთა არა უბრალო "მონანიებას" გულისხმობს, არამედ მთელი სასწავლო სისტემის ძირეულ გარდაქმნას. მას ვერ წარმოუდგენია საეკლესიო რეფორმაციის განხორციელება, გერმანიის განთავისუფლება ხუცების ბატონობისა და კათოლიკური წეს-ჩვეულებებისაგან, თვით ხელისუფალთა "გამოსწორებაც" კი, თუ საერო ხელისუფალნი წინასწარ არ გარდაქმნიდნენ და არ გაუმჯობესებდნენ სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლებას, თუ ძველ სკოლებს ახლით არ შეცვლიდნენ. "არც პაპისა და არც იმპერატორის საქმე, წერდა ლუთერი, არ განხორციელდება სხვაგვარად, თუ არა უნივერსიტეტების ძირეული რეფორმით". ასეთი რეფორმა, მისი აზრით, სარგებლობას მოუტანდა გერმანიას საერთაშორისო თვალსაზრისითაც, აამაღლებდა მის ავტორიტეტს, დაუმტკიცებდა არაგერმანელ ხალხებს, რომ მათ არასწორი წარმოდგენა აქვთ გერმანელებზე, რომ ისინიც სხვებივით შრომისმოყვარე და ნიჭიერი ხალხია, რომელსაც არა მარტო სხვებისაგან შეუძლია სასარგებლო რამე ისწავლოს, არამედ თავადაც ძალუძს წვლილის შეტანა "მსოფლიოს სრულყოფაში".

უპირველეს ყოვლისა, ის, რაც უნდა გაეკეთებინა საერო ხელისუფალთ, ეს მათი მოვალეობაც იყო, მთელ გერმანიაში უნდა დაეარსებინათ დაწყებითი სკოლები ბიჭებისა და გოგონებისათვის. საყოველთაო დაწყებითი სკოლები, - აი, რას მოითხოვდა ლუთერი. "ეს იმიტომ, რომ ყოველდღიური ცხოვრება მოითხოვს განათლებულ, დახელოვნებულ მამაკაცებსა და ქალებს, რათა მამაკაცები კარგად მართავდნენ ქვეყანასა და ხალხს, ხო-

ლო ქალები კარგად ზრდიდნენ ბავშვებს, კარგად უძღვებოდნენ სახლ-კარს, ბავშვებსა და მოსამსახურეებს". ლუთერს ღრმად სწამდა, რომ ქალებისაგან კარგი მასწავლებლებიც დადგებოდნენ. ამიტომაც მოითხოვდა იგი სკოლების გახსნას "ორივე სქესის" ბავშვებისათვის.

ლუთერი სვამდა საკითხს ნიჭიერი ბავშვების შერჩევის შესახებაც, საერო ხელისუფალთა უკეთილშობილეს მოვალეობად ის მიაჩნდა, რომ უმაღლეს სასწავლებლებში მიეღოთ მხოლოდ ღირსეულები. "უნივერსიტეტებში, აცხადებდა იგი, უნდა გაიგზავნოს არა ყველა მსურველი, როგორც ახლა ხდება, როცა ზრუნავენ მხოლოდ რაოდენობაზე და რომელთაგან თითოეულს სურს ჰქონდეს დოქტორის ხარისხი, არამედ მხოლოდ ყველაზე ნიჭიერები".

უაღრესად აქტუალურია ლუთერის მოსაზრებანი მასწავლებლების შესახებაც. მასწავლებელი მიაჩნია მას აღზრდისა და სწავლების ყველა საიდუმლოს მცოდნედ, ერთგვარ კომპასად, რომელიც ბავშვებს ეხმარება თავი დააღწიონ "უღრან ტყეს". "გონიერი მასწავლებლის გარეშე ბავშვებისაგან არაფერი კარგი არ შეიძლება გამოვიდეს, ისინი დაიღუპებიან". ლუთერის თქმით, ჭეშმარიტი მასწავლებელი მარტო იმაზე კი არ ფიქრობს, რომ გადასცეს მოსწავლეებს შესასწავლი მასალა, არამედ იგი "ზრდის, არიგებს და აჩვევს ბავშვებს, რომ ბეჯითად სწავლობდნენ", ეუფლებოდნენ ყველაფერ იმას, რაც სასარგებლო იქნებოდა როგორც მათთვის, ისე საზოგადოებისათვის. ამასთანავე, მასწავლებლის ბავშვებთან დამოკიდებულებას საფუძვლად უნდა ედოს არა "დატუქსვა და მუშტი", "ძველი სასკოლო სისტემის ეს გადმონაშთები", არამედ ბუნებრიობა, აღზრდის იმდაგვარად წარმართვა, რომ მან ბავშვებს მოუტანოს თავისუფალი და ჰარმონიული განვითარება, სამართლიანობისა და სიკეთისადმი მისწრაფება. ერთი სიტყვით, ლუთერს კარგად ესმის, რომ მასწავლებლის შრომა, ანუ "სხვისი შვილების კეთილსინდისიერი აღზრდა", მეტად რთული და მძიმე პროცესია, რომელიც დიდ ცოდნასთან ერთად ზნეობრივ სისპეტაკესა და ღვთისმოსაობას

მოითხოვს; იგი მასწავლებლის პროფესიაში ხედავს "უმაღლეს სათნოებას", მეტად მძიმე და საპატიო ტვირთს, რომლის ტარება ყველას არ შეუძლია. ეს ისეთი ადამიანების ხვედრია, რომლებსაც "ბავშვების სიყვარული და მათთან მუშაობის სურვილი ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი".

ასევე მაღალ მოთხოვნებს უყენებს ლუთერი უნივერსიტეტების მასწავლებლებსა და პროფესორებს, რომლებიც სწავლების პირველსავე დღიდან იმას უნდა ცდილობდნენ, რომ სტუდენტებიდან აღზარდონ "ნამდვილი ადამიანები", სხვისი ჭირის გამზიარებლები და თანამგრძნობნი, პატიოსანი და თავმდაბალი, განათლებული და მოსიყვარულე მამულიშვილნი.

ლუთერს სურდა, მასწავლებელი ჭეშმარიტი მოქალაქეც ყოფილიყო, გულთან ახლოს მიეტანა ქვეყნისა და ერის სატკივარი, ფიქრი და სურვილები. "ვისაც სურს იყოს მასწავლებელი ან მქადაგებელი, - წერდა იგი, - უნდა იყოს ერისკაცთა შორისაც, უნდა ნახოს და გაიგოს, თუნდაც ნაწილობრივ, მათი საქმეები".

ასე, რომ, ლუთერის აზრით, მასწავლებელს აკისრია მძიმე მისია, რომლის ტოლფასოვანი არც ჯილდო არსებობს და არც ანაზღაურება: "ბეჯითი, ღვთისმოსავი მასწავლებელი" სკოლისა და უნივერსიტეტისა, ან ვინც არ უნდა იყოს ის, რომელიც "პატიოსნად ზრდის და ასწავლის ბავშვებსა" და სტუდენტებს, "არასოდეს არ შეიძლება სათანადოდ დაჯილდოვდეს, ვერც ვერავითარი ფული აანაზღაურებს მის შრომას". მთავარი მაინც, ლუთერის აზრით, ის არის, რომ მასწავლებლებს მის თანამედროვე გერმანიაში არ გააჩნიათ საერო ხელისუფალთა სათანადო მხარდაჭერა, საოცრად დაბალია გონებრივი შრომის ფასი, მისი გასამრჯელო. ამას ადასტურებს ლუთერის თანამედროვე გერმანელი ჰუმანისტის ეობან ჰესის ეს სიტყვებიც: "რას ვიღებთ ჩვენ, მასწავლებლები, ჯილდოდ ჩვენი შრომისათვის? - მშიერ ცხოვრებას, უსიამოვნებას, ქანცგაწყვეტას, ავადმყოფობას და სისტემატურ გულისტკივილს. ყველა სხვა სამუშაო ადამიანს აძლევს ცხოვრების შესაძლებლობას, სკოლის მასწავლებელი

კი თავის დღეებს შემაძრწუნებელ სიღატაკეში მიათრევს და ირგვლივ მყოფთა ამპარტავნება მას ტალახით სვრის. უკანასკნელი მწერლუკა, მდივანი და მაწანწალა ბერი მას ზემოდან დაჰყურებს. არა, უკეთესია სიკვდილი, ვიდრე მასწავლებლობა!" ხშირად ამგვარი მდგომარეობა იყო იმის მიზეზი, რომ მასწავლებლები თავს ვერ ართმევდნენ თავიანთ მოვალეობას. ხედავდა რა ყოველივე ამას, ლუთერი აყენებდა წინადადებას: საერო ხელისუფალთ გამოეჩინათ გონიერება და მფარველობა გაეწიათ მასწავლებლებისათვის, ხელი შეეწყოთ მათი უფლებებისა და ღირსების დაცვისათვის, უზრუნველეყოთ ისინი მატერიალურადაც—გამოეყოთ "განსაკუთრებული გასამრჯელო" და ამ გზით აემაღლებინათ მათი ავტორიტეტი საზოგადოების თვალში.

ეს კი ახალი პროგრესული შეხედულება იყო, რომელსაც დღესაც არ დაუკარგავს აქტუალობა.

§2. ლუთერი სასწავლო დისციპლინების გონიერი შერჩევის შესახებ

საუნივერსიტეტო რეფორმა, რომლის მოთხოვნასაც ლუთერი აყენებდა, სასწავლო დისციპლინების გონიერ შერჩევას, ზოგიერთი დისციპლინის ამოღებას და მის ნაცვლად ახალის შეტანას გულისხმობდა. ენების, მათემატიკური დისციპლინებისა და ისტორიის მოვლას, როგორც თვითონ ამბობდა, იგი ანდობდა "წინდახედულ ადამიანებს"; ექიმები უნდა გასძღოლოდნენ მათივე ფაკულტეტის რეფორმის საქმეს, იურისტებისა და თეოლოგების მოვლას ლუთერი თავად კისრულობდა.

ლუთერი, უპირველეს ყოვლისა, ღვთისმეტყველებისა და სქოლასტიკური ფილოსოფიის წინააღმდეგ ილაშქრებდა. მას არათუ უნივერსიტეტების, არამედ თვით ეკლესიის გარდაქმნაც ვერ წარმოედგინა ამ დისციპლინების ამოუძირკვავად. "მე ვფიქრობ, - ამბობდა იგი, - რომ შეუძლებელია ეკლესიის გარდაქმნა, თუ ძირშივე არ აღმოფხვრით სქოლასტიკურ ღვთისმეტყველებას,

ფილოსოფიასა და საეკლესიო სამართალს, როგორებიც არიან ისინი ახლა და არ შემოვიღებთ ახალს". მაინც რა ბრალდებას უყენებდა ლუთერი ამ დისციპლინებს? უპირველეს ყოვლისა იმას, რომ მათი წყალობით "მრავალი ასეული წლის განმავლობაში უამრავი ცთომილება იყო შენარჩუნებული საერო ცხოვრებასა და უნივერსიტეტებში". უნივერსიტეტებში, მისი თქმით, სათანადოდ არ ასწავლიდნენ საღმრთო წერილს, წინა პლანზე წამოწეული იყო არა საღმრთო წერილი, არამედ საეკლესიო დადგენილებები, ცდილობდნენ საეკლესიო დოგმების, მათ შორის პაპის უცოდველობისა და ამ დოგმის გარეშე ადამიანთა სულის სხნის შეუძლებლობის დამტკიცებას და ა.შ. ეს საკმაოდ სერიოზული ბრალდებაა, რითაც ლუთერი ჰუმანისტებზე შორს წავიდა.

ამგვარად, ლუთერის აზრით, საყოველთაო შესწავლის საგანი უნდა ყოფილიყო პაპების მიერ "მიჩქმალული" საღმრთო წერილი - ეს "ყველაზე საუკეთესო და ხელმისაწვდომი წიგნი", რაშიც უნდა იწრთობოდეს და რომელზეც უნდა შრომობდეს ყოველი ადამიანი. უპირველეს ყოვლისა, საღრმთო წერილს ადამიანებისათვის უნდა ჩაენერგა ღვთისადმი ‘მიში, უნდა მიეცა მათთვის რელიგიური ცოდნა და ხელი უნდა შეეწყო საზოგადოების ზნეობრივი აღზრდისათვის. განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ლუთერი "ათ მცნებას", რომლის დახმარებით შესაძლებლად მიაჩნდა საზოგადოების ისეთი მანკიერი მხარეების აღმოფხვრა, როგორიცაა ქურდობა, გარყვნილება, ლოთობა, სიხარბე, უვიცობა და ა.შ. ერთი სიტყვით, ლუთერს სურდა თავისი ხალხის ზნეობრივი აღზრდა, იმ მანკიერი მხარეების აღმოფხვრა, რომლებიც მათ წარსულისაგან მიიღეს. ახალი ადამიანის აღზრდა - აი, ის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, რომელსაც ლუთერი საღმრთო წერილს აკისრებდა. თუ რამდენად რეალური იყო ასეთი გზა მაშინდელ გერმანიაში, სხვა საქმეა, მაგრამ ის, რომ საღმრთო წერილის მთავარ ამოცანად გამოცხადებულია არა მარტო ღვთისმოსაობის დამკვიდრება საზოგადოებაში, არამედ ბოროტების აღმოფხვრა და სიკეთის

გამრავლება, მრავალმხრივ მნიშვნელოვანია; ესეცაა იმის ერთ-ერთი მიზეზი, რომ ლუთერმა თარგმნა ბიბლია მშობლიურ ენაზე.

რა თქმა უნდა, საყოველთაო შესწავლის საგნად საღმრთო წერილის გამოცხადებით ლუთერს ერთიანად არც ღვთისმეტყველება და არც ფილოსოფია უარუყვია. მას არაერთხელ აქვს ნათქვამი სქოლასტიკისაგან თავისუფალი "ჭეშმარიტი ღვთის-მეტყველების" საჭიროებაზე, იგი არც იმას გამორიცხავდა, რომ თვით ღვთისმეტყველებაც საჭიროებს განვითარებას, რომ ეს შეუძლებელია "მეცნიერული ცოდნის" გარეშე. "მე დარწმუნე-ბული ვარ, წერდა ლუთერი, რომ მეცნიერული ცოდნის უქონლად ჭეშმარიტი ღვთისმეტყველება არ შეიძლება განვი-თარდეს". ლუთერს ასევე სქოლასტიკისაგან თავისუფალი ფილოსოფია სურდა. თუ სქოლასტიკა მხოლოდ საეკლესიო დოგმებს და მის სამსახურში ჩაყენებულ გონებას ცნობდა, აღიარებდა, რომ ეკლესიამ იცის ყველა ჭეშმარიტება, რომ ჭეშმარიტია საეკლესიო დადგენილებანი, რომ ადამიანები ეკლესიის მეშვეობით ეცნობიან თვით სახარების ჭეშმარიტება-საც, ლუთერი, ამის საპირისპიროდ, საეკლესიო დადგენილებების მსაჯულის როლში გამოდის, ამტკიცებს, რომ ეკლესია კი არ განსაზღვრავს, თუ რა არის სახარება, არამედ, პირიქით, სახარება განსაზღვრავს, თუ რა არის ეკლესია. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ, ლუთერის აზრით, ყოველ მორწმუნეს რომის პაპსა და მის მოხელეებზე არანაკლებ შეუძლია გაიგოს საღმრთო წერილი, გაიაზროს "თავისი კავშირი ღმერთთან", მაშინ ცხადი გახდება, რომ რეფორმატორს სურდა რომის კათოლიკური ეკლესიის მესვეურთა მიერ დამცირებული ჩვეულებრივი ადამიანის ჩვეულებრივი გონების რეაბილიტაცია, იმის დამტკიცება, რომ ადამიანის გონებასაც შეუძლია განსაზღვროს, თუ რა არის სახარება. ამდენად, ცდებიან ის ფილოსოფოსები (ფრ.კირხნერი, მ.გოგიბერიძე), რომლებიც ლუთერს აცხადებდნენ არა მარტო ფილოსოფიისა და გონების მტრად, არამედ ისეთ მოღვაწედაც, რომელმაც ვერავითარი კვალი ვერ დატოვა აზროვნების ისტორიაში. სწორი პოზიცია უკავიათ იმ ავტორებს (მაგ:,

ე.სოლოვიევს), რომლებიც ამტკიცებენ, რომ ბურჟუაზიული ფილოსოფიის სათავეებთან დგანან არა ლიბერალი ჰუმანისტები, არამედ დგას რომის კათოლიციზმისა და სქოლასტიკური ფილოსოფიის წინააღმდეგ მებრძოლი რეფორმატორი ლუთერი, იგი ბურჟუაზიული ფილოსოფიის ფუძემდებელთა უშუალო წინამორბედია.

საეკლესიო სამართლის "დეკრეტალიების" ანუ რომის პაპთა დადგენილებების ამოღებასაც რომ მოითხოვდა, ამას ლუთერი აკეთებდა არა იმიტომ, რომ "დეკრეტალიების" მიზანს შეადგენდა ფეოდალურ - კათოლიკური ქვეყნების მეთაურობაზე პაპების პრეტენზიის იურიდიული დასაბუთება, არამედ იმიტომაც, რომ მათ უდიდესი ზიანი მოჰქონდათ ადამიანების ზნეობისა და ღვთის რწმენის საქმისათვის. ლუთერის აღშფოთებას განსაკუთრებით ის აძლიერებდა, რომ პაპები თვითონ არ იცავდნენ თავიანთ კანონებს, რომელთაც სხვებისათვის სავალდებულოდ აცხადებდნენ.

რამდენადმე სხვაგვარად ეკიდებოდა ლუთერი საერო სამართალს, თუმცა არც ამ უკანასკნელს აკლებდა კრიტიკას, "ველურადაც" კი მოიხსენიებდა. მიუხედავად იმისა, რომ საერო სამართალი "გაველურდა", ამბობდა ლუთერი, იგი მაინც "ბევრად უკეთესია, გონივრული და სამართლიანია საეკლესიოზე, რომელშიც, გარდა სახელისა, კარგი არაფერია". ეკლესიის გავლენისაგან თავისუფალი და სისტემაში მოყვანილი საერო სამართალი, - აი, რა მიაჩნდა მას საზოგადოების მართვის აუცილებელ პირობად. "სიმართლის დადგენის ინტერესებისათვის შეისწავლება სამართალი", ასკვნიდა ლუთერი.

კონკრეტულად თუ როგორ წარმოედგინა ლუთერს საბუნებისმეტყველო დისციპლინების რეფორმა, ამაზე მას თვითონ არაფერი აქვს ნათქვამი, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მან მოახდინა საერო ცხოვრებასა და საერო მმართველობის რეაბილიტაცია, ე.ი. მისცა მათ ღვთაებრივი გამართლება, მაშინ ცხადი გახდება, რომ ლუთერს ასევე აუცილებლად მიაჩნდა მათი შესაბამისი რეალური ცოდნაც. ამიტომაც, მოითხოვს იგი

"ყოველი ხელოვნების" ეს იქნება გზებისა და ხიდების მშენებლობა, სამთამადნო საქმე, მათემატიკური დისციპლინები, მედიცინა და ა.შ. - "სერიოზულ შესწავლას". რეალური საგნების შეცნობის აუცილებლობაზე მიუთითებს ლუთერის ზოგჯერ მეტად პრიმიტიული და ბუნდოვანი, მაგრამ მაინც საინტერესო მოსაზრებები. მაგალითად, მას აინტერესებს ციცერონის მსჯელობა იმაზე, რომ ადამიანი და ცხოველი თავისსავე მსგავს წარმოშობს, ან კიდევ: "თუ როგორ ისახება, იზრდება და ვითარდება ნაყოფი დედის მუცელში". ლუთერს იტაცებს ცის თანავარსკვლავედის მოძრაობაც, ის, რომ მზე ყოველთვის ერთნაირად ამოდის და ჩადის, რომ აქედან გამომდინარეობს "ზუსტი დრო, რასაც ჩვენ ზაფხულსა და ზამთარს ვუწოდებთ". ლუთერი ლაპარაკობს ატმის კურკის საიდუმლოებაზეც, რომელიც "თავისი გარსის სიმაგრის მიუხედავად, თავის დროზე უნდა გაიხსნას იმ ძალიან რბილი გულის ზემოქმედებით, რომელიც მასშია". მას აინტერესებს ისიც, რომ "მედიცინა არის ბუნების ფილოსოფია, ხელოვნება, რომელსაც საქმე აქვს ბუნების საგნებთან და რომელთაც იგი შეისწავლის. ბუნება (ეს ცნება აქ გაიგივებულია ანატომიასა და ფიზიოლოგიასთან გ.კ.) კი... ქმნის სხეულს და გონებას, ასევე ჯანმრთელობას". ამრიგად, ეს მაგალითებიც ნათელს ხდის, რომ ლუთერი არ იფარგლება მხოლოდ რელიგიისა და ზნეობის ფილოსოფიის შესწავლის მოთხოვნით; იგი ახალგაზრდებს მხოლოდ საღვთო წერილის კითხვას კი არ ურჩევს, არამედ მათ რეალური ცოდნის დაუფლებისკენაც მოუწოდებს, თუმცა არც იმის თქმა ავიწყდება, რომ ყოველგვარი საგნის და მისთვის დამახასიათებელი თვისების საწყისი შემოქმედი ღმერთია.

რეალური ცოდნის დაუფლებისაკენ რომ მოუწოდებდა, ახალგაზრდებს ლუთერი იმის აუცილებლობაშიც არწმუნებდა, რომ საფუძვლიანად შეესწავლათ ენები და ისტორია, დაუფლებოდნენ მუსიკას.

<u>ენები.</u> ენებში ხედავდა იგი "უმშვენიერეს ღვთიურ საჩუქარს", რომელსაც მოფრთხილება სჭირდება. ამასთანავე,

ლუთერი, რომელიც პირველ რიგში თავისი მშობლიური ენის პატრიოტი იყო, იმ აზრს გამოთქვამდა, რომ გერმანელ მშობლებს თავიანთი შვილებისათვის სრულყოფილად ჯერ მშობლიური ენა ესწავლებინათ და მერე სხვა ენაც, თუ, რა თქმა უნდა, ამის სურვილი და ნიჭი აღმოაჩნდებოდათ. ლუთერი დარწმუნებული იყო, რომ მშობლიურ ენაზე დაწერილ წიგნებსა და წარმოთქმულ ქადაგებებს უფრო მეტი და სასურველი შედეგი მოაქვს ხალხისათვის. ამის მიუხედავად, მტკიცება, თითქოს ლუთერს ჰქონდა ნათქვამი: "გერმანული ენა ყველაზე სრულყოფილია", როგორც ამას ნაცისტური ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი წარმომადგენელი არნო დოიტელმოზერი აღნიშნავს, არამეცნიერული და ყალბია. ლუთერის ღირსებებს ისიც აშშვენებს, რომ იგი უაღრესად ობიექტურია სხვა ენებისადმი დამოკიდებულებაში. მაგალითად, მისთვის ცნობილ ენებს შორის ლუთერს "ყველაზე სრულყოფილ და მდიდარ" ენად ძველი ებრაული მიაჩნია. ეს იმიტომ, რომ, მისი თქმით, იმ დროს, როცა ბერძნული, ლათინური და გერმანული ენები ღარიბია და სხვა ენებიდან სესხულობს სიტყვებს, აქვს ბევრი composita - შედგენილი სიტყვები და სხვა, ებრაული ენა "წმინდაა", იგი არც სესხულობს და არც განიცდის სიტყვების სიღარიბეს, მასთან თითოეულ საგანს თუ ცნებას აქვს თავისი განსაკუთრებული სახელწოდება.

სხვა ენებისადმი ლუთერის კეთილი განწყობილება მაშინაც მჟღავნდება, როცა საუბრობს კლასიკური ენების (ბერძნულის, ლათინურის და ებრაულის) შესწავლის აუცილებლობაზე. მისი აზრით, ვერც ერთი ადამიანი, ვერც უბრალო მოძღვარი და ვერც მღვდელი, ლათინურის გარეშე იოლად ისევე ვერ გავა, როგორც სწავლულები გვერდს ვერ აუვლიან ბერძნულსა და ებრაულს. მათი ცოდნის საჭიროებას ლუთერი, უპირველეს ყოვლისა, რელიგიური მოსაზრებით ხსნიდა, მიუთითებდა, რომ სახარება, თუმცა იგი ქრისტიანებს "სულიწმინდის მეშვეობით" ეძლევა, მაგრამ მაინც ენების გზით ვრცელდება და ამდენად

საჭიროა როგორც მშობლიური ენის, ისე ძველი ენების შენარჩუნება.

კლასიკური ენების ცოდნას ის მნიშვნელობაც ჰქონდა, რომ იგი ეხმარებოდა ქრისტიანებს საღვთო წერილის უკეთ გაგებაში. ამ "ენების ცოდნა, წერდა ლუთერი, დამეხმარა ბოლომდე ჩაეწვდომოდი ბიბლიის არსს", იმ შეცდომებს, რომლებიც დაშვებული იყო თარგმნისას როგორც ადრე, ისე მის დროსაც.

ენების ცოდნას ლუთერი სხვა პრაქტიკული საჭიროებითაც ხსნის. როცა კლასიკური ენების შესწავლის საკითხს ეხება, იგი მიუთითებს, რომ ამ ენების შესწავლა არა მარტო ამდიდრებს და სიცოცხლისუნარიანს ხდის მშობლიურ ენას, არამედ გვეხმარება "სამოქალაქო მმართველობის გონიერ გაძღოლაშიც". ლათინური ენის შესწავლა, ამბობდა ლუთერი, იმიტომაც არის საჭირო, რომ იგი ჩვენს სინამდვილეში ატარებს საერთაშორისო ენის ფუნქციას და აახლოებს სხვადასხვა ხალხის შვილებს და ამდიდრებს მათ ცოდნას. ყოველ გერმანელს– იქნება ეს "მეომარი, ვაჭარი, თუ სხვა ვინმე" - ლუთერი მოუწოდებს, რომ დაეუფლოს ლათინურს, რომ თარჯიმნის გარეშე ისაუბროს სხვა ერის შვილებთან. ეს აზრია გატარებული ლუთერის შემდეგ სიტყვებშიც: "მშობლებს არ შეუძლიათ დაუტოვონ თავიანთ შვილებს იმაზე დიდი განძი, ვიდრე ხელობისა და ენების ცოდნაა. კაცს სახლკარი შეიძლება დაეწვას, ცოდნა კი მუდამ თან ექნება. როცა ერთმანეთს დაშორებული არიან, ადამიანებს შეუძლიათ მიმოწერა და ერთმანეათთან გასაუბრება, გულის გადაშლა". ლუთერის ეს საინტერესო მოსაზრებანი ენების ცოდნის მნიშვნელობასა და დანიშნულენბაზე დღესაც არ კარგავს ცხოველმყოფელობას.

<u>ისტორია.</u> ასევე საპატიო ადგილი მიუჩინა ლუთერმა სასწავლო დისციპლინებს შორის ისტორიას. მართალია, ლუთერის შეხედულებანი ისტორიაზე (ისე როგორც სხვა საკითხებზე) არაა დაზღვეული მისტიციზმისაგან, მაგრამ მათში არის ბევრი საგულისხმო მოსაზრებაც. ლუთერმა, უპირველეს

ყოვლისა, უკუაგდო ნეტარი ავგუსტინეს მოსაზრება, რომ ისტორიას "უფრო საზრუნავი მოაქვს, ვიდრე სიამოვნება და ჭეშმარიტება". მსგავსად ჰუმანისტებისა, რომლებიც ყოველთვის მიუთითებდნენ ისტორიული "ცოცხალი მაგალითების" საჭიროებაზე, ლუთერიც ამტკიცებს, რომ ისტორია მეტად საჭირო დარგია, რომელიც კონკრეტული "მაგალითებით გადმოსცემს ყველაფერ იმას, რისი შეწავლაც ან რისი შეთხზვაც შეუძლია ფილოსოფიას, ბრძენ ადამიანებს და მთელ ადამიანურ გონებას". მისი შესწავლით კი, ლუთერის აზრით, ადამიანები ეუფლებიან "მსოფლიო სიბრძნეს", იგებენ, "თუ რა ბედი ეწია ამა თუ იმ ქალაქს, სამფლობელოს, კეთილშობილს, უბრალო ქალსა თუ კაცს, ადამიანები საკუთარ დასკვნებს გამოიტანენ არსებობის, ცხოვრების,რჩევისა და გამოსავლის პოვნის, გამართლებისა და გაუმართლებლობის საკითხებზე". უფრო მეტიც, ლუთერის აზრით, ისტორია "ცოცხალი წყაროა", რომლიდანაც გამომდინარეობს თითქმის ყველა კანონი, ხელოვნება, კეთილი რჩევა, გაფრთხილება, მუქარა, შიში, ნუგეში, დადასტურება, დარიგება და, საერთოდ, ყოველგვარი სათნოება". ერთი სიტყვით, ისტორიაში ლუთერი ხედავს არა მარტო წარსული ამბების უბრალო თხრობას, არამედ იმის საუკეთესო საშუალებას, რომ ადამიანებმა "შეიცნონ მსოფლიოს განვითარება" და განჭვრიტონ აწმყოსა და მომავალში გონიერი მოქმედების გზები, რათა შეიგნონ ღმერთისადმი მორჩილებისა და შიშის აუცილებლობაც. ამასთანავე, ლუთერმა მშვენივრად იცოდა, რომ როგორც წარსულში, ისე მისდროინდელ სინამდვილეში მმართველთა დიდი ნაწილი უგულებელყოფდა ისტორიის "კეთილ რჩევასა და გაფრთხილებას", არ ითვალისწინებდა წარსულის გაკვეთილებს და ისე იქცეოდა, როგორც მოესურვებოდა. უმოწყალოდ ყვლეფდა არა მარტო საკუთარ ქვეშევრდომებს, არამედ მეზობელ ხალხებსაც, რომლებიც დამორჩილებული ჰყავდათ. ასეთ მმართველებს ლუთერი უბედურებას უწინასწარმეტყველებდა: ღმერთი, მისი თქმით, დაუსჯელად არავის ტოვებს; იგი ამხობს ტირან მმართველებს და

სახელმწიფოებს, ბოლოს ულებს თვით იმ ხალხებსაც, რომელთა მმართველებს სხვათა გადაგვარება - განადგურება განუზრახავთ. ამ სიტყვებს ლუთერი კონკრეტული ფაქტებითაც ადასტურებს, მიუთითებს რა ტირანიაზე დაფუძნებული იმპერიების - ასურეთის, სპარსეთის, რომისა და სხვათა განადგურების მაგალითებზე.

გერმანული ჰუმანისტური ისტორიოგრაფიის წარმომადგენლების მსგავსად, ლუთერი ისტორიას უდიდეს როლს აკისრებს ეროვნული თვითშეგნების განვითარების საქმეშიც. იგი ფიქრობს, რომ ისტორიამ უნდა წარმოაჩინოს ამა თუ იმ ხალხის ღირსსახსოვარი ამბები, უნდა უჩვენოს მეზობელ ხალხებს, რომ გერმანელების წარსულიც პატივისცემის ღირსია. აქედან გამომდინარე, ლუთერს აფიქრებს ის, რომ გერმანული ეროვნული ისტორიოგრაფია სუსტადაა განვითარებული. სწორედ ამაში ხედავს იგი იმის ერთ-ერთ მიზეზს, რომ გერმანელები არაპოპულარობით სარგებლობენ მეზობელ ხალხებში, მათ ეკიდებიან როგორც "პირუტყვებს", რომელთა საქმიანობას სხვა არაფერი შეადგენს, თუ არა "ომები", "ღორმუცელობა და ლოთობა". ამიტომაც, ლუთერის აზრით, მეისტორიეს არაფერი არ უნდა დარჩეს აუწერელი. ამ მხრივ სანიმუშოდ მიაჩნია მას ძველი ებრაელებისა და რომაელების მოღვაწეობა, რომლებიც უმნიშვნელო ამბებსაც კი არ ტოვებდნენ უყურადღებოდ და ყოველსავე აღწერდნენ: "თუკი რომელიმე ქალი ან ბავშვი მოიმოქმედებდა ან იტყოდა რაიმე განსაკუთრებულს, წერს ლუთერი. მთელ მსოფლიოს უნდა წაეკითხა და სცოდნოდა ამის შესახებ".

როცა ლუთერი მეისტორიესაგან ყოველი ფაქტის აღწერას მოითხოვს, მას კარგად ესმის ისიც, რომ ჭეშმარიტი ისტორიის წერა ადვილი საქმე როდია. მართალია, იგი არსად ამბობს, რომ ჭეშმარიტი ისტორია შეიძლება დაიწეროს მხოლოდ თავისუფალ ქვეყანაში, როგორც ამას ფრანგი განმანათლებელი ვოლტერი ფიქრობდა, მაგრამ პატიოსნად და ალალმართლად წერა მას "ლომის გულის" მქონე "განსაკუთრებული ადამიანების" საქმედ მიაჩნდა. ასეთები კი, მისი თქმით, ცოტანი არიან,

უმრავლესობა მხოლოდ იმისათვის წერს, რათა "ასიამოვნონ ხელისუფალთ ან მეგობრებს. ისინი სდუმან თავიანთ დროთა მანკიერებაზე და ხალისით აღწერენ მხოლოდ კარგ მხარეებს", მეტად "უმნიშვნელო და ნაკლებად საჭირო ღირსებებს". არიან ისეთებიც, რომლებიც თავიანთი სამშობლოს სიყვარულით და უცხოელებისადმი სიძულვილით შეპყრობილნი, ალამაზებენ ან ამახინჯებენ ისტორიას, "ამგვარად იღუპება ისტორიის კეთილშობილური, მშვენიერი, მაღალი დანიშნულება და მისგან რჩება მხოლოდ ლაყბობა". ისტორიაზე მსჯელობის დასასრულს ლუთერი გამოთქვამს სურვილს, რომ ახალგაზრდები დაეუფლონ ისტორიას და "ჭეშმარიტების უშიშრად წერის" ხელოვნებას, რათა კეთილსინდისიერად ემსახურონ ღმერთისა და ადამიანების საქმეს. იგი წუხს, რომ მან ახალგაზრდობაში საფუძვლიანად ვერ შეისწავლა "პოეზია და ისტორია". ამრიგად, არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ მარკ ბლოკამდე[1] იშვიათად მოიძებნება ადამიანი, რომელსაც ისტორიის მნიშვნელობისა და მისი "უშიშრად წერის"შესახებ იმდენი ეთქვას, რამდენიც ლუთერს.

<u>მუსიკა.</u>სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლების პროცესში ლუთერი გამორჩეულ ადგილს აკუთვნებს მუსიკას. ეს არაა შემთხვევითი. ცნობილია, რომ მას შესანიშნავი ხმა ჰქონდა, ჯერ კიდევ სწავლის დროს მღეროდა სკოლის გუნდში, საგალობლად იგი დაჰყავდათ ეკლესიებში; მუსიკალური განათლება მან კიდევ უფრო გაიღრმავა ავგუსტინელთა მონასტერში, დაეუფლა გერმანულ სასიმღერო ფოლკლორსაც. თვითონ წერდა პატარ-პატარა ლექსებს და მუსიკალურ ნაწარმოებებს, მღეროდა და უკრავდა. მის კალამს ეკუთვნის მრავალი რელიგიური ჰიმნი, რომლებითაც იცავდა თავისი

---

[1] მარკ ბლოკი პიტლერელების მიერ მოკლული ცნობილი ფრანგი ისტორიკოსია, რომელმაც საპყრობილეში ყოფნისას დაწერა საყოველთაოდ ცნობილი წიგნი "ისტორიის აპოლოგია", რომელშიაც პასუხი გასცა იმათ, ვინც სკეპტიკურად და ამრეზით ეკიდებოდა ისტორიას; მისი აზრით, "ყოველი ადამიანისთვის, თუ ის მთლიანად სულელი არაა, ყველა მეცნიერება საინტერესოა

მოძღვრების პრინციპებს. აღსანიშნავია, რომ ლუთერმა ეკლესიებიდან გამოდევნა ერთხმიანი კათოლიკური საგალობლები, რომლებიც ლათინური ტექსტისა და მუსიკალური წყობის სირთულის გამო ფართო მასებისთვის გაუგებარი იყო. ხალხურ სიმღერებზე დაფუძნებული მრავალხმიანი პროტესტანტული ქორალები აქცია ლიტურგიად თემის ლოცვა-გალობად, რომელსაც თან ახლდა ორღანი და რომელსაც მთელი მრევლი ასრულებდა. იმ დროისათვის ამ ქორალებს დიდი კულტურული და განმანათლებლური მნიშვნელობა ენიჭებოდათ. ყველაზე დიდი აღიარება წილად ხვდა ლუთერის ქორალს. "ჩვენი ღმერთი შეუვალი ციხეა" (Eine Sterke Burg ist unser Gott), რომელიც 1527 წელს შეიქმნა. ეს ის დროა, როცა ვიტენბერგს თავს დაატყდა შავი ჭირის ეპიდემია. მაგისტრატმა და უნივერსიტეტის ხელმძღვანელობამ თავს გაქცევით უშველა, ლუთერი კი ამ დროს ქალაქში დარჩა და ეხმარებოდა ექიმებს, არ თაკილობდა რა არავითარ სამუშაოს. სწორედ ასეთ ვითარებაში დაიწერა ეს ქორალი, სადაც იგი გამძლეობისაკენ მოუწოდებდა სასოწარკვეთილებს. უბრალო და ენერგიული სიტყვებით ის აყალიბებს რეფორმაციული მოძღვრების ისეთ მნიშვნელოვან პრინციპებსაც, როგორიცაა რწმენისა და სინდისის თავისუფლება, ერისკაცნი, თემის შემადგენლობაში, განადიდებდნენ თვით ღმერთს.

კათოლიკეები არც თუ ისე უსაფუძვლოდ ამბობდნენ, რომ ამ ქორალმა"რომაულ ეკლესიას მოგლიჯა უფრო მეტი ადამიანი, ვიდრე მთელმა ლუთერანულმა ნაწერებმა და ქადაგებებმა". ჰაინრიხ ჰაინემ ამ ქორალს უწოდა "რეფორმაციის მარსელიოზა". ჩანს, ამ სიტყვების გავლენას განიცდიდა ფრ.ენგელსი, როცა აღნიშნულ ქორალს "XVI საუკუნის მარსელიოზას" უწოდებდა. საგულისხმოა, რომ მას დღესაც ასრულებენ ლუთერანულ ეკლესიებში.

მართალია, ლუთერი თავმდაბლურად აცხადებს, რომ მას "უმნიშვნელო მუსიკალური განათლება" აქვს, მაგრამ, სინამდვილეში მან მრავალი თეორიული ნაშრომი მიუძღვნა მუსიკას, მაგალითად: "მრევლში ღვთისმსახურების წესის შესახებ"

(1523წ.), "გერმანული მესა" (1526წ.), "მუსიკის შესახებ" (1538წ.) და სხვა. 1538 წელს ლუთერმა დაწერა ლექსი "ქალბატონი მუსიკა" (Frau Musik), რომელიც წინასიტყვაობის სახით ერთვის მისი მეგობრის პანს ვალტერის თხზულებას. ლექსში პოეტურადაა გადმოცემული ლუთერის დამოკიდებულება მუსიკისადმი. მუსიკის მისეულ შეფასებას ვხვდებით "სუფრულ საუბრებშიც", რომელიც შექმნილი და გამოცემულია მისი მოწაფეებისა და მეგობრების მიერ რეფორმატორის სიკვდილის შემდეგ.

მუსიკის არსის განხილვისას ლუთერი მართებულად შენიშნავს, რომ "მუსიკა თავისი არსით მსოფლიოს ყველა კრეატურაშია", "არ არსებობს არაფერი, რაც არ გამოსცემდეს რაიმე ბგერას ან გამოზომილ ხმას. თვით უხილავი ჰაერიც კი, რომელიც ყველაზე ნაკლებად მუსიკალური და უტყვია, მუდამ მოძრაობაშია და შეიძლება მისი მოსმენა და შეგრძნება". ლუთერი მუსიკალურს უწოდებს იმ ხმებსაც, რომელთაც "ფლობენ ცხოველები, განსაკუთრებით კი ფრინველები". "წელიწადის საუკეთესო დროა, ნათქვამია "ქალბატონ მუსიკაში", - როცა ფრინველები მღერიან, როცა მშვენიერი ბულბული გალობით ატკბობს ბუნებას". ამასთანავე, ლუთერს კარგად ესმის, რომ ბუნებაში ვერც ერთი "ქმნილების ხმა ვერ შეედრება ადამიანის ხმას, რომ ყოველი სხვა ხმა, ადამიანის ხმასთან შედარებით, არამუსიკალურია". ლუთერს ისიც მშვენივრად გაეგება, რომ ადამიანის ხმა მით უფრო სასიამოვნოა, რაც უფრო გავარჯიშებულია იგი, რომ ხმის გავარჯიშებაშია მუსიკის სრულყოფის გარანტია. "სიბეჯითე, წერს ლუთერი, მიგვიყვანს იქამდე, რომ ბუნებრივი ხმა გაუმჯობესდება, გავარჯიშდება და გაფართოვდება".ყურადღებას იპყრობს ლუთერის მსჯელობა მუსიკის დანიშნულებაზე. ცნობილია, რომ ეკლესიის მამები მუსიკას განიხილავდნენ, როგორც მაგიური მოქმედების უნარის მქონეს, რომელიც თითქოს აშინებს ეშმაკს და იცავს ადამიანს ბოროტი სულის მოქმედებისაგან. ეს იდეა ლუთერთანაც პოულობს ასახვას, როცა იგი ამბობს: "მუსიკით სატანა განიდევნება", "მუსიკას

განსაკუთრებით ემტერება სატანა". მაშასადამე, როგორც ამას სწორად შენიშნავს ვ.გოგუაძე, ლუთერისათვის ამოსავალი წერტილია მუსიკის რელიგიურობა. მაგრამ მუსიკას იგი რეალისტური, ცხოვრებისეული თვალთახედვითაც განიხილავს, ანტიკური ესთეტიკის წარმომადგენლების (მაგალითად, პლატონის) მსგავსად, ლუთერი მუსიკაში ხედავს ყველაზე "საუკეთესო ხელოვნებას, რომელშიც ნოტები აცოცხლებენ სიტყვებს" და ქმნიან ისეთ მომაჯადოებელ ატმოსფეროს, რომ დაღონებული ადამიანის გული მშვიდდება და ხალისდება. ამასთანავე, ლუთერის აზრით, მუსიკალური განწყობილება (ნელი, მოწყენილი, მხიარული და ა.შ. რიტმები) უშუალოდ გადადის მსმენელზე და უქმნის მას შესაბამის ემოციას. ამიტომაც, მისი ღრმა რწმენით, ადამიანის ყოველდღიურ ცხოვრებას თან უნდა ახლდეს ისეთი მუსიკა, რომელიც ჩაუნერგავს მას რწმენას, გაამხნევებს და ყოველგვარ დაბრკოლებას გადაალახვინებს. შეიძლება ადამიანს არც ჰქონდეს მუსიკალური ხმა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ლუთერის აზრით, მუსიკისადმი გულგრილობა არავის ეპატიება, მისგან გამომდინარე სიამოვნება არავინ უნდა მოიკლოს. ამ აზრს შეიცავს გამონათქვამი, რომელიც არცთუ ისე უსაფუძვლოდ მიეწერება ლუთერს: "ვისაც არ უყვარს ღვინო, ქალები და მუსიკა, ის მთელი ცხოვრების განმავლობაში სულელად დარჩება" (Wer nicht liebt Wein, Weib und Sang, bleibt ein Narr sein Leben lang).

არისტოტელეს მსგავსად (იხ. მისი "ეთიკა", წიგნი VI), ლუთერი მუსიკას დიდ აღმზრდელობით მნიშვნელობასაც ანიჭებდა. "მუსიკა, წერდა იგი, ადამიანებს ხდის უფრო შემწყნარებელს, უწყინარს, ზნეკეთილსა და გონიერს". მეტიც, ადამიანებში იგი განდევნის ცდუნებას, ცუდ განზრახვას, პატივმოყვარეობას და სხვა მანკიერებას. შემთხვევითი არ იყო, რომ ლუთერმა 1525 წლის 29 ოქტომბერს პირველად შეასრულა ვიტენბერგში ღვთისმსახურება ახალი წესით. ეს წესი მან ჩამოაყალიბა წიგნაკში - "გერმანული მესა, ანუ ღვთისმსახურების წესი ვიტენბერგული სახით". ახალი წესის თანახმად გერმანულმა

ენამ საბოლოოდ გამოდევნა ლათინური, ხოლო ხალხურმა სიმღერებმა ქორალმა ლიტანია. ლუთერის ამ ნაბიჯს განამტკიცებდა რწმენა, რომელიც ახლოს დგას საღვთო წერილთან და შეუძლია ადამიანების ზნეობრივი აღზრდა, რადგან ის წარმოშობს ფაქიზ, მომხიბველელ გრძნობებს". ამდენად, ასკვნის ლუთერი, მუსიკას უნდა ეზიაროს ახალგაზრდობაც, იგი ფართოდ უნდა დაინერგოს სკოლებსა და უნივერსიტეტებში, თვით ამ სასწავლებლების მასწავლებლებსაც უნდა შეეძლოთ გალობა. მუსიკის შესწავლის აუცილებლობაზე მიუთითებს ლუთერის შემდეგი სიტყვებიც: "ბავშვები რომ მყავდნენ, ისინი შეისწავლიდნენ არა მარტო ენებსა და ისტორიას და მათემატიკურ დისციპლინებს, არამედ გალობასაც, მუსიკასაც".

ამგვარად, ლუთერთან მუსიკას ადამიანის ზნეობრივი და ესთეტიკური აღზრდის საქმეში უაღრესად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, გამოთქვამს არაერთ ისეთ მოსაზრებასაც, რომლებიც აქტიურად ეხმიანებიან დღევანდელობას. აქტუალურია მისი მოწოდება იმის შესახებ, რომ ყოველი ხელისუფლება უნდა მფარველობდეს მუსიკას, არ უნდა დააკლოს მას ზრუნვა და სახსრები, სკოლებისა და უნივერსიტეტებისათვის უნდა შეარჩიოს ისეთი მასწავლებლები, რომლებიც შემკობილნი იქნებიან მუსიკალური ხმით და აგრეთვე ექნებათ მუსიკალური განათლებაც. ასეთ მოთხოვნებს უყენებდა ლუთერი იმ ახალგაზრდებსაც, რომელთაც მღვდლად კურთხევა სურდათ.

ლუთერის ასეთმა დამოკიდებულებამ, ბუნებრივია, გავლენა მოახდინა საქსონიის მუსიკალური შემოქმედების აყვავებაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა XVI საუკუნეში. იგი გავლენას ახდენდა მომდევნო ორი საუკუნის მანძილზეც, აკი საქსონიამ მსოფლიოს მისცა არაერთი მუსიკოსი და კომპოზიტორი. XVII საუკუნის დასაწყისში აქ მოღვაწეობდნენ ვოკალური მუსიკის ისეთი ცნობილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ პრეტორიუსი (ავტორი ორ ათასზე მეტი კომპოზიციისა), შიუტცი და შეინი, აგრეთვე კომპოზიტორ - ორღანისტები, წინამორბედები ბახისა, შეინი და კარლ ადორფი, ხოლო 1685 წელს საქსონიაში

დაიბადა საეკლესიო მუსიკის ორი გენიოსი: ჰენდელი და ბახი. მოგვიანებით საქსონიის მიწამ მსოფლიოს აჩუქა კიდევ ორი მუსიკალური გენია: შუმანი და ვაგნერი.

* * *

ლუთერის პოლიტიკურ და პედაგოგიკურ შეხედულებებზე მსჯელობის დასასრულს შეიძლება გავიხსენოთ მისი ორი შემაჯამებელი გამონათქვამი, რომლებშიც ჩანს რეფორმატორის პატრიოტული სულიც და მოქალაქეობრივი პოზიციაც; ერთ-ერთ მათგანში, რომელიც მიმართულია ხელისუფალთა მისამართით, ნათქვამია: თუ მათ შორის არის ისეთი ვინმე, რომელიც მე არარაობად მთვლის ან ვეზიზღები იმის გამო, რომ ვგმობ ტირანიას, ის მაინც დაინახოს, რომ "მე ვეძიებდი სიკეთეს და ბედნიერებას არა საკუთერი თავისათვის, არამედ მხოლოდ ჩვენი გერმანიისათვის". მეორე გამონათქვამში კი ლაპარაკია იმ ადამიანებზე, რომლებიც ხელისუფალთა მხრიდან შერისხვის შიშით დუმილს ამჯობინებენ: "ძალიან მსურდა, ამბობს აქ ლუთერი, - ჩემი რჩევით, შეძლებისდაგვარად დახმარება გამეწია გერმანიისათვის. შეიძლება ზოგიერთებმა ამის გამო ამითვალისწუნონ და ჩემი პატიოსანი რჩევა არაფრად ჩააგდონ. დაე, თავად თქვან უკეთესი, ამის წინააღმდეგი არც მე ვიქნებოდი. ეჭვიც არ მეპარება, რომ ისინი ამას ჩემზე უკეთესად შეასრულებდნენ; მაგრამ რადგანაც ისინი დუმან, ვღაღადებ მე და ისე ვამბობ, როგორც შემიძლია, ყოველ შემთხვევაში დუმილს ლაპარაკსი ჯობია".

მართლაც, ლუთერის პოლიტიკურ შეგონებებს, რომლებიც ხელისუფალთ კეთილგონიერებისაკენ მოუწოდებდნენ, მის "რჩევებს" აღზრდა-განათლებისა და სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლების სფეროში (რა თქმა უნდა, იმ შეზღუდულობათა გათვალისწინებით, რომელზეც უკვე გვქონდა საუბარი) დიდი ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. შემთხვევითი არ ყოფილა, რომ ეს "რჩევები" საფუძვლად დაედო რეფორმებს, რომლებიც

განახორციელა ფილიპ მელანქტონმა. ისინი ხელს უწყობდნენ გერმანელი ხალხის სულიერ ფორმირებას, ჩააგონებდნენ მას არა მარტო ღვთისმოსაობას, არამედ განათლების სიკეთეს, შინაგანი კულტურის აუცილებლობას, დისციპლინას, შრომისმოყვარეობას, მხოლოდ ნიჭიერი ახალგაზრდების დაწინაურებას და ა.შ. და თუ დღეს გერმანია ერთ-ერთი მოწინავე ქვეყანაა, ხოლო გერმანელები ერთ-ერთი სანიმუშო ხალხია, ამაში გარკვეული წვლილი მარტინ ლუთერსაც მიუძღვის.

აღსანიშნავია, რომ XIX საუკუნის 20-იანი წლებიდან ლუთერანულმა ეკლესიებმა და სკოლებმა, ლუთერანი გერმანელების მიერ დაარსებულმა, საქართველოშიც, თბილისის ახლომიმდებარე ტერიტორიებზეც დაიდეს ბინა.

თავი VII

მიუნცერი. გლეხთა დიდი ტრაგედია და ხმალამოღებული ლუთერი

მიუნცერი ლუთერის თანამედროვე მოღვაწე და მოაზროვნეა. მისეული სოციალური თუ ქონებრივი გათანაბრებების და, საერთოდ, თანასწორობის იდეა თავისთავად მიმზიდველი იყო, მაგრამ ამ იდეის წინა პლანზე დაყენება იმ სიტუაციაში, როცა გერმანიაში ეროვნული ეკლესიისა და ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი წყდებოდა, ქვეყანას უბედურებას უქადდა. ასეც მოხდა. მიუნცერისეულმა რეფორმაციამ გერმანელი ერი უაზრო სისხლისღვრამდე მიიყვანა, მისი შედეგების ლიკვიდაცია კი უაღრესად რთული და მტკივნეული პროცესი აღმოჩნდა, რადგან ლუთერის მიერ შეკრული ერი ისევ გაიხლიჩა და უნდობლობის ჭაობში ჩაეფლო. ზიანი მიადგა იმ ეროვნულ საქმეს, რომელსაც ლუთერის რეფორმაცია ითვალისწინებდა. არ გამოვრიცხავთ, რომ მისი ინსპირატორი იყო ორთოდოქსალური კათოლიციზმის მეთაური, რომის პაპი და მისი ნების აღმასრულებლები გერმანიაში. ამას გვაფიქრებინებს პაპის ლეგატის ალეანდრეს ზემოთმოყვანილი ეს სიტყვებიც: "თუ გერმანიაში შეეცდებიან რომაული ტახტის დამხობას, ჩვენ ისე მოვიქცევით, რომ მათ (ე.ი. გერმანელებს - გ.კ.) ერთმანეთს დავაგლეჯინებთ, საკუთარ სისხლში ვაბანავებთ." მათ ხომ ეროვნულიდან სოციალურ საკითხზე ყურადღების გადატანით გერმანელი ერის გახლეჩა და ურთიერთდაპირისპირება სურდათ და ეს შეძლეს კიდეც. მიუნცერი, მისდაუნებურად, მათ სამსახურში აღმოჩნდა, იგი ძმათამკვლელ ომში ჩაითრიეს.

* * *

თომას მიუნცერი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა 1490-1525 წლებში, დაიბადა შტოლბერგში, შეძლებული გლეხის ოჯახში. მის ბავშვობასა და ყრმობაზე ბევრი არაფერია ცნობილი,

მხოლოდ ის ვიცით, რომ სულ პატარა მიუნცერი მოწმე გახდა ოჯახური ტრაგედიისა, შტოლბერგის გრაფმა მამამისი ჩამოახრჩობინა. ჩანს, ნიჭიერება მას არ აკლდა, აკი 1507 წელს სწავლას იწყებს ლაიფციგის უნივერსიტეტში, სადაც თავდაპირველად მეცადინეობდა მედიცინაში, ხოლო შემდეგ ფილოსოფიასა და თეოლოგიაში. მას წაუკითხავი არ დარჩენია ჰუმანისტებისა თუ რომაელი მორალისტების, აგრეთვე მისტიკოსების (ტაულერის და სხვათა) თხზულებანი. უნივერსიტეტის დამთავრებისთანავე, ხდება რა თეოლოგიის დოქტორი, იღებს მღვდლის თანამდებობას. მიუნცერს შეხების წერტილი ჰქონდა ვიტენბერგის უნივერსიტეტთანაც. 1518 წელს იგი ისმენდა ლუთერის ლექციებს ღვთისმეტყველებაში, მოწიწებით ეკიდებოდა რეფორმატორს, ერთი ხანობა მისი მიმდევარიც იყო. არც მიუნცერს აკლდა ლუთერის მხარდაჭერა: სწორედ მისი სარეკომენდაციო წერილით (1520წ.) მიიღეს მიუნცერი ცვიკაუში, სადაც მღვდლისა და მქადაგებლის მოვალეობა უნდა შეესრულებინა. ცვიკაუში იგი უკავშირდება ანაბაპტისტებს, თუმცა არ მიუღია მათი "მეორედ მონათვლის" იდეა.

საეტაპო მნიშვნელობისაა მისი მოგზაურობა პრაღაში (1522-1523წწ.), სადაც იგი გაეცნო თაბორიტების იდეებს, რომლის შემდეგ მან იწყო ანტიფეოდალური რევოლუციური იდეების ქადაგება. თუ რა როლი შეასრულეს ამაში დაინტერესებულმა პირებმა, რომის პაპმა და მისმა აგენტებმა გერმანიაში, ეს უცნობია, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ ამის შემდეგ იწყება ეროვნული ძალების გათიშვა, 1524 წლიდან მიუნცერი განუდგა ლუთერს და, საერთოდ, ბიურგერულ რეფორმაციას და გახდა 1524-1525 წლების გლეხთა ომის იდეოლოგი და ხელმძღვანელი, მქადაგებელი რევოლუციურ-უტოპიური მოძღვრებისა — თავისუფლებისა და სოციალური თანასწორობისა.

გლეხთა დიდი ომი 1524 წლის ივნისში შტიულინგენის საგრაფოს აჯანყებით დაიწყო, სულ მალე მან გერმანიის სამი დიდი რაიონი შვაბია, ფრანკონია და ტიურინგია მოიცვა. გლეხთა აჯანყება იყო აგრეთვე ელზასსა და ტიროლში. ყველგან

იქმნებოდა აჯანყებულთა რაზმები და ე.წ. "კავშირები", შემუშავებულ იქნა არაერთი პროგრამა: შვაბიაში შეიქმნა "12 სტატია", ფრანკონიაში "წერილი-თეზისები", ასევე "ჰაილბრონის პროგრამა", რომლებშიც აისახა გლეხების, ბიურგერების და რაინდების ინტერესები. მიუნცერის გავლენა ყველგან დიდი იყო.

აჯანყებულებთან, სადაც კი ჩადიოდა, მიუნცერს რევოლუციური სული ჩაპქონდა, დაუფარავად წარმოაჩენდა "ბატონებისა და მთავრების" სახეს, ამბობდა, რომ მათგან მომდინარეობს ყოველგვარი უბედურება, რომ ისინი ტირანები არიან, რომელთაც არ ესმით თავიანთი ხალხის სატკივარი, ისინი ღარიბებს არსებობის საშუალებას არ უტოვებენ, იტაცებენ ყველაფერს: "თევზს წყალში, ფრინველს - ჰაერში, მარცვლეულს - მიწაზე". ისინი ფეხქვეშ თელავენ ადამიანურ ღირსებებს და კანონებსაც, "ჯოხით უმასპინძლდებიან თავინთ ხალხს, ტანჯავენ და ტყავს აძრობენ მათ". ამის მიუხედავად, მათ ჰყოფნით თავხედობაც, რომ ღარიბებს წესიერებისაკენ მოუწოდონ, უქადაგონ "არ მოიპაროთ" და თუ მაინც დაინახეს, რომ უბრალო ადამიანმა ოდნავ შესცოდა, მას "უმალ სახრჩობელაზე აგზავნიან".

ნიშანდობლივია ისიც, რომ მიუნცერი გერმანელი "ბატონებისა და მთავრების" მხოლოდ კრიტიკით არ კმაყოფილდება, უბრალო ადამიანებს იგი ბრძოლისა და შურისძიებისაკენ მოუწოდებს, არწმუნებს, რომ მათ შესწევთ ძალა, რათა ბოლო მოუღონ ტირანიას. გადასახადების ამკრეფ ი.ცეისისადმი 1524 წლის 22 ივლისის წერილში მას პირდაპირ აქვს ნათქვამი, რომ ხალხი სულ მალე ჩასწვდება სახარებისეულ ჭეშმარიტებას და აღასრულებს ღვთის ნებას: თავიდან მოიშორებს ტირანებს და განახორციელებს "ღვთის ათასწლოვან სუფევას", როცა ამაღლებულნი დამდაბლდებიან, დამცირებულნი კი ამაღლდებიან და ეს მოხდება არა სიკვდილის შემდეგ, არამედ აქ, დედამიწაზე. ავითარებს რა ამ აზრს, მიუნცერი 1524 წელს ნიურნბერგში დაბეჭდილ თხზულებაში "ყალბი რწმენის მხილებაში" - უფრო გასაგებად გადმოსცემს სათქმელს, ამბობს, რომ "უბრალო ხალხის ტანჯვასა და ჩაგვრას მალე მოეღება ბოლო" და იგი შექმნის

ისეთ საზოგადოებას, სადაც არ იქნება კერძო საკუთრება და ხელისუფალთა "ტირანიული ძალადობა", სადაც ადამიანთა ურთიერთობა ქონების ერთობას, სამართლიანობასა და საყოველთაო კეთილდღეობას დაეფუძნება.

პირველი რიგის ამოცანად მაინც, რაც ხალხს უნდა გაეკეთებინა, მიუნცერს ის მიაჩნდა, რომ ბოლო მოელო კერძო საკუთრებისათვის, ვინაიდან მასში ხედავდა ყოველგვარი ძალადობისა და ჩაგვრის საფუძველს. ხალხს უნდა გაეგო, რომ ქონების ერთობასა და "საერთო ხაზინაშია" ის სიკეთე, რომელსაც მოაქვს საყოველთაო თანასწორობა. ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა მიუნცერი, როცა ერთ ასეთ საყურადღებო წინადადებასაც აყენებდა: შექმნილიყო გაერთიანება ანუ "კავშირი", რომელშიც უბრალო ადამიანებთან ერთად ბატონებიც (რა თქმა უნდა, ვინც ამის საჭიროებას შეიგნებდა) შეეიდოდნენ და რომლის მიზანიც იქნებოდა "Omnia sunt communia" (ყველაფერი საერთოა); აქ საარსებო საშუალებების განაწილების დროს თითოეულ ადამიანს უნარისა და მოთხოვნილების მიხედვით უნდა მიეღო.

"ღვთის ათასწლოვანი სუფევა" ანუ კომუნიზმი, რომლის დამყარებაზეც მიუნცერი ოცნებობს, მარტო სოციალური საკითხების მოგვარებით არ ამოიწურება, იგი ხელისუფლების საკითხის მოგვარებასაც გულისხმობს. ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის აშენება მიუნცერს ვერ წარმოუდგენია მმართველობის ძველი ფორმის შენარჩუნებით, ხალხის კეთილდღეობისათვის მზრუნველი ხელისუფლების გარეშე, რომელსაც თვითონ ხალხი აირჩევს. ამ იდეას იგი ავითარებს "ქადაგებაში მთავრების წინაშე", რომელიც წარმოთქვა ალშტედტში.

ამრიგად, მიუნცერთან თავს იჩენს რესპუბლიკური იდეების ჩანასახი, აკი ხალხია წყარო და სუბიექტი პოლიტიკური ხელისუფლებისა, იგი თვითონ ირჩევს ხელისუფალს, რომელსაც არ ექნება სხვა საფიქრალი, თუ არა ზრუნვა ხალხის კეთილდღეობისა და ქრისტეს მტრების დათრგუნვისა. ამაში მკაფიოდ ჩანს მიუნცერისეული პროგრამის დემოკრატიზმი.

ამ პროგრამაში ერთი საგულისხმო მომენტიცაა: ღმერთისა და ხალხის ნების აღსრულებას რომ მოითხოვს, მიუნცერი იმავდროულად იმ აზრს გამოთქვამს, რომ ამის უნარს მხოლოდ ის ხელისუფალი ფლობს, ვინც ჭეშმარიტი ქრისტიანია და მართვისას ხელმძღვანელობს სახარების პრინციპებით, ე.ი. სახარებას მასთან საკანონმდებლო ძალა ენიჭება, ამას ადასტურებს მისი ეს სიტყვებიც: — თუ გინდათ "ისწავლოთ ღმერთის კანონი, ისწავლეთ სახარება". ამ მხრივ მიუნცერი ცვინგლის ენათესაევა, თუმცა, მისგან განსხვავებით, ხელისუფალისაგან სულაც არ მოითხოვს, რომ მისი მოღვაწეობა ვრცელდებოდეს სასულიერო სფეროშიც. მეტიც, იგი კატეგორიულად დაუპირისპირდა ამგვარი სურვილის მქონე მთავრებს და თვით ლუთერსაც, რომელმაც გლეხთა ომის პერიოდში დასაშვებად ჩათვალა საერო მთავრების მონაწილეობა სასულიერო საქმეებში. მიუნცერი თვლის, რომ სახელმწიფო არ არის ქრისტიანული დაწესებულება, რომელსაც ამოცანად აქვს გაავრცელოს სახარება და მოაქციოს ადამიანები ქრისტიანებად. სახელმწიფოს მხოლოდ თავდაცვისა და მშვიდობის შენარჩუნების ფუნქცია აკისრია.

იქვე ალშტედტში ყოფნის დროს მიუნცერმა მოახდინა ძირეული გარდაქმნა ღვთის მსახურებისა. გერმანელი რეფორმატორებიდან მიუნცერი იყო პირველი, რომელმაც ეკლესიიდან განდევნა ლათინური ენა: ქადაგება თუ ლიტურგიული გალობა ახლა გერმანულად ისმოდა.

მაგრამ 1524 წლის აგვისტოდან მიუნცერი იძულებული გახდა დაეტოვებინა ალშტედტი. შემოდგომაზე ის უკვე ფრანკონიაშია, სადაც მან თუ მისმა მიმდევრებმა მალე გამოსცეს ე.წ. "წერილ-თეზისები", რომელიც ანათემაში გადასცემდა ფეოდალურ მთავრულ ხელისუფლებას, მოითხოვდა მემამულეთა ქონების კონფისკაციას. რა თქმა უნდა, ეს პროგრამა უტოპიური იყო, მაგრამ ის კი ფაქტია, რომ მან სერიოზული გავლენა მოახდინა ფრანკონელ აჯანყებულთა ტაქტიკაზე, გააძლიერა ანტიფეოდალური პროტესტი და დარაზმულობა. ეს კიდევ უფრო ნათლად გამომჟღავნდა 1525 წლის გაზაფხულზე ტიურინგიაში.

აქ მეტად დამახასიათებელი ის იყო, რომ ადგილობრივი აჯანყებულები სხვადასხვაგვარად შეხვდნენ ლუთერსა და მიუნცერს. პირველს უარყოფითად მოეკიდნენ, მეორეს კი შეხვდნენ როგორც სასურველ "რევოლუციონერ თეოლოგს". მიულჰაუზენი, სადაც მიუნცერი გაჩერდა, გახდა შუაგერმანული აჯანყების ცენტრი, რომელიც მიზნად ისახავდა არა ცალკეული უსამართლობისაგან განთავისუფლებას, არამედ "ღარიბთა მიერ ხელისუფლების ხელში ჩაგდებას და ქვეყნად ღვთის ნების აღსრულებას". ერთი სიტყვით, მიუნცერი ხალხური რეფორმაციის პრინციპებს იცავდა და მიულებლად აცხადებდა ლუთერისეულ იდეებს. — "თუ ლუთერი და მისი თანამოაზრეები, - წერდა იგი, - მღვდლებზე და ბერებზე თავდასხმის იქით ველარ მიდიან, მაშინ მათ საქმისათვის ხელი არ უნდა მოეკიდათ... ბრძოლა რომის პაპის ძალაუფლების წინააღმდეგ, ცოდვათა შენდობის, პანაშვიდებისა და სხვა თვალთმაქცობის არცნობა რეფორმაციის მხოლოდ ნახევრად გატარებას ნიშნავს. ლუთერი ცუდი რეფორმატორია, ნაზ სხეულს ის ბალიშებს უგებს, ძალიან აზვიადებს რწმენის მნიშვნელობას და ნაკლებად აფასებს საქმეს". ამგვარად, მიუნცერი რეფორმაციის არსში გულისხმობდა არა ახალი საეკლესიო დოგმის შექმნას, ან ახალი რელიგიის ჩამოყალიბებას, არამედ სოციალურ-პოლიტიკურ გადატრიალებას, რომელიც გლეხთა მასებისა და ქალაქის მოსახლეობის დაბალი ფენების მეშვეობით უნდა მომხდარიყო. ბუნებრივია, ამდაგვარი გამოსვლებითა და მოთხოვნებით მიუნცერი აჯანყებულთა გულს ინადირებდა და ისინიც სათანადოდ მიუზღავდნენ მას: მოიხსენიებდნენ როგორც "მამა თომასს" ან კიდევ "ღარიბთა ერთგულ მრჩეველს".

სამაგიეროდ, წარუმატებელი აღმოჩნდა ლუთერის საუბრები ტიურინგიაში, მაგრამ ვიდრე ამაზე ვისაუბრებდეთ, ჯერ ვნახოთ, თუ როგორი პოზიცია ეკავა მას მანამდე.

ვერ ვიტყვით, რომ გლეხთა ომის წამოწყებაში გარკვეული როლი ლუთერმა არ შეასრულა. განა მას არ ეკუთვნის 1522 წელს ეპისკოპოსების წინაღმდეგ წარმოთქმული ეს სიტყვები: "თუ სასულიერო ხელისუფალნი ყურს არ დაუგდებენ ღმერთის

სიტყვას, არ შეწყვეტენ მძვინვარებას, დახოცავენ და ჩაიდენენ ყოველგვარ ბოროტებას, მაშინ როგორ უნდა მოვიქცეთ, თუ არა ძლიერი აჯანყების დაწყებით, რომელიც გაანადგურებდა, გაწყვეტდა მათ? და თუ ეს მოხდება, უნდა გვემხიარულა კიდეც". ამგვარი სიტყვების გამო იყო, რომ ლუთერს გლეხები და მათი ბელადები "ჩვენად" მოიხსენიებდნენ და დღე-დღეზე მოელოდნენ იმას, რომ "გერმანელი ჰერკულესი" სათავეში ჩაუდგებოდა სახალხო ჯარს. კათოლიკეებმაც, როგორც კი დაიწყო აჯანყება შტიულინგში, ნიშნის მოგებით თქვეს: "აი, ლუთერისეული რეფორმაციაო!" მაგრამ ორივე მხარე ცდებოდა, ვერ გაითვალისწინეს ის, რომ თუ ლუთერისათვის მისაღები იყო სასულიერო ხელისუფალთა წინააღმდეგ მიმართული აჯანყება, სამაგიეროდ დაუშვებლად, ღმერთის ნების საწინააღმდეგოდ, მიაჩნდა იგი საერო ხელისუფალთა მიმართ. ასე იყო აჯანყების დაწყებამდე. ამჯერადაც, აჯანყების დაწყების შემდეგაც, მას უნდა დაეფიქსირებინა თავისი პოზიცია. ამისაკენ მოუწოდებდა მას კურფიურსტ ფრიდრიხ საქსონელიც, რომელიც იმპერატორ კარლ V-ის მითითებით მოითხოვდა, რომ ლუთერს სასწრაფოდ დაეგმო გლეხთა გამოსვლები. ლუთერი ერთი ხანობა მაინც თავს იკავებდა ამგვარი დაგმობისაგან. მას გლეხთა კეთილგონიერების იმედი ჰქონდა, ელოდებოდა დოკუმენტს, რომელიც ამ გონიერების მაჩვენებელი იქნებოდა. ასეთი დოკუმენტი გახდა "თორმეტი სტატია", რომელიც მიღებულ იქნა მემინგენში 1525 წლის დასაწყისში ექვსი შვაბელი რაზმის ხელმძღვანელთა ყრილობაზე. ეს იყო ზომიერი და თავშეკავებული დოკუმენტი, რომლის ავტორები შესავალში იმას ითხოვდნენ, რომ გლეხებისათვის მოეხსნათ მეამბოხეობის ბრალდება. აჯანყებულები გამოთქვამდნენ რწმენას, რომ ბატონები მათ თხოვნას გაგებით მოეკიდებოდნენ და ყველაფერი მოგვარდებოდა მშვიდობიანი გზით.

პირველ სტატიაში საუბარი იყო იმაზე, რომ მრევლს მისცემოდა მღვდლის არჩევისა და შეცვლის უფლება; მეორე სტატია სვამდა საკითხს ე.წ. მცირე მეათედის გაუქმების შესახებ, თუმცა ცნობდა დიდი მეათედის მართებულობას; მესამე სტატიაში

გლეხები მოითხოვდნენ ბატონყმობის გაუქმებას; მეოთხე, მეხუთე და მეათე სტატიები აყენებდნენ მოთხოვნას, რომ გლეხებისათვის დაებრუნებინათ მათთვის წართმეული სათემო მიწები, ნადირობისა და შეშის ჭრის უფლება; მეექვსე და მეშვიდე სტატიებში საუბარი იყო საბატონო ბეგარის გაუქმებაზე; მერვეში - მიწის ღალის შემცირებაზე; მეცხრეში სამართლის წარმოების შერბილებაზე; მეთერთმეტეში "მკვდარი ხელის" უფლების შეცვლაზე; მეთორმეტე სტატია უარს ამბობდა ყველა იმ მოთხოვნაზე, რომელიც არ შეესაბამებოდა ღვთის სიტყვას. ამასთან გლეხთა ხელმძღვანელები იტოვებდნენ უფლებას, შეექმნათ სახარებაზე დაფუძნებული ახალი სახალხო მოთხოვნები.

ამ დოკუმენტს ლუთერი 1525 წლის აპრილში გაეცნო და მაშინვე დაწერა პასუხი, რომელიც ჩამოაყალიბა გერმანულად დაწერილ თხზულებაში "მშვიდობისაკენ მოწოდება შვაბელ გლეხთა თორმეტი სტატიის გამო". აქ იგი წერდა: "ვერ დავუშვებ, რომ ჩემი დუმილის გამო მე დამეკისროს პასუხისმგებლობა ღვთისა და ადამიანების წინაშე იმ უბედურების გამო, რომელიც შეიძლება მოხდეს". არ შემოიფარგლა რა თვითგამართლებით, მან ორივე მოწინააღმდეგე პარტიას უთხრა "მწარე სიმართლე" (როგორც იგი ფიქრობდა) და შეეცადა თანხმობა ჩამოეგდო მათ შორის. ჯერ მან იერიში ბატონებზე მიიტანა, თქვა, რომ მათ მოქმედებას საფუძვლად უდევს არა ზრუნვა ქვეშევრდომების სარგებლობისა და სიკეთისადმი. ეს გაუმაძღრები მხოლოდ "ჯიჯგნიან და ტყავს აძრობენ", თვითნებურად ექცევიან მათ, თვითონ კი ფუფუნებაში ცხოვრობენ, ღორმუცელობასა და ლოთობაში ატარებენ დროს. ერთი სიტყვით, ლუთერი იმას ამტკიცებდა, რომ ბატონები იმსახურებენ აჯანყებას იმ თავგასული ჩაგვრისათვის, რომელსაც ისინი სჩადიან გერმანიაში. თუ არ გამოსწორდებით, ყველა თქვენგანს სიკვდილი ელოდება, ნათქვამია "მოწოდებაში".

ასევე მკაცრია ლუთერის შეგონება აჯანყებული გლეხების მიმართ, რომელებსაც გადმოსცემს იგი "მოწოდების" მეორე ნაწილში. მის განსაკუთრებულ განრისხებას მაინც მესამე სტატია

იწვევს, სადაც საუბარია ბატონყმობის გაუქმების შესახებ. გლეხები რომ ამბობენ, "არ უნდა იყოს ყმები, რადგან ქრისტემ გაათავისუფლა" ისინი, ეს, ლუთერის აზრით, ქრისტიანული თავისუფლების არასწორი გაგების შედეგია. სინამდვილეში ქრისტიანული თავისუფლება ნიშნავს ადამიანების თავისუფლებას მხოლოდ სულიერი და არა მატერიალური ჩაგვრისაგან. მართალია, ბიბლიაში არაფერია ნათქვამი ბატონყმურ დამოკიდებულებაზე, მაგრამ მასში მრავლადაა იმის მიმანიშნებელი, რომ იგი ურიგდება მას. "განა აბრამს და სხვა პატრიარქებს და წინასწარმეტყველებს არ ჰყავდათ ყმები? წაიკითხეთ წმ. პავლე, და ნახავთ, რომ ის ასწავლის მონებს, რომლებიც მის დროს ყველა დაყმევებული იყო", წერდა ლუთერი. ამგვარად, მისი აზრით, როცა გლეხები ჩივიან მატერიალურ ჩაგვრაზე, მათთვის უკეთესი იქნებოდა "სავსებით გვერდზე დაეტოვებინათ ქრისტე", ე.ი. არ დაყრდნობოდნენ სახარებას და დამორჩილებოდნენ საერო ხელისუფლებას, რომელიც ღმერთის მიერაა დაწესებული. ამდენად მისადმი მორჩილება კანონიერია. "კი ბატონო, თქვენ ამბობთ, რომ ხელისუფლება სასტიკი და აუტანელია, მაგრამ მე ამაზე გიპასუხებთ: არც უკანონობა, არც ტირანია არ ამართლებს ამბოხებას". "ღმერთი კრძალავს აჯანყებას, ეშმაკი კი ხარობს, როცა ხდება აჯანყება; ხელისუფლების დამხობის უფლება არავის არა აქვს, გარდა იმისა, ვინც ის დააწესა", მიმართავს რა აჯანყებულ გლეხებს, ლუთერი იქვე განმარტავს: ერთადერთი, ვისაც შეუძლია წინ აღუდგეს სისასტიკესა და ბოროტებას, ღმერთია და, ამდენად, მისი აზრით, აჯანყებულებმა "შესცოდეს არა მარტო ღვთაებრივი სამართლის, არამედ ბუნებრივი სამართლის წინაშე". ავითარებს რა ამ აზრს, ლუთერი ლოგიკურ მსჯელობას ასე წარმართავს: თუ თითოეული ჩვენთაგანი მოისურვებს თვითნებურად გაუსწორდეს ხელისუფლებას, მაშინ რა გამოვა, "რა მოუვა ადამიანურ ურთიერთობას, საზოგადოებას? განა ქვეყანაში უწესრიგობა და ქაოსი არ დაისადგურებს?" ლუთერი ამითაც არ კმაყოფილდება და აჯანყებულებს თავის ადრინდელ ნაშრომში "საერო

ხელისუფლების შესახებ" (1523წ.) - გამოთქმულ მოსაზრებასაც შეახსენებს: ქრისტიანი ცხოვრობს მიწაზე, რათა იტანჯოს; მან უნდა ატაროს თავისი ჯვარი ქრისტესთან ერთად, რომელმაც თქვა: "ნუ ეწინააღმდეგები ბოროტებას! თუ შენ დაგარტყამენ მარჯვენა ლოყაზე, მიუშვირე მარცხენაც". - ამგვარად, გლეხებს ლუთერი ყოველგვარი უსამართლობისა და გასაჭირის მოთმინებით ატანისაკენ მოუწოდებდა, ეეედრებოდა გლეხებს, რომ აღესრულებინათ ქრისტეს დარიგება და არ წამოეწყოთ აჯანყება.

ლუთერისეული "მოწოდება" მთავრდება კიდევ ერთი შეგონებით, რომელიც მიმართული იყო როგორც ბატონებისადმი, ისე გლეხებისადმი: ორივე მხარეს უარი უნდა ეთქვა თავიანთ "ხორციელ ახირებაზე" და აზნაურებისა და მოქალაქეების წრიდან უნდა აერჩიათ ყველაზე პატიოსანი ადამიანები, რათა საქმე გადაეწყვიტა სამედიატორო სასამართლოს.

ბუნებრივია, ეს იყო მხოლოდ სურვილი, რომელსაც განხორციელება არ ეწერა. მას არ შეეძლო აჯანყებულთა შერიგება მჩაგვრელებთან. "მოწოდებას" მხოლოდ იმის გაკეთება შეეძლო, რომ აჯანყებულებისთვის ჩამოეცილებინა უბრალო ადამიანების ერთი ნაწილი მატერიალური ჩაგვრისადმი გულგრილი დამოკიდებულების გამო

ლუთერი "მოწოდების" გამოცემითა და გავრცელებით არ დაკმაყოფილდა, გადაწყვიტა დადგომოდა სააგიტაციო მოგზაურობას. 20 აპრილს, როგორც ვთქვით, იგი ჩადის ტიურინგიის მშფოთვარე რაიონებში, მოიარა მისი თითქმის ყველა მნიშვნელოვანი საგრაფო და რაიონი, სადაც კი იდგა აჯანყებულთა რაზმები. მარტო აიზენახის რაიონში რვა ათასამდე აჯანყებულს მოეყარა თავი, ისინი შეიარაღებულები იყვნენ ხელკეტებით, ფიწალით და თოფებით. გამოდიოდა რა მათ წინაშე ლუთერი ქადაგებდა გატაცებით და ენერგიულად, ირწმუნებოდა, რომ მას სჯეროდა უბრალო ადამიანების მშვიდობისმოყვარეობისა, თანაც ეხვეწებოდა, რომ მათ ყური არ ეგდოთ "სისხლმოწყურებული წინასწარმეტყველებისათვის (ჩანს, მიუნცერს გულისხმობდა გ.კ.), რომელიც „გლეხებში ეშმაკს აღვიძებდა."

მაგრამ ლუთერს განწბილება ელოდა, მსმენელები მას გულგრილად ეკიდებოდნენ ან დამცინავი წამოძახილებით აწყვეტინებდნენ სიტყვას. შტოლბერგში ლუთერს "მთავრების მლიქვნელიც" კი უწოდეს, ხოლო ნორდჰაუზენში ოთახის კარებს, სადაც ის გაჩერდა, კუპრი წაუსვეს. ამის მიუხედავად, აპრილის ბოლოს ლუთერი ხელმეორედ ჩავიდა ამ ქალაქში, კვლავ იქადაგა, მაგრამ ამჯერადაც წარუმატებლობა განიცადა.

ასეთ ვითარებაში მან შეიარა აისლებენში, მოინახულა კურფიურსტი ფრიდრიხი, რომელიც ავადმყოფობდა (სულ მალე იგი ვაიმარში გარდაიცვალა). აქ მას მოართვეს მანსფელდის გრაფის ალბრეხტის ერთგული პირების მიერ შედგენილი ცნობები, რომელიც აჯანყებულთა "უწესრიგობის და თავაწყვეტილი ღრეობის" შავბნელ სურათს ხატავდა. ამან ლუთერზე შემაძრწუნებელი შთაბეჭდილება მოახდინა, ხელი ააღებინა მერყეობაზე და მოკლე ხანში, 1525 წლის 6 მაისს, შეთხზა პამფლეტი "გლეხთა ყაჩაღური და მძარცველური ბრბოს წინააღმდეგ", რომლითაც გლეხთა აჯანყებას ანათემა გამოუცხადა. ამ დროისათვის აჯანყებულები მარცხს-მარცხზე განიცდიდნენ, გლეხები ისედაც განწირულები იყვნენ და ასეთ ვითარებაში ლუთერისეული პამფლეტი მთავრების სადამსჯელო მოქმედებას ლოცვა-კურთხევით მოსავდა.

პამფლეტში აჯანყებული გლეხები სამგზის დამნაშავეებად იყო გამოცხადებული: ერთი იმიტომ, რომ გლეხებმა ოდესღაც საერო ბატონებისადმი მიცემული ერთგულების ფიცი დაარღვიეს; მეორე იმიტომ, რომ მათი სისხლისმღვრელი და მძარცველური მოქმედებები ყოველგვარ საზღვარს სცილდებოდა; მესამეც იმიტომ, რომ ისინი თავიანთი უმძიმესი ცოდვების დაფარვას ცდილობდნენ სახარების სიტყვებით. ერთი სიტყვით, ლუთერის აზრით, ყველა ეს დანაშაული გლეხებს სიკვდილის ღირსად ხდიდა და ამოტომაც თითოეულმა ხელისუფალმა თუ "ადამიანმა, ვისაც ეს შეუძლია, ისინი უნდა ჩეხოს, დაახრჩოს და მოკლას, მალულად და აშკარად, ისევე როგორც კლავენ ცოფიან ძაღლებს". ამგვარად, იქმნებოდა შთაბეჭდილება, თუ ფიზიკურად არა,

სიტყვიერად მაინც ხმალამოღებული ლუთერი ჩეხდა აჯანყებულ გლეხებს.

ასევე ანტიგლეხური ხასიათის მატარებელია მისი მესამე პამფლეტიც, - „წერილი სასტიკ წიგნაკზე გლეხების წინააღმდეგ", რომელიც დაიწერა 1525 წლის ივლისში. ეს იყო მთავრების აგრესიის გამართლების ცდა, სურვილი იმისა, რომ მთავრებს გლეხთა დახოცვის გამო ოდნავადაც უხერხულად არ ეგრძნოთ თავი. მათ სინდისს იგი ასე ამშვიდებდა: თქვენი მოქმედება თქვენივე უფლებიდან გამომდინარეობს, როგორც კანონიერ ხელისუფალთ თქვენ გაქვთ მეამბოხეების დახოცვის უფლება; "ეშმაკი ჩაუსახლდა გლეხებს, და მათ უნდა მოვეპყრათ როგორც ეშმაკის გუნდს".

აჯანყებული გლეხებისადმი ასეთი დამოკიდებულება, ბუნებრივია, ჩირქს სცხებდა ლუთერის სახელს, სცემდა მის ავტორიტეტს, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ლუთერი გამონაკლისი არ ყოფილა. ლუთერამდეც და მის შემდეგაც მრავალ გამოჩენილ პიროვნებას გაულაშქრია აჯანყებულთა წინააღმდეგ. როგორც ვთქვით, ასე იქცეოდნენ თვით ლუთერის თანამედროვე ჰუმანისტებიც, მათ შორის ერაზმ როტერდამელი და ტომას მორი. ამ უკანასკნელის აზრითაც, უბრალო ადამიანებს არა აქვთ უფლება, აძაგონ ხელისუფლება, პირიქით, უსიტყვოდ უნდა დაემორჩილონ მას. მან გაამართლა აჯანყებული გლეხების დასჯა გერმანიაში. მაშასადამე, არა მარტო ლუთერი, არამედ ერაზმი და მორიც გმობდნენ რევოლუციურ გარდაქმნებს; მათ ღრმად სჯეროდათ, რომ ძალადობა ძალადობას წარმოშობს, რომ თანამოძმეთა ურთიერთშორის ბრძოლა მხოლოდ ქვრივებსა და ობლებს ამრავლებს და მტრის წისქვილზე ასხამს წყალს, რომ ამ გზით მოპოვებული თავისუფლება (თვით ტირანიისაგან განთავისუფლებაც) ვერ პოულობს გამართლებას.

ლუთერს ის გამართლებაც ჰქონდა, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, მის სახელთან დაკავშირებულ რეფორმაციულ მოძრაობა, რომელიც ეროვნული ხასიათის მატარებელი იყო, პაპებისა და

მისი აგენტებისაგან გერმანიის განთავისუფლებაც უნდა მოეტანა და, ამდენად, მიუნცერის მიერ სოციალური საკითხის წინ წამოწევას, რომელიც საფრთხეს უქმნიდა ეროვნულ მოძრაობას, ლუთერი ვერ შეურიგდებოდა. სიკვდილამდე მას გულრწფელად სწამდა, რომ რეფორმაცია მოიპოვებდა სრულ გამარჯვებას პაპობაზე, საქმეში რომ არ "გაჩხირულიყო" მიუნცერი "თავისი აჯანყებით".

ეს "აჯანყება" ანუ გლეხთა დიდი ომი, ასე ათასამდე კაცი რომ მონაწილეობდა, 1525 წლის მაისში შევიდა ტრაგიკულ ფაზაში და სრული კრახით დასრულდა. მართალია, აჯანყებულებს ერთხანს (ეს კი 1525 წლის 17 მარტიდან ხდება) ძალაუფლებაც კი ეპყრათ ხელში მიულჰაუზენში, სადაც შექმნეს რევოლუციური მთავრობა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, მათ წინააღმდეგ თვით ერთმანეთის მოძულე სასულიერო და საერო მთავრებიც კი გაერთიანდნენ და ერთიანი ძალით 15 მაისს ფრანკენჰაუზენთან მუსრი გაავლეს აჯანყებულ გლეხებს. ანგარიშსწორება არც შემდეგში შეწყვეტილა და დახოცილთა რიცხვმა 20 ათასს გადააჭარბა, შეიპყრეს და სიკვდილით დასაჯეს მიუნცერი. ხოლო იმათ, ვინც გადაურჩა დევნასა და სიკვდილს, სასიცოცხლო პირობების ოდნავი გაუმჯობესებაც არ მიულია. პირიქით, უფრო გაუსაძლისი გახდა მათი ცხოვრება.

<u>მიუნსტერის კომუნა.</u> რევოლუციური სული ერთბაშად არ ჩამცხრალა გერმანიაში, დევნის მიუხედავად გლეხთა ომისა და რეფორმაციის რადიკალური ფრთის გადარჩენილმა ნაწილმა, განსაკუთრებით ანაბაპტისტებმა, კვლავ ააღორძინა სექტა მიუნსტერში, დასავლურ გერმანულ ქალაქში, საიდანაც განდევნეს მთავარ-ეპისკოპოსი. ანაბაპტისტების დიდი ნაწილი აქ მოვიდა ნიდერლანდებიდან იან მატისის და იან ლეიდენის ხელმძღვანელობით, მათ უმრავლესობა მოიპოვეს ქალაქის მმართველობაში, ქალაქი გამოაცხადეს "ახალ იერუსალიმად", ანუ "ღვთის სამეფოდ", რომელმაც იარსება 14 თვე, 1535 წლის ივნისამდე. ამ "სამეფოს" ჯერ იან მატისი ხელმძღვანელობდა, ხოლო მისი სიკვდილის შემდეგ იან ლეიდენი. მათ ქალაქში გამთანაბრებელი

პოლიტიკა გაატარეს, გააუქმეს ფული და შემოიღეს ნატურით გაცვლა. ძვირფას მეტალს მოსახლეობა საზოგადოებრივი საჭიროებისათვის აბარებდა. ეკლესიებისათვის ჩამორთმეული ქონება და საკვები პროდუქტები ნაწილობრივ მოსახლეობას დაურიგეს; მევახშეობა აკრძალეს და ძველ აღთქმაზე დაყრდნობით ერთი ხანობა მრავალცოლიანობა შემოიღეს, რომელიც მოგვიანებით გააუქმეს.

"მეფე" მიუნსტერისა საოცრად სასტიკი მმართველი აღმოჩნდა, არსებითად მისი სამეფო თეოკრატიული ხასიათის მატარებელი იყო, გაანადგურეს ხატები და საეკლესიო მორთულობანი, წიგნებიდან მხოლოდ ბიბლია დატოვეს.

მიუნსტერის სამეფოსაც დაუდგა აღსასრულის დღე, მთავარ-ეპისკოპოსის ჯარებმა ალყა შემოარტყეს მას. მოალყეებს საიმპერიო ჯარიც მიეხმარა. მართალია, ქალაქი და მისი დამცველები გმირულად იბრძოდნენ, მაგრამ 1535 წლის ივნისში იგი მაინც დაეცა, სიკვდილით დასაჯეს აჯანყებულთა ხელმძღვანელები, მონასტერში კვლავ აღსდგა კათოლიციზმი.

თავი VIII

შპეიერის რაიხსტაგის გადაწყვეტილებიდან შმალკალდენის კავშირამდე

გლეხთა ომმა და იმან, რომ ლუთერმა რელიგიური გარდაქმნების საქმეში მის მომხრე მთავრებს სრული თავისუფლება მიანიჭა, თავისებურად იმოქმედა რეფორმაციის შემდგომ განვითარებაზე. მართალია, კათოლიკე მთავრებს 1525-1526 წლებში არ შეუწყვეტიათ მცდელობა, რომ ბოლო მოეღოთ ახალი მოძღვრებისათვის, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწიეს და სულ მალე, 1526 წლის ივნის-აგვისტოში, შპეიერის რაიხსტაგზე მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ეროვნული საეკლესიო კრების მოწვევამდე მთავრებს ისე წარემართათ რელიგიური ცხოვრება, თითქოს "ისინი იყვნენ პასუხისმგებელნი მხოლოდ ღმერთისა და იმპერატორის წინაშე". ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავდა, რომ ისინი თავისუფლდებოდნენ 1521 წლის ვორმსის ედიქტის აღსრულებისაგან, რომელიც "ლუთერანული ერესის" წინააღმდეგ სასტიკ ზომებს ითვალისწინებდა. ამ სიტუაციას ლუთერის მომხრე მთავრებმა კარგად აუღეს ალღო და იწყეს "ევანგელიზმის" პოზიციის გაძლიერება. მათ თავიანთ სამფლობელოებში ხელი მიჰყვეს სკოლებისა და უნივერსიტეტების გარდაქმნას იმ პროგრამის შესაბამისად, რომელიც შემუშავებული იყო ლუთერისა და მელანქტონის მიერ. იმავდროულად ხდებოდა საეკლესიო ქონების სეკულარიზაცია. ჩამორთმეული ქონების ერთი ნაწილი ეძლეოდა აზნაურებსა და მოქალაქეებს, მეორე ნაწილი გადადიოდა ხელისუფალთა განკარგულებაში. მესამე ნაწილი ხმარდებოდა მქადაგებლების, სკოლებისა და უნივერსიტეტების შენახვას. სეკულარიზაცია ხელს უწყობდა მთავრის ხელისუფლების გაძლიერებას, რომელიც მიჩნეული იყო როგორც "უმაღლესი ეპისკოპოსი".

კათოლიკეები ვერ შეურიგდნენ ლუთერან ხელისუფალთა ასეთ მოქმედებას. ამით უნდა აიხსნას 1529 წლის მეორე შპეიე-

რის რაიხსტაგის გადაწყვეტილება, რომლის თანახმად კარლ V-ემ კვლავ მოითხოვა ვორმსის ედიქტის განუხრელი გატარება. იგი კათოლიკეებს იმაშიც დაეხმარა, რომ ევანგელისტურ ტერიტორიებსა და ქალაქებში სავალდებულო გაეხადათ კათოლიკური საეკლესიო მსახურება. ამ გადაწყვეტილებას არ დაემორჩილა ახალი სარწმუნოების უმცირესობა, 5 მთავარი და 14 ქალაქი. მათ პროტესტი განაცხადეს და თქვეს, რომ სინდისისა და რწმენის საქმეში შეუძლებელია დავემორჩილოთ უმრავლესობის გადაწყვეტილებას. ამ მომენტიდან რეფორმაციის მომხრეებს (როგორც ლუთერანებს, ისე ცვინგლისა და კალვინის მიმდევრებს) პროტესტანტებს უწოდებენ.

1530 წელს გაიმართა აუგსბურგის რაიხსტაგი, სადაც იყო მოლაპარაკებების მცდელობა, შეეცადნენ თანხმობა ჩამოეგდოთ კათოლიკეებსა და პროტესტანტებს შორის. ლუთერს როგორც ოფიციალურად შერისხულ ერეტიკოსს არ შეეძლო მონაწილეობის მიღება მოლაპარაკებაში. რაიხსტაგზე წარდგენა და ევანგელიზმის ძირითადი პრინციპების სისტემაში მოყვანა დაევალა ფილიპ მელანქტონს. ისტორიაში მან პირველმა შეიმუშავა პროტესტანტიზმის კრედო (მრწამსი), რომელმაც მიიღო "აუგსბურგის აღსარების" სახელწოდება.

დოკუმენტში გადაჭრით უარყოფილი იყო რომაულ-კათოლიკური ეკლესიის იერარქიიზმი. ლაპარაკი იყო იმ განსხვავებაზეც, რომელიც არსებობდა სასულიერო და საერო ხელისუფლებას შორის. იგი შედგენილი იყო ლუთერანობის პირველი დოგმატის "მხოლოდ რწმენის გამართლების" შესაბამისად.

დოკუმენტს შემდგენელი დიპლომატიურად მოეკიდა, როცა გამოტოვა ლუთერის ბევრი მნიშვნელოვანი იდეა. მასში არაფერი იყო ნათქვამი საყოველთაო მღვდლობაზე, აბსოლუტურ ბედისწერაზე, სალხინებლის წინაშე შიშის არასამართლიანობაზე, შენდობისა და წმინდანთა კათოლიკური თაყვანისმცემლობის მიუღებლობაზე. დაგმობილი იყო შვეიცარიელი "საკრამენტალობა", ცვინგლიანობა.

ერთი სიტყვით, დოკუმენტი იმდაგვარად იყო შედგენილი და შერბილებული, რომ კათოლიკეებს უარი არ ეთქვათ მასზე.

თავდაპირველად ლუთერი ამგვარი დათმობების წინააღმდეგ წავიდა, მაგრამ ცოტა მოგვიანებით, მოერიდა რა მელანქტონთან ურთიერთობის გამწვავებას, დაეთანხმა მას, დარწმუნებულმა იმაში, რომ არც ამდაგვარ დოკუმენტს მიიღებდნენ კათოლიკეები. ლუთერის ვარაუდი გამართლდა. იმპერატორის ბრძანებით შექმნილმა კომისიამ, კათოლიკეებით რომ იყო დაკომპლექტებული, "აუგსბურგის აღსარება" შეაფასა როგორც ბუნდოვანი და არაგულწრფელი დოკუმენტი. კარლ V-მაც დაადასტურა მათ მიერ შედგენილი "უარყოფა" და "აღსარების" ავტორებსა და ახალი რწმენის მქონეებს ძველი სარწმუნოებისადმი დაბრუნებისაკენ მოუწოდა. შეუსრულებლობის შემთხვევაში იმპერატორი მათ სასამათლოში გადაცემითა და ძალის გამოყენებით ემუქრებოდა.

მართლაც, პირველი ნაბიჯი 1530 წლის 19 ნოემბერს გადაიდგა. იმპერატორმა თავისი ახალი ბრძანებით კვლავ ძალაში შეიყვანა ვორმრის ედიქტი და პროტესტანტი მთავრებისაგან ის მოითხოვა, რომ მათ 15 იანვრამდე (1531წ.) დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია, წინააღმდეგობის გამწვევთ სასჯელით ემუქრებოდა. კომიკური ამ ბრძანებაში ის იყო, რომ სასჯელით ემუქრებოდნენ ლუთერანებს, ცვინგლიანებს კი არა. ლუთერი არ შეუშინდა ამ მუქარას და დოქტორ მარტინიუსის მიმართვაში სასწრაფოდ "გამოაცხო" პასუხი "მისთვის საყვარელი გერმანელებისადმი,", სადაც, თავს ესხმოდა რა კათოლიკეების საქმიანობას რაიხსტაგზე, ლუთერი მოუწოდებდა პროტესტანტებს, ომის ან აჯანყების შემთხვევაში, გვერდით არ დადგომოდნენ პაპისტებს. რა თქმა უნდა, იგი თავის მომხრეებს აჯანყებისაკენ არ მოუწოდებდა, მაგრამ იმას კი ეუბნებოდა, რომ, თუ მას, მარტინიუსს, შეიპყრობდნენ და მოკლავდნენ, ამაზე უნდა ეყვირათ საჯაროდ, ყველა მოედანზე თუ ბაზარზე, და თუ ამის შემდეგ მოხდებოდა ხალხის გამოსვლა და მოკლავდნენ ეპისკოპოსებს, ხუცებს, ბერებს და მათ ლუთერთან ერთად გაგზავნიდნენ სამა-

რეში, ეს მათ თავის თავისთვის უნდა დაებრალებინათ და არა სხვებისათვის. ლუთერს თავისი მომხრეების, პროტესტანტების გაფრთხილებაც არ ავიწყდებოდა, აგრძნობინებდა რა მოსალოდნელ საფრთხეს, იგი წერდა: — "დროა დაფიქრდეთ თავდაცვითი ზომების მიღების აუცილებლობაზე".

იმპერატორის თავხედურმა მუქარებმა და ლუთერის საბრძოლო მოწოდებებმა მოსახლეობა აპათიისაგან გამოიყვანა. გამოაცოცხლა ევანგელიკური მოძრაობა, აქტიურობა პროტესტანტი მთავრებისა და ქალაქებისა, რომლებმაც საქსონიის კურფიურსტისა და ჰესენის ლანდგრაფის მეთაურობით 1531 წლის თებერვალ-მარტში ქალაქ შმალკალდენში შეკრეს სამხედრო-პოლიტიკური კავშირი თავდაცვისა და რეფორმაციის მხარდაჭერის მიზნით, თუმცა მასში როდი იყო ერთიანობა. შეინიშნებოდა დაპირისპირება ლუთერანებსა და იმათ შორის, ვინც იხრებოდა ცვინგლიანობისაკენ. ერთი სიტყვით, ყველაფერი ისე წარიმართა, რომ მომხდარიყო შეტაკება შმალკალდენის კავშირსა და იმპერატორის ძალებს შორის, მაგრამ ამას ლუთერი ვერ მოესწრო, გარდაცვალებამდე მას არანაკლებ საინტერესო იდეური ბრძოლები გადახდა.

თავი IX

დიდი იდეური ჭიდილი

იდეური ჭიდილი, რომელიც ჰქონდა ლუთერს თანამედროვეებთან, მიუნცერთან დაპირისპირებით არ ამოიწურება. ასევე მნიშვნელოვანია მისი დაპირისპირება-პაექრობანი ერაზმ როტერდამელთან, ინგლისის მეფე ჰენრი VIII-სა და მის კანცლერ ტომას მორთან, აგრეთვე შვეიცარიელ რეფორმატორ ულრიხ ცვინგლისთან, რომელიც მას XVI ს. 20-იან წლებში ჰქონდა, თანმიმდევრობით შეეხებით.

§1. პაექრობა ადამიანური ნების შესახებ

ერაზმისა და ლუთერის ურთიერთობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს, იგი დასაბამს იმ დროიდან იღებს, როცა ლუთერმა ინდულგენციებით ვაჭრობის წინააღმდეგ დაიწყო გამოსვლები. ერაზმი მოწონებით შეხვდა ამ ამბავს. "ის, რაც ლუთერმა აქამდე გააკეთა, ჰუმანისტების მადლობას იმსახურებს", წერდა იგი. მისადმი ერაზმის სიმპათიის მანიშნებელია ეს სიტყვებიც: – ლუთერის "ცხოვრება უმწიკვლოა და მტრებს არ აძლევს უმცირეს საბაბსაც კი კრიტიკისათვის".

გულგრილად არც ლუთერი ეკიდებოდა ერაზმს. ჯერ კიდევ 1519 წელს ერაზმს იგი "ლუთერანობის ბუნებრივ მოკავშირეს" უწოდებდა, იმასაც წერდა, რომ "მათ საერთო მტრები ყავთ, და, რაც მთავარია, ორივე ისინი განიცდიან ურთიერთ პატივისცემას". ამ პატივისცემას ლუთერი მაშინაც ავლენს, როცა ერაზმს მოიხსენიებს როგორც დიდ ადამიანს, რომელსაც ღვთისაგან ბოძებული აქვს განსაკუთრებული ნიჭი, გონება, განათლება, მჭერმეტყველება. თვით ის ფაქტი, რომ მის თანამედროვე გერმანიაში "პყვავის და მეფობენ მეცნიერებანი", რომ ადამიანებს შესაძლებლობა აქვთ გაეცნენ "ნამდვილ ბიბლიას", ლუთერს ერაზმის დამსახურებად მიაჩნდა. მეტიც, ლუთერის თქმით, მის თანამედროვე ევროპაში არ არის ადამიანი, რომელსაც ასე თუ

ისე უყვარდეს მეცნიერება და არ განეცადოს ერაზმის კეთილმყოფელი გაელენა; თავისი საქმიანობითა და მოძღვრებით ერაზმმა "არცთუ ისე ცოტა სამსახური გამიწია მეც", წერდა ლუთერი. ერაზმის ამ დამსახურებას, მის ნიჭსა და განათლებას, ლუთერი არ ივიწყებს მაშინაც, როცა მასთან ცხარე კამათი აქვს.

ურთიერთპატივისცემის გამომხატველ ამ ურთიერთობაში, ბზარი მხოლოდ 1521 წლიდან გაჩნდა. ჯერ იყოდა ერაზმმა კერძო საუბრებსა თუ წერილებში საეჭვო გახადა ლუთერის სიმართლე. ფრიდრიხ საქსონელის კითხვას თუ როგორ ეკიდებოდა იგი ლუთერის მიერ პაპის ბულის დაწვის ფაქტს, - ერაზმი სერიოზული სახით აგდებულად პასუხობს: — "ლუთერმა ორი დანაშაული ჩაიდინა, ხელი აღმართა პაპის ტიარაზე და ბერის სტომაქზე". ლუთერისადმი აგდებულ დამოკიდებულებას იგი მაშინაც ამჟღავნებს, როცა კელნის თეოლოგების "ბრალდებაზე" თავის აზრს გამოთქვამს: — "დიახ, მე დავდე კვერცხი, რომლიდანაც თქვენმა ლუთერმა სულ სხვა ჩიტი გამოჩეკაო". ასეთ აგდებულ დამოკიდებულებას ლუთერი, რა თქმა უნდა, ვერ შეურიგდებოდა, მანაც იწყო ლაპარაკი, რომ ერაზმი "უფრო იმაზე ზრუნავს, როგორ მოიპოვოს სიმშვიდე, ხოლო ჯვარზე ნაკლებად ფიქრობს".

ასე დაწყებული დაპირისპირება შემდეგში ცხარე კამათში გადაიზარდა. ერაზმმა წამოიწყო იგი და შეეცადა პასუხი გაეცა ლუთერისათვის ქრისტიანობის ერთ კარდინალურ საკითხზე. 1524 წლის 1 სექტემბერს როტერდამში გამოდის მისი თხზულება "დიატრიბა, ანუ მსჯელობა თავისუფალი ნების შესახებ". ჩანს, ამ თხზულების გამოცემას წინ უძღოდა ჰუმანისტის ერთგვარი მერყეობა, რომელიც წარმატებით დაძლია. ამას ნიშნავს მისი სიტყვები - "გამოვიდა წიგნაკი "თავისუფალი ნების შესახებ", "წილი ნაყარია! რუბიკონი გადალახულია!", რომელიც ნათქვამია ინგლისის მეფე ჰენრი VIII-ისა და ტომას მორის მეგობრის, ეპისკოპოს კუტბერტ ტუნსტალისადმი მიწერილ წერილში და რომელიც გაგზავნილია წიგნის გამოქვეყნებიდან სულ მალე,

იმავე წლის სექტემბერში.

წიგნის ტონალობა თავშეკავებული და ზრდილობის ნორმებშია; კიდევ ერთი, რითაც წიგნი ყურადღებას იპყრობს, ისაა, რომ მას არ ახლავს არგუმენტები არც ანტიკური მოაზროვნეებიდან და არც თანამედროვე ფილოსოფოსებიდან; ერთადერთი, რითაც იგი სარგებლობს, საღვთო წერილია. ამას თვითონაც აღიარებს, როცა წერს: — „ჭეშმარიტების დაცვას საღვთო წერილსა და მტკიცებათა შეპირისპირების მეშვეობით შეეცდები".

კიდევ ერთი მომენტი, რითაც "დიატრიბა" იმთავითვე ყურადღებას იპყრობს, ის არის, რომ მისი ავტორი, რომელმაც ასე დიდი როლი შეასრულა რეფორმაციის მომზადებაში, ლუთერთან დაპირისპირებისა და კამათის აუცილებლობაში გვარწმუნებს და ამბობს, რომ იგი არასოდეს არ ყოფილა რეფორმაციის ერთგული. — „მით უფრო ახლა, როცა ლუთერი და მისი მეგობრები დაბეჯითებით იცავენ "ქრისტიანულ თავისუფლებას" და გამოდიან ნების თავისუფლების წინააღმდეგ, არ შემიძლია გავჩუმდე, არაფერი ვთქვა იმაზე, თუ რაში არ ვეთანხმები ლუთერს".

პირველი, რაშიც ერაზმი არ ეთანხმება ლუთერს, "ქრისტიანული თავისუფლების" ანუ რწმენით თავისუფლების მისეული მოთხოვნაა, აკი მიაჩნია, რომ აზრი - ადამიანს საუკუნო ხსნის მოპოვება შეუძლია მხოლოდ რწმენის მეშვეობით, მხოლოდ სახარებაზე დაყრდნობით, სხვა არაფერია, თუ არა უსაზღვრო ინდივიდუალიზმი, შეუზღუდავი თავისუფლება, რომელიც შენიღბულია სახარების ავტორიტეტით და რომელსაც მხოლოდ შფოთი და ბოროტება მოაქვს. ასეთი თავისუფლება ამრავლებს "ქარაფშუტა და მეამბოხე" ელემენტებს, ანადგურებს "კეთილშობილურ მეცნიერებებსა და განათლებას, წყვეტს მეგობრულ კავშირებს". ერთი სიტყვით, "ქრისტიანული თავისუფლების ლუთერისეულ მოთხოვნას სხვა არაფერი მოაქვს, თუ არა მხოლოდ შფოთი და არეულობა", — ასკვნიდა ერაზმი.

ნათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ ერაზმის აღშფოთებას არა მარტო ქრისტიანული თავისუფლების ლუთერისეული

მოთხოვნა იწვევდა, არამედ რწმენის ერთადერთ წყაროდ საღვთო წერილის გამოცხადებაც, თუმცა მის მნიშვნელობას ერაზმი ერთიანად როდი უარყოფდა. იგი მხოლოდ იმას ამბობდა, რომ ჭეშმარიტების დადგენისას ბრმად არ უნდა მივსდიოთ რომელიმე ავტორიტეტს, თუნდაც საღვთო წერილს. ეს იმიტომ, რომ ჯერ ერთი, მასში მრავლადაა გაუგებარი ადგილები, რომლებიც განმარტებას მოითხოვს და მეორეც, ასეც რომ არ იყოს, ღმერთი როდია იმის მოსურნე, რომ ყველა მისი სიტყვა თუ ჭეშმარიტება, რომელიც სახარებაშია გადმოცემული, საჯარო პაექრობის საგნად ვაქციოთ. იგივე აზრის შემცველია ერაზმის ეს სიტყვებიც: რა თქმა უნდა, "ჭეშმარიტებაზე საუბარი ნებადართულია", მაგრამ თუ ვიცით, რომ მას ყველასათვის სასარგებლო საქმე არ მოჰყვება, მაშინ გაჩუმება გვმართებს. ასე, მაგალითად, მე თუ ვიცი, რომ "სინოდმა რაღაც მიზეზით არასწორი გადაწყვეტილება მიიღო, ჯობია გავჩუმდეთ, არ ვთქვათ სიმართლე. არ უნდა მივცეთ საბაბი ცუდ ადამიანებს (ე.ი. ბრბოს გ.კ.), რომ გაილაშქრონ "მამების ავტორიტეტისა და მათი ღვთიური დადგენილებების" წინააღმდეგ. მიუღებელია სიმართლე, თუ იგი "ცეცხლზე ნავთს ასხამს".

ამგვარად, ერაზმი ცდილობს დაარწმუნოს მკითხველი, თუ რა რიგ ცდება ლუთერი, როცა საუკუნო ხსნისა და ჭეშმარიტების ერთად-ერთ წყაროდ სახარებას აღიარებს. სინამდვილეში, ერაზმის აზრით, არანაკლებ საჭიროა საეკლესიო დადგენილებები და აღსრულება "კეთილი საქმეებისა" (ლოცვებისა, მარხვებისა, მოწყალების გაცემისა, მომლოცველობისა და ა.შ.), რომლებიც კათოლიკური ეკლესიის მიერ არის მიღებული, ადამიანს ნების თავისუფლება მოდგამს და მან საკუთერი გონებით, სურვილისამებრ უნდა აირჩიოს ესა თუ ის კეთილი საქმე. ბოლომდე უნდა მისდიოს მას და მოიპოვებს საუკუნო ხსნას. ფაქტობრივად, ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა საეკლესიო დადგენილებათა უზენაესობის აღიარება, იმის თქმა, რომ ადამიანის რწმენის, სინდისის მოსათვინიერებლად სახარებაზე არანაკლები მნიშვნელობა აქვს გარეგნულ ძალებს საეკლესიო

დადგენილებებს.

ცხადია, ერაზმისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ის ბრძოლა, რომელსაც ლუთერი აწარმოებდა კათოლიკური ეკლესიისა და წეს-ჩვეულებების წინაარმდეგ. ერთიანად რომ არ ჩამოშორებია კათოლიკურ ეკლესიას, ამას არც თვითონ ერაზმი მალავდა, აკი წერდა: კათოლიკურ ეკლესიას იგი "არასოდეს არ ჩამოშორებია და არ ჰქონია სურვილი ლუთერთან კავშირის დამყარებისა".

ბუნებრივია, ერაზმის უპასუხოდ დატოვება ლუთერს არ შეეძლო. 1525 წლის დეკემბერში გამოდის მისი ტრაქტატი "ნების მონობის შესახებ", რომელიც, შტეფან ცვაიგის თქმით, "განეკუთვნება ლუთერის ყველაზე ძლიერ პოლემიკურ თხზულებას". აქ რეფორმატორი უპირველესად იმ აზრს გამოთქვამს, რომ ერაზმი ვერ იჩენს სათანადო ცოდნას წმინდა რელიგიური საკითხების მიმართ, ვერ გაუგია, რომ რწმენა და ხსნა ადამიანებისთვის მოაქვს არა საეკლესიო დადგენილებებს, არამედ ღვთის მცნებებსა და ღვთის ნებას, რომ ნების თავისუფლება, რომელსაც იგი ქადაგებს, ამ დადგენილებებისადმი მონურ მორჩილებას უფრო ნიშნავს, აკი არც თავის თავს და არც სხვას იმის უფლებას არ აძლევს, რომ იყოს მისი მსაჯული და ეს იმ დროს, როცა პავლე ამბობს: — "დაე სხვებმა განსაჯონ". ამ დადგენილებებს ერაზმი განსჯის გარეშე რომ უმორჩილებს ჩვენს თავს, — "განა ასეთი რამის დაშვება სადმე წერია საღვთო წერილში", კითხულობს ლუთერი და იქვე განმარტავს: მე იმის წინაღმდეგი როდი ვარ, რომ ცალკეული ბოროტი გამოვლინებანი, მაგალითად, აჯანყება, "მოთვინიერებულ იქნეს" მახვილის ძალით, მაგრამ ის კი დაუშვებელია, რომ "სინდისის მოთვინიერება" გარეგნული ძალებით მოხდეს. მაგალითად, აღსარებას თუ სხვა ვალდებულებებს, რომლებსაც პაპები თავს ახვევენ ადამიანებს, მათთვის მოაქვს არა სიკეთე, არამედ აჩვევს თვალთმაქცობას, ამრავლებს ურწმუნოებს, რომლებსაც გულში სძულთ ღმერთი; ასეთ ადამიანებს არც მოყვასი უყვარს და კმაყოფილდებიან მხოლოდ პირადი კეთილდღეობისათვის

ზრუნვით. მაშასადამე, ფიქრობს ლუთერი, სინდისის მოთვინიერება, რწმენისა და ხსნის მოპოვება, უნდა მოხდეს არა საეკლესიო დადგენილებებითა და კანონებით, როგორც ეს ერაზმთანაა, არამედ "მხოლოდ ღვთის მცნებებით", ადამიანური კანონები ბოჭავენ სინდისს, ღვთის სიტყვა კი ათავისუფლებს მას, მხოლოდ სახარება "ამყარებს ქრისტიანულ თავისუფლებას". ლუთერი უპასუხოდ ვერც "კეთილი საქმეების" საკითხს ტოვებს, რომელზეც ერაზმი ედავება მას. თავისთავად, არც ლუთერი იყო წინააღმდეგი ისეთი კეთილი საქმეებისა (ადამიანებისათვის გაღებული ჩვეულებრივი დახმარებისა), რომელსაც სიკეთე მოჰქონდა მოყვასისათვის. ჭეშმარიტად, მისი აზრით: მშიერს რომ დააპურებ, კეთილი საქმეა, წყალში ჩავარდნილს ხელს რომ გაუწვდი და გადაარჩენ, კეთილი საქმეა და ა.შ. ამგვარი მართლაც კეთილი საქმეების გაღება თუ გაკეთება იმიტომაც არის საჭირო, რომ მისი წყალობით ადამიანებს შორის იზრდება სიყვარული და ნდობა, ადამიანიც უკეთესი ხდება და, საბოლოო ჯამში, ღმერთისადმი მისი სიყვარულიც ძლიერდება. როგორც ვხედავთ, ლუთერის მიერ რეკომენდირებული "კეთილი საქმეები" ბევრად უფრო ადამიანური და კეთილშობილურია, ვიდრე კათოლიკური ეკლესიის მიერ დამკვიდრებული "კეთილი საქმეების" აღსრულება, რომელსაც ერაზმიც იცავდა. საეკლესიო დადგენილებებით დამკვიდრებულ "კეთილ საქმეებს", აცხადებდა ლუთერი, სხვა არაფერი მოაქვს, თუ არა ქვეყნისა და ხალხის გაღატაკება, ადამიანების ზნეობრივი გახრწნა და გარყვნილება. სამაგიეროდ ათასგვარი შემოწირულობებით, მომლოცველობით და ინდულგენციების ეაჭრობის გზით აკრეფილი თანხა ავსებდა პაპის ხაზინას, ფუფუნებაში აცხოვრებდა ეკლესიის მესვეურებს. ასეთია ის არგუმენტაცია და სოციალური მოტივაცია, რომელიც ერაზმთან ლუთერის კამათს საფუძვლად დაედო.

და კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მომენტი, რითაც ლუთერი ერაზმთან კამათს ამძაფრებს; რწმენისა და ხსნის საქმეში ერთადერთ ავტორიტეტად სახარებას რომ აცხადებს, ლუთერი ერაზმს იმაში არწმუნებს, რომ სახარებაში დევს დიდი ზნეობრივი

ძალა, რომელსაც "მსოფლიოს შეცვლა და განახლება" მოაქვს, თუმცა, ლუთერის ღრმა რწმენით, მსოფლიოს ეს "შეცვლა და განახლება" თავისთავად და უმტკივნეულოდ, "მღელვარებისა და სისხლისღვრის გარეშე" ვერ მოვა. ეს თვითონ ღვთის ნების გამოვლინებაა და გაგრძელდება მანამდე, ვიდრე "ღვთის სიტყვის მოწინააღმდეგენი არ გაითელებიან ქუჩის მტვერში", ვიდრე არ დაემხობა "პაპებისა და მისი დამქაშების სამეფო", ვიდრე უარს არ ეიტყვით საეკლესიო იერარქიაზე, პაპობაზე, ეპისკოპოსობაზე, თეოლოგიის დოქტორებზე, სალხინებელზე, წმინდანთა კულტზე, საეკლესიო კრებათა დადგენილებებზე და ე.წ. "კეთილ საქმეებზე", ხატებზე, ინდულგენციაზე, ბერულ აღთქმაზე და ყველაფერ იმაზე, რაც, ლუთერის აზრით, ისტორიულად დამკვიდრდა და არ შეესაბამება სახარებას. ამგვარად, კარზე რომ მოგვდგომია დიდი ცვლილებების ჟამი, ამ დროს იმაზე კი არ უნდა ვწუხდეთ, რომ დაიკარგება "მშვიდობა და თანხმობა", როგორც ამას ერაზმი აკეთებს, არამედ უნდა გვიხაროდეს, რომ ქრისტიანები სულ მალე განთავისუფლდებიან კათოლიკური ეკლესიის "ზნე-ჩვეულებებისა" და კანონების მონობისაგან. ამრიგად, ცხადი ხდება, რომ ლუთერისათვის ქრისტიანების განთავისუფლება კათოლიკური ეკლესიის სულიერი მონობისაგან მისი არსებობის უმთავრესი მოწოდებაა და ამ მიზნით მას, განსხვავებით ერაზმისაგან, "მშვიდობის და თანხმობის" დროებითი დაკარგვაც დასაშვებად მიაჩნია.

§2. ინგლისელი და შვეიცარიელი ოპონენტები

თავისებურად წარიმართა ლუთერის პაექრობა ინგლისის მეფე ჰენრი VIII-სა და ტომას მორის ტანდემთან. საქმე ის არის, ინგლისის მეფე, რომელიც მოგვიანებით თვითონ გახდა ინგლისური რეფორმაციისა და ანგლიკანური ეკლესიის ფუძემდებელი, თავდაპირველად მტრულად მოეკიდა გერმანელი რეფორმატორის მოღვაწეობას. მან ჯერ კიდევ 1521 წელს გამოსცა წიგნი "წმინდა საიდუმლოებათა დაცვა", სადაც

მეფემ დაიცვა არა მარტო შვიდი საიდუმლოება, არამედ პაპის ავტორიტეტიც, რის გამოც პაპმა მას "რწმენის დამცველის" საპატიო ტიტული უბოძა. ფაქტობრივად ეს ლუთერის გამოწვევა იყო, გალაშქრება იმ იდეების წინააღმდეგ, რომელსაც იგი ქადაგებდა. ლუთერი როდი შეუშინდა ამ გამოწვევას, იგი არ მოერიდა არც მეფეს და არც, რა თქმა უნდა, პაპის ავტორიტეტს და საპასუხოდ გამოსცა მეტად მკაცრი პამფლეტი "წიგნი მეფისა ჰენრი VIII-სი", სადაც მეფეს მოიხსენიებდა როგორც "უგუნურ მასხარას" და დამცველს "რომაული მეძავისა" ანუ პაპისა, რომელსაც რწმენის არაფერი გაეგება და "ჭუჭყით სვრის ციური მეფის გვირგვინს". ლუთერს ეჭვი შეეპქონდა ჰენრი VIII-ის მეფურ წარმოშობაშიც: "ჩანს, მის ძარღვებში არ არის ერთი წვეთი სისხლი მეფისა" და ამიტომაც მას უნდა მიაყარო "ნაგავი და ნეხვი, წერდა იგი. შეურაცყოფილ მეფეს ტომას მორი გამოექომაგა "ლუთერისადმი პასუხში" (1523წ.), ასევე სხვა გვიანდელ გამონათქვამებში, სადაც ასევე შეურაცმყოფელი ტონით წერდა: "ლუთერის თხზულებანი ისე ყარს, როგორც საჭირო ოთახი", საკმარისია მკითხველმა პირი გააღოს და მაშინვე მისკენ წამოვა "ნიაღვარი ჭუჭყისა და სიბინძურისა, ჩანს, ეს მას სიამოვნებს". მაგრამ ეს არ იყო მორის მთავარი სათქმელი, მის განსაკუთრებულ აღშფოთებას ლუთერისა და მისი მომხრეების მიერ "ქრისტიანული თავისუფლებისა და მხოლოდ რწმენით გამართლების" ქადაგება იწვევდა, ამბობდა, რომ "ყოველგვარი წესრიგისა და კანონისაგან განთავისუფლებას და გაკეთებას იმისა, რაც მათ სურთ, ისინი უწოდებენ სახარებისეულ თავისუფლებას". სინამდვილეში, დასძენდა მორი, ესაა "საყოველთაო ქაოსის მომასწავებელი" და "თავაწყვეტილი თავისუფლება", რომელიც განადგურებით ემუქრება არა მარტო კათოლიკურ ეკლესიას, არამედ ყოველგვარ პოლიტიკურ წესრიგს, მთელ ქრისტიანულ კულტურას. "ლუთერანებმა ჯერ მოსპეს ჭეშმარიტი რწმენა, ერეტიკოსებმა თავდაპირველად დაანგრიეს ტაძრები, შებილწეს საკურთხეველი, ხოლო შემდეგ აჯანყდნენ მმართველთა წინააღმდეგ, ათასობით ადამიანი მოკლეს

და ქვეყანა უდაბნოდ აქციეს". ასე და ამგვარად მორი ლუთერს გლეხთა ომის გაჩაღებაში ადანაშაულებდა და ასეთი დასკვნაც გამოპქონდა: "რომ ვიცოდე ჩემს წიგნს (მხედველობაში აქვს "უტოპია" - გ.კ.) ისეთივე შედეგი მოპყვება, როგორიც ლუთერის ქადაგებებს გერმანიაში, ცეცხლს მივცემდი მასო".

შეიძლება მორს, ნაწილობრივ დავეთანხმოთ კიდეც, აკი ლუთერის მეამბოხე სულს, კათოლიკური ეკლესიის მესვეურების წინააღმდეგ რომ აფრქვევდა, არ შეიძლება რევოლუციურად არ განეწყო გლეხობა, მაგრამ, ამის მიუხედავად, როგორც ამას მართებულად შენიშნავს გერმანელი ისტორიკოსი გ. შტაინმეტცი, ლუთერი არასოდეს არ გამოსულა "თავაწყვეტილი თავისუფლებისა" და აჯანყების მოწოდებით. ჩანს, მორს მხედველობაში გამორჩა ლუთერის თხზულება - "ქრისტიანული თავისუფლების შესახებ" და აქ გატარებული აზრი, რომლის თანახმად ქრისტიანული თავისუფლება - ეს მხოლოდ სულიერი თავისუფლებაა და არა მოწოდება ხორციელი თავისუფლების მოპოვებისაკენ.

თვით მაშინაც, როცა ლუთერი "პაპებისა და მისი დამქაშების სამეფოს" დამხობისაკენ მოუწოდებდა ადამიანებს, ეს მას გლეხების დამოუკიდებელი მოქმედებით როდი სურდა; მით უფრო მიულებელი იყო მისთვის აჯანყება საერო ხელისუფლების წინააღმდეგ, იგი ქვეშევრდომებს ხორციელი მორჩილებისაკენ მოუწოდებდა.

ვთქვით და ახლაც გავიმეორებთ: მორის განსაკუთრებულ გაღიზიანებას ლუთერის ანტიპაპური განწყობილება იწვევდა. მორი პაპის ავტორიტეტის ერთგული დამცველი იყო, ლაპარაკობდა მისი ხელისუფლების ღვთაებრივ წარმოშობაზე, იმაზეც, რომ მის გარეშე ადამიანებს არ ძალუძთ "ჩაწვდნენ ბიბლიის წმინდა აზრს". მისადმი მორჩილების აუცილებლობას ქადაგებდა იგი, რითაც ლუთერს უპირისპირდებოდა.

ეს დაპირისპირება თვალსაჩინო იყო მაშინაც, როცა მორი პაპების კანცელარიიდან გამოსული ყველა დადგენილების საჭიროებაზეც მიუთითებდა, "კეთილი საქმეების" აღსრულებაში ხე-

დავდა რწმენისა და საუკუნო ხსნის უზრუნველყოფის გარანტიას.

ამ დაპირისპირებას მაშინ დაესვა წერტილი (ყოველ-შემთხვევაში ისე მწვავედ, როგორც ეს ადრე იყო, არ გაგრძელებულა), როცა მორისათვის ცხადი შეიქმნა, რომ ინგლისში მზადდებოდა მისთვის მიუღებელი პროცესი: ლუთერის წინააღმდეგ მებრძოლი ჰენრი VIII, რომელსაც თვითონაც იცავდა, თვითონ ხდებოდა ინგლისური რეფორმაციისა და ანგლიკანური ეკლესიის ფუძემდებელი.

ეს ასე დაიწყო: 1509 წელს ჰენრი VIII ცოლად ითხოვა გარდაცვლილი ძმის არტურის ქვრივი კატრინა არაგონელი, ესპანელი დედოფლის იზაბელას ქალიშვილი. ამ უკანასკნელის გავლენით პაპმა იულიუს II-ემ პირველი ქორწინების ანულირება მოახდინა და მეორე ქორწინება დააკანონა, თუმცა არ გაითვალისწინეს ბიბლიაში ნათქვამი სიტყვები: "თუ ვინმე ცოლად ითხოვს საკუთარი ძმის ცოლს, ეს სამწუხაროდ შეტრიალდება, ამის ჩამდენი უშვილონი იქნებიან". მართალია, დედოფალთან ჰენრი VIII ორი ვაჟი და ერთი ქალიშვილი შეეძინა, მაგრამ ბიჭები უდღეურები აღმოჩნდნენ და დაბადებისთანავე გარდაიცვალნენ. ჰენრი VIII-ემ მაშინვე იწყო ფიქრი რომ განქორწინებულიყო კატრინ არაგონელზე, რომელიც იყო გერმანიის იმპერატორის კარლ V-ის დეიდა. ამ დროისათვის მეფე უკვე ეტრფოდა დედოფლის სეფე-ქალს, 16 წლის მშვენიერ ანა ბოლეინს. განქორწინება და ახალი ცოლის შერთვა ამჯერადაც პაპის დასტურს მოითხოვდა, მაგრამ მეფემ ეს დასტური ვერც ლეო X-საგან და ვერც კლიმენტ VII-საგან მიიღო, ისინი მოერიდნენ გერმანიის იმპერატორის მომდურებას და ასე შეიქმნა საბაბი პაპებისაგან ინგლისის ჩამოშორებისა, თუმცა ამ ჩამოშორებას უფრო სერიოზული მიზეზიც ჰქონდა: მოყოლებული ჯონ უმიწაწყლოდან (1199-1216წწ.), როცა ინგლისი პაპების ვასალი და მოხარკე გახდა, როცა ასწლიანი ომის დროს ინგლისში აკრეფილი და პაპებისათვის მისაცემი თანხა ისევ ინგლისის წინააღმდეგ ბრძოლას ხმარდებოდა, რამეთუ პაპებად ამ დროს ფრანგული წარმოშობის ადამიანები იყვნენ, ყველაფერი

ეს ინგლისში ქმნიდა ანტიპაპურ განწყობილებას არა მარტო უბრალო ადამიანებში, არამედ გაბურჟუებულ თავადაზნაურობასა და ბურჟუაზიაში, მათ ხომ იაფი და პაპებისაგან თავისუფალი ეროვნული ეკლესია სურდათ. ასეთ სიტუაციაში პაპების ნაცვლად ჰენრი VIII-ემ ახალი ავტორიტეტები გამონახა, დახმარებისათვის მოიხმო ოქსფორდის, კემბრიჯის, პარიზის, ორლეანის, ბოლონიის, პადუის და სხვა უნივერსიტეტების წარმომადგენლები და მათგან მიიღო განქორწინების ნებართვა. მეფეს გვერდში ამოუდგა აგრეთვე არქიეპისკოპოსი კრენმერი, რომელმაც სასამართლოზე განაცხადა, რომ კატრინ არაგონელისა და ჰენრი VIII-ის ქორწინება უკანონოა, 1533 წლის 1 ივლისს ჰენრი VIII ანა ბოლეინზე დაქორწინდა. მორი, რომელიც კატეგორიული წინააღმდეგი იყო ამ ქორწინებისა, საქორწინო ცერემონიალს არ დაესწრო, რასაც სულ მალე რეპრესია მოჰყვა, მას ღალატში დასდეს ბრალი და ტაუერის ციხეში ჩასვეს, 1535 წლის 6 ივლისს კი თავი მოკვეთეს.

უფრო ადრე, 1534 წლის ნოემბერში, გამოიცა ე.წ. "სუპრემატიის აქტი", რომლის ძალითაც ინგლისმა საბოლოოდ გაწყვიტა კავშირი რომთან და თავისი ეკლესიის მეთაურად ინგლისის მეფე გამოაცხადა. ფაქტობრივად მეფე რომის პაპს გაუთანაბრდა, ამიტომაც იყო, რომ ჰენრი VIII-ს "ინგლისის პაპი" შეარქვეს.

ამგვარად, რეფორმაცია ინგლისში სახელმწიფო ეკლესიის დამყარებით დაიწყო. მართალია, ანგლიკანურმა ეკლესიამ შეინარჩუნა რომის კათოლიციზმიდან ეპისკოპატი, საეკლესიო იერარქია, ღვთისმსახურება და საეკლესიო მეათედი, მაგრამ იმავდროულად აღიარებდა, რომ ადამიანები ღმრთის წინაშე გამართლებას მოიპოვებენ მხოლოდ ქრისტეს მიერ გაღებულ მსხვერპლზე რწმენით და არა "კეთილი საქმეების" აღსრულებით. მხოლოდ რწმენით გამართლება - აი, რა იყო მიჩნეული ყველაზე ჭეშმარიტ მოძღვრებად. ასე ფიქრობდა ჰენრი VIII და მისი მოძღვარი კრენმერი. ამგვარად, ანგლიკანური რწმენა და ეკლესია გამოიკვეთა როგორც კომპრომისი პროტესტანტიზმსა და კათოლიციზმს შორის.

ინგლისური რეფორმაციის თუნდაც ამდაგვარ გამოვლინებას არ შეიძლებოდა ლუთერის კმაყოფილება არ გამოეწვია, აკი მისმა ცალკეულმა იდეებმა ინგლისურ რეფორმაციაშიც ჰპოვეს ასახვა. შემთხვევითი არ იყო, რომ ლუთერი შემდეგ არაერთხელ კეთილი სიტყვებით მოიხსენიებს თავის ყოფილ მოწინააღმდეგეს, ჰენრი VIII-ს.

ლუთერს პოლემიკა ჰქონდა, აგრეთვე, შვეიცარიელ რეფორმატორ ულრიხ ცვინგლისთან (1484-1531). მართალია, ცვინგლი აღტაცებით შეხვდა ლუთერის გამოსვლას ლაიფციგის დისპუტზე (1519 წ.), თქვა, რომ "მისი სახით მსოფლიოს ახალი ილია მოევლინაო", მაგრამ სულ მალე (ეს კი ხდება 1524 წელს, როცა მან გამოაქვეყნა ნაშრომი - "ჭეშმარიტი და ცრუ რელიგიის კომენტარები") მათ შორის "განხეთქილების ვაშლად" იქცა ზიარების საიდუმლოება. სახარებისეული ტექსტიდან "ეს არს ხორცი ჩემი" - სიტყვა "არსს" ცვინგლი რაციონალისტურად მოეკიდა და ის თქვა, რომ იგი მხოლოდ "ნიშნავს" მნიშვნელობით გაიგება. მაშასადამე, ცვინგლი ზიარების საიდუმლოს ეკიდებოდა როგორც ქრისტეს მიერ გაღებული მსხვერპლის სიმბოლურ გახსენებას. ლუთერს კი ამ საკითხზე ყოველგვარი განმარტება შეუთავსებლად ეჩვენებოდა, რადგან მისი აზრით, სახეზე გვაქვს საღვთო წერილის სრულიად გასაგები ტექსტი; აქ სიტყვა "არს"-ის გაიგება არ შეიძლება სხვაგვარად, თუ არა ზიარების პურსა და ღვინოში ქრისტეს ხორცისა და სისხლის რეალური ყოფნის მნიშვნელობით აღქმა.

— "ჩვენ, იმ აზრს ვიცავთ, გვწამს და ვასწავლით კიდეც, რომ ზიარების დროს ჭეშმარიტად ვიგებთ და სხეულებრივად ვიღებთ ქრისტეს ხორცს. მაგრამ, როგორ ხდება ეს სინამდვილეში, ან როგორ არის ქრისტე პურში, ჩვენ არ ვიცით და არც უნდა ვიცოდეთ-ო!" - წერდა ლუთერი.

სწორედ ამ აზრზე იდგა, როცა, ის 1529 წელს სადავო საკითხების გადასაჭრელად ცვინგლის მარბურგში შეხვდა, მაგრამ ვერ შეთანხმდნენ.

— ჩვენ და თქვენ სხვადასხვა სული გვაქვსო, - ეუბნებოდა ლუთერი ცვინლის.

თავი X

ლუთერი და ებრაელობა

ლუთერის დამოკიდებულება ებრაელებისადმი ყოველთვის ერთნაირი არ იყო. თავდაპირველად, 1532 წლამდე, როგორც ზემოთაც ვთქვით, იგი დიდი პატივით მოიხსენიებდა ებრაელ ხალხს, მათ ენასა და კულტურას; არ ავიწყდებოდა თქმა იმისა, რომ — "ქრისტე დაბადებული იყო ებრაელად", დარწმუნებული იყო, რომ "ქვეყნის დასასრულისათვის თვით ებრაელებიც ქრისტიანები იქნებოდნენ", ასე წინასწარმეტყველებდა იგი 1523 წელს. ლუთერს იმის იმედიც ჰქონდა, რომ ებრაელები გაგებით მოეკიდებოდნენ ლუთერანობას და იმის სურვილს, რომ გერმანელებს თავი დაეღწიათ რომის პაპების ბატონობისაგან. — თუკი ჩვენ მოგვემხრობიან რაბინები და ებრაელთა გამოჩენილი ადამიანები, ამბობდა იგი, - მათ გამოჰყვებიან რიგითი ადამიანებიც, რომლებიც დაიღალნენ ლოდინში. მაგრამ ლუთერს გაწბილება ელოდა. ებრაელობისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ლუთერისეული რეფორმაცია, ეროვნული ეკლესიისა და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის მისეული იდეა, რამეთუ მათ დაინახეს უიმედო პერსპექტივა, იმის საშიშროება, რომ ებრაელებს გერმანიაში შეეკვეცებოდათ მოქმედების თავისუფლება, — როცა სხვებს — "1000 გულდენს ახარჯავდნენ, თვითონ კი 20 ათას გულდენს ამოიგებდნენ". ამიტომაც განზე გადგნენ. ამ დროიდან (1532 წლიდან) ლუთერიც სხვაგვარად ალაპარაკდა, ახლა იგი ებრაელებს "წურბელასა და მოღალატეს" უწოდებდა და კატეგორიულად მოითხოვდა, რომ ისინი გაედევნათ ქვეყნიდან.

ებრაელებს ლუთერმა სხვა არაერთი ცოდვაც "გამოუჩხრიკა" და მისგან განთავისუფლება მოითხოვა. 1532 წელს მან გამოსცა "წერილი შაბათის დაცვის წინააღმდეგ", სადაც ის თქვა, რომ მიუღებელია შაბათის უქმად გამოცხადება, რომელსაც მოსეს კანონის თანახმად ებრაელები მტკიცედ ადგანან. ამ დღეს, ამბობს ლუთერი, ებრაელთა კვარტლებში ცხოვრება თითქოს

კვდება, თუმცა კვირაობით ისინი აქტიურად შრომობენ, რაც ასე მიუღებელია ქრისტიანებისათვის. ლუთერისათვის ასევე მიუღებელი იყო თავის თავზე ისეთი მაღალი წარმოდგენა, როგორც ებრაელებს ჰქონდათ! მათ ხშირად იციან თქმა, რომ ებრაელები ღმერთის რჩეული ხალხია. – ისინი თავს იწონებენ თავიანთი სიდიადითა და განსაკუთრებული როლით, რომელიც მათ თითქოს ღმერთმა დააკისრა, გამოჰყო რა ისინი ყველა სხვა ხალხებისაგან". ამგვარი თქმა სხვა არაფერია, თუ არა ამპარტავნობა, რის გამოც ღმერთმა კიდევაც დასაჯა ისინი, – დაანგრევინა ტაძარი, რათა ეგრძნოთ სირცხვილი და ხელი აეღოთ ტრაბახზე". ასევე დასაგმობია, ლუთერის აზრით, ებრაელების დამოკიდებულება ფიზიკური შრომისადმი, რომელიც – "გულზე არ ახატიათ" და ეს იმ დროს, როცა ისინი ურცხვათ ეწევიან "შევახშეობას და სხვა ხალხების გაკოტრებას". ისინი დიდი ერთგულებით – არც ღმრთის სიტყვახ ეკიდებიან და მხოლოდ საკუთარი წარმოდგენით კმაყოფილდებიან.

ლუთერი ებრაელებს ცრუპანტელობაშიც ადანაშაულებს და ამის ნიმუშად ერთი ასეთი ისტორიაც მოჰყავს: – ვიღაც ებრაელმა ჰერცოგ ალბრეხტ საქსონელს, ფრიდრიხისა და იოჰანეს ძმას, თილისმა მისცა და თან უთხრა, რომ ეს თილისმა დაიცავდა მას იარაღისაგან. ჰერცოგმა ებრაელი ქალაქის კარებამდე მიაცილა და იქვე ამ ებრაელს თავისი ხელით ნაჩუქარი თილისმა ყელზე ჩამოკიდა, ხოლო შემდეგ დაშნით უჩხვლიტა მას, თან უთხრა: "ბრიყვი ვიქნებოდი, თუ მოგენდობოდი შენ!" "არ შეიძლება ჰერცოგის განსჯა ამ საქციელის გამო", განმარტავს ლუთერი. ალბათ, ასე ფიქრობდა იგი თავისი ამ გამონათქვამის გამოც: – თუ ებრაელი მოვა ჩემთან მოსანათლად, მე შევასრულებ მის თხოვნას, მაგრამ მონათვლის უმალ მას გადავიყვან ელბის ხიდზე, ჩამოვკიდებ ყელზე წისქვილის დოლაბს და წყალში გადავუშვებ.

ერთი ასეთი დეტალიც: 1542 წელს ლუთერი წინასწარმეტყველებდა, რომ მევახშეობას გამოდევნებული იუდაიზმის მიმდევრები, რომლებიც ფეხქვეშ თელავენ გერმანელების წეს-

ჩვეულებებსა და ტრადიციას, მალევე განადგურდებიან. ეს იმიტომაც, რომ ეს მატყუარები თავიანთი სიცრუით შხამავენ ეკლესიას და მთელ საქრისტიანოს. მათ სხვა არაფერი სურთ, თუ არა "მოისპოს ყველა ქრისტიანი" ეს მეტად მძიმე ბრალდებაა, რომელსაც გადმოსცემდა ლუთერი ნაშრომებში "ებრაელები და მათი ყალბი მონაჩმახი". – მასვე ეკუთვნის თხზულება "შემ ხამფორასი და ქრისტეს წარმოშობა", რომელიც ასევე უხეში სტილითაა დაწერილი. "შემ ხამფორასი" ძველ ებრაულად ნიშნავს "გამოუთქმელ სახელს" ანუ იაღვეს, რასაც ლუთერმა სხვა აზრის შემცველი სიტყვა მოუძებნა და "შემ ხამფორასი" "შამ ხაპერესად" მოიხსენია, რაც თარგმანში ნიშნავს "აი ნეხვი".

ასევე სასტიკია ლუთერი, როცა თავს ესხმის ებრაელთა ყოველდღიურ ცხოვრებას, ამბობს, რომ – 1500 წელზე მეტია, რაც ებრაელებს ზიანის მეტი არაფერი მოუტანიათ გერმანელებისათვის. – ამიტომაც უნდა ჩამოერთვას მათ ხელისუფლებისაგან დაცვის ყველა უფლება. აუკრძალეთ ვაჭრობა და მევახშეობა! ჩამოართვით დანაზოგი, ძვირფასეულობანი, ოქრო და ვერცხლი! და ყველაფერი ის, რაც გერმანელი ხალხის ძარცვის გზით შეუძენიათ! და თუ ეს მოგეჩვენებათ მცირედ, განდევნეთ ისინი შორს, როგორც ცოფიანი ძაღლები!" ამგვარი ლოზუნგები 1542 წელს უხვად იფრქვეოდა ლუთერის პირიდან. ეს, ალბათ, იმიტომ, რომ ვიმეორებ, ებრაელებისათვის მიუღებელი აღმოჩნდა ეროვნული ეკლესიებისა და ეროვნული სახელმწიფოს შექმნის ლუთერისეული იდეა.

თავი XI

ქორწინება და ოჯახური იდილია

ლუთერი პირველი იყო, ვინც ცელიბატის (სამღვდელოების უცოლობის) წინააღმდეგ გაილაშქრა, ჩათვალა, რომ მღვდლური აღთქმა უცოლობისა, ვერ ასრულებდა რაიმე როლს სულების ხსნის საქმეში; უცოლობის აღთქმა მან "თვალთმაქცურ პაპისტურ ხრიკად" გამოაცხადა, რომელიც გარყვნილებას უფრო უწყობდა ხელს, ვიდრე ეკლესიის სიწმინდეს.

რა თქმა უნდა, ლუთერი ერთიანად არ გამორიცხავდა უმანკოების მნიშვნელობას, თვლიდა, რომ იგი სასურველია ღმერთისათვის, თუმცა იმასაც დარწმუნებით ამბობდა, რომ თავსმოხვეული უმანკოება არავითარ სიამოვნებას არ ანიჭებს ღმერთს. ესეც რომ არ იყოს, დასძენდა ლუთერი, გამოცდილება გვიჩვენებს, რომ უმანკოება ხშირად ხორცის ამბოხებით მთავრდება, ადამიანი ვარდება ისეთ მდგომარეობაში, როცა მის სიცოცხლეს სიკვდილი სჯობია. ცელიბატს ერთეულები, მსგავსი ფრანცისკ ასიზელისა, თუ იცავენ მხოლოდ, უმრავლესობა მღვდლებისა კი, ვერ უძლებდა რა ხორცის შემბოჭავ სიმკაცრეს, გარყვნილებაში, ეშვებოდა. მაშასადამე, ლუთერის აზრით, უნდა ვაღიაროთ ხორცის ბუნებრივი სწრაფვა და უნდა დავიკმაყოფილოთ სქესობრივი ჟინი. ადამიანს, მსგავსად ფრინველებისა და ცხოველებისა, წერდა იგი 1523 წელს, ღმერთმა მისცა სასქესო ორგანოები, რომელიც უნდა ემსახუროს ახალი სიცოცხლის ჩასახვას, მოდგმის გამრავლებას. თვით აუცილებლობა მოითხოვს, რომ მამაკაცი "შეუერთდეს ქალს, ხოლო ქალი მამაკაცს". "იმაზე მეტი საშინელება არაფერია ადამიანისათვის ვიდრე იცხოვრო სიკვდილის ბოლომდე, და არ შეიცნო ქალი", - ასკვნიდა ლუთერი და ქორწინებისაკენ მოუწოდებდა თითოეულ ქრისტიანს, მათ შორის მღვდლებს. ქორწინებას იგი ღვთის ანდერძად აცხადებდა, მასში ხედავდა წამალს, რომელიც თავიდან გვაცილებს (თუ ყოველთვის არა, უმრავლეს შემთხვევაში მაინც) "გარყვნილებასა

და სოდომს". ამრიგად, ლუთერის აზრით, ქორწინება და სიყვარული დიდი ღვთიური საჩუქარი და მადლია", იგი ოჯახური სიწმინდის ზნეობრივი საფუძველია.

ცელიბატის კრიტიკამ და საყოველთაო ქორწინებისაკენ ლუთერისეულმა მოწოდებამ ის გავლენა მოახდინა, რომ სულ მალე რეფორმატორულად განწყობილმა მღვდლებმა იწყეს ქორწინებაში შესვლა. პირველები, ვინც ლუთერის მომხრე პასტორებიდან ოჯახს მოეკიდნენ, ზეიდლერი და ბერნარდი იყვნენ. სამოქალაქო ქორწინებაში შევიდნენ აგრეთვე მარტინ ბუცერი და თომას მიუნცერი. ეს უკანასკნელი 1523 წელს დაქორწინდა ყოფილ მონაზონზე, ლამაზ ქალ ოტილიაზე.

ლუთერის თანამებრძოლებიდან ბევრი, ვინც დაქორწინდა, გაკვირვებული იყო იმის გამო, თუ რატომ არ ქორწინდებოდა ლუთერი, რომელიც სხვებს ქორწინებისაკენ მოუწოდებდა. ზოგჯერ ეჭვსაც გამოთქვამდნენ: იქნებ მას არც შესწევს საამისო ძალა?

ამ ჭორების შესახებ ლუთერმა იცოდა, მაგრამ მთავარი მაინც, რამაც მას ცოლის თხოვა გადააწყვეტინა, აღმოჩნდა მამის სურვილი. ეს უკანასკნელი ცრემლმორეული შეახსენებდა შვილს, რომ მისი ორი ძმა გარდაიცვალა და ერთადერთი იგი რჩებოდა, ვისაც შეეძლო ლუთერების საოჯახო გვარის გაგრძელება. არანაკლებ მნიშვნელოვენი მომენტი აღმოჩნდა იმის შეგნებაც, რომ ის უკვე ახალგაზრდა არ იყო, რომ მეტის მოცდა, რათა გადაედგა ღმერთისათვის სასურველი ნაბიჯი, უკვე დაგვიანებული იქნებოდა.

საცოლეც მალე შეირჩა. ეს იყო აზნაურული წარმოშობის (რაინდთა წრიდან გამოსული) კატარინა ფონ ბორა, რომელმაც ჯერ კიდევ 1523 წელს ცხრა სხვა მონაზონთან ერთად, ლუთერის ნებართვით, დატოვა ალბერტინის მონასტერი და თავშესაფარი ჰპოვა ვიტენბერგში, იგი ცნობილი მხატვრისა და ვიტენბერგის ბურგომისტრის ლუკას კრანახის სახლში მოსამსახურედ განაწესეს, კატარინა ლუთერსა და მის მოძრაობას თანაუგრძნობდა. ხშირადაც ხვდებოდნენ ისინი მხატვრის სახლში ერთმანეთს.

ლუთერი მეგობრობდა კრანახს. ერთხელაც (ლუთერის არ ყოფნის დროს) კატარინას მხატვრისათვის უთქვამს, რომ იგი სხვა არავისზე გათხოვდებოდა, თუ არა მარტინ ლუთერზე. გაიგო რა ამ აღიარების შესახებ, ლუთერმა მეორე დღესვე ხელი სთხოვა ყოფილ მონაზონს.

ქორწილი შედგა 1525 წლის 13 ივნისს, იმ დროს, როცა გლეხთა ომი ისევ მიმდინარეობდა. ეს ქორწილი ისე სწრაფად მოხდა, რომ მას ვერ დაესწრო რეფორმატორის ყველა მეგობარი თუ კოლეგა. აქ იყვნენ მხოლოდ ლუკას კრანახი მეუღლესთან ერთად, იონასი, ბუგენხაგენი, მელანქტონი და დოქტორი აპელი, რომელიც ვიტენბერგის უნივერსიტეტში სამართალს კითხულობდა. ქორწილმა უფრო ფართო ხასიათი მიიღო 27 ივნისს, მანსფელდიდან ჩამოვიდა ლუთერის მამა ჰანსი, რომელიც კმაყოფილებას ვერ მალავდა. იგი ხედავდა შვილის სახლს, როგორიც არ ჰქონდა მანსფელდის ბურგომისტრს, იგი ხედავდა რძალაზნაურს და მრავალ წარჩინებულ და სწავლულ სტუმარს. ეს იყო ბოლო შეხვედრა მამისა შვილთან, იგი სულ მალე გარდაიცვალა.

სწრაფი გადაწყვეტილება ლუთერისა, რომ დაქორწინებულიყო, შოკისმომგვრელი აღმოჩნდა მისი თანამებრძოლებისათვის და არა მარტო თანამებრძოლებისათვის. მაგალითად, კამერარიუსისადმი წერილში მელანქტონი გაკვირვებული წერდა: — ალბათ, გაგიკვირდება, თუ გეტყვი, რომ ამ უბედურ დროს, როცა საქმიანი და პატიოსანი ადამიანები განიცდიან გაჭირვებას, როცა გერმანიას ასე სჭირდება ლუთერის გონება და ძალა, მან თავი აიშვა და უპატივცემულოდ ეკიდება თავის მოწოდებას, იგი დაქორწინდა კიდეც.

სარკაზმით აღსავსეა ერაზმის ეს სიტყვებიც: — ლუთერანობაზე ყველგან ლაპარაკობენ როგორც ტრაგედიაზე. მე კი ის კომედიად მეჩვენება: აქაც და იქაც ყველაფერი ქორწილით მთავრდება.

იოჰან კოხლეუსი, გააფთრებული მოწინააღმდეგე ლუთერისა, დაცინვით ამბობდა: — მთელი გერმანია ტირის და დრტვინავს, ლუთერი კი ქორწილს იხდის.

შემფასებელთა ეს სიტყვები, ღვარძლის მიუხედავად, მთლად უსაფუძვლო როდი იყო: საყოველთაო ხოცვა-ჟლეტის დროს, როცა თანამოძმეთა სისხლი იღვრებოდა, ქორწილის გადახდა არც თუ ისე ლამაზი გამოჩნდებოდა. მაგრამ ლუთერის ნაბიჯს ის გამართლება ჰქონდა, რომ ჯერ ერთი იგი თვითონ ქადაგებდა მღვდლების დაცოლშვილების აუცილებლობას და მეორეც, 42 წლის ასაკში თუ ის არ დაქორწინდებოდა, ჭორიკანებს ვერ გააჩერებდა და კიდევ უფრო შეილახებოდა მისი მამაკაცური ღირსება.

თვითონ ლუთერი თავის გადაწყვეტილებას შემდეგნაირად ამართლებდა: — მეუბნებიან, რომ მე არ ვუფრთხილდები ჩემს რეპუტაციას, არადა, საუკეთესო საშუალება იმისა, რომ შეინარჩუნო რეპუტაცია, ის არის, არ მიაქციო ყურადღება პაპისტების ყეფას. ხოლო რაც შეეხება ახალი სარწმუნოების მქონე ადამიანებს, ისინი ჩემს დაქორწინებას მიიღებენ როგორც ჩემი სიმტკიცისა და ძალის დადასტურებას. შეიძლება მართალიცაა ლუთერის ის ბიოგრაფი, რომელიც წერს: — ეს ქორწინება ლუთერმა ჯოჯოხეთის ყველა ძალების და პაპობის ჯიბრზე ჩაიდინა.

როგორადაც არ აფასებდნენ ლუთერის ქორწინებას მისი თანამედროვენი ან კიდე მისი ბიოგრაფები, ფაქტი ერთია: მისი ქორწინება იღბლიანი აღმოჩნდა. მართალია, არც კატარინა იყო მთლად პატარა (გათხოვებისას იგი 27 წლისა იყო), მაგრამ ამ ლამაზმა და გონიერმა ქალმა ლუთერს ექვსი შვილი შესძინა, ქმარს თავი შეაყვარა, რასაც ადასტურებს ლუთერის თბილი და ნაზი სიტყვების შემცველი არაერთი წერილი მეუღლისადმი, ამას ადასტურებს თვით "სუფრული საუბრებიც".

თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ კატარინა იტანდა ქმრის ეჭვიანობას, სიფიცხეს და განწყობილებათა მკვეთრ ცვალებადობას, რომელიც გამოწვეული იყო შინაგანი ბრძოლის მიმდინარეობით, ესეც მის გონიერებაზე მეტყველებს, იგი ქმრის თანამოაზრე და თანამოღვაწეც იყო.

ლუთერი და მისი ოჯახის წევრები ცხოვრობდნენ ყოფილ ავგუსტინელთა მონასტრის შენობაში, მათ განკარგულებაში

იყო რამდენიმე ოთახი, აგრეთვე, სადგომები, რომლებიც უსასყიდლოდ ეჭირათ სტუდენტებსა და მოწაფეებს. ზოგჯერ შეგვიანებული მნახველებიც მოდიოდნენ და ღამეს ათევდნენ მასთან. აქ ნახავდით რჩევისათვის მოსულ თეოლოგებს, მოსამართლეებს, ცნობისმოყვარე ადამიანებს და ა.შ., რომლებიც სხვადასხვა ქალაქებიდან და ქვეყნებიდან ჩამოდიოდნენ. ყველას ხიბლავდა რეფორმატორის უბრალოება და ყურადღება, მისი მუდმივი მზადყოფნა სამსახური გაეწია მათთვის. ლუთერს ხშირად უფლებაშელახული ადამიანების დასახმარებლად კურფიურსტის წინაშე შუამავლობაც უწევდა. ტყუილად როდი უწოდებდა იგი თავის თავს ღარიბების შემწესა და მათი უფლებების დამცველს.

ლუთერი უაღრესად სტუმართმოყვარეც იყო. მის სახლში სადილზე ყოველდღიურად 25 კაცზე ნაკლები არ იკრიბებოდა. მასთან სადილობდნენ არა მარტო ოჯახის წევრები, არამედ მეგობრები და სტუდენტების დიდი ნაწილი, რომელიც მის სახლში ცხოვრობდა. საჭმელი მზადდებოდა უხვად, სტუმრები მირთმევდნენ ღვინოსა და ლუდს. ერთი სიტყვით, ლუთერისათვის უცხო იყო წუწურაქობა, აკი ამბობდა კიდეც: — არ მეგულება კაცი, რომელიც მე წუწურაქობას დამაბრალებს. სუფრა ლუთერთან თავისებური აკადემიაც იყო. აქ მსხდომნი, განსაკუთრებით სტუდენტები, დიდი ყურადღებით ისმენდნენ პროფესორის საუბარს, იღებდნენ ცნობებს პოლიტიკის, ნატურფილოსოფიის და მედიცინის საკითხებზე, ყველაფერ იმაზე, რაც მათ აინტერესებდათ. ისინი იწერდნენ კიდეც მის გამონათქვამებს, მის მოსწრებულ სიტყვებს, გასართობ ისტორიებს და ხუმრობებს, ასევე მოგონებებსა და დარიგებებს. ეს ჩაწერა 1531 წლიდან წესად იქცა და ამის საფუძველზე შეინმნა შემდეგში "სუფრული საუბრები" (Tischreden), რომელშიც შესულია დახლოებით 6596 ჩანაწერი. ეს ამოუწურავი წყაროა ლუთერის სიბრძნისა, რომელიც მოგვიანებით ექვს ტომად გამოიცა.

სტუმრების მოყვარული ლუთერი თავს ყველაზე უკეთ მაინც მეგობრებსა და თანამშრომლებს შორის გრძნობდა, უყვარდა მოლხენა, სჯა-ბაასი, ხუმრობა, მას ბევრი მახვილგონივრული აფორიზმი გამოუთქვამს.

რეფორმატორი დიდი პატიოსნებითაც გამოირჩეოდა, მისთვის უცხო იყო ანგარება. ამას მისი მტრებიც აღიარებდნენ. ის პონორარსაც არ იღებდა მსმენელებისაგან ან თხზულებებიდან, თუმცა გამომცემლები და წიგნის გამყიდველები მის ხარჯზე მდიდრდებოდნენ. ლუთერი ცხოვრობდა მხოლოდ პროფესორის ზომიერი ხელფასით, რომელიც კურფიურსტმა დაუნიშნა. ამასთან, რაც ასე ნიშანდობლივია, თავისი ხელმოკლეობის (მისი მატერიალური მდგომარეობა, შედარებით, მოგვიანებით გაუმჯობესდა) შესახებ მას არასოდეს არ დაუჩივლია, თუმცა იმას კი ხვდებოდა, რომ უზნეოსა და უწიგნურს უფრო წყალობს ქონება, ვიდრე წესიერსა გონიერს, რომ ფულიანი და დაბალი სულის მქონე ადამიანი მისსავე მსგავსთან ეძებდა საერთოს, რომ ასეთი ადამიანი, ჩვეულებრივ, უტიფარია, გაფხორილი და ცხვირაწეული დაიარება. არად დაგიდევს ქვეყნისა და მოყვასის გაჭირვებას, თავისი კეთილდღეობა (მატერიალური სიკეთე) მას მარადიული ჰგონია, ვერ წარმოუდგენია, რომ ეს სიკეთე შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს მტვრად იქცეს და გაჭირვებაში ჩავარდნილს თვითონვე დასჭირდეს დახმარება. ამ ჭეშმარიტების მცოდნე ლუთერს თავისი ხელმოკლეობის წლებშიც არ უთქვამს უარი იმათთვის, ვისაც ფულადი დახმარებისთვის მიუმართავს, თუნდაც ამისათვის ძვირფასი საოჯახო რელიქვიის დაგირავება დასჭირვებოდა.

ხელმოკლეობის წლებში, როგორც ზემოთაც ვთქვით, ლუთერს მოუხდა დამატებითი წყაროს მოძიება. პროფესორი, რომელიც ადრე დიდ დროს ატარებდა საწერ მაგიდასთან, ახლა ფიზიკურ შრომაში ეძებს გამოსავალს, ბარავს და თოხნის ყანასა და ბოსტანს, რგავს ნერგებს, გაპყავს არხი და რწყავს მათ. რა თქმა უნდა, მას გვერდით უდგას და ეხმარება არისტოკრატი მეუღლე კატარინა, ექვსი შვილის დედა, რომელიც ბეჯითი დიასახლისი და კარგი მეურნეც აღმოჩნდა. იგი, როგორც ლუთერი წერდა, "მართავდა ცხენებს, შრომობდა ყანაში, ასუქებდა ღორებს და ხარშავდა ლუდს" მამაკაცური ფხის მქონე ეს ქალი ოჯახის ფინანსებსაც სწორად (ეკონომიურად) წარმართავდა.

ამიტომაც იყო, რომ ლუთერი მას "ბატონ კატარინას" ეძახდა. ცოლ-ქმარმა კიდეე უფრო გააფართოვეს თავიანთი მიწის ნაკვეთი, ჩარგეს ხილი, მოამრავლეს შინაური საქონელი და ფრინველი. ფაქტობრივად, ლუთერმა მიატოვა ქადაგებანი და დისპუტები, ხელი მიჰყო უბრალო და ჯანმრთელი ცხოვრების წესს, ფიზიკურ შრომას, რაც სიამოვნებას ჰგვრიდა მას.

შრომასთან ერთად ლუთერი და მისი ოჯახის წევრები მტკიცედ აღასრულებდნენ იმ განრიგს, რომელიც დაწესებული ჰქონდათ: დილაობით იკრიბებოდნენ ლოცვაზე, სადაც ისმენდნენ ათ მცნებას, რწმენის სიმბოლოს, რამდენიმე ფსალმუნს და მოკლე ღვთისმეტყველურ დარიგებებს. საღამოს ლოცვას თან ახლდა მრავალხმიანი გალობა, ოჯახის წევრებს უერთდებოდნენ მეგობრები, მეზობლები, თვით მელანქტონიც კი.

ბევრად უფრო მხიარული და მუსიკალური იყო ვახშამის შემდგომი პერიოდი, ლუთერის სახლში უხვად იფრქვეოდა ქორალებისა და საერო სიმღერების ჰანგები. მასპინძლები მდგმურებთან ერთად მართავდნენ მრავალხმიან გალობას და სიმღერებს. ლუთერს განსაკუთრებით გუნდური სიმღერები იტაცებდა, ხშირად მღეროდა და უკრავდა ბარბითს (ერთგვარი სიმებიან საკრავს). მისი დამოკიდებულება სიმღერისადმი, როგორც ვთქვით, უკვდავყოფილია ლირიკულ ჰიმნში „ქალბატონ მუსიკაში".

ერთი სიტყვით, რელიგიურობისა და თავისი იდეისადმი ფანატიკური ერთგულების მიუხედავად, ლუთერში არაფერი იყო ბნელი და ასკეტური. ცხოვრების სიკეთით სარგებლობას იგი ცოდვად არ თვლიდა, პირიქით, ადამიანებს იმაში არწმუნებდა, რომ ღმერთს სიამოვნებს, როცა მის მიერ შექმნილ "გემრიელ ქარიყლაპიებსა და კარგ რაინულ ღვინოს" შეექცევიან, როცა ადამიანები სულის სიღრმიდან მხიარულობენ ან იცინიან. უცხო რომ არ იყო მისთვის ცხოვრების სიამენი, ამას ადასტურებს ეს სიტყვებიც: "ვისაც არ უყვარს ღვინო, ქალები და მუსიკა, ის მთელი ცხოვრება სულელად რჩება".

ლუთერი, როგორც ვთქვით, მოსიყვარულე მამაც იყო, თუმცა ბავშვების მიმართ საოცრად მომთხოვნიც გახლდათ.

„უკეთესია მკვდარი ბავშვი, ამბობდა იგი, ვიდრე ცუდად აღზრდილი“. ვინაიდან ჩვენს ოჯახს „საზოგადოებაში უჭირავს მაღალი მდგომარეობა, ამიტომაც სხვების მიმართ უნდა ვიყოთ მაგალითის მიმცემი. თუ ჩვენი ბავშვები მოიქცევიან ცუდად, ეს ღია სკანდალი იქნება“.

ის თავისი ვაჟების ღირსეულ კარიერაზე ფიქრობდა, თუმცა კატეგორიული წინააღმდეგი იყო იმისა, რომ რომელიმე მათგანი გამოსულიყო იურისტი, - ამ ჯილაგს ვერ იტანდა — ჩემი ნება მტკიცეა: ჩემი არცერთი შვილი არ შეისწავლის სამართალს. ის თავიდანვე განსაზღვრავდა თავისი შვილების მომავალს და ამბობდა: — ჰანსი იქნება ღვთისმეტყველი, მარტინი განსაკუთრებულს ვერაფერს მიაღწევს, ხოლო პაული გაემართება თურქებთან საბრძოლველად. მამის არც ერთი წინასწარმეტყველება არ ახდა: ჰანსი გახდა იურისტი, ხოლო პაული - ცნობილი გერმანელი ექიმი. სხვა შვილებს საერთოდ არ აღმოაჩნდათ განსაკუთრებული ნიჭი.

ლუთერი უშიშარი ადამიანი იყო. ამის მაჩვენებელია თუნდაც მისი ეს ქცევაც, რომელიც გამოამჟღავნა 1527 წელს ვიტენბერგში შავი ჭირის ეპიდემიის დროს. ქალაქის ხელმძღვანელობამ და უნივერსიტეტის თითქმის ყველა პროფესორმა თავს გაქცევით უშველა, ლუთერი კი ქალაქში დარჩა და ექიმებთან ერთად ეხმარებოდა ავადმყოფებს, არ თაკილობდა რა არავითარ სამუშაოს. იგი ისმენდა მომაკვდავთა აღსარებასა და ჩივილს, მოუწოდებდა გამძლეობისაკენ მათ. მკვლევარების უმრავლესობა თვლის, რომ ამ დღეებში დაწერა ლუთერმა სიტყვები და მუსიკა ქორალისა "ჩვენი ღმერთი შეუვალი ციხეა", რომელსაც გალობდნენ განსაცდელის ჟამს. ქორალი გამძლეობისაკენ, რწმენისა და შეუპოვრობისაკენ მოუწოდებდა ადამიანებს. აქ დასმული იყო რეფორმაციის ისეთი პრინციპებიც, როგორიცაა „სინდისისა და რწმენის“ დაცვის აუცილებლობა.

კათოლიკეები ამბობდნენ, რომ ამ ქორალმა ეკლესიას უფრო მეტი ადამიანი წაართვა, ვიდრე მთელმა ლუთერანულმა ნაწერებმა და ქადაგებამ. ჰაინრიხ ჰაინემ კი ამ ქორალს "რეფორმაციის მარსელიოზა" უწოდა.

ლუთერმა თავისი ხელმოკლეობის მიუხედავად, არცთუ ისე მცირე ქონება დააგროვა. ანდერძიდან, რომელიც მან 1542 წელს დაწერა, ვიგებთ, რომ იგი თავის მეუღლესა და შვილებს მამულისა და სახლის გარდა უტოვებდა ათასი გულდენის ღირებულების ფასეულობებს - თასებს, ბეჭედს, ძეწკვებს, მონეტებს, ოქროებსა და ვერცხლს.

თავი XII

ავადმყოფობა და უკანასკნელი დღეები

წლების მანძილზე თითქმის ყოველდღიურად ლუთერის მიერ წაკითხული ლექციები და წარმოთქმული ქადაგებანი, აგრეთვე საიწერლო მოღვაწეობა წერილების, პამფლეტების, პოლემიკური თუ რეფორმატორული ხასიათის თხზულებების წერა, ბიბლიის თარგმნა, პოეტური და მუსიკალური ნაწარმოებების თხზვა და მრავალი სხვა სამუშაო, რეფორმატორისაგან დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა, დიდი იყო ნერვიული დაძაბულობაც.

ბუნებრივია, ყველაფერ ამას არ შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მის ჯანმრთელობაზე. მისი ჯანმრთელობისათვის ასევე უარყოფითი როლი შეასრულა ე.წ. "ვარტბურგის ტყვეობამ", განსაკუთრებით იმ უსაქმურობამ და კვების რეჟიმმა, რომელიც, როგორც ზემოთაც ვთქვით, გადახდა მას "ტყვეობის" პირველ დღეებში.

ჩვენ ისიც ვთქვით, რომ "ტყვეობის" დროს მოწყენილობისა თუ იმის გამო, რომ კერძები გემრიელები იყო, ის ბევრს ჭამდა და სვამდა. თანაც, თუ მანამდე, თითქმის თექვსმეტი წლის მანძილზე, სამარხვო მონასტრული საკვების პირობებში ცხოვრობდა, ახლა კი, შესაბამისად თავისი მოჩვენებითი წოდებისა (რაინდ გეორგის სახელით რომ იმალებოდა), სხვების დასანახად იძულებული იყო ჩვეულებრივი ხორცისაგან ან ნანადირევისაგან დამზადებული კერძები მიეღო, რის გამოც დაეწყო მას კუჭის ავადმყოფური აშლილობანი და ტკივილები. — „წუხელ მთელი ღამე ვერ შევძელი ძილი. თუ ტკივილები არ შეწყდა, მე მეტს ვერ მოვითმენ", ჩიოდა იგი.

უფრო მძიმე დღეები დაუდგა ლუთერს 1526 წლიდან, კენჭები აღმოაჩნდა თირკმელში და აუტანელმა ტკივილებმა მოსვენება დაუკარგა, შეაწუხა თავისა და გულის ტკივილმაც. მოგვიანებით იგი უკვე ჰაერის უკმარისობასა და აჩქარებულ

გულისცემასაც უჩიოდა, ხშირად პქონდა თავბრუხვევა და ყურში შხუილი. – მე რომ მკერდი გამიხსნან და გული ამომიღონ, - ამბობდა იგი, - დაინახავდნენ, რომ ის უკიდურესად შეკუმშულია სიმწრისა და ტკივილების გამო. შედეგმაც არ დააყოვნა: 1537 წლის თებერვალში, შმალკალდენში ყოფნის დროს, მან პირველი ინფარქტი გადაიტანა, რომელსაც თან ახლდა, ჩვეულებრივ, მამაკაცებისათვის დამახასიათებელი იმის შეგრძნება და შიში, რომ ცოცხალი ვეღარ გადარჩებოდა, თუმცა თავზე მდგომ მეგობრებს არც თუ ისე უიმედოდ ეუბნებოდა: იგი კვდება თავისი საქმის ერთგულებითა და პაპის სიძულვილით.

ჩანდა, რომ 53 წლის ლუთერს "სულ მალე დაიფრინდებოდა სიკვდილის ანგელოზი", მას თვალებში შუქი ჩაუქრა, მოძრაობა და მეტყველება დაუმძიმდა და საოცრად მოუხეშავი გახდა. პირველ შეტევას მან მაინც გაუძლო. მერე, 1542-1546 წლებში, დაღლილობა, სევდა და იმედგაცრუება დაეუფლა; ლუთერს ხშირად მოეძალებოდა ფიქრი იმაზე, რომ მის ხალხს ნაკლებად ესმოდა მისი, რომ ისინი უფრო მისდევდნენ "ეშმაკს" (ლუთერი მის ქვეშ პაპს გულისხმობდა), რომელიც კაცობრიობას დაღუპვისაკენ მიაქანებდა. აი, რას წერდა იგი სიკვდილამდე ოთხი წლით ადრე: – მოვხუცდი და ძლიერ დავიღალე, ჩემში არ არის სიმშვიდე, რადგან ეშმაკი ბობოქრობს და კაცობრიობა ისე გამხეცდა, რომ სამყარო დაიღუპება! კაცობრიობას ვერაფრით ვერ ვუშველე, მას სურს სატანას ეკუთვნოდეს!

ამგვარი ფიქრი რომ არა, ლუთერი ისედაც ცუდად გამოიყურებოდა, მის გამომეტყველებაში უკვე მოახლოებული სიკვდილი და ცხოვრების მოყირჭება იკითხებოდა. ეს ჩანს მის სიტყვებშიც, რომელსაც იგი 1542 წელს ამბობდა: – მთელი წელი მე თავს ვგრძნობ მკვდრად. მე კიდევ ვსუნთქავ, მაგრამ მესმის, რომ მე ამ ქვეყნად არაფერს წარმოვადგენ. მე მოყირჭებული მაქვს ცხოვრება, მე დავიღალე, მე მეტი არ შემიძლია, მე გავხდი ზარმაცი, უძლური, გულაცრუებული, დაბეჩავებული და არაფრის მაქნისი ვარ. ჩემი გზა მე ბოლომდე გავლიე. ილოცეთ ღმერთისთვის, რათა მან მალე მიმიღოს. მე დავიღალე ცხოვრებისაგან. უკვე დროა მატლებმა იმუშაონ!

ლუთერს ამდაგვარ განწყობას, სჩანს ჭარბი წონაც უქმნიდა. ეს იყო ჩასუქებული ბერიკაცი, რომელსაც უჭირდა გადაადგილება. ეს გასუქება, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მოსულა, იგი განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა დაოჯახების შემდეგ, კატარინა ხომ განუხრელად ზრუნავდა ქმრის კარგი კეებისათვის, თუმცა მჯდომარე მუშაობაც, რომელსაც ლუთერი ეწეოდა, ხელს უწყობდა გასუქებას. სხვათა შორის, პორტრეტმაც, რომელიც შესრულებულია ლუკას კრანახის მიერ 1543 წელს, "უკვდავყო" რეფორმატორის ფუნთუშა ლოყები და ხელები. ჩანს, ეს ის დროა, როცა ლუთერი ხუმრობით ამბობდა: — მატლებს შეხვდება კარგად ჩასუქებული დოქტორი.

ცხოვრებამოყირჭებულობის მიუხედავად, ლუთერს სიცოცხლის ბოლო წლებში ერთი სურვილი მაინც გაუჩნდა: განმარტოებულიყო საერო ცხოვრებისაგან. მართალია, ეს სურვილი მან ვერ აისრულა, მაგრამ იმას კი მიაღწია, რომ 1545 წლის ბოლოს დაადგა ძნელად ასახსნელ მოგზაურობას ცეისში, მერზებურგში, ლაიფციგსა და მანსფელდში. სულ ახალი დაბრუნებული იყო ამ მოგზაურობიდან, როცა ლუთერმა კვლავ იწყო მზადება ახალი მოგზაურობისათვის. მან ყურად არ იღო ოჯახის წევრებისა და მეგობრების გაფრთხილება - უარი ეთქვა ამ სარისკო საქმეზე: ჯერ ერთი, შეუძლოდ იყო და, მეორეც, სიცივეებიც იდგა, მაგრამ მან მაინც არ დაიშალა ეს მოგზაურობა და გაუდგა გზას აისლებენისაკენ. (ეს კი ხდება 1546 წლის დასაწყისში), იქმნებოდა შთაბეჭდილება თითქოს რაღაც იდუმალი ძალა ეწეოდა მას.

როგორც მოსალოდნელი იყო, აისლებენში ლუთერი გაციებული და მკერდის არეში ტკივილით ჩავიდა, ორი კვირა იავადმყოფა და შემდეგ, ცოტათი რომ გამოკეთდა, ეს კი ხდება 16 თებერვალს, დაუძლურებულ და დაღვრემილ რეფორმატორს ვახშამზე მაინც ეყო ძალა, რომ ეხუმრა: — მე თუ კეთილად დავბრუნდები ვიტენბერგში, მაშინვე ებრძანებ, რომ ჩამაწვინონ სამარეში, რათა მატლებმა შეჭამონ მსუქანი დოქტორი, — უკვე მერამდენედ გაიმეორა ეს სიტყვები.

მომდევნო დღეს, გამთენიისას, უკიდურესად მოუსვენრად რომ იყო, ლუთერმა, სხვათაშორის, თქვა: — აი, აისლებენში დავიბადე და მოვინათლე და აქვე მომელისო სიკვდილი. საღამოს მკერდის არეში ისევ დაეწყო ტკივილები, მაგრამ მალევე ჩაეძინა.

შუაღამემდე ლუთერმა იძინა, ხოლო გამოღვიძებულმა თავი ძალიან ცუდად იგრძნო. — ღმერთო ჩემო, როგორ მტკივა, აღმოხდა მას. ცოტა მოგვიანებით ცხადი შეიქმნა, რომ მას პულსი აღარ ესინჯებოდა და სასწრაფოდ ექიმებს უხმეს. ექიმებმა ავადმყოფს რაღაცნაირი მანიპულაცია ჩაუტარეს და ცოტა ხნის შემდეგ ის გონზე მოიყვანეს, მაგრამ სიკვდილი უკვე იქვე შორიახლოს იყო ჩასაფრებული. ძლივსძლიობოთ ისმოდა მისი სიტყვები: — ღმერთო, როგორ მტკივა და რა საშინელია ეს გარდაცვალება. — იქვე მორიგეობაზე მყოფი იოანასი ლუთერისაკენ დაიხარა და დაჟინებით თხოვა, ეთქვა დამსწრეთათვის, სწამდა თუ არა მოძღვრებისა, რომელსაც ქადაგებდა. მომაკვდავმა რეფორმატორმა ჩუმად, მაგრამ მტკიცედ უპასუხა: — დიახ! — ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვა.

მარტინ ლუთერი გარდაიცვალა 1546 წლის 18 თებერვალს ქალაქში, სადაც დაიბადა. იქვე გაუკეთეს მას ნიღაბი. 22 თებერვალს კი მისი ცხედარი ჩაასვენეს კალის კუბოში და გადაასვენეს ვიტენბერგში. ელსტერის კარებთან, სადაც ოდესღაც პაპის ბულა დაწვეს, კატაფალკს შეხვდნენ უნივერსიტეტის, ქალაქის მაგისტრატისა და მრევლის წარმომადგენლები. პროცესიამ გაიარა იმ ეკლესიამდე, რომლის კარებზეც ოდესღაც ლუთერმა გამოაკრა თავისი ცნობილი თეზისები. ვიდრე ეკლესიაში კუბოს შეიტანდნენ და დაასაფლავედნენ, სიტყვები წარმოთქვეს ბუგენხაგენმა და მელანქტონმა.

ბუგენხაგენმა ის თქვა, რომ რეფორმატორი უეჭველად იყო ანგელოზი, რომელსაც გვამცნობს აპოკალიფსის მე-14 თავი. მელანქტონმა კი თავის სიტყვაში იმაზე მიანიშნა, რომ ლუთერის სიკვდილით მთავრდებოდა პროტესტანტული შეურიგებლობის ეპოქა. ყველამ, ვინც მას იცნობდა და ახლოს იყო, უნდა ირწმუნოს და აღიაროს, რომ ის იყო უაღრესად კეთილი,

მწყალობელი და მეგობრული. სისასტიკე, რომელსაც ის თავის თხზულებებში მტრების წინააღმდეგ ავლენდა, მომდინარეობდა არა ბოროტი და ჭირვეული ხასიათიდან, არამედ ჭეშმარიტების სერიოზულობისა და სიყვარულის გამო. ლუთერი სიკვდილის შემდეგაც დარჩება სიმბოლურ ფიგურად, იგი "წმინდა ადამიანია". "გძულდეს ლუთერი - ნიშნავს გძულდეს ქრისტე!", - ასე დაასრულა მელანქტონმა თავისი სიტყვა.

ბედის ირონიით ლუთერის დასაფლავება დაემთხვა წმ. პეტრეს დღეს, ხოლო ძველი კათოლიკური კალენდრით - პაპის ტახტის თაყვანისცემის დღეს. როდესაც რეფორმატორის ცხედარს ეკლესიის შიგნით გათხრილ სამარეში უშვებდნენ, ქორალმა დააგრიალა ჰიმნი "Tu, Petrus", რომელშიც ნათქვამია, რომ მოციქულის მიერ დაარსებული ტახტის (რომაული პაპისა) შერყევა თვით ჯოჯოხეთის ძალებსაც არ შეუძლია. ყველაფერი ისე წარიმართა, თითქოს ვიტენბერგის ეკლესიაში შემოიჭრა დაწყებული კონტრრეფორმაცია.

ბუნებრივია, თუ სადმე გაუხარდებოდათ რეფორმატორის სიკვდილი, ეს რომი იყო. როგორც კი მიიღეს ცნობა მისი გარდაცვალების შესახებ, "მარადიული ქალაქის" ეკლესიებში იწყეს სამადლობელო პარაკლისების გადახდა. ერთგან ისიც ითქვა, რომ გარდაცვლილი მარტინიუსის გამოთხოვება შემზარავი იყო, ამ ცოდვილს უამრავი ჭინკა დასტრიალებდა თავსო. ამიტომაც უკვე არავინ მოისურვებსო ატაროს ლუთერანის სახელი.

ვატიკანში ბევრს არ სჯეროდა ჭინკების შესახებ მონაჩმახი, მაგრამ იმას კი წინასწარმეტყველებდნენ, რომ მალე ჩაესვენებოდა "ვიტენბერგული ერესის" მზეობა.

ამ წინასწარმეტყველებას განხორციელება არ ეწერა.

თავი XIII

ე.წ. „აუგსბურგის რელიგიური ზავი“

იმპერატორი კარლ V კარგა ხანი არ გამოჩენილა გერმანიაში, აწარმოებდა ომს ფრანგებთან და თურქებთან. 1546 წელს, როგორც კი მან ზავი დადო საფრანგეთის მეფე ფრანსუა I-თან, იგი მაშინვე გამოემგზავრა გერმანიაში, რათა ბოლო მოეღო შმალკალდენის კავშირისა და პროტესტანტებისათვის, თუმცა განაცხადა, რომ მას ამ კავშირის წევრების დასჯა სურს არა რელიგიური შეხედულებების გამო, არამედ იმპერიის კანონების დარღვევისათვის. იტალიიდან გერმანიაში გადმოსროლილ იქნა ესპანელთა 40 ათასი ჯარისკაცი, იმპერატორის მხარე დაიჭირა, აგრეთვე, საქსონიის ჰერცოგმა მორიცმა, რომელიც ლუთერანი იყო. ასეთი საქციელისათვის პროტესტანტებმა მას იუდა უწოდეს. გადამწყვეტი ბრძოლა მოხდა 1547 წლის 24 აპრილს მიულბერგთან, ელბის სანაპიროსთან. გაიმარჯვეს საიმპერატორო ჯარებმა, რომლებმაც მალე ვიტენბერგი დაიკავეს და პროტესტანტთა კავშირიც დაშალეს. სხვათა შორის, ვიტენბერგში კარლ V-ემ მოინახულა თავისი მოწინააღმდეგის, ლუთერის საფლავი, თუმცა მისთვის ხელი არ უხლია, დაინდო იგი. მართალია, მის სადამსჯელო ლაშქრობას პირველ ხანებში ის შედეგი მოჰყვა, რომ ბევრმა პროტესტანტმა მქადაგებელმა დატოვა ქვეყანა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, მან მაინც ვერ აღკვეთა ლუთერანობა გერმანიაში.

სულ მალე ჰერცოგმა მორიცმა, რომელმაც ხელის მოთბობა მოისურვა, უარი თქვა თავის ადრინდელ პოზიციაზე და სათავეში ჩაუდგა ანტიჰაბსბურგულ ძალებს, მან ფრანგებისაგან დაფინანსებაც მიიღო და 1552 წელს თავს დაესხა იმპერატორს. ამ უკანასკნელს თავისი რეზიდენციიდან გაქცევაც კი მოუწია. მერე დაიწყო მოლაპარაკება, რომელიც საკმაოდ დიდ ხანს გაგრძელდა. 1555 წელს იგი იმით დასრულდა, რომ მოწინააღმდეგეებს შორის დაიდო ე.წ. აუგსბურგის რელიგიური ზა-

ვი, რომლის თანახმად იმპერიაში თანასწორად გამოცხადდნენ ლუთერანები და კათოლიკეები. თითოეულმა მთავარმა იმის უფლება მოიპოვა, რომ სურვილისამებრ მოეწყო თავისი სარწმუნოება. "ვისიც ხელისუფლებაა, მისია რწმენაც", - ეს პრინციპი გაატარეს მათ.

ამ პრინციპმა, საბოლოო ჯამში, ქვეყნის ტერიტორიული დაქუცმაცების გაძლიერება გამოიწვია. პროტესტანტებთან წარუმატებელმა ბრძოლამ კარლ V-ეს უარი ათქმევინა ტახტზე. მან თავისი სამფლობელო ორ ნაწილად გაყო: შვილს ფილიპე II-ეს ესპანეთის მეფობა არგუნა, ხოლო ძმას ფერდინანდ I-ს - გერმანიის იმპერატორობა. აუგსბურგის რელიგიური ზავით არ მთავრდება რეფორმაცია (ლუთერანობამ ფართო გავრცელება ჰპოვა ჩრდილოეთ და შუა გერმანიაში, სამხრეთ გერმანიასა და ავსტრიაში, დანიასა და შვეიცარიაში), თუმცა ამ დროიდან დაიწყო კონტრრეფორმაციაც, რომელიც გერმანიაში გაგრძელდა 1555 წლიდან 1618 წლამდე, ოცდაათწლიანი ომის დაწყებამდე, ომამდე, რომელიც წარიმართა კათოლიკურ ლიგასა და პროტესტანტულ უნიას შორის.

ის ცოცხლობს

ლუთერმა უდავოდ დიდი კვალი დატოვა კაცობრიობის ისტორიაში, უსაფუძვლოდ როდი მოიხსენიებენ მას "დიდი პროგრესული გადატრიალების" ერთ-ერთ თანაავტორად. მისმა ნოვატორულმა იდეებმა ჯერ კიდევ მის სიცოცხლეშივე ჰპოვა გავრცელება შვეიცარიაში, საფრანგეთში, ნიდერლანდებში, დანიაში, ნორვეგიაში, შვეციაში, ფინეთში, შოტლანდიასა და ინგლისში. ლუთერანობა მოგვიანებით ასევე გავრცელებას ჰპოვებს ისლანდიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ჩეხეთში, უნგრეთში, ესტონეთსა და ლატვიაში. ერთი ხანობა (XIXს. დასაწყისიდან) ლუთერანობის მიმდევარი გერმანელები საქართველოშიც ქმნიან თავიანთ ეკლესიებსა და სკოლებს. ლუთერანობის მიმდევართა რიცხვი დღეს 80 მილიონზე მეტია მსოფლიოში.

ლუთერისეული რეფორმაციის წარმატებული გაგრძელება იყო ჟან კალვინის შვეიცარული რეფორმაცია, რომელმაც წინ წამოსწია რეფორმაციის ბურჟუაზიული ხასიათი, მიანიჭა რა ეკლესიის "რესპუბლიკური, დემოკრატიული სახე". კალვინისტური (შემდეგ პურიტანული) იდეოლოგია გახდა, როგორც ნიდერლანდური რევოლუციისა, ასევე ინგლისის ბურჟუაზიული რევოლუციის მთავარი სულიერი იარაღი.

ლუთერისაგან ბევრი რამ აიღეს ფრანგმა განმანათლებლებმა, დაიცვეს და მეტი ბურჟუაზიული ელფერი მისცეს მის იდეებს, თუმცა მისი სულიერი მემკვიდრეობის დაცვა არც ისე ადვილი როდი აღმოჩნდა. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია გერმანული კულტურის გამოჩენილი მოღვაწეების - კანტის, ფიხტეს, შილერის და გოეთეს საქმიანობა, რომლებმაც იხსნეს ლუთერი მომდევნო ხანის უფერული განმარტებებისაგან.

მართალია, ანტიპათიით ეკიდებოდა ლუთერს XIX-XX საუკუნეების არაერთი მწერალი და ისტორიკოსი. ასე, მაგალითად, გერმანელი მწერალი თომას მანი თავის "დოქტორ ფაუსტში" ლუთერს მოიხსენიებდა როგორც "ჯიუტ ხარს და ღვთიურ

ბარბაროსს", რომელიც პუმანისტ ერაზმ როტერდამელის ანტიპოდი იყო. უფრო შორს მიდიოდა ნაცისტური ისტორიოგრაფიის წარმომადგენელი ფ.ვინერი, რომელიც ლუთერს "ჰიტლერის სულიერ წინაპარს" უწოდებდა. ანალოგიური პოზიცია ეკავათ გ.რიტერსა და გ.ფრანცს. მათი თქმით, ჰიტლერმა ხელისუფლების აღებით დააგვირგვინა "ლუთერის სახალხო საქმენი"

მაგრამ ლუთერის შემფასებლებს შორის ბევრი იყო ისეთიც, რომელიც გულგრილად არ ეკიდებოდა რეფორმატორს, მის ცხოვრებასა და მოღვაწეობას უბრალოდ კი არ აღწერდნენ (გ.ჰაუპტმანი, ლ.ალსენი), არამედ პოეტურად და სიყვარულით წარმოსახავდნენ მის სახეს (რ.ტილი, კ.ილენფელდი). თანაც მის შესახებ წერდნენ არა მარტო გერმანიაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, იწერებოდა და დღესაც იწერება მრავალი წიგნი. ამ მხრივ მან დაჩრდილა თავისი თანამედროვე ცნობილი ადამიანების უმრავლესობა. გერმანელი ბიბლიოგრაფის კარლ შოტენლოერის მონაცემებით, XVI საუკუნიდან მოყოლებული, ვიდრე 1960 წლამდე, ლუთერის შესახებ დაწერილია დაახლოებით 5 ათასამდე ნაშრომი. ამერიკელი მკვლევარის ვილჰელმ პაუკის აზრით (იგი 1967 წელს გამოთქვა, როცა აღინიშნა რეფორმაციის 450 წლის თავი), უკანასკნელი 50 წლის მანძილზე ლუთერზე ბევრად უფრო მეტი წიგნი დაიწერა, ვიდრე იესო ქრისტეს შესახებ. ბუნებრივია, მომდევნო წლებში, განსაკუთრებით კი მისი დაბადების მე-500 წლისთავის წინასაიუბილეო მზადების პერიოდში, მისადმი მიძღვნილი წიგნების რიცხვი ბევრად გაიზარდა.

ამგვარად, ცხადი ხდება, რომ ლუთერის პოპულარობა უფრო და უფრო მატულობს, როგორც გერმანიაში, ისე მის ფარგლებს გარეთ. შემთხვევითი არ არის, რომ ქალაქი ვიტენბერგი დღეს მის სახელს ატარებს. ოფიციალურად მას ლუთერშტადტ-ვიტენბერგი ეწოდება. აქ, და საერთოდ მთელ გერმანიაში, დიდი მოკრძალებით ეკიდებიან ლუთერის სახელთან დაკავშირებულ ყველა სახლსა და ნივთს. ე.წ. Lutherhaus-ში კი 1883 წლიდან არსებობს რეფორმაციის მუზეუმი. იქვე ახლოს ეკლესიაც არის.

სადაც ლუთერის საფლავის ქვაზე, მისი სურვილის თანახმად, ამოკვეთილია ლათინური სიტყვა „Vivit" – „ის ცოცხლობს". და დღეს, როცა ამ წიგნზე მუშაობას ვასრულებ, ლუთერის დაბადებიდან 525 წელი სრულდება!

– დიახ, აქაც შეიძლება გავიმეოროთ:
– Vivit ის ცოცხლობს!

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა

1. ნეტარი ავგუსტინე, აღსარებანი, ლათინურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1995.
2. ნეტარი ავგუსტინე, ღვთაებრივი სახელმწიფოს შესახებ, ლათინურიდან თარგმნა და შენიშვნები დაურთო ბაჩანა ბრეგვაძემ, თბ., 1999.
3. მარკუს ავრელიუსი, ფიქრები, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძესი, თბ,. 1984.
4. დანტე ალიგიერი, ღვთაებრივი კომედია, თარგმანი კონსტანტინე ჭიჭინაძისა და კონსტანტინე გამსახურდიასი, თბ., 1941.
5. არისტოტელე, პოლიტიკა, თარგმანი თამარ კუკავასი, თბ., 1995.
6. კონსტანტინეს ნაბოძვარი, თარგმანი გურამ კუტალიასი. – გ. კუტალია, ეინჰარდის „კარლოს დიდის ცხოვრება", თბ., 2005.
7. მარტინ ლუთერი, 95 თეზისი, თარგმანი გურამ კუტალიასი, თბ., 1998.
8. ნიკოლო მაკიაველი, მთავარი, თარგმანი ბაჩანა ბრეგვაძესი, თბ., 1984.
9. ტომას მორი, უტოპია, თარგმანი და შენიშვნები ნინო გომართელისა, თბ., 1983.
10. ტილ ოილენშპიგელის თავგადასავალი, თარგმანი ვახტანგ პაიკიძესი, თბ., 1968.
11. ერაზმ როტერდამელი, მშვიდობის ჩივილი,, თარგმანი გურამ კუტალიასი, თბ., 1993.
12. ერაზმ როტერდამელი, სისულელის ქება, თარგმანი და შენიშვ-ნები ლალი კოჭლამაზაშვილისა, თბ., 2002.
13. ერაზმ როტერდამელი, შესხმა სისულელისა, თარგმანი გურამ გოგიაშვილისა საგურამო, ლიტერატურული ჟურნალი, № 6, 2005.
14. Гуттен Ульрих фон, Диалоги. Публицистика. Письма, составил и перевел с латинского С.П. Маркиш. М., 1959.

15. Лютер М.. Христианскому дворианству немецкой нации об улучшении христианского состояния. Харьков. 1912.
16. Лютер М., Времия молчания прошло. Избр. Произ. 1520-1526 гг. Пер. С немец. Ю.А.Голубкина, Харьков, 1994.
17. Лютер М., О рабстве воли. - Еразм Роттердамский. Философские произведение. перевод и комментарии Ю.М.Кагана, М., 1986
18. Еразм Роттердамский. Диатриба, или рассуждение о свободе воли. - Еразм Роттердамский. Философские произведение, пер. Ю.М. Кагана, М., 1986.
19. Der Grose Bauernkrieg. Iena, 1925.
20. Luther M. An des christleichen Adel deutscher Nation, Leipzig, 1881.
21. Luther M. Eine Predigt, daß man Kinder zur Schule halten solle - Luther M., Pädagogische schriftlen, Wien and Leipsig, 1884.
22. Luther M. Von Kaufshandlung und Wucher (1524). - Hutten. Müntzer. Luther. BD. II, Berlin und Weimar, 1982.
23. Müntzer Th., Politiche Schriften - Mit Kommentar Herausgegeben Von Karl Hinrichs. Halle. 1963.
24. ბენჯამინ სპოკი, ბავშვები და მისი მოვლა, თბ., 1978
25. ფ.ენგელსი, გლეხთა ომი გერმანიაში, თბ., 1956.
26. ნ.გომართელი, ჰუმანისტები და რეფორმატორები, თბ., 1999.
27. გ.კუტალია, მარტინ ლუთერის საზოგადოებრივ-პოლიტიკური შეხედულებანი, თბ., 1993.
28. გ.კუტალია, საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები რეფორმაციის ეპოქის გერმანიაში, თბ., 2000.
29. გ.კუტალია, ლუთერანული ეკლესიები და სკოლებიო საქართველოში. – გ.კუტალია, ნარკვევები და მოგონებები, თბ., 2004.
30. მ.შალიკაშვილი, ნების თავისუფლების პრობლემა რეფორმაციის ეპოქის გერმანიაში, თბ., 2005.
31. Бецольд Ф. История Реформации в Германии. Т. I-II. СПб., 1900.
32. Бэрд Ч. Реформация XVI века. Пер. Е.А Звягинцева. СПб., 1897.

33. Гейссер.. История Реформации. М., 1882.
34. Гобри И. Лютер. Пер. С франц. Е.В.Головиной. М., 2000.
35. Голубкин Ю.А. Социально-политические взгляды и позиции Мартина Лютера.- Ежегодник германской истории (1978). М., 1979.
36. Катценбах Фр. Мартин Лютер. Ростов-на-Дону, 1998.
37. Новиков Е. Гус и Лютер. Ч. II, М., 1859.
38. Порозовская Б.Д. Мартин Лютер. СПб.. 1898.
39. Сиерра М. История Церкви (1500-1900). СПб., 2003.
40. Смирин М.М. Германия эпохи Реформации и Великой Крестьянской войны. М., 1962.
41. Соловьев Э.Непобежденный еретик. Мартин Лютер и его время. М.. 1984.
42. Штраус Д. Ульрих фон Гуттет. СПб., 1896
43. Baur A. Martin Luther, Tübingen, 1878.
44. Edwards Ir. Mark I. Luther and the False Brethren. Stanford. California, 1975
45. Fausel H. D. Martin Luther, Stutgart, 1955.
46. Franz G. Der Deutsche Bauernkrieg. 4.Aufl. Darmstadt, 1956.
47. Hausrath A. Luthers Leben. Bd. I, Berlin. 1904.
48. Mayer A. Erasme et Luthers. Paris, 1904.
49. Ranke L. Von. Deutche Geschichte im Zeitalter der Reformation, Wien. 1960.
50. Ritter G. Luther der deusche, München, 1935.

შინაარსი

რედაქტორის წინათქმა	3
წინასიტყვაობა	5
თავი I. რეფორმაციული მოძრაობის ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიური წანამძღვრები გერმანიაში	7
§1. ეკონომიკური და პოლიტიკური წანამძღვრები	7
§2. სოციალური წანამძღვრები	15
§3. რელიგიური წანამძღვრები	19
თავი II. რეფორმაციული მოძრაობის იდეური წანამძღვრები	30
§1. რეფორმაციამდელი ცალკეული გამონათქვამები და პამფლეტები	30
§2. ჰუმანიზმი გერმანიაში და მისი ადრეული წარმომადგენლები	32
§3. ერაზმ როტერდამელი და მისი როლი რეფორმაციის შემზადებაში	35
§4. იოჰან როიხლინი	43
§5. ულრიხ ფონ ჰუტენი	47
თავი III. მმარტინ ლუთერი – დიდი რელიგიური რეფორმატორი	51
§1. ლუთერი და მისი პირველი ნაბიჯები	51
§2. სტუდენტობის წლები	56
§3. „ზეციური რისხვა“ და ცით აღვლენილი აღთქმა	62
§4. ბერული ცხოვრება	66

§5. მღვდლობიდან ისევ აკადემიური ხარისხებისა და ლექციებისკენ 73
§6. პირველი დიდი გაწბილება 77
§7. მასწავლებელი და აღმასვლა აკადემიური იერარქიის კიბეებზე 81
§8. პროფესორის მანტიითა და მღვდლის ანაფორით 83
§9. ე.წ. „საკითხავები“ და ახალი სარწმუნოების სათავეებთან 86

თავი IV. ბერი, რომელიც აუჯანყდა რომს 89

§1. ინდულგენციებით ვაჭრობის მოძალება გერმანიაში და „95 თეზისი“ 89
§2. საეკლესიო დევნის დასაწყისი 96
§3. ლაიფციგის დისპუტი და ალში გახვეული პაპის ბულა 104
§4. „რეფორმატორული ტრილოგია“ და რომის პაპის წინააღმდეგ ლუთერისეული ბრძოლის პატრიოტული ხასიათი 114
§5. კარლ V და ვორმსის რაიხსტაგი 128
§6. ე.წ. „ვარტბურგის ტყვეობა" და ვიტენბერგელი რადიკალები 133

თავი V. რეფორმატორის პოლიტიკური თვალთახედვანი 152

§1. რეფორმაცია ამბოხების გარეშე 152
§2. ლუთერისეული „ორი სამეფოს" არსი და საერო ხელისუფლების უფლება-მოვალეობანი 162
§3. სამართლიანობისა და სამართლის ლუთერისეული გაგება 180
§4. ლუთერი ომისა და მშვიდობის შესახებ 188
§5. მევახშეობისაგან ქვეყნის დახსნის ლუთერისეული გზები 198

თავი VI. ლუთერის პედაგოგიკური შეხედულებანი 203

§1. განათლების მნიშვნელობისა და სასკოლო და საუნივერსიტეტო სწავლების ახლებურად მოწყობის შესახებ 203

§2. სასწავლო დისციპლინების გონიერი შერჩევის შესახებ 211

თავი VII. მიუნცერი. გლეხთა დიდი ტრაგედია და ხმალ-ამოღებული ლუთერი 227

თავი VIII. შპეიერის რაიხსტაგის გადაწყვეტილებიდან შმალკალდენის კავშირამდე 241

თავი IX. დიდი იდეური ჭიდილი 245

§1. პაექრობა ადამიანური ნების შესახებ 245

§2. ინგლისელი და შვეიცარიელი ოპონენტები 251

თავი X. ლუთერი და ებრაელობა 257

თავი XI. ქორწინება და ოჯახური იდილია 260

თავი XII. ავადმყოფობა და უკანასკნელი დღეები 269

თავი XIII. ე.წ. „აუგსბურგის რელიგიური ზავი" 274

ის ცოცხლობს 276

გამოყენებული წყაროები და ლიტერატურა 279